ჯვრის პალიტრა

32 გვ

№ 36 (281) ◆ 4 – 10 სექტემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

სავიზო რეჟიმის შემოღება მოსკოვის მხრიდან არის „Тупая политика“

– ეს უფრო პოლიტიკური დასჯის მეთოდს ჰგავს;

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საერთაშორისო თანამეგობრობა უპასუხოდ და უსანქციოდ არ დატოვებს მოსკოვის განგრახვას.

– ბაზების გატანაზე ვერანაირი სავიზო რეჟიმი ვერ იმოქმედებს.

– სხვათა შორის, დღეს გაეროს პრესტიჟი, გარკვეულწილად აფხაზეთშიც გადის გამოცდას...

გვ.3

რედაქციამ წერილი მიიღო

იძნეგ როგორმე ავხადოთ – აფხაზეთის ომს „ძაძემ“ ფარდა

„საოცრად დაბნეულები ვიყავით. ექვსნი დავრჩით. ჩვენ გარდა მეომარი აღარავინ ჩანდა... ყველა – უფროს-უმცროსიანად თავის გადარჩენაზე ფიქრობდა... ხალხის ბედი ვისღა აინტერესებდა... ბასაევის ხროვა ნელ-ნელა მოიწევდა წინ. არავის ინდობდნენ. სროლა არ შეგვიწყვეტია... გამოსვლას ვეღარ ვახერხებდით... ჩვენ ირგვლივ დაცლილი ჰილზები ცვიოდა“.

გვ.14

ომგამოვლილი თამაზ ბლიაძე

– ინდოეთში ისეთი რაღაცები მოხდა, ყველაფრის მოყოლა არ შემიძლია

თქვა ჯერჯერობით რუსთავის მანიაკთან გაიგივებულმა სხირტლაძემ... მაინც რა მოხდა ინდოეთში?

გვ.5

რას მალავს სხირტლაძე?

ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მუგდიდი გახდა ახალი ხახწაულის ღირხი

ქრისტესშობის ღამეს დედა მარიამს ეს კვართი ემოსა... ახლა იგი დადიანების სასახლეშია დასვენებული და მასზედ უფლის მესამე ხელთუქმნელი ხატი გამოისახა...

გვ.6

ევრაზიის პრიზიორი დედოფლისწყაროდან

ევრაზიის V ჩემპიონატზე კიკბოქსინგში 16 წლის ელენე ბოლაშვილმა ოქროს მედალი მხოლოდ მასპინძელთან ორთაბრძოლაში დათმო.

გვ.28

ფირმა „ბერმუხა“

ბრჭყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ზერიზორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

— მიშიკო მაჭავარიანი მომაშორე და ორი „ლიმონი“ შენია. — წყურვილის გრძნობასაც დავემორჩილო?

გვ.31

ფოტოპალიტრა

მსოფლიო ოკეანე 50 მილიარდი ზონა წყლით შეივსო...

რა ელის ქვეყნებს? რომელ დასახლებულ ტერიტორიებს დატოვებს მოსახლეობა? რამდენ ხანშია მოსალოდნელი კატასტროფა? ვინ იქნება ახალი ნოე?

გვ.25

სამხედრო თემაზე: „აზიიდან დიდი საშიშროება – პანისლამისტური ტალღაა

მოსალოდნელი

„ყური შევიბერტყოთ, არ შეწყვიტოს ფუნქციონირება თბილისის საავიაციო ქარხანამ, რომლის გამოშვებულ „СУ-25“ ჩქარი ტემპით იძენენ თურქმენები, რადგან... დღე-დღეზე ისლამისტები თურქმენეთსაც დაემუქრებიან.

გვ.9

საკვირაო

ტელეკინოფიში 4 - 10 სექტემბერი

გვ. 16-17

როგორ „ხნავენ და თესავენ“ კადრების წინსვლას „მამები“

ვინ ვისი კაცია და ვინ ვისი „ლობი“ საქართველოში!

გვ.8

... საქართველოს კადრების „დინებას“ სამი „მწყემსი“ მართავს... ჩინზე მეოცნებენი ამ სამიდან ერთ-ერთზე აკეთებენ აქცენტს... ვინ არიან ისინი?!

ყველაზე არაეფექტურად საქართველოში თავდაცვის სამინისტრო მუშაობს

გვ.31

საარიზო გამოკითხვა-რეიტინგი

ვინ არის საქართველოში ყველაზე მდიდარი?!

„საქართველოში 4 ათასი დეკლარანტის (თანამდებობის პირი) დეკლარაციაა შესწავლილი“... მაღალჩინოსნებმა სამთავრობო აგარაკები უკანონოდ „დაიკანონეს“.

...ყველამ თავის დეკლარაციაზე უნდა აგოს პასუხი – ზოგს 5 ბინა აქვს, ზოგს მყარ ვალუტაზე გახსნილი ანგარიშები. გეძლევათ შესაძლებლობა, ჩაიხედოთ დიდჩინოსანთა დეკლარაციებში.

გვ.7

...ოლონდ გამოჩნდით!...



...როგორც კი პეტრიწონის ბერებმა შეიტყვეს, რომ მათი გადამრჩენი ქართველი იყო, სიხარულისაგან აცრემლებულებმა გულში ჩაიკრეს, მთელი ტაძარი კუნჭულ-კუნჭულ მოატარეს – შვილო, შენ საკუთარ სახლში ხარ... ეს მონასტერი შენი წინაპრების აგებულია...

დღეს მათ მემკვიდრეებს რა გვაქვს თავმოსაწონი?

გვ.24

ბანდის ხელმძღვანელს მუჰამედ ალიც დამარცხებული ჰყავდა...

ბანდაში მეორე კაცად ნიკოლოზ საყვარელიძე ითვლებოდა... სულ თოთხმეტნი იყვნენ. ბანდა ძირითადად ლენინგრადში, კიევსა და თბილისში „ასუფთავებდა“ ბინებს... თერთმეტი „გაქაჩეს“. ციხიდან გამოსულ ხუთგზის ჩემპიონს, ოლეგ კოროტაევს ხშირად ხედავდნენ ფეშენებელურ რესტორნებში ამირან და ოთარ კვანტრიშვილებისა და „იაპონჩიკის“ გარემოცვაში. ნიკოლოზ საყვარელიძის ადგილსამყოფელი დღესაც უცნობია.

გვ.10

Столица
Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
Я ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
MK
stern
СЕГОДНЯ
Калюква
ИЗВЕСТИЯ
Труд
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO Magazine
PARIS MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Eur
ОГИ

გადაუალეთ „საბალღო-სალალო“ გვერდი!

აღდგომა და ხვალეო...

მთავრობის სხდომაზე ვრცელი ანგარიშით წარდგა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი მერაბ ადეიშვილი. მოხსენება შეეხო ამ უწყებაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესს, რითაც პრეზიდენტი შევარდნაძე კმაყოფილი დარჩა და მოუწოდა მინისტრს, ერთხელ და სამუდამოდ წესრიგი დაამყაროს ამ სფეროში. ადეიშვილმა ბევრი ილაპარაკა უცხოელთა საჩივრებზეც, რომელიც ძირითადად საბაჟო სამსახურს ეხებოდა. მინისტრმა საბაჟო ბროკერის ინსტიტუტის შემოღებაც მოითხოვა და აღშფოთება ვერ დამალა იმის გამო, რომ აეროპორტში უცხოელ დიპლომატებს შინაური ცხოველების (კატები, ძაღლები) თვითმფრინავებით ტრანსპორტირებაზე საბაჟო გადასახადს ახდევინებენ, — თითო კატაზე ან ძაღლზე... 160 ლარს(!). ამ კითხვაზე პასუხი ვერავინ გასცა და არც ადეიშვილს დაუკონკრეტებია გვარები. მოკლედ, ყველა „კმაყოფილი“ დარჩა გია არსენიშვილის გარდა, რომელმაც ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგი კორუფციის დიდი ვირთხებისა და პატარა თაგვების სახრავ დარგად მოიხსენია... ბუნებრივია, ამ სფეროში მოთარეშე დიდ და პატარა „ვირთხებს“ ხმა არ ამოუღიათ და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს გააგრძელებენ ისეთი მსუყე ლუკმის ხვრას, როგორიც ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაა...

ყველაზე „საგულისხმო“ კი მაინც პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადება გამოდგა, რომლის თანახმად, სავარაუდოდ, 2 წლის შემდეგ საქართველოს საგარეო ვალები ჩამოეწერება. თემურ ბასილიას თქმით, ამაზე საუბარი პრეზიდენტს ამ დღეებში ექნება ნიუ-იორკში, ათასწლეულის სამიტის დღეებში, დონორი ქვეყნების ლიდერებთან. ბასილიამ არ გამორიცხა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა შეიძლება მართლაც გადახედონ თავიანთ პოლიტიკას ამ მიმართულებით. თუმცა რა თანხებს ჩამოწერენ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია... შევარდნაძემ კი ნიშნის მოგებით განაცხადა, ოპონენტთა ყიყინა, რომ ამ ვალების გასტუმრება ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მოუწევს, მალე შეწყდება, რადგან საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, ვალებს აუცილებლად ჩამოაწერენო... აღდგომა და ხვალეო, ვნახოთ, თუმცა ექსპერტთა თქმით, ძნელი დასაჯერებელია, რომ დასავლეთმა საქართველოს სახელისუფლებო კულუარებში შეჭმული მილიონები მთლიანად შეგვარჩინოს და ვალები ჩამოგვაწეროს!

პრეზიდენტმა პირად პილოტს „დაარტყა“

მთავრობის იმავე სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ დარტყმის მორიგ „ობიექტად“ პირადი მფრინავი თამაზ გაიაშვილი ამოირჩია, რომელიც ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ხაზებს“ ხელმძღვანელობს და ქართულ სამოქალაქო ავიაციაში არსებული დარღვევები და პრობლემები ლამის მთლიანად მას გადააბრალა. პრეზიდენტის ამ განცხადებას დიდი ღრიანცელი მოჰყვა ავიაციაშიც და კანცელარიის კულუარებშიც, რადგან ვერავინ გასცა პასუხი კითხვას — რატომ დაარტყა შევარდნაძემ გაიაშვილს მაინცდამაინც ახლა, რა მიზეზით? და ეს მაშინ, როცა საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში მთელი ორი წლის მანძილზე ნაირ-ნაირი სკანდალი ხდებოდა, პრეზიდენტი კი ხმას არ იღებდა. თავად თამაზ გაიაშვილმა მომხდარის მიზეზად შევარდნაძის გარემოცვაში მძვინვარე ინტრიგები დაინახა და მიანიშნა, რომ თანამდებობიდან მისი მოცილებით დაინტერესებულნი არიან ტრანსპორტის სამინისტროსა და ავიაციის დეპარტამენტში. მან უარყო პრეზიდენტის მტკიცება, რომ პროფესიით მფრინავი, რომლის მოვალეობაა თვითმფრინავის ერთი აეროპორტიდან მეორეში მიყვანა, თითქოს ვერ შეძლებს ავიაკომპანიის მართვას და დასტურად უცხოეთის ქვეყნების მაგალითი მოიშველია — ავიაკომპანიების 90%-ს სწორედ პროფესიით მფრინავები ხელმძღვანელობენო... მოელიან, რომ პრეზიდენტის ზემოხსენებულ განცხადებას მალე მოჰყვება გაიაშვილის გათავისუფლება თანამდებობიდან, თუმცა ის კვლავაც დარჩება პრეზიდენტის პირად პილოტად...

ისევ „მაღნეული“ და სხვები...

საქართველოს მთავრობამ დაიწყო წლების წინ საკუთარი ჩინოვნიკების უთავობითა და დანაშაულებრივი ქმედებებით დაშვებული შეცდომების გამოსწორება და სააქციო საზოგადოება „მადნეულთან“ დადებული რუსულ-შვეიცარიული ფირმის „გლენკორისა“ და ავსტრალიური „ბოლნისი-მაინინგის“ ხელშეკრულებების შეცვლას აპირებს. ამას საფუძვლად დაედო „მადნეულის“ საკითხზე შექმნილი სამთავრობო კომისიის დასკვნა, რომელშიც კომისია ითხოვს „გლენკორსა“ და „ბოლნისი-მაინინგთან“ დადებული ხელშეკრულებების გაუქმებას. კომისიამ დაამტკიცა, რომ „გლენკორთან“ სახელმწიფომ კაბალური საინვესტიციო ხელშეკრულება დადო, რომელიც „მადნეულს“ კრიზისიდან ვერასოდეს გამოიყვანდა, მეტიც — დამტკიცდა, რომ „გლენკორს“ განზრახული ჰქონდა „მადნეულის“ გაკოტრება და შემდეგ ჩალის ფასად მისი ხელში ჩაგდება. კომისიამ ასევე დარღვევები აღმოაჩინა „ბოლნისი-მაინინგთან“ გაფორმებულ კონტრაქტშიც. ქართული მხარე ახალი ხელშეკრულებების დადებას აპირებს და ინვესტორებთან მოსალაპარაკებლად ქონების მართვის, იუსტიციის, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლებს აგზავნის. ამ ფაქტს აღშფოთებით შეხვდნენ „ბოლნისი-მაინინგის“ ავსტრალიელი მენეჯერები და თუ მათ ვერ მიაღწიეს ქართულ მხარესთან შეთანხმებას, იმუქრებიან, რომ სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართავენ. „გლენკორის“ პოზიცია, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა ცნობილია ის, რომ „გლენკორმა“ ბოლნისის სასამართლოში უკვე შეიტანა სარჩელი „მადნეულის“ გაკოტრების პროცედურის დაწყების შესახებ. „გლენკორმა“ მსგავსი მაქინაციებით რუსეთში ორი მძლავრი საწარმო ჩაიგდო ხელთ, რომლებიც სპილენძსა და პოლიტონებს აწარმოებენ. ამ ფონზე „უცნაურად“ მოჩანს თავად „მადნეულის“ ხელმძღვანელთა პოზიცია, რომელთა თქმით, „გლენკორი“ თურმე დაინტერესებულია „მადნეულის“ მუშაობით და რომ ამ მუშაობაში უპირველესი ხელის შემშლელია ავსტრალიური „ბოლნისი-მაინინგი“... ერთი სიტყვით, უცხოელ ინვესტორებთან ხელშეკრულებების გაუქმებას დიდი სკანდალები მოჰყვება და ექსპერტთა ვარაუდით, ქართულ მხარეს საერთაშორისო სასამართლოებში მოუხდება საქმეების გარჩევა! იმავე კომისიის დასკვნით, კაზრეთის ოქროსმწარმოებელი საწარმო „მადნეულის“ ქართველი დირექტორები „გლენკორთან“ აღიანსში არიან მხილებულნი...

რაღა დარჩა დაუგეგრავი?!..

ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდასთან ერთად იზრდება წყლის გადასახადიც. თბილწყალკანალმა დედაქალაქის საკრებულოში შეიტანა გადასახადის გაზრდის პროექტი, რომლის თანახმად, ერთ სულ მოსახლეზე გადასახადი 60 თეთრიდან ერთ ლარს მიაღწევს(!). ამასთან, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე გადასახადი უცვლელი დარჩება! თბილწყალკანალში ირწმუნებიან, წყალზე ფასის გაზრდა ელექტროენერგიის გაძვირებამ გამოიწვიაო... ბუნებრივია, ენერგო და წყალგამძვირებლებს არ აინტერესებთ, რომელი ჯადოსნური ყუდაბიდან უნდა იხადოს მოსახლეობამ ელექტროენერგიის ან წყლის გადასახადი? საქართველოში ჰაერიღაა დაუბეგრავი და, როგორც ჩანს, მალე მასზეც დააწესებენ გადასახადს...

ქართველ ოლიმპიელებს გზა დაულოცეს

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოს ოლიმპიური 90 კაციანი დელეგაცია, რომელთაგან 36 სპორტსმენია და რომლებიც სპორტის 14 სახეობაში იასპარეზებენ. საქართველოს ხელისუფლებამ დააწესა ფულადი ჯილდო: ოლიმპიური ოქროს მედლისთვის — 50 ათასი დოლარი; ვერცხლის მედლისთვის — 30 ათასი დოლარი; ბრინჯაოს მედლისთვის — 20 ათასი დოლარი! ამასთან, აღნიშნული ჯილდოები დაიბეგრება და გამარჯვების შემთხვევაში, ქართველ სპორტსმენებს მიღებული პრემიების 22-22%-ის ხაზინაში შეტანა მოუწევთ... ქართველმა ოლიმპიელებმა დადეს ოლიმპიელთა ტრადიციული ფიცი და შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძესა და კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს ეწვივნენ, რომლებმაც გზა დაულოცეს ქართველ სპორტსმენებს სიდნეისკენ და „მეტეხი-პალასში“ გამოსამშვიდობებელ ბანკეტს მიაშურეს. პრეზიდენტმა „სინანული“ გამოთქვა, რომ არ იყო დაპატიჟებული ბანკეტზე და იქვე უშამპანუროდ უსურვა წარმატება სპორტსმენებს!

თურქეთში ელენერგიას გავყიდით...

თბილსრესში ამუშავდა „ეი-ეს-თელასის“ მიერ შეძენილი მე-10 ბლოკი (მე-9 მოგვიანებით ჩაირთვება), რითაც ძალაში შევიდა მაიქლ სქოულის კომპანიისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლება თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტისთვის! ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ იმპორტით შემოსული თანხებით საქართველომ ვალები უნდა გაისტუმროს. საქმე ის არის, რომ მალე თურქეთში საქართველოდან 650 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია შევა. ელექტროენერგიის ტრანზიტს კი კომპანია „ეი-ეს-ტრანსენერჯი“ განახორციელებს. თბილსრესის მე-10 და მე-9 ბლოკების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთ მესამედს თელასი შეიძენს, ორ მესამედს კი საბითუმო ბაზარი მიიღებს, რომელმაც საფასური დროულად უნდა დაფაროს, რაც შეუძლებელია დღეისთვის. ამასთან, „ეი-ეს“-სა და თბილსრესს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, თუ „ეი-ეს“-ისადმი დავალიანებამ 40 მლნ ლარს მიაღწია, „ეი-ეს“-ი ორივე ბლოკს გააჩერებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ვალი 2001 წლის შემოდგომისთვის დაგროვდება და შედეგად მომავალ ზამთარს თბილსრესის მე-9 და მე-10 ბლოკები გამოირთვება. ამიტომ მოსალოდნელი მორიგი ენერგოკრიზისის თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებამ „ეი-ეს“-თან ახალი კონტრაქტი დადო, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ზემოხსენებული კომპანია „ეი-ეს-ტრანსენერჯი“, რომელიც თბილსრესიდან მიღებულ საბითუმო ბაზრის ელექტროენერგიას თურქეთში გაყიდის. ეს პროცესი კი ხელს შეუწყობს აღნიშნული ვალების გაქვითვას, მით უმეტეს, რომ თურქეთი კარგ გადამხდელ პარტნიორადაა ცნობილი. და კიდევ: „ეი-ეს-ტრანსენერჯის“ შექმნით დიდი დარტყმა იგემეს კომპანია „ანგლოოილმა“ და სხვა ფირმებმა, რომლებიც ელექტროენერგიას თურქეთში წლების მანძილზე ყიდდნენ და ფანტასტიკურ შემოსავალს ღებულობდნენ. ამიერიდან ეს ფული დანიშნულებისამებრ დაიხარჯება, ყოველ შემთხვევაში, ასეა დაგეგმილი... „ეი-ეს“-ში შიშობენ, რომ ახალი პროექტის ამოქმედებისთანავე მათ წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებენ, რასაც, მათი თქმით, მოწმობს ახლახან გადამცემ ხაზებზე განხორციელებული დივერსიული აქტები...

მსოფლიო მოგზაურობის საგენგო იუნყება

ცნობილმა ქართველმა მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ აგვისტოს თვეში განვლო აფრიკის ორი ქვეყანა — მალავი და რუანდა. მალე ესტუმრება უგანდასა და კენიას. სულ 7 წელიწადში მან 159 ქვეყანაში იმოგზაურა. 4 სექტემბერს ქართველი მოგზაური რუანდის დედაქალაქ კიგალიში გაეროს წარმომადგენლებმა საქართველოში მის ოჯახს დააკავშირეს. „აფრიკელები გულთბილად მმასპინძლობენ. ძალიან მეხმარებიან გაეროს რეგიონული ორგანიზაციებიც... მადლობას ვუძღვნი საქართველოში გაეროს წარმომადგენლობასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, დახმარებისა და მხარდაჭერისათვის“, — განაცხადა სატელეფონო საუბარში ჯუმბერ ლეჟავამ.

2 ლარი 1 დოლარს გაუგოლდება?!

პარლამენტში გამართულ საკომიტეტო მოსმენაზე დიდი აყალმაყალი მოჰყვა ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილ 2001 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას, რომლის თანახმად, მომავალი წლიდან აღარ იარსებებს საგზაო ფონდის გადასახადები! ამასთან, ფინანსთა მინისტრმა კატეგორიულად მოითხოვა არასაბიუჯეტო ფონდების გაუქმება, უწინარესად, საგზაო ფონდის და მისი ერთპროცენტიანი გადასახადისა. საპენსიო, სამედიცინო დაზღვევისა და დასაქმების ფონდები კი თანხებს მხოლოდ ბიუჯეტიდან მიიღებენ. შესაბამისად, ყველა ეს გადასახადი ერთ სოციალურ გადასახადად გაერთიანდება. ამასთან, ფინანსთა მინისტრს სოციალური გადასახადის 30%-დან 28%-მდე შემცირება სურს. ამ ფონდებს შორის ყველაზე მაღალი შემოსავალი 150 მლნ ლარი საპენსიო ფონდს აქვს. ბიუჯეტიდან ყველაზე დიდ დაფინანსებასაც — 39 მლნ ლარის ოდენობით, ეს ფონდი იღებს... ბუნებრივია, მინისტრის ინიციატივა საპენსიო ფონდმა გააპროტესტა. საქმე ის არის, რომ ნოღაიდელის პროექტის თანახმად, გადასახადები წავა არა საპენსიო ფონდში, საიდანაც ნაწილდებოდა პენსიების გასაცემად, არამედ პირდაპირ ბიუჯეტში და შემდეგ მოხდება განაწილება. ნოღაიდელი ირწმუნება, შედეგად პენსიების გაცემა აღარ დაყოვნდებაო... ფინანსთა მინისტრის წინადადებებს წინ აღუდგა საგზაო დეპარტამენტიც და ნოღაიდელს უკვე ხმის აწევაც მოუხდა. მას მხარი დაუჭირა შემოსავლების მინისტრმა მიშა მაჭავარიანმა და ორივენი ერთხმად მუქარას მუქარაზე უგზავნიდნენ იმათ, ვინც ამ პროექტის წინააღმდეგ გამოდიოდა... მეტიც, ფინანსთა მინისტრმა სამეწარმეო გადასახადის გაუქმებაც მოითხოვა, თუმცა მომავალი წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების 17%-ით გაზრდა აქვს დაგეგმილი. საგადასახადო შემოსავლებმა 2001 წლის ბიუჯეტში 1 მლრდ 15 მლნ ლარი უნდა შეადგინოს... პროექტში ლარის ინფლაცია გათვალისწინებულია 7,5%-ით. 2001 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ორი ლარი ერთ დოლარს გაუტოლდება. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს პარლამენტში 1 ოქტომბერს განიხილავენ! რაც შეეხება საგზაო ფონდის მესვეურთ, მათი განცხადებით, ფონდის გაუქმების შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზებზე სიარული შეუძლებელი გახდება...

ქართველმა კურსანტებმა „გვასახელეს“

საქართველოში ალბათ უკვე ბევრს უკვირს — სად არის ამერიკელების დანაპირები 10 შვეულმფრენიო? როგორც ირკვევა, ამერიკული მხარე არაფერ შუაშია, იგი წელსვე გადმოგვცემდა შეპირებულ შვეულმფრენებს, ისევ ქართველებს რომ არ შეერცხვინათ თავი.

აშშ-ში შვეულმფრენების ასათვისებლად გაგზავნილი 40 სამხედრო მოსამსახურიდან ხუთს უკან გვიბრუნებენ — ორს ავტოავარია შეემთხვა, ორმა — იჩხუბა, ხოლო ერთს ქურდობაზე წაასწრეს. ამას ისიც ემატება, რომ ქართველი კურსანტები ძალზე ძნელად ითვისებენ ინგლისურ ენას, რის გარეშეც უცხოეთში ფრენა ან ერთობლივ სამხედრო მანევრებში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია. ფაქტია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედროსაჰაერო ძალებმა აშშ-ში გასაგზავნი კურსანტების შერჩევა ძალზე ზერელედ ჩაატარეს, ხოლო დღეს მათი შეიარაღებული ძალებიდან გარიცხვა, ვერაფერი გამოსავალია. ამერიკული შვეულმფრენები კი კვლავ ღირსეულ პატრონს ელიან.

უპრეცედენტო ფაქტი სასამართლო პრაქტიკაში

უპრეცედენტო მოვლენა მოხდა გურამ აბსანძის სასამართლოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც ომბუდსმენი ნანა დევდარიანი და პარლამენტართა ჯგუფი დაესწრო, ელდარ შენგელაიას თამადობით. პარლამენტის ეროვნული შერიგების კომისიის წევრებმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ ერთი თვის წინ მათ მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილ თხოვნას გურამ აბსანძის თავდებით გამოშვების შესახებ, სასამართლომ წაუყრუა. პარლამენტარები მოელოდნენ, რომ აბსანძეს ამ სხდომაზე მაინც გაუშვებდნენ, მაგრამ ამაოდ. ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლომ გადადო, ხოლო პროკურორებმა პარლამენტართა სხდომაზე დასწრებას უწოდეს დემარში, ზეწოლის მცდელობა და ბრძანეს, მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდებაო... პროკურორთა შენიშვნა, თავის მხრივ, პარლამენტარებმაც ყურებში გაატარეს და მომავალ სხდომებზე დასწრების მზადყოფნაც გამოთქვეს. პროკურორები გაჩუმდნენ...

„შტერნი“ ქართველი დამნაშავით დაინტერესდა

რუსთავში მომხდარი სერიული მკვლელობების ირგვლივ არ წყდება ვნებათაღელვა, მით უმეტეს, რომ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე საზოგადოების ერთი ნაწილი ამ მკვლელობებში ადანაშაულებს ფსიქიკურად დაავადებულ და სულ სხვა ქმედებების გამო დაკავებულ პაატა სხირტლაძეს, რომელსაც ამას წინათ ციხეში პატიმრებმა „სასამართლო“ მოუწყვეს და... ყურიც მოაჭრეს. ვნებათაღელვა გასცდა საქართველოს ფარგლებს და სრულიად მოულოდნელად, სხირტლაძის ბედით დაინტერესდა გავლენიანი გერმანული ჟურნალი „შტერნი“(!). გერმანიაში საქართველოს საელჩომ „შტერნისგან“ მიიღო ოფიციალური წერილი, რომელშიც რედაქცია დამატებით ინფორმაციას ითხოვს სხირტლაძის დაკავებისა და მისი ციხეში წამების გარემოებების შესახებ. მართალია, „შტერნი“ ამ ინფორმაციის მიმწოდებლის წყაროს არ ამხელს, მაგრამ თბილისში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს წყარო სხვა არავინაა, თუ არა ამჟამად გერმანიაში მცხოვრები სხირტლაძის მეგობარი და „სულიერი მოძღვარი“, „ოშოს“ ქართველ მიმდევართა ლიდერი დავით შავდია შვიდ თანამოაზრესთან ერთად. „ოშოს“ მიმდევარია პაატა სხირტლაძეც... საგულისხმოა, რომ პროკურატურა რუსთავში მომხდარ მკვლელობებში სხირტლაძეს ოფიციალურ ბრალდებას არ უყენებს მტკიცებულებების არარსებობის გამო და იგი დაკავებული ჰყავს მხოლოდ გაუპატიურების მცდელობისა და ამორალური საქციელისთვის. ახლა სამართალდამცავები მთელ იმედებს ამერიკელ ექსპერტებზე ამყარებენ, რომლებსაც გაეგზავნათ სათანადო მასალა რუსთავში მომხდარ მკვლელობებსა და პაატა სხირტლაძეზე. ამჟამად ამერიკაში მიმდინარეობს ექსპერტიზა, რომელიც ნათელს მოჰფენს ამ გაუხსნელ საქმეებს (ვრცლად იხ. გვ. 5).

18 სექტემბრისთვის წყალი „მოიმაგებს“...

მაშინ, როცა სრულიად საქართველოს მოსწავლეები ნებივრად აგრძელებენ ალეკო კარტოზიას მიერ ბოძებულ დამატებით ორკვირიან არდადეგებს, აჭარისა და იმერეთის სკოლებმა 1 სექტემბერს ზარ-ზეიმით დაიწყეს სასწავლო წელი. როგორც ცნობილია, სწავლის დაწყების გადადების მიზეზად განათლების მინისტრმა წყლის ნაკლებობა გამოაცხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, აჭარა და იმერეთი საკმაო „წყლის მარაგით“ შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, ჯერ იყო და, პირველ სექტემბრამდე კოკისპირულმა წვიმებმა წალეკა ბევრი რაიონი, აგრილდა და აცივდა კიდეც და სხვათა შორის, არც თბილისს უგრძვნია წყლის ნაკლებობა... ბავშვები განაგრძობენ დასვენებას, წყალსაცავები კი ივსება და ივსება და „მოელიან“, რომ 18 სექტემბრისთვის ყველგან წყლის სიუხვე იქნება(!). სხვათა შორის, 1 სექტემბერს სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი ისმოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სკოლებშიც...

თანამონაწილეებს იმორჩებენ?!..

გასული წლის ოქტომბერში სომხეთის პარლამენტში დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი თანამონაწილე ნორაირ ეგიაზარიანი ციხეში მოკლული იპოვეს. მას ბრალად ედებოდა იარაღის მიყიდვა იმ ჯგუფისათვის, რომელმაც პარლამენტში ტერაქტი მოაწყო. ეგიაზარიანის მკვლელობამ სკანდალი გამოიწვია და ერთმანეთს დაუპირისპირა სომხეთის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები და პარლამენტარები, რომლებმაც ძველი ცოდვები გაუხსენეს ურთიერთს და დაიწყეს საქმის გარჩევა, თუ ვის ინტერესებში შედიოდა ვაზგენ სარქისიანისა და კარენ დემირჭიანის დახვრეტა...

სად მიგვიყვანს მოლდოვური ქვალი?!..

(რუსული პრესის მიხედვით) როგორც სამართალდამცავებმა დაადგინეს, მოლდავეთის სოფელ მინჟირის მცხოვრებლები ავადმყოფ, მაგრამ მდიდარ თურქ მოქალაქეებს ჯანსაღ თირკმელს სთავაზობდნენ 3000 დოლარად. შუამავლის როლს ვინმე ნინა სკობიალე ასრულებდა. მას აქტიურად ეძებს მოლდავეთის პოლიცია და ინტერპოლი. ადამიანის ორგანოებით მოვაჭრეებს დონორები გადაჰყავდათ არა მარტო თურქეთის, არამედ საქართველოს არალეგალურ კლინიკებშიც. დამნაშავეებს ინტერპოლთან ერთად ეძებს თურქეთისა და საქართველოს პოლიციაც.

ინგლისი ახალ ვაქცინას გამოცდის

დიდ ბრიტანეთში დაიწყეს შიდსის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინის გამოცდა. გამოსაცდელი „პაციენტის“ როლი ნებაყოფლობით იკისრა ინგლისის პარლამენტის ახალგაზრდა წევრმა ივენ ჰარისმა. თუ ექსპერიმენტმა დადებითი შედეგი გამოიღო, შესაძლებელი გახდება შიდსის ეპიდემიის შეჩერება, უწინარესად, აფრიკის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის 50-60% ამ ვირუსითაა ინფიცირებული. ახალი პრეპარატი კენიაშიც გამოიცდება. ვაქცინის აღმოჩენის მიზეზი სენსაციური ფაქტი გახდა. გაირკვა, რომ კენიელი მეძავი ქალები შიდსით არ ავადდებიან, რადგან ბევრ მათგანს აქვს ისეთი იმუნური სისტემა, რომელიც ორგანიზმში ე.წ. ტ-უჯრედს ანადგურებს. ტ-უჯრედს კი ორგანიზმში გასავრცელებლად შიდსის ვირუსი იყენებს. ახალი ვაქცინაც ამ ბაზაზეა შექმნილი, რომელმაც უნდა შეძლოს ტ-უჯრედზე ზემოქმედება მაშინ, როცა ორგანიზმი შიდსის ინფიცირების საშიშროების წინაშე აღმოჩნდება...

სავიზო რეჟიმის შემოღება, მოსკოვის მხრიდან არის „Тупая политика“...

ამიდენინარე კვირა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ გაეროს კვირად, რადგან ამ უპირველესი საერთაშორისო ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში პირველად გაიმართება ფორუმი მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყნის ხელმძღვანელის მონაწილეობით, რომლებიც გამოვლენ ამ ათასწლეულის სამიტზე! 21-ე საუკუნის ზღურბლთან მდგარ კაცობრიობას იმდენი მოუგვარებელი პრობლემა დაუგროვდა, უწინარესად სიღატაკე, კონფლიქტები, რელიგიური ფანატიზმი, რომ სწორედ მათი გადაწყვეტის გზებისა და პრიორიტეტების ჩამოსაყალიბებლად, თუნდაც თეზისების სახით, სახელმწიფოს ლიდერს 5-5 წუთი მიეცემა გენერალურ ასამბლეაზე, ხოლო სამიტის შემდეგ ამ გამოსვლათა ტექსტებს გაერო შეაჯერებს, შეაჯამებს ერთ დიდ დოკუმენტში, რომელიც, ექსპერტთა თქმით, ერთგვარი სახელმძღვანელოც უნდა გახდეს ამ ორგანიზაციის მოღვაწეობაში... მით უმეტეს, რომ გაეროს გავლენა, როლი და ავტორიტეტი წლითიწლობით კლებულობს არათუ მსოფლიო გლობალური პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისას, არამედ თვით მცირე მასშტაბის ლოკალური კონფლიქტების მოგვარების საქმეშიც...

საქართველო ათასწლეულის სამიტზე თავს ალბათ ვერაფრით მოიწონებს, ამასთან კვლავაც შეახსენებს საერთაშორისო თანამეგობრობას თავისი მოუგვარებელი კონფლიქტების შესახებ, მით უმეტეს, რომ სამიტის წინ, რუსეთმა საქართველოზე ზეწოლის კიდევ ერთ მძლავრ ხერხს მიმართა და ოფიციალურად დასვა საკითხი სავიზო რეჟიმის შემოღებისა და ბიშკეკის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. იმავდროულად, დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ მოსკოვი სავიზო რეჟიმს არ გაავრცელებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე...

ვესაუბრები პრეზიდენტის მრჩეველს საერთაშორისო სამართლის საკითხებში **ლევან ალექსიძეს**:

— ეს საკითხი დინამიკაში უნდა განვიხილოთ. აშკარაა, რომ რუსებს ძალიან გაუჭირდათ ჩეჩნეთში და მათი სამხედროები სოლდაფონური სულისკვეთებით ეძებენ განტევების ვაცს. ამ შემთხვევაში საქართველო, მათი ჭკუით, ყველაზე გამოსადეგი „ვაცია“, რადგან უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთ-ინგუშეთს და იმავდროულად ატარებს ისეთ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომელიც არ პასუხობს მოსკოვის გეოპოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაში. მაგრამ უბედურება ის არის, რომ რუსეთის ისთებლიშმენტმა დღემდე ვერ შეიგნო, რომ ყოველდღიური კონიუნქტურული გარემოებების გამო რუსეთი სამუდამოდ კარგავს სტრატეგიულ და ერთმორწმუნე პარტნიორს, რომელიც ისტორიულად ყოველთვის იყო დაკავშირებული რუსეთთან და მჯერა, რომ მომავალში კვლავაც იქნება, რადგან ხალხებს შორის მეგობრობასა და ურთიერთობას ვერავითარი კრემლი და მისი პოლიტიკა ვერ აღმოფხვრის. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ყოველთვის იყო და არის ანტიკრემლური და არა ანტირუსული განწყობილება... დიახ, რუსეთის ხელმძღვანელობა ცდილობს საკუთარი პოლიტიკის წარუმატებლობაში სხვების დადანაშაულებას. აგერ, რამდენი ხანია გაჰკივიან, ჩეჩნები დავამარცხეთო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩავარდა მათი ოპერაცია, ზამთარიც ახლოვდება, ყოველდღე იღუპებიან რუსი ჯარისკაცები, გროზნოში ფეთქდება ბომბები და არავინ იცის, როდის დასრულდება ეს ომი... ამის ფონზე კი, მოსკოვი აფხაზეთის მიმართ განაგრძობს საქართველოსთვის მიუღებელი პოლიტიკის გატარებას, რომელსაც სხვას ვერაფერს დავარქმევ, გარდა ვერაგულისა!

ხოლო საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთის თაობაზე რუსების პოზიცია ნამდვილად აბსურდულია. ქართველი და რუსი მესაზღვრეები ამტკიცებენ, — არანაირ ბოევიკთა რაზმების გადასვლა-გადმოსვლას არა აქვს ადგილი, საზღვრებზე მონიტორინგს ახორციელებს ეუთოო. რუსი გენერლები კი იტყუებიან, — ხატაბს ბენ ლადენმა 5 მილიონი დოლარი გაუგზავნა საქართველოს გავლით, — ბოევიკთა ქარავანი გავანადგურეთ, რომელიც საქართველოდან შემოდიოდაო; მეორე გენერალი გაიძახის, — არა, კი არ შემოდიოდა, ინგუშეთიდან გადიოდა საქართველოში და ისინი გავანადგურეთო. შემდეგ გამოდის ტოცკი, რუს გენერალთა ინფორმაციას უწოდებს სისულელეს და აცხადებს, მსგავსი არაფერი ყოფილაო და ა. შ. მოკლედ, არა რცხვენიათ არაფრის...

ამასობაში, რუსეთის ელიტიდან გამოსული სარწმუნო ინფორმაცია გვეუბნება, — პუტინსა და გენერალიტეტს შორის დიდი განხეთქილება იწყება „კურსკის“ დაღუპვის გამოო! ფაქტია, რომ პუტინს არასწორ ინფორმაციას აწვდიან ყველა საკითხზე და მათ შორის პანკისის ხეობაზეც. ეტყობა, დაარწმუნეს, რომ ჩეჩნეთის უბედურებაში დამნაშავეა პანკისის ხეობა, საიდანაც უვიზო რეჟიმის გამო თავისუფლად გადადიან ბოევიკები(!) კი მაგრამ, დალოცვილო, რაც არ უნდა სავიზო რეჟიმი იყოს, თუ ვინმე შედის პანკისის ხეობიდან, ის ხომ პასპორტის გარეშე შედის, იქ ხომ ვიზა არ მოქმედებს და გინდა იმ პატარა მონაკვეთის გამო მთელ ქვეყანაზე განავრცო სავიზო რეჟიმი?! ეს არის იურიდიული ნონსენსი. კი ბატონო, უნდათ სავიზო რეჟიმი და ჩვენც მზადა ვართ სალაპარაკოდ, მაგრამ ამის მიზეზად რაღაც სისულელეებისა და დეზინფორმაციის ხელზე დახვევას დღეს არავინ დაიჯერებს. ბოლოს და ბოლოს, არც ჩვენ გვსიამოვნებს რუსეთის მოქალაქეებისა და სამხედროების ასე „უპრაგონოდ“ სიარული საქართველოში და უნდა ხვდებოდნენ, რომ ბუმერანგივით მიუბრუნდებათ უკან სავიზო რეჟიმი, რომელსაც ვითომდა ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ...

— გასაგებია, რომ სავიზო რეჟიმის შემოღებით რუსები ზეწოლას ცდილობენ საქართველოზე, მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ მათ უკვე მართლაც გვარიანად ეშინიათ ისლამისტი ფუნდამენტალისტებისა...

— რა თქმა უნდა. შუა აზიის ქვეყნებს უკვე შეესივნენ თალიბები და უვიზო რეჟიმი ცენტრალურ აზიაში მართლაც საშიშია, რადგან იქიდან ისლამისტები რუსეთში თავისუფლად მოხვდებიან. აი, ამ შემთხვევაში შეიძლება გავამართლოთ მოსკოვის პოზიცია, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში, აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია რუსების განზრახვა. უწინარესად, ალბათ ფიქრობენ, მყარი ვალუტის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს მოუსპობენ საქართველოს და ოჯახებს მშივრებს დატოვებენ, რაც აქ დაძაბულობის მიზეზად იქცევა. ამაშიც ძევს კრემლის აშკარა ვერაგობა, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

— ეი. რუსები ვერ გამორეკავენ რუსეთში სამუშაოდ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს? რატომ, რა შეუშლის ხელს?

— საერთაშორისო სამართალი! ამ სამართლის საფუძველზე მსგავსი ქმედება უდიდეს დანაშაულად ითვლება ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით. უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, უწინარესად, ევროპის საბჭო, რომლებიც უმალ ჩაერევიან ამ საქმეში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთი, ჩეჩნეთის გამო, კინაღამ გააგდეს ევროსაბჭოდან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უპასუხოდ და უსანქციოდ დატოვებს მოსკოვის განზრახვას — გააძევოს ქვეყნიდან იქ სამუშაოდ მყოფი ქართველები თუ სხვები! რუსეთის დიდი დანაშაულია ე.წ. კავკასიური ეროვნების მქონე მოქალაქეებს დევნა; ხოლო ქვეყნიდან მათი გარეკვის შემთხვევაში, მოსკოვი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს! ჩვენც გვაქვს პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტები, მაგრამ ეს არის



მოსკოვის მხრიდან „Тупая политика“...

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არსებული კონვენციების თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ადამიანი, რომელიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობს და მუშაობს, კინწისკვრით გააგდოს ქვეყნიდან. შეიძლება გარკვეული თანხა გადაახდევინო იმისათვის, რომ შენს ქვეყანაში ცხოვრობს და მუშაობს, როგორც ამას შვეიცარიაში აკეთებდნენ, მაგრამ რუსეთში მყოფი ქართველების ძირითადი მასა დიდი ხანია იქ ცხოვრობს და მუშაობს. ამიტომ, თუ უნდა მოსკოვს ორმხრივი ხელშეკრულება, კი ბატონო. ჩვენ შეგვიძლია ბევრი ვივაჭროთ ამ საკითხებზე, მაგრამ რაც შეეხება ბაზების გატანას, ჩვენ უკან არ დავიხევთ და ვერანაირი სავიზო რეჟიმი მასზე ზეგავლენას ვერ იქონიებს.

— რას იტყოდით მოსკოვის განზრახვაზე, დსთ-ის სივრცეში მცხოვრებ ყველა მსურველს მისცეს რუსეთის მოქალაქის პასპორტი და პლუს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან შეინარჩუნოს უვიზო რეჟიმი...

— „ძალა აღმართს ხნავს“, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით, საერთაშორისო დოკუმენტები, გაეროს რეზოლუციები, თავად დსთ-ის სამიტების გადაწყვეტილებები, რომლებშიც ერთხმადაა დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი, მოსკოვს ხელ-ფეხს უბორკავს, მაგრამ თუ რუსეთი დსთ-დან გავიდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს... სავიზო რეჟიმის ხელშეკრულების გაფორმებისას კი, საქართველო კატეგორიულად დასვამს საკითხს, რომ თუ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში არ იქნება საქართველოს პასპორტი და ქართველების მიერ გაცემული ვიზა, არავის ექნება უფლება, ვინმე გაატაროს საზღვარზე გინდა რუსეთისაკენ, გინდა საქართველოსკენ. მაგრამ თუ რუსები მაინც შეინარჩუნებენ უვიზო მიმოსვლას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან, მაშინ სრული უფლება გვექნება ,ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში ვუჩივლოთ რუსეთს და საერთოდ, ისეთი საერთაშორისო სკანდალი შეგვიძლია ავტეხოთ, რომ მოსკოვს სანანებლად გავუხადოთ საქმე! არ ეყოთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ომობდნენ და, პრაქტიკულად, აფხაზეთი რუსეთმა მოსწყვიტა საქართველოს? მეორეც, ყველა ჭკუათმყოფელი აფხაზი და ოსი კარგად ხედავს, რომ რუსეთი ინგრევა, კნინდება, სჩადის უზნეობას საკუთარი თანამოქალაქეებისა და მეზობლების მიმართ და, არა მგონია, მათ რუსეთის პასპორტები მოინდომონ. მაგრამ, თუ მაინც გაგიჟდნენ და გადადგეს ეს ნაბიჯი, რუსეთის პასპორტის აღებისთანავე მომენტალურად დე იურე ხდებიან უცხოელები საქართველოს ტერიტორიაზე და როცა დავადგენთ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, სრული უფლება გვექნება მოვექცეთ მათ ისე, როგორც უცხოელებს. გარეკვით არ გავრეკავთ, მაგრამ არც პოლიტიკურ უფლებებს მივცემთ, ასე გახლავთ საქმე! იმედი მაქვს, ისე არ მოვკვდები, რომ გამთლიანებული საქართველო არ ვნახო და, ვუთხარი კიდეც აფხაზებს, — თქვენ ისტორიულად განწირულნი ხართ, იცხოვროთ საქართველოს შემადგენლობაში-მეთქი. საწყალმა ზურაბ აჩბამ მითხრა: — ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შემთხვევაში, 10 წელიწადში იგივე სავალალო ბედი გველის, როგორიც ადიღეელებს, უბიხებს და სხვებს, რის შედეგადაც დედაენა დაკარგეს. ჩვენ თქვენთან ერთად უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ გვინდა, რაც შეიძლება ძვირად გავყიდოთ საკუთარი თავიო. მაგრამ იმავე აჩბამ მითხრა, — ჩვენ გაიძულებთ ქართველებს, რომ პირველებმა გვესროლოთო!

— ამ ფრაზას არძინბას მიაწერენ...

— სად იყო მაშინ არძინბა? „აიდგილარას“ მთავარი იდეოლოგი ზურაბ აჩბა გახლდათ, მაგრამ სხვებთან შედარებით გონიერი პოლიტიკოსი იყო... ვიცი, რომ დღეს ბევრ აფხაზს საქართველოს პასპორტი აქვს და ამით დადის საზღვარგარეთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთშიც. ამიტომ, არჩევანი უნდა გააკეთონ აფხაზებმაც და ოსებმაც, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ რუსეთი საქართველოს თანხმობის გარეშე დაურიგებს მათ თავის პასპორტებს, ეს უკვე ჩაითვლება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად და ამაზე მოსკოვს სასტიკად მოეთხოვება პასუხი. მათი დიდი უბედურება ისიც არის, რომ ერთი მუჭა აფხაზი სეპარატისტების გულისთვის კარგავენ ერთმორწმუნე საქართველოს; თუ ასე გააგრძელეს, საერთოდ დაკარგავენ ყოველგვარ საფუძველს ამიერკავკასიაში თავიანთი ინტერესების გასატარებლად და სომხეთი ვერ უშველის მოსკოვს. შეიძლება სომხეთი დღეს კარგად არის ირანთან, მაგრამ ხვალ თუ ზეგ აშშ და ირანი კვლავ დამეგობრდებიან და მაშინ როგორი ურთიერთობა ექნება სომხეთს ირანთან, ამასაც ვნახავ...

— ათასწლეულის სამიტად წოდებულ გაეროს გენერალურ ასამბლეამდე, რომელიც რამდენიმე დღეში გაიმართება, გაეროს შტაბ-ბინაში შეიკრიბნენ მსოფლიოს ყველა რელიგიისა და რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები, სადაც საუბარი იყო შემწყნარებლობაზე, მშვიდობიან მსოფლიოზე და ა.შ; თქვენ წლების მანძილზე მუშაობდით გაეროში და თუ ყოფილა მსგავსი ფორუმი?

— არ ყოფილა და ის ფაქტი, რომ ფორუმი გაიმართა სწორედ დღეს, მრავლისმთქმელია. ჯერ ერთი, მსოფლიო წალეკა ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა და მეორეც, რელიგიურმა შუღლმა თვით სახელმწიფოების შიგნით იჩინა თავი. მუსლიმანური ქვეყნებიდან ევროპაში შემოსული იაფი მუშახელი სამუშაოს აკარგვინებს ადგილობრივ მოქალაქეებს, რადგან მეწარმეს ურჩევნია, ემიგრანტს მისცეს საათში 10 დოლარი, ვიდრე ადგილობრივს — 20 დოლარი. ეს წარმოშობს სოციალურ წინააღმდეგობასაც და რელიგიურ შეუწყნარებლობასაც. ეს პრობლემა ანუხებს მსოფლიოს. საქართველოში იეღოვას მოწმეთა მოძრაობასაც ხომ სოციალური საფუძველი აქვს და ადამიანები ამ სექტაში შედიან რაღაც მატერიალური დაინტერესებისა და იმისთვისაც, რომ ჯარში არ იმსახურონ. ჩვენი საზოგადოების უბედურება ისიც არის, რომ გარკვეულმა ჯგუფებმა თავიანთი შეუწყნარებლობით გაუწიეს აფიშირება ამ სექტას, თორემ ვინ იცოდა, ან ვის ახსოვდა იეღოველთა არსებობაც კი? კარგად უნდა გავერკვეთ, რა სექტაა ეს, რატომ მძლავრობს ასე. იქნებ ჩვენი ეკლესიაც სცოდავს რაღაცაში, როცა თავის მრევლს კარგავს?

სოციალური პრობლემებია ყველა უბედურების სათავე, მათ შორის, რელიგიური შეუწყნარებლობისა. სამარცხვინოა, რომ 55 წელი გავიდა გაეროს შექმნიდან, რომელმაც მართალია ფასდაუდებელი როლი შეასრულა ადამიანის უფლებების დაცვის დამკვიდრების საქმეში, მაგრამ ქსენოფობია, ანტისემიტიზმი, რელიგიური შუღლი, რასიზმი კვლავ მძვინვარებს და ყოველივე ამას ასევე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ასაზრდოებს. აგერ გერმანიაში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ნეონაცისტებს, რომლებმაც ცემით მოკლეს ორი შვილის მამა მხოლოდ იმიტომ, რომ ფერადკანიანი იყო! ნიუ-იორკში 70-იან წლებში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ზანგებსა და ებრაელებს შორის მომხდარი მასობრივი შეტაკება, ჩხუბი, როდესაც მთელი ბრუკლინი დალეწეს და დაანგრიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღარიბი ზანგები სთხოვდნენ ებრაელებს, ფული გაეღოთ დასახმარებლად. მთელი ნიუ-იორკი კი, მოგეხსენებათ, ებრაელების ხელშია. იქ სამი მილიონი ებრაელი ცხოვრობს... ჩვენთან საამისო ნიადაგი არ არის, მაგრამ ჩვენვე ვქმნით ისტერიას, რომ რაღაც მსგავსი უბედურება დატრიალდეს. ამიტომ ქართულ ეკლესიას სწორედ ახლა მართებს თავისი გონიერი და ავტორიტეტული სიტყვის თქმა, რათა ადამიანები უფრო შემწყნარებლები გახდნენ. სწორედ ამ პრობლემებზე მსჯელობდნენ გაეროში შეკრებილი სასულიერო ლიდერები, რათა 21-ე საუკუნის მსოფლიო იყოს შემწყნარებელი, მშვიდი და სტაბილური. იმავე, ტიპურ ამერიკულ შტატებში დღემდეა გამოკრული აბრები მაღაზიებზე, რესტორნებზე — შავკანიანები და ებრაელები არ დაიშვებიან! ასევე დღემდე მოქმედებს კუ-კლუკს-კლანი, ასე რომ, ეს პრობლემები ამერიკასაც აღელვებს...

— როგორი იქნება გაეროს როლი მსოფლიო პროცესებში? ფაქტია, რომ დღეს ეს ორგანიზაცია ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ აგვარებს კონფლიქტებს...

— ძალიან სერიოზული საუბარი იქნება დასნეულებული გაეროს გაჯანსაღებისათვის. მისი უუნარობა ყველაზე ნათლად გამოჩნდა კოსოვოს ომის დროს. ნატო არ შევიდოდა კოსოვოში, გაეროს რომ სათანადო ზომები მიეღო. რა თქმა უნდა, ნატომაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი, რადგან გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე არ ჰქონდა უფლება სამხედრო ოპერაციის ჩატარებისა, მაგრამ ნატო მორალური კატეგორიებით ამართლებდა თავის მოქმედებას, რომლის თანახმად, საჭირო იყო სასიკეთოდ განწირული მოსახლეობის გადარჩენა! დღეს ფაქტია, რომ უფრო ეფექტიანი ხდება ევროპის რეგიონალური თანამშრომლობა იმავე ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში. დღეს, ევროპული სტრუქტურები გაცილებით ძლიერნი არიან, ვიდრე გაერო. გაერო კი იყენებს ძალას კონფლიქტების დროს, მაგრამ ეს ძალები შუა გზაზე ჩერდებიან, როგორც წესი, და ბოლომდე არ მიჰყავთ საქმე, ანუ, ფაქტობრივად, აკონსერვებენ კონფლიქტებს. ეტყობა, კოფი ანანი მიხვდა, რომ თუ გაეროს სურს გაუწიოს კონკურენცია ნატოს, ძირეულად უნდა შეცვალოს სამშვიდობო სამხედრო ოპერაციების გეგმა, შექმნას სწრაფი რეაგირების ჯარი და ა.შ. მოკლედ, გაეროს სამშვიდობო ჯარებმა არა მარტო მშვიდობა უნდა დაამყარონ კონფლიქტის კონკრეტულ ზონებში, არამედ განახორციელონ იძულებითი მშვიდობა კონფლიქტის მთელ ტერიტორიაზე, ამოწურონ კონფლიქტი და დაამკვიდრონ მტკიცე მშვიდობა და სტაბილურობა. ვფიქრობ, პრეზიდენტი შევარდნაძეც ამ საკითხებზე და, უწინარესად, აფხაზეთის მოუგვარებელ კონფლიქტებზე გაამახვილებს ყურადღებას სამიტზე. საერთოდ, გაეროს ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია მსოფლიოსათვის, მით უმეტეს, რომ „ცივი ომი“ აღარ არის, ბიპოლარიზმი, ანუ ორპოლუსიანი მსოფლიო წარსულს ბარდება და რუსეთს აღარავინ აღიქვამს ზესახელმწიფოდ. რუსებმა საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ, თვითონვე ჩაძირეს თავიანთი სახელმწიფო უგნური პოლიტიკის შედეგად... საქართველოს კი, მიუხედავად იმისა, რომ მე გაეროს გულშემატკივრად ვრჩები, მაინც მიმაჩნია, რომ გეზი ევროპული სტრუქტურებისაკენ და რეგიონალური თანამშრომლობისაკენ უნდა ეკავოს უწინარესად, რა თქმა უნდა, გაეროს ქოლგის ქვეშ. ადრე თუ გვიან, ალბათ რუსეთის ინტეგრირებაც მოხდება ამ სტრუქტურებში, რაც ერთხელ და სამუდამოდ მოუხსნის საქართველოს საფრთხეს ჩრდილოეთიდან. დღეს კი, დადგა დრო, რომ გაერომ და საერთაშორისო თანამეგობრობამ სერიოზულად მიხედონ სამხრეთ კავკასიას, რადგან თუ ჩვენი რეგიონი აფეთქდა, მტრისას, აგერ ფანტასტიკური ტემპით ვრცელდება ვაჰაბიზმი უკვე ყარაჩაეთ-ჩერქეზეთშიც, შუა აზიაში მძლავრობენ თალიბები, მოსკოვი ასეთ ვითარებაში მტრობს საქართველოს, რაც მას ადრე თუ გვიან ძვირად დაუჯდება...

— როგორც ცნობილია, გაეროს უშიშროების საბჭოში მზადდება დოკუმენტი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გარკვევის შესახებ...

— ქართული მასმედია დღემდე ჯიუტად იმეორებს ტერმინს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არადა სირცხვილია ამის თქმა და წერა, რადგან გაეროს ყველა დოკუმენტში დაფიქსირებულია ტერმინი — კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო! დიახ, არის დოკუმენტები, სადაც გაეროს უშიშროების საბჭო ცალსახად აფიქსირებს, რომ... „განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში! რისი გაგონებაც არ სურთ სეპარატისტებს და მათ უკან მდგომ რუსებს. აფხაზები დღემდე ჯიუტად იმეორებენ, სანამ არ აღიარებთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, არანაირ შეთანხმებაზე არ წამოვალთო. მათ გასაგებად ეუბნებიან, რომ თქვენს დამოუკიდებლობას არასოდეს არავინ არ ცნობს და მოგიწევთ დათანხმება შეზღუდულ სუვერენიტეტზე საქართველოს შემადგენლობაში. რაც შეეხება აღნიშნულ დოკუმენტს, რუსებმა უშიშროების საბჭოში მის მიღებაზე უარი თქვეს აბსურდული მოტივით, პუტინისაგან ინსტრუქცია არა გვაქვსო(!)— დალოცვილო, რა უნდოდა მერე ამ ინსტრუქციის მიღებას? ერთ საათში მიიღებდნენ მოსკოვიდან, მაგრამ, არა, არ გააკეთეს, დოკუმენტი ჩააგდეს და როდესაც შევარდნაძემ ამის შესახებ იალტაში უთხრა პუტინს, მანაც „შეიცხადა“, განკარგულება გასცა, შეისწავლონ მომხდარი(!). დოკუმენტზე მუშაობა კი გრძელდება და თუ აფხაზები მის მიღებაზე კვლავაც იტყვიან — არას, მაშინ ისინი საბოლოოდ დაუპირისპირდებიან არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გაეროს, საერთაშორისო თანამეგობრობის ნებას და დღის წესრიგში დადგება ბოსნიის მოდელის თუ სხვა ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საკითხი. ეს, რა თქმა უნდა, მოხდება უკიდურესი მომენტში, როცა ყველა მშვიდობიანი გზა ამოიწურება. სხვათა შორის, გაეროს პრესტიჟის ბედი, გარკვეულწილად, აფხაზეთშიც გადის გამოცდას. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს მიზანდასახულ და პრინციპულ პოლიტიკას, უწინარესად რუსეთის მიმართ, რათა მოსკოვმა უარი თქვას აფხაზეთის მეურვეობაზე და სეპარატისტები მიხვდნენ, რომ მათ სხვა გზა აღარა აქვთ, გარდა კომპრომისისა... საუბედუროდ, რუსი სეპარატისტები და სამხედროები დღემდე არწმუნებენ კრემლს, რომ აფხაზეთი რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია, ხოლო გენშტაბის უფროსი, გენერალი ივაშოვი პირდაპირ წერს, — აფხაზეთი მოსკოვის ხელში არის ძლიერი ბერკეტი საქართველოზე ზეწოლისთვის და არავითარ შემთხვევაში მისი დათმობა არ შეიძლებაო. ამას აშკარად ამბობენ და დამაფიქრებელია ის, რომ არა ზატულინ-მიგრანიანები ლაპარაკობენ ამაზე, არამედ მაღალჩინოსანი გენერლები და ოფიციალური პირები.

ზურაბ მჭედლიშვილი

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი

საქართველოში მრავლადაა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი და ყოველ მათგანს სიონი ეწოდება. სახელი სიონი იერუსალიმში არსებული წმინდა მთის სახელწოდებიდან მომდინარეობს. სიონის მთაზე დასაფლავებულნი არიან მეფე დავითი და ძე მისი სოლომონი. მაცხოვარმა სიონის მთაზე შეასრულა საიდუმლო სერობა, ხოლო ამაღლების შემდგომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველთან ერთად ამ მთაზე ცხოვრობდა. თავად სიტყვა ებრაულია და „მზიანს" ნიშნავს. საქართველოში არსებულ სიონის სახელწოდების ტაძრებს შორის, გამოიყოფა თბილისის საკათედრო ტაძარი.

თბილისის საკათედრო ტაძრის მშენებლობა დაიწყო დედაქალაქის გაშენებასთან ერთად და გასრულდა VII ს-ის I ნახ-ში. სიონი, მტრის მიერ არაერთხელ დარბეულა. 1226 წელს ხვარაზმის მეთაურმა ჯალალედდინმა თბილისი აიღო, სიონის ტაძრის სინმინდეები შებილწა, გუმბათის ადგილას ტახტი დადგა და თვალს ადევნებდა თუ როგორ იხოცებოდნენ ქართველები, რომლებიც მეტეხის ხიდთან დასვენებულ სიონის ეკლესიის მაცხოვრის და ღვთისმშობლის სახელობის ხატებს არ შეურაცხყოფდნენ. XIV საუკუნის ბოლოს ტაძარი თემურ-ლენგმა შემუსრა, მაგრამ XV ს-ში კვლავ განახლეს. XVIII ს-ში თურქებმა სიონის მეჩეთად გადაკეთება სცადეს, მაგრამ ღვთის განგებით ტაძარი ასეთ უსჯულოებას გადაურჩა.

სიონის ტაძარს სხვანაირად დედა ეკლესიასაც ეძახიან, რადგან აქ საოცარი მადლი ტრიალებს და უამრავი სინმინდეა. არიან ადამიანები, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან უცხოეთიდან იმისთვის, რომ სიონის საკათედრო ტაძარი მოილოცონ და მრავალ სიწმინდეს ემთხვიონ, რომელთა შორისაა: მაცხოვრის სამსჭვალი, წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი, თომა მოციქულის თავის ქალა, წმ. დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა და სხვა. აქვე არიან დაკრძალულნი საქართველოს მეფეები და პატრიარქები, რომელთა შორისაა წმ. ამბროსი (ხელაია).

ანა ჩხეიძე

თბილისური საჭურველი

ყოფილა ვინმე გიორგი ელიზარაშვილი, რომლის გაჭედილი ხმლით შამილი კავკასიას იცავდა თურმე.

დიახ, თბილისიც ამარაგებდა შამილს საჭურვლით, რასაც საგანგებოდ შებრძოლებია კავკასიის მთავარმართებელი მიხეილ ვორონცოვი. ნიკოლოზ I-ს კი ზლატოუსტის იარაღის ქარხნის საუკეთესო ოსტატები მოუვლენია თბილისს ხელობის შესასწავლად.

ცუდ დღეში ჩაუგდიათ ყარამან და ეფრემ ელიზარაშვილები (გიორგის ვაჟები), რომლებიც იარაღის კეთების უბადლო ოსტატები იყვნენ. ეფრემი ვერა, მაგრამ ყარამანი გაუტეხავთ ძალდატანებით და მასაც წვრილად უსნავლებია რუსთათვის ქართული ჯავარდენის (ფოლადის) ჭედვის საიდუმლო. თუმცა კი, შემდგომ რუსებს არც ფული დაუშურებიათ თავიანთი მასწავლებლებისათვის. თითოეულისათვის 1.000-1.000 ჩერვონეცი ოქრო მიუციათ. Тифлисское оружье дорого ценится на всем востоке, — იტყვის ამ დროს ალექსანდრე პუშკინი.

აღა-მაჰმად-ხანმა კი, როცა თბილისური თოფხანა აოხრა, აქაური ოსტატების ნახელავით მოხიბლულმა, ისინი ოჯახებით წაასხა თეირანს სამუშაოდ.

თუმცა თბილისშიც მრავლად დარჩნენ იარაღის უბადლო მკეთებელნი. სიონისა და ვერცხლის ქუჩაზე ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი დუქნები, სადაც იჭედებოდა ხმალ-ხანჯალი, მზადდებოდა ხირიმი, მაჟარო, სიათა (თოფის სახეობები) სხვადასხვა სახის დამბაჩა, ჯაჭვიზ პერანგი, ბექლარი, მუზარადჩაბალახი და მრავალი სხვა.

ამჯერად ჩემი მეგზური ბატონი **კოტე ჩოლოყაშვილია**, თავადური გარეგნობის, ახოვანი, მართლაც რომ კეთილშობილი რაინდი. ბატონმა კოტემ მთელი თავისი ცხოვრება ქართული იარაღ-საჭურვლის ქომაგობას შეალია და მეც მისი იარაღის კოლექციით ვინტერესდები.

— მჭედელს დანა ეკეთებაო, — მპასუხობს და დასძენს, — შინ რად მინდა იარაღი, სადაც კი რაიმე ღირებულს ვნახავ, მინდა მუზეუმში მოვუყარო თავი და შთამომავლობას შემოვუნახოო.

საქართველოში თურმე ხმლით ხდებოდა მეფედ კურთხევა, მთავარსარდლად კურთხევისასაც რაინდს ხმალს შემოარტყამდნენ წელზე. ვაჟი რომ სრულწლოვანი გახდებოდა, მასაც ასევე ხმლით აკურთხებდნენ. ნეფე-პატარძალსაც გადაჯვარედინებულ ხმლებს შორის უნდა გაევლო. მშობიარობის დროსაც ქალს ბალიშის ქვეშ სატევარს ამოუდებდნენ. არცთუ იშვიათად, ქალს სატევრით ნიშნავდნენ.

ხომ გახსოვთ ხალხური სიმღერა:

გოგოვ, გოგოვ, შავთვალავ,
ბიჭმა შემოგითვალა,
ან მომე ჩემი დანა,
ან გამომყევი თანა.

დანას აქ ნიშნის ფუნქცია აქვს მინიჭებული. ქართველი ვაჟკაცი მოკრძალების ნიშნად სატევარზე დაიდებდა ხელს. ავადმყოფის შელოცვაც ხშირ შემთხვევაში სატევარზე ხდებოდა თურმე.

ბატონი კოტე ერთ ასეთ ლეგენდადქცეულ ამბავსაც მიამბობს:

— შაჰ-აბასს ერთაწმინდის ეკლესიის დანგრევა უბრძანებია და როცა მეომრები საქმეს შესდგომიან, დამპყრობელს მხედველობა წართმევია. იქვე მყოფ დარბაისელ გლეხს შაჰისთვის უთქვამს, თუ ეკლესიას ხელს აღარ ახლებ, თვალთ აგიხილებაო და ასეც მომხდარა. შაჰ-აბასს ერთაწმინდისათვის ხმლის ვადა შეუწირავს, რომელიც წმინდა ნივთად შეურაცხავთ. ამ ხმლის ვადით ერეკლე მეორეს სნეული შვილი მოურჩენია და თავის სასახლეში დაუვანებია. იქიდან კი აღა-მაჰმად ხანს გაუტაცია.

შაჰ-აბასისავე ხმალი დღესაც ინახება საქართველოს მუზეუმში (ეს ხმალი ძალის მოსამატებლად მრავალძალის ეკლესიისათვის შეუწირავს მრისხანე შაჰს).

მრავალძალის ეკლესიიდანვე მოუტანიათ სწორედ ის მუზარადი, ქუცნა ამირაჯიბმა ჯალალედდინს რომ დააგდებინა თურმე შეტაკებისას და ტაძარს შეწირა.

მეტად ორიგინალურად აწრთობდნენ თურმე თბილისში ხმლის პირებს. გავარვარებულ ხმალს პირდაპირ სამჭედლოდან გადასცემდნენ მხედარს. ისიც იარაღის ქნევით მიაჭენებდა ცხენს და ფოლადის წრთობა გამჭოლ ქარში ხდებოდა.

მზადდება თუ არა დღეს თბილისში იარაღ-საჭურველი?

ამ კითხვამ მიხეილ ხურცილავასთან მიმიყვანა. ეს ახალგაზრდა კაცი, რომ იტყვიან, ფანატიკურადაა შეყვარებული ქართულ იარაღზე. ამ სიყვარულმა იგი საუკეთესო ოსტატადაც აქცია.

მიშიკო თანამედროვე მაღალლეგირებული ფოლადისაგან ჭედავს ხმლებს, ხანჯლებს, ქსოვს ჯაჭვის პერანგებს. ერთი სიტყვით, ამზადებს ქართველი მეომრის აღჭურვილობის სრულ კომპლექტს.

ამ რამდენიმე წლის წინ მიშიკოს ნახელავი ასეთი კომპლექტი — ჯაჭვის პერანგი, ჩაჩქანი, სამკლავე, ფარი და ხმალი — ერთმა ჩინოსანმა კოლექციონერმა იმ ფასად შეიძინა, რომლითაც ოსტატმა თბილისში ერთოთახიანი ბინის ყიდვა შეძლო.

ახლახან მიშიკოსათვის ერთ ბიზნესმენს თავისი ოფისისათვის იაპონური ხმალი შეუკვეთავს. უარი უთქვამს ქართველ ოსტატს — ჩემი ხელობა ქართული იარაღის ჭედვაა, იაპონურის მსგავსს კი გავაკეთებ, მაგრამ მიფუჩეჩება გამომივაო.

ჯაჭვის პერანგის ქსოვა თბილისში გოჩა ლაღიძემ დაიწყო და კარგი ხელიც ჰქონდა. მაგრამ იძულებული გახდა ჰოლანდიაში წასულიყო და ახლა ევროპულ იარაღს აკეთებსო — გულისტკივილით დასძინა მიშიკომ.

უკვე მეორე წელია, მიხეილ ხურცილავა ქართული საჭურვლის კომპლექტზე მუშაობს, რომელსაც დაემატება ბანდულები. ეს ძირგამოწნული ტყავის ქალამნებია (ტყავის გამოქნა ახლახან მასწავლა ერთმა მოხევემო).

...პატარა ვასიკოს მამამ დაბადების დღეზე მშვილდ-ისარი აჩუქა, ნამდვილი მშვილდ-ისარი.

...დღეს ევროპაში ძველებური იარაღის დამზადების უდიდესი ბაზებია. ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და თბილისშიც აღეადგინოთ იარაღ-საჭურვლის კეთების მდიდარი ტრადიციები.

ელენე სალარიძე

უხუცესი თბილისური ხიდი და „სალდათის ბაზარი"

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან თბილისი სწრაფად იზრდებოდა და ფართოვდებოდა. მტკვრის ორივე მხარეს გადაშლილ ქალაქს ავლაბრის ხიდი აკავშირებდა. ეს, ბუნებრივია, ართულებდა ურთიერთობას ჩუღურეთს, გერმანელთა კოლონიას, დიდუბესა და ქალაქის ცენტრს შორის.

1830 წლის დამლევს მომზადდა კაპიტალური ხიდის პირველი პროექტი, მაგრამ იგი ვერ განხორციელდა, რადგან მეფის მთავრობამ მშენებლობა არ დააფინანსა. მოგვიანებით, მეფინაცვალ მიხეილ ვორონცოვის თაოსნობით, ახალი პროექტის შექმნა დაევალა ოდესიდან გადმოსახლებულ არქიტექტორ დ. სკუდიერს. 1848 წელს დაიდო ხელშეკრულება ხიდის მშენებლობაზე. ნაგებობა შედგებოდა ორი — მცირე და დიდი ხიდებისაგან — მტკვრის ძირითად კალაპოტზე და მდინარის ტოტზე მადათოვის კუნძულთან.

1848 წლის თებერვალში შეუდგნენ მოსამზადებელ სამუშაოებს. ააგეს დროებითი ხის ხიდი მტკვრის ტოტზე, მიმოსვლა დაიწყო ბორანმა. მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრდა 1848 წლის 26 ნოემბერს. იმავე დღეს ხიდის მარჯვენა ბურჯში ჩაატანეს ბრინჯაოს დაფა.

მშენებლობა ძნელად მიმდინარეობდა. იცვლებოდნენ მოიჯარენი, ხელახლა დგებოდა ხარჯთაღრიცხვა. 1849 წლის 2 აპრილს ადიდებულმა მტკვარმა 10 კილომეტრით გაიტაცა ხის ხიდი. 4 მაისს გაწყდა ბორნის ტროსი და წყალმა იგი ნავთლუღამდე ჩაათრია. ყველაფრის თავიდან დაწყება იყო საჭირო. არქიტექტორ სკუდიერის პროექტით ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში შენდებოდა სამხედრო ტაძარი. 1851 წლის ივნისში გუმბათი მოულოდნელად ჩაიქცა. სკუდიერი ნანგრევებში მოჰყვა და დაიღუპა...

იმავე წელს ხიდის მშენებლობა დაეკალა პირველ ქართველ ინჟინერ-ჰიდრავლიკოსს ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუხრანელს. 1851 წლის 10 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ქვის ხიდი მდინარის მარჯვენა ტოტზე. ბურჯში ჩაატანეს ვერცხლის დაფა — მშენებლობის თარიღებით.

ხიდის კონსტრუქცია იმ დროისათვის ტექნიკურად მეტად საინტერესო გახლდათ, 32 მეტრიანი თაღოვანი ხიდის მალები აგებულია თლილი ქვით. ეს ხიდი დღესაც მოქმედებს და მას „მშრალ ხიდს" ეძახიან.

რაც შეეხება ინჟინერ ს. ბლიკსის ნახაზებით აგებულ მეორე — ხუთმალიან ხიდს, იგი გაიხსნა 1853 წლის 8 ნოემბერს. ხიდს ოფიციალურად მიენიჭა დიდი თავადის მიხეილ რომანოვის სახელი, მაგრამ თბილისელებმა მას „ვორონცოვის" სახელი შეარქვეს, რადგან მის აგებაში დიდი წვლილი მიუძღვის მეფისნაცვალ ვორონცოვს...

ხიდი ძალიან ვიწრო იყო, ამიტომ 1884 წელს გადააკეთეს. ტროტუარები მდინარეზე გადატანილ იქნა ბრჯენებზე. XX საუკუნის 90-იან წლებში მტკვრის მარჯვენა ტოტზე სანაპირო გაშენდა.

დღეს მოქმედი ხიდი აშენებულია 1962 წელს შ. ყავლაშვილის, გ. მელქაძის და გ. ქარცივაძის პროექტით.

გადაივლით ვორონცოვისა და მშრალ ხიდებს, გაუხვევთ მარცხნივ და მიადგებით ყოფილ „სალდათის ბაზარს". იგი XIX-XX საუკუნეების დასაწყისში თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ ადგილად ითვლებოდა. მას ეკავა დღევანდელი კოლმეურნეობის (ორბელიანის) მოედნის ტერიტორიის ნაწილი. თბილისელების, განსაკუთრებით სოლოლაკელების ლექსიკონში დღესაც შეხვდებით გამოთქმას — „სალდათის ბაზარი". ეს გასაკვირი არც არის, „სალდათის ბაზარი" ხომ მათი წყალობით გაჩნდა ქალაქში...

მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ერევნელის მოდანზე თეატრის აშენება გადაწყვიტა. მანამდე აქ საკაჭროები იყო გამართული. იმდროინდელი ერთი რუსული გაზეთი წერდა: „თუ გსურთ ნახოთ, ამა თუ იმ ქალაქის ცხოვრება, წადით ბაზარში, ისეთებში მაგალითად, როგორიც არის „ტალკუჩკა" პეტერბურგში, „იარმარკა" გრაფ პასკევიჩ-ერევნელის მოედანზე ტფილისში. ამ ორი ქალაქის ბაზრობებს შორის დიდი განსხვავებაა. პეტერბურგის „ტალკუჩკა" — ზღვაში წვეთია, ხოლო თბილისური ბაზარი, ჰიპერბოლურად რომ ვთქვათ, ზღვაა წვეთში. ბაზრის რამდენიმე კვადრატულ საჟენზე შეგიძლიათ ნახოთ მთელი ტფილისის ცხოვრება. აქ ყველაფერი იყიდება, ამ სიტყვის კარგი გაგებით. მიწის ამ პატარა მონაკვეთზე თქვენ ნახავთ, თუ როგორ ებრძვის აზია ევროპას, როგორ სუსტდება პირველი და იზრდება მეორე".

1847 წლის 15 აპრილს ვორონცოვმა ნება დართო ცნობილ ვაჭარს, თამამშევს, მოედანზე აეშენებინა თეატრი და ქარვასლა. ამან გამოიწვია ბაზრის დაკეტვა. მოვაჭრენი ვერესკენ გარეკეს, რასაც სოლოლაკელთა გულისწყრომა და საჩივარი მოჰყვა მეფისნაცვლის სახელზე. რადგან ვერე სოლოლაკიდან შორს იყო, ვორონცოვმა ყურად იღო მათი საჩივარი და მუხრან-ბატონის დიდი შენობის ნაწილი (რომელიც იდგა საქენერგოს შენობის ტერიტორიაზე) ბაზრად აქცია. თავდაპირველად იქ იყიდებოდა სურსათ-სანოვაგე. კვირაობით ბაზარში თბილისის გარნიზონის ჯარისკაცები და ოფიცრები სამხედრო ტანსაცმლით ვაჭრობდნენ, იმიტომაც შეარქვეს ქალაქელებმა „სალდათის ბაზარი". მოკლე ხანში ვაჭრობა აქ ისე გაიზარდა, რომ ძველ ბაზრებსაც კი გაუსწრო. XX საუკუნის 20-იან წლებში აშენდა ორსართულიანი საკოლმეურნეო ბაზარი „სალდათის ბაზარმა" არსებობა დაასრულა. მის ადგილას გააშენეს სკვერი.

გალაქტიონ ტაგანაშვილი

თბილისმა სამი დღის მანძილზე რეკლამა გაუწია რეკლამას

31 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით თბილისი ევროპული რეკლამის ფესტივალის „ეპიკა-ევორდსის" დღეების მასპინძელი გახლდათ. ეს იყო რეკლამის ზეიმი, რომლის წყალობითაც ქართველი რეჟისორები, მხატვრები, რეკლამის დამკვეთები, ევროპული რეკლამის ას საუკეთესო ნიმუშს გაეცნენ. ამ დღეებმა სრული აწშლანგით ჩაიარა, ამას არც რეკლამის ფესტივალის ორგანიზატორები (რეჟისორები: გიორგი ებრალიძე, მიხო ქოჩაკიძე, მსახიობი — ზურა მაღალაშვილი) და არც ჩამოსული სტუმრები ელოდნენ. ალბათ ეს იმის დასტური გახლავთ, რომ საქართველოში თანდათან მატულობს ინტერესი რეკლამისადმი. ამჟამად ქართველ მაყურებელს საშუალება ჰქონდა, ენახა ის სარეკლამო ნამუშევრები, რომელთაც ბოლო 12 წლის მანძილზე „ეპიკას" პრიზები დაიმსახურეს. რეკლამის ფესტივალს დასავლეთში უკვე 2 ათწლეულის ისტორია აქვს.

მარცხნიდან: მაქსიმ პლიუსნინი, გიორგი გაჩეჩილაძე და ენდრიუ როულინზი.

ამ დღეებმა ცხადყო, რომ რეკლამა თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი, შემოსავლიანი ჟანრია. „თუმცა, მთავარია იდეა, მხატვრული ჩანაფიქრი და არა ფული. ჩვენ რეკლამის საშუალებით უეცრად და დაუკითხავად ვიჭრებით ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ ამით კი არ უნდა გავაღიზიანოთ იგი, ძალიან ზუსტად და ლაკონიურად უნდა გავთვალოთ, რა შეიძლება სურდეს მას ამ წუთებში. რეჟისორმა საკუთარი იდეა საზოგადოებრივი აზრისა და მოთხოვნილების მიხედვით უნდა განახორციელოს", — განაცხადა ევროპული რეკლამის ფესტივალის პრეზიდენტმა ენდრიუ როულინზმა.

მისი თქმით, არ უნდა შეგვაშინოს ჩამოტანილი პროდუქციის მაღალმა ხარისხმა, მართლაც ყოველი მათგანი საუკეთესოთა შორის საუკეთესო და სხვადასხვა პრიზის მფლობელია, მაგრამ სტუმრებმა ისიც აღიარეს, რომ ზოგიერთი ქართული რეკლამა პრიზის მფლობელ ევროპულ რეკლამასაც სჯობდა.

„ეპიკა"-ს დღეები სწორედ იმისთვის ჩატარდა, რომ ჩვენ ახლოს გავცნობოდით დასავლურ რეკლამას და ის კონტრასტი, რაც ჩვენ შორის არსებობს, მალე დაგვეძლია. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ გამოჩნდა ხალხი, რომელსაც რეკლამა აინტერესებს. მაყურებელი იმდენად აქტიურად მონაწილეობდა როულინზის სემინარებში, იმდენად თავისუფლად გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს ამა თუ იმ რეკლამის წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახებ, რომ ფაქტობრივად მან თავად იკისრა ჟიურის ფუნქცია.

მთავარი პრობლემა დღეს ჩვენი შემკვეთების დონეა. სამწუხაროდ, საქართველოში იდეა არ ფასობს. ამ დღეებს ბევრი ცნობილი ფირმის წარმომადგენელი დაესწრო და იმედი მაქვს, მათ კარგად დაინახეს, რამხელა ძალისხმევას, ნიჭსა და უნარს მოითხოვს რეკლამა. ეს რთული შემოქმედებითი პროცესია. ამ დღეებმა ამ თვალსაზრისითაც დახვეწა შემკვეთისა და შემსრულებლის ურთიერთობა" — განაცხადა ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი ებრალიძემ.

ევროპაში რეკლამა ძალიან ძვირად ფასობს. დსთ-ის ქვეყნებში „ეპიკას" წარმომადგენლის მაქსიმ პლიუსნინის თქმით, საფრანგეთის ტელევიზიაში შუადღისას 5-წუთიანი რეკლამის განთავსება დაახლოებით მილიონი დოლარი ღირს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შუადღე „პრაიმ ტაიმი" არ არის და შესაბამისად, საღამოს რეკლამის ფასი მატულობს. ბუნებრივია, ჩვენ ჯერ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი საიმისოდ, რომ ევროპული ცხოვრების დონეს დავეწიოთ, მაგრამ ნიჭიერება ჩვენს რეჟისორებს ნამდვილად არ აკლიათ. ამის დასტური ის გახლავთ, რომ ჩვენი უკვე გვყავს „ეპიკას" ფესტივალის პრიზიორი — ნიკუშა ახვლედიანი.

ამ დღეებმა 10 ქართველი კინორეჟისორი გამოარჩია. ესენი არიან ბასა ფოცხიშვილი — „ალდაგის" რეკლამისათვის, მაშო კანდელაკი, ბექა ჯგუბურია, კახი ბუხრაშვილი, გიორგი ებრალიძე („მაგთის" რეკლამისათვის), გიგა ქლიბაძე (რეკლამისათვის „სამედიცინო დაწესებულება ლიგა"), გიორგი გაჩეჩილაძე, გიორგი გურგულია, ნიკუშა ახვლედიანი (რეკლამისათვის „გუდაური ვოდკა"). მათ „ეპიკას" სამახსოვრო დიპლომები გადაეცათ. ხუთ გამარჯვებულ ნამუშევარს მაქსიმ პლიუსნინი კიევის ფესტივალზე წარადგენს. კიევში წარმატების შემთხვევაში კი, ქართული სარეკლამო კლიპები პირდაპირ „ეპიკა ევორდსში" მიიღებენ მონაწილეობას. ეს კი უდავოდ დიდი წარმატება იქნება, რადგან ევროპული ფესტივალის მონაწილეებს ყველაზე მეტად ენდობიან ცნობილი და გიგანტური ფირმები: „სონი", „პანასონიკი", „სიმენსი", „ტოშიბა", „შივაკი" და სხვები.

ასე რომ, ქართველ რეჟისორებს უკვე რეალური შანსი ეძლევათ ევროპული რეკლამის ნიმუშებს გაეჯიბრონ. ვნახოთ, რამდენად გაუძლებენ ისინი დასავლურ, „ველურ" კონკურენციას.

ნათია გოგსაძე R

— ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲧᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ...

რას მალავს რუსთავის გახმაურებულ მკვლელობებში ეჭვმიტანილი პაატა სხირტლაძე

ᲗᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ მანიაკად შერაცხული ორთაჭალის მეხუთე საპყრობილეში მყოფი პაატა სხირტლაძის გარშემო სკანდალი გრძელდება. თუმცა, დღეს ბრალდება უარყოფს, რომ რუსთავში მომხდარ მკვლელობათა სერიალი პაატა სხირტლაძის ჩადენილია. ასეა თუ ისე, ოშოს აქტიური მიმდევარი პატიმარი, დღესდღეობით, გოგონათა გაუპატიურებასა და ჩამოხრჩობაში ეჭვმიტანილად ითვლება და გამოძიება ამერიკიდან ექსპერტიზის პასუხს ელოდება, რომელიც სხირტლაძის ბედს საბოლოოდ გადაწყვეტს.

პაატა სხირტლაძე სამართალდამცავებმა მაშინ დაიჭიეს, როდესაც იგი სამარშრუტო ტაქსიში ონანიზმს ეწეოდა. მას ბრალად გარყვნილი ქმედება წარუდგინეს. სხვა ბრალდებულებთან ერთად მოხვედრილი პატიმარი კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდა. სამართალდამცავების თქმით, პაატა სხირტლაძე ციხეში მამაკაცებს სექსუალურ კონტაქტს სთხოვდა და ამის გამო, გასულ კვირას, ერთ-ერთმა ბრალდებულმა, გიორგი მახათაძემ სამართებლის პირით ყური ჩამოაჭრა. პაატა სხირტლაძეს „რესბალნიცაზე“ ყურის ამპუტაცია გაუკეთეს. მომხდარ დანაშაულზე სხირტლაძის მიმართ დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელიც მისი ფსიქიკის მდგომარეობას შეამოწმებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ სხირტლაძის მანიაკად გამოცხადება მასმედიის მიერ, ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა. „მე მის ადგილას ამის გამო საჩივარსაც კი შევიტანდი და დავიცავდი ჩემს ღირსებას“, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

გასულ კვირას მოძღვართან, მამა ლევანთან ერთად, სხირტლაძე მოინახულა პატიმართა საერთაშორისო უფლებების დამცველმა ლალი აფციაურმა. მისი თქმით, სხირტლაძე სულაც არ ტოვებს არანორმალურის შთაბეჭდილებას, პირიქით, მას საკმაოდ მაღალი ინტელექტი გააჩნია და ოშოს რელიგიური მიმდინარეობის აქტიური დამცველია.

პაატა სხირტლაძე 1993-98 წლებში იმყოფებოდა ინდოეთის ქალაქ პუმაში, ოშოს სამედიცინო ცენტრში. ოშო ინდოელი ფილოსოფოსი იყო. მისი ნამდვილი გვარია ფრაგვან შრი-რაჯნიში (ქართულად „ოშო“ ნიშნავს „ოკეანეში ჩაკარდნილ წვეთს“). მას ექვსასამდე წიგნი აქვს დაწერილი და გაკეთებული აქვს კომენტარები სხვადასხვა მეცნიერებაზე, რელიგიებზე. ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციით, მისი მიმდევრები სექსის თავისუფლებას ქადაგებენ ნებისმიერ დროს. მიმართავენ შავ მაგიასაც, მათ შორის, მსხვერპლთშეწირვასაც.

არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ინტერნეტის ეს ინფორმაცია სინამდვილეს, მაგრამ თავად პაატა სხირტლაძის ბავშვობის მეგობარი და ასევე თავის დროზე ოშოს სავანეში მყოფი გოგა გოგიშვილი ამას კატეგორიულად უარყოფს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მისი ძმა ინდოეთში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მამა ლევანს პაატა სხირტლაძისთვის უკითხავს: ვინ ხარ შენ, ღმერთის მონა თუ სატანის? სხირტლაძემ მოძღვარს სკანდალური პასუხი გასცა. თუ რა უპასუხა მამა ლევანს ოშოს მიმდევარმა და რაზე ისაუბრეს მათ, ამას „კვირის პალიტრა“ მომავალში გიამბობთ, დღეს კი გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს გოგა გოგიშვილთან, რომელმაც დღესაც არ იცის, მისი ძმა ოშოს მიმდევრებმა მოკლეს თუ ბუნებრივი სიკდვილით გარდაიცვალა.

— მე და პაატა სხირტლაძე დიღმის მასივში ერთ ეზოში გავიზარდეთ. ერთად დავდიოდით 147-ე სკოლაში. ერთი წლისა იყო, მამა რომ მოუკლეს. ქმრის სიკვდილის შემდეგ დედა სულიერად დაავადდა, შიზოფრენია ჰქონდა. პრაქტიკულად, პაატას ეს ავადმყოფი ქალი ზრდიდა. მეზობლებისთვის რომ გეკითხათ მაშინ, პაატას ბინიდან მხოლოდ ამ ქალის წივილ-კივილის ხმა ისმოდა. რაღაცები ელანდებოდა, ხილვები ჰქონდა. ამ პერიოდში პაატა ფეხბურთს მისდევდა — მიშა მესხის მოწაფე იყო. მიშა რომ ეტყოდა, — აბა, პაატა, მიდიო, ერთ ხუთ გოლს გაიტანდა ხოლმე. კარგად თამაშობდა ფეხბურთს. მიშა მაგრად პატრონობდა, მაგრამ „დინამოს“ „დუბლებში“ მაინც ვერ მოხვდა. პატრონი არ ჰყავდა. მერე გული გაუტყდა. სკოლაში მაინცდამაინც კარგად არ სწავლობდა, მაგრამ ურთიერთობაში საკმაოდ სასიამოვნო, ხუმარა იყო. ოჯახში ძალიან უჭირდათ. ხანდახან, ჩემთან რომ ამოვიდოდა და მარტონი დავრჩებოდით, ყველის სამოთხ ნაჭერს აიღებდა და მთხოვდა, — დედაჩემს წავუღებო. მერვე კლასიდან პროფსასწავლებელში გადავიდა. ძალიან დატანჯული ბავშვობა აქვს გატარებული. წინდა არ ჰქონდა და ფეხბურთელის გეტრებით დადიოდა. დედამისის ძმა ეხმარებოდათ. კორპუსიც ხელს უმართავდა. ხშირად სკოლიდან დაბრუნებულს დედა არ ხვდებოდა ხოლმე შინ. მეზობლები ამბავს ახვედრებდნენ, — ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანესო. ესეც ხომ დიდი დარტყმა იყო. ან აქამდე როგორ მოვიდა, არ ვიცი. ჩვენს სკოლაში დათო შავდია ასწავლიდა მათემატიკას, ძალიან თბილი ადამიანი... პაატა მას მიეკედლა. და ისე გამოვიდა, რომ დათო შავდია იყო მისთვის დედაც და მამაც. მე მაშინ შავდიას არ ვიცნობდი. ერთხელ მასთან წამიყვანა პაატამ, — უნდა გაგაცნო, ძალიან საინტერესო პიროვნება არისო...

— და რას გიყვებოდათ ხოლმე შავდია?

— გვესაუბრებოდა ოშო რაჯნიზე. იგი ფილოსოფოსი იყო. ახლა აქ საუბრობენ, სექტანტიაო. პირიქით, ოშო სექტების წინააღმდეგია. დავდიოდით ბიჭები შავდიასთან და ძალიან გვინდოდა წავსულიყავით ინდოეთში, ჩვენი თვალით გვენახა ოშოს სავანე.

— როგორ გახდით რელიგიური მიმდინარეობის მიმდევარი ოფიციალურად?

— ოშო რაჯნიში ფილოსოფიის მაგისტრი 25 წლის ასაკში გახდა ამერიკაში. ინდოეთის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. ფილოსოფიის, რელიგიის, ფსიქოლოგიის საკუთარი კომენტარები ჰქონდა... ოშო არ არის რელიგიური მიმდინარეობა. მე ხომ ვარ ქრისტიანი, იქ არავის უთქვამს ჩემთვის, უარყავი შენი სარწმუნოებაო. რასაკვირველია, ისევ ქრისტიანი ვარ. ნიცშეს და ფროიდის მოძღვრებებს რელიგიას ხომ ვერ დავარქმევთ?



მარცხნიდან: პაატა სხირტლაძე და ვახტანგ გოგიშვილი ინდოეთში

— მაგრამ ამბობენ, რომ იგი სექსუალურ თავისუფლებასა და ძალადობას ქადაგებს...

— არა, როგორ გეკადრებათ. პირიქით. ინდოეთში, სადაც ვიყავით, სექსიც კი არ იყო

ოშო ანუ ფხაგვან შრი-რავჯნიში ბიბლიოთეკაში

დაშვებული.

— დადიოდით შავდიას მეცადინეობებზე?

— კი, დავდიოდი. მედიტაციისთვის საჭიროა უარყოფითი ემოციებისგან განიმუხტო, მაგრამ ეს არ ხდება ვიღაცის ცემით ან ძალადობით, აგრესიით. ინდოეთში, ოშო რაჯნიშის აშრამიდან (სავანე) მეორე დღესვე გამოგვიშვებდნენ, რაიმე აგრესია რომ შეემჩნიათ. პირიქით, სითბოს უნდა აფრქვევდე ირგვლივ.

— როგორ მოახერხეთ ინდოეთში წასვლა, მოწვევა მიიღეთ, თუ ვინმემ დაგაფინანსათ?

— ეს იყო 1992 წლის იანვარი. არ იყო მაშინ ძნელი ინდოეთში წასვლა. 150 დოლარამდე ჯდებოდა. ჩვენი სურვილით წავედით. სიღრმისეულად გვაინტერესებდა, ვინ იყო, რა იყო ოშო რაჯნიში. ძალიან ბევრი დადებითი ვიცოდით მის შესახებ. წიგნებიც გამოწერილი გვქონდა, მოგვდიოდა ინდოეთიდან. დაახლოებით 15 კაცი წაგვიყვანა შავდიამ.

— მათ შორის თქვენი ძმაც იყო?

— დიახ. ინგლისური არ ვიცოდით. მარტო ვახო ფეიქრიშვილმა იცოდა ინგლისური. თვითონ ოშო რაჯნიშის აშრამში ძალიან დიდი პატივი გვცეს.

— სად მდებარეობს ინდოეთში ეს ადგილი?

— ქალაქ პუმაში. ბომბეიდან მატარებლით ოთხი საათის სავალია.

— მომიყევით, რას აკეთებდით აშრამში...

— ძალიან დიდი სილამაზეა. მართალია, ბუნებრივი მცენარეებია, მაგრამ ხელოვნურს ჰგავს. შიგნით მაღაზიებია, აუზები, ფარშევანგები, გედები... დგას შავი მარმარილოს დიდი პირამიდები, სადაც მასაჟი კეთდება... ყველაფერია შიგნით, რაც სჭირდება ადამიანს. მაგრამ ეს ყველაფერი ფული ღირს. იქ, ძირითადად, მდიდარი ხალხი დადის. მარტო ჩვენ ვიყავით ღარიბები. რადგან ახალგაზრდები ვიყავით, ყველანაირად ხელი შეგვიწყვეს.

— რითი გამოიხატა ეს ხელშეწყობა?

— შესვლის საფასურს თავიდან არ გვთხოვდნენ. მედიტაციებზე დავდიოდით.

— გონებრივ გათიშვებს ჰქონდა მედიტაციის დროს ადგილი?

— არა, არა. ამ მომენტში აკვირდები შენს თავს, შენს ემოციებს. საკუთარი თავი უნდა აკონტროლო და აიყვანო ხელში. ამ დროს ჩართულია მუსიკა. მაგალითად, ისმის ჩიტების გალობა, ჩანჩქერის ხმა და ეს ყველაფერი გეხმარება, რომ შენს თავში ადვილად ჩაღრმავდე, ანუ გაერკვე შენს ქვეცნობიერში. დაახლოებით 4 თვის შემდეგ, მაისში, რამდენიმე კაცი იქიდან წამოვედით.

— მედიტაციის დროს ტრანსს განიცდიდით?

— რა თქმა უნდა. ტრანსი ხედვებია უკვე. სხვა სამყაროში ხარ.

— თვითონ შავდია როგორ დაიტერესდა ოშოთი?

— შავდია რაგბისტი იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მერე იოგაზე დაიწყო ვარჯიში და აქედან გაიგო... ზუსტად მეც არ ვიცი.

სამათხი (ოშოს საფლავი)

— როგორი იყო თქვენი დღის რეჟიმი ინდოეთში, რას აკეთებდით?

— დილით ექვს საათზე იწყებოდა მედიტაციები. ათამდე სახეობისა იყო. რასაკვირველია, ყველას არ ვესწრებოდით. მედიტაციები დონეებით განსხვავდება ერთმანეთისგან. იყო დინამიკური მედიტაცია, ვარჯიში და კათარზისი ანუ სიჩუმე და თავის თავში ჩაღრმავება. ამის შემდეგ ყველანაირი აგრესიიდან თავისუფლდები. სხვათა შორის, იყო ფსიქოლოგიური მედიტაცია, რომელიც 3.000 დოლარი ღირდა. ჩვენ ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. როგორც გითხარით, იქ ძალიან მდიდარი ხალხი იყო ჩამოსული. ძირითადად, იყვნენ ამერიკელები, ინგლისელები და გერმანელები... ინდოელი ძალიან ცოტა იყო. ხშირად გაზეთებთან ერთად კონვერტი გვხვდებოდა ხოლმე, სადაც ფული იდო ანუ წყალობა. ერთხელ ასეთი წარწერითაც მივიღეთ 100 დოლარიანი: „ეს ფული მე არ მინდა, თქვენ გამოიყენეთ“. სხვათა შორის, მათი საქმიანობით გფბ-ც იყო დაინტერესებული. გფბ-ს ერთ თანამშრომელს, სახელად სემს, ისე მოეწონა იქაურობა, რომ ყველაფერი მიატოვა და იქ დასახლდა.

— რამდენადაც ვიცი, თქვენი ძმა — ვახტანგი იქ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...

— ჩვენ ჩამოვედით ინდოეთიდან, დათო შავდია, პაატა სხირტლაძე და სხვები ინდოეთში დარჩნენ. ერთი თვის შემდეგ ჩემმა ძმამ მითხრა, ისევ უნდა წავიდეო. იქ ერთი გერმანელი გოგო მოსწონდა. მითხრა, ის გოგო მიყვარს, ცოლად უნდა მოვიყვანო. ან ისევ დაბრუნდები, ან გერმანიაში დავსახლდებიო. ინდოეთში ჩასული — ორ კვირაში გარდაიცვალა, 1993 წლის 28 აგვისტოს. ეს — საბუთების მიხედვით და მე მხოლოდ ექვსი თვის მერე გავიგე — 13 თებერვალს. ამ დროს კი ინდოეთთან სატელეფონო ურთიერთობა მქონდა. მეუბნებოდნენ, შენი ძმა გასულია, იქ არის, აქ არის, კარგად არისო. ერთი სიტყვით, მიმალავდნენ.

— როგორ გაიგეთ ძმის გარდაცვალება?

— ინდოეთიდან ჩამოსულმა ერთმა გოგონამ მითხრა, — შენი ძმა გარდაიცვალა და გიმალავდნენო. მეორე დღესვე ფაქსი გავაგზავნე აშრამში. ეჭვი გამიჩნდა. ჩიტი ხომ არ მოკვდა, კაცი მოკვდა და ექვსი თვე არ მეუბნებოდნენ! 22 წლის იყო. ეს ჩვენთვის თავზარდამცემი ამბავი იყო. ფაქსი საკმაოდ კატეგორიული გამომივიდა. მოვითხოვე საბუთები, თუ არადა მთავრობას ჩავრევ... ექვსი თვე რატომ მიმალავდით-მეთქი... საბუთები და ჩემი ძმის ფერფლი რომ გამომიგზავნეს, ამის შემდეგ ის გერმანელი ქალი ჩამოვიდა, სუნა. მისგან გავიგე, რომ ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ სავანის ხელმძღვანელს უთქვამს შავდიასთვის: „ვიცი, თქვენს ქვეყანაში გვამის დაწვა არ ხდება, ხარჯებს მე გადავიხდი და გადაასვენონო“. შავდიას ჩემს დაუკითხავად უთქვამს, თითქოს მე თანახმა ვიყავი ძმის დაწვაზე... სუნამ რომ გაიგო, მე თანხმობა არ მიმიცია, წამოხტა და ნერვიულობისგან ოთახში დაიწყო სიარული... ჩემი ძმა ახოვანი იყო და პატარა ყუთით ფერფლი ჩამომიტანეს. საბუთებში კი ეწერა: „საავადმყოფოში შემოყვანილია დაგვიანებით“. დიაგნოზი კი ასეთი იყო: ყურის ანთების გამო ტვინში ინფექციის შეჭრა. საბუთების მიხედვით, ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ უშედეგოდ. სიმართლე რომ გითხრათ, ამ საბუთების არ მჯერა. სადაც ექვსი თვე დამიმალეს, ხომ შეიძლება საბუთებიც შეთითხნეს?!

— მას შემდეგ დათო შავდია არ გინახავთ?

— ბიჭები რომ ჩამოვიდნენ, კი არ მომისამძიმრეს და გვერდში კი არ ამომიდგნენ, ყველა გამირბოდა. შავდია ჩამოვიდა და მიმალავდნენ... იმხელა ტრავმა გადავიტანე, ახლაც მიჭირს საუბარი... მერე ვუთხარი მისიანებს, არაფერს დავუშავებ, უბრალოდ, ლაპარაკი მინდა-მეთქი. გამოვიდა. ჩავედით დიღმის ტყეში. ვკითხე, — რატომ დამიმალე-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ზღვაზე ორი ძმაკაცი მიდის, ერთი შეიძლება დაიხრჩოს, ამიტომ მეორე აღარ უნდა გამოჩნდეს?! მე რომ გამეგო, გავყიდდი სახლს და წავიდოდი. შავდიამ აქეთ დამიწყო ჩხუბი და წამოსცდა — რას მოდიოდა, თუ მედიტაციებს არ გაივლიდაო(?!)... თან მითხრა, — შემეშინდა, მისი სიკვდილი ჩემთვის არ დაგებრალებინათო. რომ ვკითხე, რითი დაიღუპა-მეთქი, ვერც ამაზე მიპასუხა. დაბნეულად და გაურკვევლად მპასუხობდა. ისიც კი თქვა — სამკურნალო იყო და იქ რას უშვებდიო. ჩემი ძმა აქედან ჯანმრთელი წავიდა. არაფერი ჭირდა... ლაჩარი ხარ-მეთქი, — ვუთხარი შავდიას — რა უნდა მექნა?

მერე დათო შავდია ისეთი პოპულარული გახდა, მთელი ტელევიზია მასზე საუბრობდა...

— პაატა სხირტლაძე რამდენი ხანი იყო ინდოეთში და ბოლოს როდის ნახეთ?

— ხუთი წელი იყო. და წელს, მარტში რომ ვნახე, მკვდრისფერი ედო სახეზე, გასაცოდავებული და არანორმალურის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვერ ვხვდებოდი, რა ჭირდა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ის მედიტაციები ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებდა და თუნდაც თქვენი ძმის გონებამ ვერ გაუძლო...

— არა. მე არ ვიცი, დათო შავდია რას აკეთებს, მაგრამ იქ, აშრამში, ხალხი დასასვენებლად ჩამოდიოდა... რა არის, იცით? ინდოეთში არის ძალიან დიდი სიცხეები. ჩვენს ხალხს იქ გაძლება ძალიან უჭირს. დღეში ექვსჯერ წყალს ვივლებდით და მერე საგანგებო მალამოებს ვისვამდით, კანი რომ არ დაგვსკდომოდა. ინდოელები გვეუბნებოდნენ, 6 თვეზე მეტი არ უნდა გაჩერდეთ აქ კლიმატის გამოო. პაატა კი 5 წელი დარჩა.

— რატომ ჩამოვიდა?

— ასე მითხრა, ჩემს სამშობლოში მინდა ყოფნაო.

— თქვენს ძმაზე არაფერი ჰკითხეთ?

— კი. ასე მითხრა, იქ ისეთი რაღაცები მოხდა, ყველაფრის თქმა არ შეიძლება, ვერ მოგიყვებიო... რა ვიცი მე, ვინ არის 8 წლის შემდეგ დათო შავდია? იქნებ აშრამის ნიღაბი ჰქონდა და სინამდვილეში სხვა ვინმე იყო?! იქაც რომ ჩავედით, შავდია ის თბილი პიროვნება აღარ იყო, როგორსაც ვიცნობდით. ჩვენ მისთვის უკვე ზედმეტნი ვიყავით. მე უფრო იმიტომაც წამოვედი... არავის არაფერს ვაბრალებ. მეც მაინტერესებს, რა მოხდა. ბოლოს და ბოლოს, ძმა მომიკვდა.

— სად არის ახლა შავდია?

— როგორც ვიცი, გერმანიაშია. იქაც არის ასეთივე ცენტრი... იქ გავლენიანი ქალი შეურთავს...

— ზემოთ რომ თქვით, სხირტლაძე არანორმალურის შთაბეჭდილებას ტოვებდაო, რას გულისხმობდით?

— გაფანტული აზროვნება ჰქონდა, რაღაც უცნაური გამომეტყველება. მტკივნეულია მისთვის ინდოეთის გახსენება და გაურბის საუბარს. როგორც ვიცი, იქიდან გერმანიაში წავიდა და ცოლიც მოიყვანა. ასე მითხრა, — ცოლმა მანქანა მიყიდაო. მე ვუთხარი, თუ იქ კარგად იყავი, აქ რაღა მოგარბენინებდა-მეთქი. რა ვქნა, თბილისში მინდა ყოფნაო...

გოგა გოგიშვილთან ინტერვიუმ თითქოს პაატა სხირტლაძის თემას დაგვაშორა, მაგრამ ოშოს მიმდინარეობა იმდენად ბუნდოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის, რომ შევეცადეთ, მცირეოდენი ინფორმაცია მაინც მიგვეწოდებინა მკითხველისთვის... სხირტლაძისა და ოშოს სამედიტაციო ცენტრის თემას კვლავ დავუბრუნდებით

მარინა მამისაშვილი

ახალი სასწაული ზუგდიდში

ღვთისმშობლის კვართზე უფლის გამოსახულება გამოჩნდა

ჯერ კიდევ ათი წლის წინ, ქრისტიანული სამყარო დუმდა ღვთისმშობლის კვართის ადგილსამყოფელზე. უბრალოდ, ამის შესახებ არაფერი იცოდა. სასწაულის ტოლფასი ეს საიდუმლო ზუგდიდში გაცხადდა, ღვთისმშობლის კვართი მისსავე წილხვდომილ ქვეყანაში, კერძოდ, ზუგდიდის დადიანების სასახლის კედლებში ესვენა. საბჭოთა დიქტატურის მარცხის შემდეგ ეს ამბავი პირველად საზოგადოებას აუწყა საგანძურის მცველმა ლილი ბერაიამ. ამის შესახებ „კვირის პალიტრამ“ შარშან ამცნო მკითხველს.

ზუსტად 2000 წლის მიჯნაზე ახალი სასწაული მოხდა. კვართზე იესო ქრისტეს გამოსახულება გამოჩნდა. მისი დანახვა მხოლოდ კინოობიექტივიდან გახდა შესაძლებელი. მეცნიერებს, ჯერჯერობით, ვერ ამოუხსნიათ — ეს ზეციური სამყაროს მინიშნებაა თუ ადამიანის ხელით შექმნილი. მკვლევარ გიორგი კალანდიასთან საუბარი სწორედ სიწმინდის ისტორიის შეხსენებით დავიწყეთ:

ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი კვართი

გიორგი კალანდია:

— მარიამ ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ ეს უდიდესი ქრისტიანული განძი გადაეცა ბერძნულ ეკლესიას. მას მონაზვნები იცავდნენ. მოგვიანებით, პალესტინაში მიმავალმა ბიზანტიის იმპერატორის ღევ დიდებულის ძმებმა კალვინმა და კანდიდმა საბერძნეთში, ერთ-ერთ დედათა მონასტერში დებისგან შეიტყვეს, კვართის სასწაულებრივი ძალის შესახებ, კერძოდ, ის სნეულს კურნავდა. იმ სენაკში, სადაც სიწმინდე განისვენებდა, უამრავი ავადმყოფი იწვა.

კანდიდს და კალვინს მოესურვათ, ხელში ჩაეგდოთ კვართი და პალესტინიდან მობრუნებულებმა ზუსტად ისეთი კიდობანი დაამზადს, როგორშიც ის ესვენა, ღამით კი შეცვალეს. ბიზანტიის იმპერატორი დიდი პატივით შეეგება კვართის მობრძანებას და საგანგებოდ აგებულ ვლაქერნის ღვთისმშობლის მონასტერში დაასვენა.

კვართი დაკარგულად ითვლებოდა. პირველი ცნობა მის შესახებ მე-5 საუკუნეში გამოჩნდა. მე-14 საუკუნემდე ყველა ისტორიული წყარო ადასტურებს, რომ კვართი ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლშია. ეს სიწმინდე სამეგრელოში მე-14 საუკუნის შემდეგ (ანუ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ) მუსულმანთა ტირანიისგან დასაცავად ერთ-ერთ არქიეპისკოპოსს ჩამოუტანია.

საქართველოში მოხვდა ღვთისმშობლის კვართის სარტყლის შუა ნაწილიც, რომელზეც წმინდა მარიამის ხელითაა ამოქარგული მისივე გამოსახულება. ერთ-ერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, იგი ბაგრატ მესამის მეუღლემ, ელენემ წამოიღო ბიზანტიიდან და ბედიის მონასტერში დაასვენა. შემდეგ კვართი დადიანების სასახლეში აღმოჩნდა, საიდანაც ხობის მონასტერში გადაუტანიათ... 1936 წელს, როცა ეკლესია-მონასტრებიდან ამოღებული სიწმინდეები მუზეუმებს გადასცეს, ღვთისმშობლის კვართი კვლავ დადიანების სასახლეს დაუბრუნდა.

— ღვთისმშობლის კვართზე იესო ქრისტეს გამოსახულება რამდენად შეიძლება ადამიანის ხელით იყოს შექმნილი?

— ქრისტეს სახე შარშან, ღვთისმშობლის კვართის გადაღებისას, კინოობიექტივით აღმოაჩინეს სტუდია „მემატიანის“ ოპერატორებმა — გურამ როგავამ და დავით ასათიანმა. ქრისტიანულ სამყაროს იესოს სამი ხელთუქმნელი გამოსახულება აქვს: ერთი — პირსახოცზე, სახეზე დაფარებისას აღბეჭდილი გამოსახულება, მეორე — ტურინის სუდარისეული და მესამე — ზუგდიდის კვართზე გამოჩენილი ხატი. სამოსელზე იესოს გამოსახულება ადამიანის ხელით შექმნილი რომ ყოფილიყო, ის შეუიარაღებელი თვალისთვისაც შესამჩნევი გახდებოდა.

— უპირველესად რას ელით მეცნიერული კვლევისგან?

საჭიროა ჩატარდეს სერიოზული მეცნიერული გამოკვლევები ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ლაბორატორიაში. ამისთვის აღებული უნდა იქნეს კვართის ქსოვილიდან 2 მილიგრამი მტვერი და ასაკის დასაზუსტებლად ჩაუტარდეს ნახშირბადული კვლევა. თუ დადასტურდება, რომ ის მართლაც 2000 წლისაა, ბუნებრივია, სადავოც ნაკლები იქნება. აუცილებელია ჩვენს მიერ გადაღებული ფოტოფირების ელექტრომიკროსკოპული და ბიოლოგიური კვლევაც.

— ღვთისმშობლის კვართის სასწაულებრივ ძალაზე ბევრი გადმოცემა არსებობს. რამდენად აისახა ეს ისტორიულ წყაროებში?

— პირველი სასწაული 632 წელს არის დაფიქსირებული. ცნობილია, რომ ღვთისმშობლის კვართმა ორჯერ გადაარჩინა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი სარაცინელთა და ეგვიპტელთა შემოსევების დროს. ერთხელ, სარაცინელებს სახელგანთქმული სარდლის მოავიას მეთაურობით 6 დღე ჰქონდათ ალყაში მოქცეული კონსტანტინეპოლი. პატრიარქმა ფოტიმ კვართი გამოიტანა და ზღვას შეახო, ხომალდები აღელვებულმა ტალღებმა შთანთქა...

ერთი სასწაული საქართველოში 1891 წელს დაფიქსირდა. ყაჩაღებმა ხობის მონასტრიდან კვართი გაიტაცეს. ისტორიულ წყაროებში წერია, რომ საძებნად მთელი ხობი და სამეგრელო ფეხზე დამდგარა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, 3 დღის შემდეგ, უეცრად კვართი ცისკრის ვარსკვლავით განათებულ ადგილას იპოვეს. სიწმინდე მონასტერში დაბრუნეს.

მე-17 საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქი მაკარი იერუსალიმის საპატრიარქოს სწერდა, — ბედნიერი ვარ იმით, რომ სამეგრელოში, წალენჯიხის მონასტერში ვიმყოფები, წინ მარიამ ღვთისმშობლის კვართი მიდევს და მას ვუყურებო. მაკარი ანტიოქიელმა ძვირფასი ქსოვილი დაადო კვართს, მის თარგზე ანალოგიური აჭრა და აკურთხა. ასლი, როგორც სიწმინდე, კონსტანტინეპოლში დღემდე ინახება.

ძალიან ბევრს ცდილობდნენ რუსი დიპლომატები — ალექსი იევლევი, ფედოტი ელჩინი, პავლე ზახარევი, თვით ივანე მრისხანეც, რომ კვართი სამეგრელოდან რამენაირად გაეტანათ. რუს ელჩებს პირდაპირი მითითებები ჰქონდათ, ყველა ღონე ეღონათ, მაგრამ სიწმინდის გატანა ვერ შეძლეს.

— შესაფერის პირობებში ინახება თუ არა კვართი?

— არ არის სწორი, რომ ღვთისმშობლის კვართი არ შეიძლება მუზეუმში ინახებოდესო.

ერთ-ერთ ისტორიულ წყაროში პირდაპირ წერია, რომ კვართის ნახვა მთავრის უნებართვოდ არავის შეეძლო. ამდენად, სამართალმემკვიდრე ზუგდიდის დადიანების სასახლეა. ყველა ისტორიული წყარო აღნიშნავს, რომ კვართის ნახვა შეეძლო მხოლოდ იმპერატორს, ისიც მხოლოდ და მხოლოდ სამჯერ განბანვის შემდეგ. ეს ძალიან დიდი პატივი იყო. ამ ეტაპზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით, საერთოდ აიკრძალა მისი ყოველგვარი გადატანა. დღეს ის კვლავ ამ ადგილას ასვენია, რომელსაც მის პატივსაცემად ღევან დადიანმა ქალწულისეული კოშკი უწოდა და ინახება მისთვის საჭირო ტემპერატურის პირობებში.

შეგახსენებთ, რომ ტურინის იესო ქრისტეს სუდარის ჩვენების უფლებას ვატიკანის მუზეუმი 10 წელიწადში ერთხელ იძლევა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენთანაც ზუსტად იგივე უნდა მოხდეს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: დღევანდელ პირობებში კვართის წელიწადში ერთხელ გადმოსვენებაც საჭოჭმანოა. ვისაც მომლოცველობა სურს, შეუძლია იქვე, ღვთისმშობლის კვართის საცავიდან ახლოს, ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიაში მივიდეს. ხოლო ღვთისმშობლის კვართი თუ მხოლოდ სამთხვევად გვინდა, 2-3 წელიწადში შეიძლება ეს უნიკალური ქრისტიანული განძი დაშლილი და დაქუცმაცებული შეგვრჩეს ხელში.

პ.ს. ღვთისმშობლის კვართზე იესო ქრისტეს გამოსახულების დაფიქსირების შემდეგ ინტერესი და ლტოლვა სიწმინდის სანახავად დღითიდღე იზრდება. აქ მოდიან უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანები. ჩამოდიან უცხოელებიც, რომელთაც სურთ საკუთარი თვალით იხილონ სამოსელი, რომელიც ქრისტეშობის ღამეს მარიამ ღვთისმშობელს უნდა სცმოდა... რაღაცით თავს გამორჩეულად მიიჩნევენ ზუგდიდელებიც, რომელთაც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაშივე ერგოთ ასეთი ხვედრი...

რუსუდან მიქელაია

მაინც ვის სჭირდებოდა ზურაბ აჩბას სიკვდილი?!

ტერაქტები და პოლიტიკოსების სიცოცხლის ხელყოფა ან ამის მცდელობა არც თბილისისთვისაა უცხო და იშვიათი მოვლენა. ასეთ ამბებს ყოველთვის პრესასა და საზოგადოებაში ატეხილი აჟიოტაჟი და „ენერგიულად“ დაწყებული (მხოლოდ დაწყებული)გამოძიებები ახლავს ხოლმე.

გასულ თვეში აფხაზური პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურის — ზურაბ აჩბას მკვლელობა, ჩვენდა გასაკვირად, არცთუ დიდი ხმაურის მიზეზი გახდა — რამდენადაც სოხუმში გამომავალ პრესასა და იქაური რადიოს გადაცემებზე მიგვიწვდება ხელი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოხუმში ამ საქმის მიფუჩჩებას ცდილობენ. ვინ იყო ზურაბ აჩბა, რა როლს თამაშობდა იგი დღევანდელ აფხაზეთში და ვის შეიძლებოდა ნდომებოდა მისი თავიდან მოშორება?! — ამ კითხვებით მივმართეთ ბატონ **ირაკლი შენგელაიას,** *საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, რომელიც რამდენჯერმე შეხვედრია ზურაბ აჩბას თბილისსა და სოხუმს შორის არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით:*

— ზურაბ აჩბას სულ სამჯერ შევხვდი. პირველად თბილისში, 1989 წელს, სპორტის სასახლეში ჩატარებულ ეროვნული ფორუმის ყრილობაზე. მაშინ იგი აფხაზების პირველი სეპარატისტული ორგანიზაციის — „აიდგილარას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ვერ ვიტყვი, რომ ქართველთა მიმართ მისი პოზიცია მაშინ უფრო ლოიალური იყო, ვიდრე აფხაზ სეპარატისტთა სხვა ლიდერებისა, მაგრამ მასთან ლაპარაკი მაინც შეიძლებოდა, კითხვაზე პასუხს მაინც გაგცემდა და თავის მოსაზრებას გარკვეულ არგუმენტსაც დაურთავდა. იმ ყრილობაზეც დაუფარავად განაცხადა, რომ აფხაზეთს „მეტი დამოუკიდებლობა“ სურდა. ალბათ გახსოვთ, მაშინ ძალზე აქტიურად ცდილობდა საკავშირო ხელისუფლება ე.წ. „ახალი სამოკავშირო ხელშეკრულების“ პოპულარიზაციას. აჩბაც დაახლოებით ამგვარ ურთიერთობას გვთავაზობდა აფხაზეთსა და საქართველოს შორის. ეს აზრი მან კიდევ უფრო განავრცო ჩვენი მეორე შეხვედრისას 1991 წელს, სოხუმში. მთავარი იმ საკავშირო ხელშეკრულების პროექტში, რომელსაც მოსკოვი სთავაზობდა რესპუბლიკებს, მხარეებს შორის უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა გადანაწილება იყო და ცენტრის მხრიდან ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში რესპუბლიკას კავშირიდან გასვლის უფლება უნდა ჰქონოდა.



აჩბასთან მესამედ შეხვედრა ისევ სოხუმში მომიხდა, ომის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე. იგი აქტიურად საუბრობდა ფედერალურ პრინციპზე, საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობაზე — ორსუბიექტიანი ფედერაციის შექმნაზე. თუმცა მახსოვს, რომ ჩემს შეკითხვაზე — აჭარამაც რომ ცალკე მოინდომოს ამ ფედერაციაში შემოსვლა, აფხაზეთს რა პოზიცია ექნებამეთქი, გარკვეული პასუხი ვერ გამცა.

მახსოვს, იმ შეხვედრისას აჩბამ 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია და 1918-21 წლების საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებასა და აფხაზეთის სახალხო კრებას შორის დადებული ხელშეკრულება მომცა — თბილისთან დახლოებით ამგვარი პრინციპის ურთიერთობას ქადაგებდა.

როგორც გითხარით, — უკვე დაძაბული, ომისწინა სიტუაცია იყო და სხვა აფხაზი ლიდერებისგან განსხვავებით, აჩბა უფრო საღად აფასებდა მოვლენებს: ომი ჩვენ გაგვანადგურებსო — ამბობდა.

სამწუხაროდ, მისი კონფლიქტი მმართველ კლანთან ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ დამთავრდა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ომში აფხაზების „გამარჯვება“ და ე.ი. რუსეთის მიერ ფსონის არძინბას დაჯგუფებაზე გაკეთება იყო. აჩბა გამოკვეთილ ოპოზიციონერად ჩამოყალიბდა და აფხაზეთში აღარ დაედგომებოდა — იგი მოსკოვში წავიდა.

სხვათა შორის, მოსკოვში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გარეშე აფხაზეთის არსებობა წარმოუდგენელია.

ეჭვი არ მეპარება, რომ იმ ხუთ წელიწადში, რომელიც მან მოსკოვში დაყო, მას იმ პოლიტიკურ წრეებთან და აფხაზ „ემიგრანტებთან“ ჰქონდა მჭიდრო კავშირი, რომლებსაც გარკვეული ინტერესები აქვთ აფხაზეთში და იმედი მაქვს, ამ ინტერესების გარკვეული თანხვედრა ხდება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან. ორი წლის წინ ალბათ აჩბა სწორედ იმ წრეებმა გამოაგზავნეს აფხაზეთში, რომლებიც საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მითი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ, მართლაც მითი ყოფილა და მეტი არაფერი.

მისი ამ „მისიის“ ნაწილი უნდა ყოფილიყო ალბათ, ახალი ორგანიზაციის — „აღორძინების“ შექმნაც, რომლის ყრილობაზეც აჩბამ უკვე ღიად განაცხადა არძინბასთან დაპირისპირების შესახებ.

ცხადია, პირდაპირ ხელს ვერავის დაადებ, მაგრამ ის, რომ არძინბას კლანს ხელს აძლევდა ზურაბ აჩბას სიკვდილი — უდავო ფაქტია.

P.S. *ჩემი მხრიდან ერთს დავამატებ: 1993 წლის გაზაფხულზე, პეტერბურგში რუსეთის ადვოკატთა ასოციაციის წევრებთან მომიხდა შეხვედრა, რომელთა შორის ორნი, ზურაბ აჩბას მეგობრები და თანაკურსელები აღმოჩნდნენ (აჩბას იქ ჰქონია იურიდიული ფაკულტეტი დამთავრებული). ისინი გაოცებული იყვნენ აჩბას სეპარატისტობით, რადგან, მათი თქმით, იგი ყოველთვის ხაზგასმული სიამაყით აღნიშნავდა თურმე: „Я Анчабадзе - Грузинский Князь“.*

სხვათა შორის, ის დედითაც ქართველი იყო.

ზვიად გურული

ქართველი ძიუდოისტებით მოხიბლულმა ოსტატმა ჩვენი მოსახლეობის აღწერაში მილიონი დადეიხადა...

მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან გვახსოვს, შესაძლოა, საქართველოში გაცილებით თანამედროვე მოსახლეობისა და იურიდიულ პირთა იდენტიფიკაცია-პერსონიფიკაციის კომპიუტერული სისტემის დანერგვამ შეცვალოს. 60 მლნ დოლარად შეფასებული პროექტის განხორციელებას დიდი იაპონური კომპანიები კერძო ინვესტიციების მეშვეობით აპირებენ. პროექტზე აქტიური მუშაობა ოქტომბრიდან დაიწყება და, სავარაუდოდ, 3-5 წელიწადში ულტრათანამედროვე სისტემის შექმნით დასრულდება.

უკანასკნელი, 1998 წელს დაგეგმილი საქართველოს მოსახლეობის აღწერა ბიუჯეტიდან აუცილებელი დაფინანსების მიუღებლობამ ჩაშალა, თუმცა ბევრს აღეძრა ეჭვი, რომ სინამდვილეში, მოახლოებული არჩევნების წინ სიებიდან „მკვდარი სულების“ ამოგდება არავის აძლევდა ხელს. ამჟამად კი, იდენტიფიკაცია-პერსონიფიკაციის სისტემის შექმნას უმაღლესმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირეს, მით უმეტეს, რომ მისი არსებობა ევროკავშირში გაწევრების მსურველი ქვეყნებისთვის წაყენებული 40 უმთავრესი მოთხოვნის პირველ ათეულში შედის. სისტემის მონაცემთა ბაზაში საქართველოს ყველა მოქალაქის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია დაფიქსირდება. გვარის, სახელის, დაბადების თარიღისა და ადგილის, სქესის, თითის ანაბეჭდების, ოჯახური მდგომარეობის, განათლებისა და საჯარო ინფორმაციის სხვა უამრავი რეკვიზიტის გარდა, კომპიუტერულ სისტემაში დახურული ინფორმაციაც შევა (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა), რომელიც თავად პიროვნების თანხმობის გარეშე, სხვებისთვის მიუწვდომელი იქნება. თითოეულ მოქალაქეს პერსონალური კოდირებული საიდენტიფიკაციო ბარათი ექნება, რომელიც სისტემაში მის შესახებ არსებული ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს.

იგივე შეეხება იურიდიულ პირებს (საწარმოები, ორგანიზაცია-დაწესებულებები). ამ ფაქტს საქართველოსთვის, სადაც აღურიცხაობა ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სისტემაში ოპერატიულად შევა ინფორმაცია ამა თუ იმ ფირმის მიერ წარმოებული საბაჟო ოპერაციების, ბიუჯეტთან მისი ანგარიშსწორებისა და სხვა ეკონომიკური საკითხების შესახებ.

სისტემის შექმნისთვის საქართველოს მასშტაბით კომპიუტერული ქსელის აგებაა აუცილებელი. ქვეყნის 81 რაიონიდან თითოეულს ორ-ორი სერვერი (ერთის დაზიანების შემთხვევაში, მას მეორე ჩაენაცვლება) მოემსახურება. 162-ვე სერვერი კი თავს თბილისში მოიყრის. სხვადასხვა უწყებიდან პერმანენტულად შემავალი ინფორმაციის წყალობით, სისტემა მუდმივად მზარდი იქნება და ამასთან მუდმივად განახლდება.

მართალია, იდენტიფიკაცია-პერსონიფიკაციის კომპიუტერული სისტემა საქართველოს სახელმწიფო საკუთრება იქნება, მაგრამ მისი შემქმნელი იაპონური კომპანიები ინვესტიციების ამოსაღებად მოგების მიღებაზე იზრუნებენ. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად კაბელურის ნაცვლად, რადიოსარელეო, ანუ რადიომოდემური კავშირი გამოიყენება. ამისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადამცემი ანძები დაიდგმება, რომელთა გამოყენება სხვა სახის (მაგ. მობილური) კავშირგაბმულობისთვისაც იქნება შესაძლებელი.

პიროვნების იდენტიფიკაცია-პერსონიფიკაციის კომპიუტერული სისტემის შექმნის იდეა საქართველოს ინფორმატიზაციის დეპარტამენტში წარმოიშვა, მაგრამ იაპონელთა დახმარების გარეშე, მწირბიუჯეტიანი საქართველოსთვის მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. იაპონური ფირმების ყურადღება კი აღნიშნულ პროექტს იაპონურ-ქართული ასოციაციის თავმჯდომარემ, კოჯი ოსავამ მიაპყრო. საქართველო ოსავამ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გაიცნო, მაშინ, როცა ქართველ ძიუდოისტთა ოსტატობით მოიხიბლა. ცნობილმა მოჭიდავეებმა, ხახალეიშვილმა და ჩოჩიშვილმა მისი მიწვევითა და პატრონაჟით იაპონიაში ექვსთვიანი სპეციალური მომზადება გაიარეს. ქართველ სპორტსმენებს ოსავა ამჟამადაც ეხმარება: საქართველოს ოლიმპიური ნაკრები სიდნეის ოლიმპიადაზე მის მიერ ნაჩუქარი სპორტული ეკიპირებით წარდგება. 1993 წელს კი კოჯი ოსავამ საქართველოს პრეზიდენტისგან რწმუნებათა საგანგებო სიგელი მიიღო, რომლის ძალითაც მას იაპონიაში საქართველოს სახელით მოქმედების უფლება მიენიჭა.

იდენტიფიკაცია-პერსონიფიკაციის კომპიუტერული სისტემის საბაზო ინფორმაციით უზრუნველსაყოფად, ჩვეულებრივი აღწერის ჩატარება მაინც აუცილებელია. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მოსახლეობის აღწერა 2001 წლის 17 იანვარს უნდა დასრულდეს. ოსავამ საქართველოს 1 მლნ დოლარი აჩუქა აღწერის ჩასატარებლად, სულ კი, დაახლოებით, 5-6 მლნ ლარია საჭირო.

კომპიუტერული სისტემის დანერგვა, ალბათ, საქართველოს ერთ-ერთი, შერჩეული რეგიონიდან დაიწყება. არსებობს ვარიანტი, რომ კომპიუტერულმა ქსელმა ჯერ აეროპორტები, ნავსადგურები, საბაჟო გასასვლელები მოიცვას, შემდეგ კი ქვეყნის შინაინფრასტრუქტურაშიც დაინერგოს. გასახორციელებელი ვარიანტი მალე უნდა შეირჩეს. თუმცა, პროექტის შესრულებას, საქართველოშივე, შესაძლოა, ფინანსურის გარდა, სხვა სახის პრობლემებიც შეექმნას. საქმე ის არის, რომ იდენტიფიკაცია-პერსონიფიკაციის სისტემა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას, კონტრაბანდის შემცირებას, „მკვდარი სულების“ გაშიფვრას და ეკონომიკის მართლაც რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით დაგეგმვას უზრუნველყოფს, შესაძლოა, ბევრს არ აძლევდეს ხელს.

გვანცა კვინიკაძე

ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ „ᲓᲐᲘᲙᲐᲜᲝᲜᲔᲡ“?!

„პრივატიზებული“ ობიექტები სახელმწიფოს დაუბრუნდება...

როგორც ჩანს, მოუხელთებელი და ჯერ-ჯერობით უძლეველი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინი ხელისუფლებას ახალი ინიციატივებისაკენ უბიძგებს. გასულ კვირას ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის „გამხმოვანებელი“ მმართველი პარტია გახდა — არასწორად პრივატიზებული ქონება სახელმწიფოს უბრუნდება და გადაისინჯება ქონებრივი დეკლარაციების ინფორმაციებიო.

ამ კონტექსტში ამოტივტივდა ე.წ. „სინგაპურის კანონიც“, რომლის ავანჩავანიც დღეს საქართველოში ცოტამ თუ იცის. სინგაპურელების კანონში გაურკვევლობამ დააფრთხო საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც აღარ სჯერა, რომ ჩვენს თავს რამე სასიკეთო მოხდება. მათ ხელისუფლებიდან „ჩამოწოდებული“ ნოვაცია ქონების ნაციონალიზაციად და „განკულაკებად“ აღიქვეს. მოსალოდნელი დეპრივატიზაციის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა არც მცირე ქონების პატრონები დატოვა გულგრილი. მავანნი პრივატიზებული საცხოვრებელი ბინების ხელახალ პრივატიზაციაზეც ალაპარაკდნენ.

სინგაპურელების გამოცდილებაში გასარკვევად სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრს მიხეილ უკლებას მივაკითხეთ, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, ჩვენი ორიენტირი — სინ-

გაპურელების კანონი — საფუძვლიანად ჯერ არც ქონების მართვის მინისტრს შეუსწავლია, თუმც მისი არსი იცის — თანამდებობის პირებს ეკრძალებათ მათ დაქვემდებარებაში მყოფ სფეროში არსებული ობიექტების პრივატიზება და კომერციული საქმიანობა.

ქონების მართვის სამინისტროს უკანონოდ და არასწორად შედგენილი ხელშეკრულებებით პრივატიზების გამო 55 საქმე აქვს სასამართლოში „გასარჩევი“, მათგან რამდენიმე საკმაოდ სკანდალური და ხმაურიანია.

მიხეილ უკლება: 1992 წლიდან დაწყებული პრივატიზაციის შედეგად 5582 ობიექტია პრივატიზებული. ფაქტობრივად, დასრულებულია მცირე და საშუალო ობიექტების პრივატიზება. განსახელმწიფოებრივებულია რამდენიმე მსხვილი, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტიც. უცხოელები 1995 წლამდე მძიმე საინვესტიციო გარემოს (სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთის ომი...) გამო ერიდებოდნენ დიდი ფულის ჩადებას ჩვენს ეკონომიკაში. ახლა მიმდინარეობს მსხვილი ობიექტების პრივატიზება, რისთვისაც დიდი ინვესტიციებია საჭირო. ზოგჯერ გვსაყვედურობენ, რომ ობიექტებს ძალიან იაფად ვყიდით, მაგრამ არ ითვალისწინებენ ზოგიერთ ნიუანსს, მაგალითად, ვთქვათ, თბილისში იყიდება ოპერის თეატრი, ასეთივე თეატრები იყიდება პარიზსა და ქაბულში. დასახელებულ ქვეყნებში ამ ობიექტზე სხვადასხვა მოთხოვნა იქნება და შესაბამისად განსხვავება იქნება ფასშიც. 100 მლნ დოლარად ოპერის თეატრი თბილისში ვერ გაიყიდება, მაგრამ პარიზში შეიძლება გაიყიდოს.

როცა საქართველოს საზღვრებს ბომბავენ, ჩვენს მეზობელ ჩეჩნეთში არეულობაა, ძნელია ინვესტიციების მოზიდვა. სტრატეგიული ობიექტი რესტორანი ან მაღაზია ხომ არ არის, რომ 100 ათასი დოლარი ჩაიდოს და თუ არ გაამართლებს, კომპანია მაინც არ დაინგრეს. ინვესტორი, რომელიც საქმეში 100 მლნ დოლარს დებს, ბუნებრივია, ფრთხილობს.

— დიდი მითქმა-მოთქმა იყო თბილსრესის მე-9 და მე-10 ბლოკების გამო. ამბობდნენ, რომ ეს ობიექტი 5 მლნ დოლარად გაიყიდა.

— ამერიკელებმა 5 მლნ დოლარი ნაღდი ფული გადაიხადეს და ივალდებულეს 80 მლნ დოლარი საგარეო ვალის გადახდა. ეს ვალი ხომ საქართველოს უნდა გადაეხადა. ე.ი. ობიექტი 85 მილიონად გაიყიდა და არა 5 მილიონად.

— თქვენ წარმატებულად მიგაჩნიათ ენერგეტიკაში განხორციელებული პრივატიზაცია, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ განსახელმწიფოებრიობამ დაანგრია ზოგი საწარმო, ქვეყანას ეკონომიკური ზარალი მიაყენა და ვერ დაასაქმა მუშახელი. ამის მაგალითად რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ჭიათურმანგანუმი და მადნეულიც იკმარებდა.

— „მეტალურგ ოილ გაზ ინვესტს“ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აქციების 51% გადაეცა ათი წლით მართვის უფლებით, რომლის თანახმად, 5 წლის განმავლობაში უნდა განეხორციელებინა 50 მლნ დოლარის ინვესტიცია, მაგრამ რადგანაც „მეტალურგ ოილ გაზ ინვესტმა“ ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებები, კომპანიას დაეკისრება ჯარიმა (ინვესტიციების ჯამური მოცულობის 5%). გაუქმდება ხელშეკრულება და გამოცხადდება ახალი „კვარციტთან“ დაკავშირებით. პარალელურად მუშავდება ახალი ხელშეკრულება, სადაც ქართული მხარის ინტერესები იქნება დაცული. აქ პრობლემა წარმოიშვა არასწორად დადებულმა ხელშეკრულებამ.

— არასწორი ხელშეკრულება არცთუ უნებლიე შეცდომად მოჩანს, ვარაუდობენ, რომ ის აქ ვილაცის ინტერესების გამო „მიაფუჩეჩეს“.

— მე ქონების დაცვის მინისტრი ვარ და არა სამართალდამცავი ორგანო ან კონტროლის პალატა. შარშან აპრილში ვთხოვეთ რეზო შავიშვილს ამ საკითხის შესწავლა. მაგრამ სხვა თემაა, მოგვატყუა თუ არა უცხოელმა ინვესტორმა. არასწორად, უპასუხისმგებლოდ გაფორმებული ხელშეკრულება ოქროს ფასად გვიჯდება (სწორედაც!). წავა უცხოელი, გიჩივლებს — ან დაგიყადაღებენ ქონებას ან გაგიკოტრებენ საწარმოს და ვალებში გაგიყიდიან, ან კიდევ სახელმწიფო იქნება იძულებული, დიდი თანხები იხადოს. ეს სასამართლო პროცესებიც საკმაოდ რთულია. ჩვენ და უცხოელები არ ვართ ერთნაირ პირობებში. იურისტს ჩვენ რაღაც 200 ლარს ვუხდით. უცხოელი კი ისეთ ადვოკატს დაიქირავებს, რომელიც საათში იღებს 1000 ლარს. ჩვენ იურისტების ძლიერი გუნდი შევკრიბეთ, მაგრამ მაინც ძალზე უთანასწორო ბრძოლა გვაქვს.

— ხელახალი პრივატიზაციის თემამ ბევრი ააფორიაქა. კონკრეტულად რას გულისხმობს ეს პროცესი?

— გნებავთ სინგაპურის გამოცდილება დაარქვით, გნებავთ ნებისმიერი სხვა ქვეყნისა — უკანონობა და დანაშაულებრივი ქმედება უნდა აღიკვეთოს. მაგალითად, მინისტრმა არ უნდა მოახდინოს იმ სფეროში პრივატიზება, სადაც მუშაობს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ის, რაც უკანონოდ არის „პრიხვატიზებული“, ხელახლა უნდა გავიდეს ტენდერზე, მაგრამ ეს არ უნდა გაიგონ, როგორც ნაციონალიზაცია და ინვესტორებს გული არ უნდა გაუსკდეთ.

— თქვენ, ქონების მართვის მინისტრს, არ გაქვთ პრივატიზებული ობიექტი საკუთრებაში?



ქართველი ჩინოვნიკების შესაძლო არაგულწრფელობის გამო მათი (სხვის(!) სახელზე) უცხოეთში შეძენილი მსგავსი ვილები, იქნებ ქონებრივი დეკლარაციების მიღმაც დარჩეს.

— მინისტრმა პრივატიზებაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. მე, რომელიც პრივატიზებას ვხელმძღვანელობ, არაეთიკურად და არასამართლებრივად მოვიქცევი, თუ ჩავერთვები ამ პროცესში (სანამ მინისტრი ვარ), იმიტომ, რომ გამოვა გამყიდველიც მე ვიქნები და მყიდველიც. ქონების მართვის სამინისტროს არსად არა აქვს აქციები.

— ბევრი შიშით ელის, რომ პრივატიზებული ბინების ხელახალი გაპრივატიზება დაიწყება.

— არა, ეს არ მოხდება. გადაიხედება უკანონო პრივატიზაციის შემთხვევები, რომელთაც სამართალდამცავი ორგანოები აღმოაჩენენ. ბოლო დროს წამოიწია სამთავრობო აგარაკების პრივატიზაციის თემამ. ორი წლის წინ თანამდებობის პირებმა და პარლამენტარებმა უკანონოდ განახორციელეს სამთავრობო აგარაკების პრივატიზება, თითოეულ ფაქტს შევისწავლით და კანონთან შესაბამისობაში მოვიყვანთ.

— აქედან გამომდინარე, მართლაც ბევრი თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია შეიცვლება.

— მე ჩემს დეკლარაციაზე ვაგებ პასუხს.

გვინდა დავიჯეროთ, რომ ხელისუფლების მიერ „წამოწეული“ ქონებრივი დეკლარაციების თემა თვითგანწმენდის სურვილით არის ნაკარნახევი და არ იქცევა ფუჭი მითქმა-მოთქმის საგნად. საქართველოში მცხოვრები 4 ათასამდე დეკლარანტის (თანამდებობის პირის) ქონებას და მისი დაგროვების გზებს ალბათ საფუძვლიანად შეისწავლიან. როგორც თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ ნუნუ ოვსიანიკოვამ გკითხრა, დეკლარაციის ანალიზი მისი სამსახურის კომპეტენციაში არ შედის. სავარაუდოა, რომ ამ საკითხს ანტიკორუფციული კომისია მიხედავს. ბიურო არც სტატისტიკურ მონაცემებს ფლობს. მაგ., ვერ შევიტყვეთ ყველაზე მდიდარი და ყველაზე ხელმოკლე დეკლარანტის ვინაობა. მაგრამ დეკლარაციების გაცნობისას პარადოქსი აღმოვაჩინეთ — ადამიანები, რომლებიც „ქერის ორმოში“ გვეგონა, არც ისე მდიდრები ყოფილან, ხოლო უცნობ და წვრილ მოხელეს მარტო ჯიბის ფულად ჰქონია 2 ათასი დოლარი. გამოვიყენეთ კანონით მონიჭებული უფლება და გავეცანით რამდენიმე ჩინოსნის ქონებრივ და საფინანსო დეკლარაციას. მაგ., შს მინისტრის ოჯახს 5 ბინა აქვს. ორი — 70 ათას დოლარიანი თბილისში, ერთი — 56 ათასიანი წყნეთში, 6 ათას ლარიანი სახლი ბათუმში და ერთი 5 ათას ლარიანი — მიწის ნაკვეთი თბილისში, საბაღე სახლით. შს მინისტრს ანგარიში მოსკოვის „ელბიმბანკში“ აქვს გახსნილი და 14.600 დოლარის მფლობელია.

თურმე ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარეს მიხეილ საკაშვილს ცოლის სახელზე აქვს 100 ათას ლარიანი ბინა. ამასთანავე ჰყავს 3.500 ლარიანი „ნივა“. ბ-ნ მიშას უცხოეთში აქვს ორი მოკრძალებული ანგარიში. პარიზის ბანკში — 15 დოლარი, ხოლო ნიუიორკში — 50 დოლარი და კიდევ, უნდა ვთქვათ, რომ საკაშვილს ცოლი ინახავს. რადგან ქ-ნ სანდრა რულოვსის ხელფასი — 1.500 დოლარი — ძალზე სოლიდურად გამოიყურება ფრაქციის თავმჯდომარის ხელფასის — 350 ლარის ფონზე.

ჩვენ მიერ გაცნობილი რამდენიმე დეკლარაციიდან ყველაზე ძვირად ღირებული სახლები პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ზაზა სიორიძეს აღმოაჩნდა. როგორც თავად წერს, მისი სახლი მცხეთაში 260 ათასი ლარი ღირს, ხოლო თბილისური ბინა — 190 ათასი ლარი. შევიტყვეთ, რომ ბ-ნ ზაზას ყველა ანგარიში საქართველოში აქვს გახსნილი და ქველმოქმედებასაც ეწევა — ამ მიზნით 8.500 ლარი აქვს დახარჯული.

იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის ბინა თბილისში 140 ათასი ლარი ღირს, გარდა ამისა, მას აქვს 17 ათას ლარიანი მიწის ნაკვეთი თბილისში, 6.500 ლარიანი ავტომანქანა, 7.500 ლარიანი ავტოფარეხი, 90 ათას ლარიანი აგარაკი შინდისში და ბოლოს, არის უძვირფასესი ნივთის — 5 ათას ლარიანი სანადირო თოფის მფლობელი. გავიგეთ ისიც, რომ იუსტიციის მინისტრის მეუღლე სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ და შპს „დივაისის“ პარტნიორი ყოფილა.

პრეზიდენტის მიერ კორუმპირებულად მონათლული ტრანსპორტის სამინისტროს შეფის მერაბ ადეიშვილის დანაზოგიც გაერთიანებულ ქართულ ბანკში ძალზე მოკრძალებულია — 28.000 ლარი. ბინა კი ძალზე იაფი — 40 ათას ლარად ღირებული.

უმრავლესობის ლიდერს ნიკო ლეკიშვილს თბილისში 100 ათას ლარიანი ბინა აქვს. მეორე, მშენებარე 50 ათას ლარად ღირებული ბინის მფლობელი მისი მეუღლეა. ლეკიშვილების უძრავ ქონებას 25 ათასიანი „ვოლვო“ და 5 ათას ლარიანი ძველებური ოთახის საათი შეადგენს. ბ-ნი ნიკოს მეუღლე მელანო ტორონჯაძე „ექსპორტიმპორტბანკისა“ და ს.ს. „კავკასიონის“ აქციების მფლობელია. ლეკიშვილებს „დრეზდენ ბანკში“ ევრობარათზე 41247,71 მარკა აქვთ. საქართველოს ბანკის საერთაშორისო ბარათზე 33440,02 დოლარი, საქართველოს ბანკის დეპოზიტურ ანგარიშზე 100 ათასი დოლარი, თბს ბანკის ანგარიშზე კი 1558,24 დოლარი.

გენპროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის ყველაზე „ღირებული“ ქონება 150.000 ლარიანი სახლია საგარეჯოში. მისი ორი ბინა თბილისში 25 და 30 ათასი ლარი ღირს.

პარლამენტის თავმჯდომარის ოჯახს თბილისში ორი ბინა აქვს 80 და 50 ათას ლარიანი (დედის და ცოლის სახელზე), ბ-ნი ზურაბის სახელზე კი 30 ათასიანი მცხეთის აგარაკია. როგორც ჩანს, ჟვანია გაერთიანებული ქართული ბანკის მეანაბრეა, მის ანგარიშზე 7980,15 აშშ დოლარია. ბ-ნ ზურაბს დეკლარაციაში არც საჩუქრების მითითება დავიწყნია. 1000 ლარიანი ხალიჩა მისთვის თვით ჰეიდარ ალიევს უჩუქებია, 1000 ლარიანი ლეკვი და 700 ლარიანი „ვეფხისტყაოსანი“ კი, ალბათ, მეგობრებს.

ქონებრივი დეკლარაციების გაცნობის შემდეგ რამდენიმე კითხვით **ნუნუ ოვსიანიკოვას** *მივმართეთ.*

— რამდენად კეთილსინდისიერები და გულწრფელები არიან დეკლარანტები დოკუმენტების შევსებისას და თუ არსებობს რაიმე მექანიზმი, რაც დეკლარაციაში უზუსტო ინფორმაციის შეტანის ალბათობას შეამცირებს?

— დეკლარაციის უტყუარობაზე დეკლარანტი აგებს პასუხს. დეკლარაციაში შეგნებულად არასწორი ინფორმაციის ჩაწერა სისხლის სამართლის დანაშაულია. ამიტომ დეკლარანტი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული სწორი ინფორმაცია მიუთითოს.

— მაგრამ ხომ ხშირია, რომ ამა თუ იმ პირს ქონება ნათესავ-მეგობრების სახელზე აქვს გაფორმებული.

— დეკლარანტი ვალდებულია დეკლარაციაში მიუთითოს ქონება, რომლის ღირებულება 5 ათას ლარზე მეტია. საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის თანახმად ფიზიკური პირი, რომლის ხარჯი წელიწადში 25 ათასი ლარია, ვალდებულია, შეავსოს საშემოსავლო დეკლარაცია. აქედან გამომდინარე, უნდა მიუთითოს, საიდან აქვს ეს ქონება.

— საიდუმლო გრაფაში რა სახის ინფორმაცია შეაქვს დეკლარანტს?

— ეს არის კატეგორია — სახელმწიფო საიდუმლო. იგი გულისხმობს ისეთ საფინანსო ქონებრივ შემოსავალს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოსთან. ზოგჯერ ამ გრაფაში შეაქვთ ისეთი ინფორმაცია, რაც არ არის სახელმწიფო საიდუმლო (მაგ., ამა თუ იმ ბანკში რიცხული თანხა). ასეთ ინფორმაციაზე კეთდება დასკვნა და ხდება მისი გასაჯაროება. უწინდელი კანონმდებლობით აკრძალული იყო გარკვეული ინფორმაციის გავრცელება და ტირაჟირება. ამჟამად, ადმინისტრაციული კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული გავრცელების ინფორმაცია გაუქმდა. დეკლარაციის ყველა მონაცემი, საიდუმლოს გარდა, საჯაროა და შეგიძლიათ ყველა მისი მონაცემის გამოქვეყნება. ზოგი თანამდებობის პირი უკამყოფილებას გამოხატავს, რომ ხდება მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება, მაგრამ მათი პრეტენზია უსაფუძვლოა. საჯარო სამსახურის ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონის თანახმად, ამგვარი ინფორმაციები საჯაროა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი **რომან გოცირიძე:** დეკლარაცია ძალიან ბევრ ინფორმაციას შეიცავს. ამ სისტემამ მრავალმხრივად დაანახვა საზოგადოებას სახელმწიფო მოღვაწე. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქითკენ, რომ საქართველო იქცეს სამართლებრივ სახელმწიფოდ.

P.S. სამართლებრივ სახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე მდგარი ჩვენი ქვეყანა პირველ ნაბიჯებს დგამს და როგორც გვაიმედებენ, ეს ნაბიჯები „შავი ფულის კეთებიდან“ გამჭვირვალე შემოსავლებისკენ მიდის.

ნეტამც!

იზო რიკაძე

ასე „ხნავენ“ და „თესავენ“ კადრების წინსვლას „მამები“...

„რასაც დასთეს, იმას მოიმკი!“ — ეს შეგონება პოლიტიკაშიც ისევე ნაყოფიერია, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში. ძლიერ პოლიტიკოსი სერიოზული გუნ-

დის გარეშე წარმოუდგენელია. გუნდი ის საყრდენია, ურომლისოდაც წარმატებული წინსვლა, ფაქტობრივად, ილუზიაა. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის ყველაზე სარფიან კაპიტალდაბანდებად მის მიერ ხელწაკრული და დაჩინებული ახალგაზრდები ითვლებიან. ვაკანსიათა ინტერესების მიხედვით გადანაწილება ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ აზარტულად მიმდინარეობს. დასამალი არ გახლავთ, რომ მოსავალი დანიშვნისას გაცილებით მეტი შედეგი მოაქვს ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ლობირებას, ვიდრე თავად კანდიდატის პიროვნულ თვისებებს. ეს, შეიძლება ითქვას, საქართველოში ჯერ კიდევ აუთვისებელი გუნდური თამაშის ჩრდილოვან გამოვლენაა. თუ ბოლო პერიოდში წარმოჩენილი და დაწინაურებული კადრების ნუსხას მათი „ლობების“ მიხედვით დავაჯგუფებთ, ძალთა თანაფარდობის საკმაოდ რეალურ სურათს მივიღებთ. ასეთი დახარისხება კარგად დაგვანახვებს თითოეულის (იგულისხმება პოლიტიკური ძალა) სამომავლო პერსპექტივასაც. მოგეხსენებათ, პოლიტკურ თამაშებში წარმატებას დიდი ფული სჭირდება, არჩევნების მოგებასაც. ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოცვის ყოლა. ამისათვის კი მართლაც დაუღალავად „თესვაა“ საჭირო.

არაოფიციალური მონაცემებით აღიარებულია, რომ საქართველოში კადრების „დინებას“ სამი „მწყემსი“ წარმართავს. ეს ადამიანები ფლობენ იმ რეალურ მექანიზმებს, რომელთაც, გარკვეულ პირობებში პრეზიდენტის კეთილგანწყობის მოპოვება და საკუთარი პოზიციის გატანა შეუძლიათ. სხვათა შორის, ჩინზე მეოცნებენი იმთავითვე ცდილობენ, ამ სამიდან ერთ-ერთზე გააკეთონ აქცენტი. მაშ ასე, ბრწყინვალე სამეული გახლავთ: პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ნიკო ლეკიშვილი.

მაგრამ, მოდით, მივყვეთ თანმიმდევრობით:

სამიდან ყველაზე იდუმალი, „რუხ კარდინალად“ ცნობილი ნუგზარ საჯაია 1941 წელს დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. განათლებით პედაგოგი (ფიზიკის განხრით) გახლდათ ფოთის ქალაქკომის პირველი მდივანი, კპ ცკ-ის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე, სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში.

ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი და ნუგზარ საჯაია

1995 წლიდან ნუგზარ საჯაია უშიშროების საბჭოს მდივანია. ჟურნალისტურ წრეებში იგი ერთ-ერთ ყველაზე სასურველ, მაგრამ მიუწვდომელ რესპონდენტად ითვლება. მიუხედავად ინტერესისა, მას არ დასდევენ კამერებითა თუ ფოტოობიექტივებით. პრაქტიკულად, არ ჩაწერილა არც ერთი ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივანთან. ამას, მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გარდა, ალბათ ხასიათიც განაპირობებს. თავად ბატონი ნუგზარი თვლის, რომ ჰქონდა შეცდომები, კომპრომისებზეც წასულა, მაგრამ ძირითადად ახერხებდა გარკვეული პრინციპების ერთგულებას (ამ პრინციპებად იგი ობიექტურობასა და სამართლიანობას ასახელებს). დღევანდელი გადმოსახედიდან ზოგი რამ არ მოსწონს, ზოგიც მიუღებელია, მაგრამ მთლიანობაში წარსულისადმი თვალის გასწორების უფლებაც და სურვილიც შერჩა. არასოდეს ყოფილა ამბიციური, რეალურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს.

ეს მცირე ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ სახელმწიფოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა საზოგადოებისათვის ფაქტობრივად უცნობია.

ახლა კი, რაც შეეხება ე.წ. „საჯაიას კადრებს“. 1997 წლიდან უშიშროების საბჭოს აპარატი ის პლაცდარმი გახდა, საიდანაც იქ მომუშავე ახალგაზრდები საკმაოდ გავლენიან სავარძლებში ხვდებოდნენ. აპარატი კადრების ერთგვარ სკოლად იქცა. შევეცდებით, უშიშროების საბჭოს აპარატის ის ყოფილი თანამშრომლები გაგახსენოთ, რომელნიც ბოლო სამი წლის მანძილზე „დაფრთიანდნენ“.

სულხან მოლაშვილი — კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ანტიკორუფციული კომისიის წევრი;

დავით კობახიძე — შსს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი;

კობა ნარჩემაშვილი — შსს მინისტრის მოადგილე;

ნუგზარ ბაბუციძე — შსს მინისტრის პირველი მოადგილე;

კახა იმნაძე — პრეზიდენტის პრესმდივანი;

დავით ჯიბლაშვილი — ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;

სულხან პაპაშვილი — სამთავრობო დაცვის სამსახურის უფროსი;

ომარ ლეკვეიშვილი — თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

ნოდარ გოგილაშვილი — კახეთის რეგიონის უშიშროების უფროსი;

დიმიტრი ლეჟავა — თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი;

კორნელი სალია — საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

„საჯაიას კაცად“ ითვლება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძეც. მიაქცევდით ყურადღებას, რომ ზემოთ მოყვანილ ნუსხაში უწყებათა „მეორე“ პირები სჭარბობენ, მაგრამ ეს ყმაწვილები ამ მაღალ პოსტებზე პირდაპირ საბჭოს აპარატიდან მოხვდნენ. მეორეობიდან პირველობამდე კი ხშირად ნახევარი ნაბიჯია — ამგვარი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში ნუგზარ საჯაია უძლეველი რაზმის „პატრონი“ ხდება — ძალოვანი სამინისტროები, ფაქტობრივად, „მისი“ კადრებით კომპლექტდება.

„ნათლია“ ნომერი ორი — **ზურაბ ჟვანია.**

გზა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტდან, სმკს გენერალურ მდივნობამდე, „მწვანეთა პარტიაზე“ გადის. ამის შემდგომ კი ჟვანია ქვეყანაში მეორე კაცი ხდება.

ჟვანიას ნიჭი კადრების შერჩევაშიც აღმოაჩნდა. პარლამენტის აპარატის თავმჯდომარე და რამდენიმე თანამშრომელი მისთვის ნებისმიერ ბრძოლაში შეუცვლელი მხედართმთავრების როლს ასრულებენ. პარლამენტის რამდენიმე საკვანძო კომიტეტის თავმჯდომარე ჟვანიას ახლო გარემოცვიდან არის. აქედან მინისტრობამდე კი შორი ნამდვილად არ არის. ზურაბ ჟვანია აქცენტს პირველ პირებზე აკეთებს:

ზურაბ ნოღაიდელი — ფინანსთა მინისტრი;

მიხეილ მაჭავარიანი — საგადასახადო შემოსავლების მინისტრი;

ნინო ჩხობაძე (მიუხედავად უსიამოვნებებისა) — გარემოს დაცვის მინისტრი;

დავით მუმლაძე — საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მოადგილე;

დათო კირვალიძე — სოფლის მეურნეობის მინისტრი;

პეტრე მამრაძე — სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე.

„მისიანად“ ითვლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ლადო ქანტურია**. ასე რომ, ჟვანიას პოზიციები საკმაოდ მყარია და თან ჩანს, არც ისე მცირე ვადით.

ნომერი სამი — საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **ნიკო ლეკიშვილი.**

კომკავშირული სკოლის წარმატებით გავლის შემდეგ ჯერ თბილისს რაიაღმასკომის თავმჯდომარე, შემდეგ კი კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. შემდეგ — ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. 1993-95 წლებში თბილისის მერი იყო, 1995-98 წლებში — სახელმწიფო მინისტრი.

სიტუაციის ზედაპირული ანალიზიც მიგვანიშნებს, რომ ბოლო დროს საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში ლეკიშვილმა პოზიციები დათმო. ეს ალბათ თანამდებობრივ ცვლილებებთან გახლავთ დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ უმრავლესობის ლიდერის სავარძელში ხელმეორედ და გაცილებით მყარად მოსვლის შემდეგ იგი ამ „ხარვეზს“ გამოასწორებს. მანამდე კი, „მის ანგარიშზე“ იწერებიან:

ვანო ჩხარტიშვილი — ეკონომიკის და მრეწველობის მინისტრი;

გიორგი ისაკაძე — ანტიმონოპოლური სამსახურის უფროსი;

სესილი გოგიბერიძე — კულტურის მინისტრი;

ნიკო კახეთელიძე — ნაძალადევის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

„ნიკოსიანად“ ითვლება პარლამენტარი **ზაზა სიორიძეც**. რაც არ უნდა უცნაური იყოს, ჯიუტად ლაპარაკობენ თბილისის საკრებულოს ყოფილი შეფის ლადო კახაძისა და ნიკო ლეკიშვილის მეგობრობაზე.

აი, სულ ეს იყო, რაც გვინდოდა გვეთქვა. ასე „ხნავენ“ და „თესავენ“ კადრების წინსვლას „მამები“.

ჩვენ კი, ალბათ ვიხილავთ, მათი ხვნა-თესვის შედეგებს.

მაია გაბუნია



გამოვიდა „კვირის პალიტრის“ დამატება — ჟურნალი „გზა“ №12

თბილისს ახალგაზრდა „შერიფები“ ეყოლება...

ამიერიდან სასამართლოს მსგავსად, პოლიციის სამმართველოებიც ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყოფა: გლდანი-ნაძალადევი, დიდუბე-ჩუღურეთი, ვაკე-საბურთალო, ისანი-სამგორი, მთაწმინდა-კრწანისი.

როგორც შს სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, ასეთი ცვლილებები ბიუჯეტის შემცირების ბრალი სულაც არ არის, უბრალოდ, მილიონ შვიდასათასიანი ქალაქისთვის (სტატისტიკური მონაცემებით, სწორედ ამდენი ადამიანი ცხოვრობს თბილისში), შტატი ფრიად გაბერილი იყო. შს სამინისტრო ამ ცვლილებებს სრულყოფას უწოდებს და რეფორმად სულაც არ მიიჩნევს.

ამ ცვლილებების შედეგად, პირველ რიგში, შემცირდა სამმართველოების ხელმძღვანელი რგოლი:

პოლიციის სამმართველოების უფროსისა და მოადგილეების 5-5 შტატი, შტაბის უფროსის 5 შტატი, სამძებრო განყოფილების უფროსებისა და მოადგილეების 5-5 შტატი, ნარკომანია-ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის 5 შტატი, საგზაო პოლიციის უფროსისა და მოადგილეების 5-5 საშტატო ერთეული. ამ შემცირების ხარჯზე გაიზარდა ოპერატიული მუშაკების რიცხვი. ამიერიდან თითოეულ სამმართველოში უფრო მეტი ოპერატიული მუშაკია, ვიდრე ადრე ორივე განყოფილებაში ერთად იყო. დღესდღეობით ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი ალეკო ტაბატაძე გახდა (ადრე საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსი), ვაკის პოლიციის უფროსი დავით ბედია დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის უფროსად დანიშნეს, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის შეფი ლევან გვაზავა გახდა. ცხადია, ამ პოსტზე კონკურენტი ცნობილ პოლიციელს ელგუჯა ჯამბურიას არ ეყოლებოდა, მაგრამ იგი ზუსტად ამ ცვლილებების წინ სამეგრელოს რეგიონის სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. როგორც შს მინისტრის პირველმა მოადგილემ, ზურაბ ჩხაიძემ, განაცხადა ამ თანამდებობაზე კანდიდატურების შერჩევისას მთავარი პრიორიტეტი მაღალი პროფესიონალიზმი და ასაკი იყო. ასე რომ, 5-ვე რაიონის სამმართველოს უფროსის საშუალო ასაკი 30-35 წელია. მათი მოადგილეები ჯერ არ დანიშნულან, როგორც ქალაქის მთავარი სამმართველოს კადრების განყოფილებაში გვითხრეს, ეს საკადრო საკითხები უახლოეს ორ კვირაში გადაწყდება.

ცნობისათვის: ამ გაერთიანების შემდეგ პოლიციის სტრუქტურას არანაირი ცვლილება არ განუცდია, გარდა ერთისა — ადრინდელისგან განსხვავებით ყველა სამმართველოს საკუთარი 21 კაციანი სპეცრაზმი ეყოლება. გარდა ამისა, დიდუბე-ჩუღურეთსა და მთაწმინდა-კრწანისში (სამართალდამცავთა შეფასებით, ეს ორი რაიონი განსაკუთრებულად დაზარალებულია კრიმინოგენული სიტუაციით) თითო-თითო განყოფილება დაამატეს. დიდუბე-ჩუღურეთში — კუკიაზე და მთაწმინდა-კრწანისში — სიმიონოვკის დასახლებაში.

დაბოლოს, პოლიციამ კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა ავტომანქანის მომავალ და ახლანდელ მფლობელებს (როგორი სიახლეა თავად განსაჯეთ):

— ავტო-მოტო ტრანსპორტის რეგისტრაცია ამიერიდან მხოლოდ ცენტრალურ საგზაო პოლიციაში მოხდება. რაიონებს მხოლოდ ტექდათვალიერების მოწმობის გაცემის უფლება დაუტოვეს. მთავარ სამმართველოშიც შიშობენ და ავტომანქანის მფლობელებიც აცხადებენ, რომ ეს სისტემა გამოიწვევს დიდ რიგებს და შეუქმნის მათ კიდევ დამატებით დისკომფორტს.

ეკა ჯანაშია

შუა აზია — მსოფლიოს ახალი „ცხელი წერტილი“

ერთი წლის წინ, აგვისტოს დასაწყისში, ჩეჩნმა საველე მეთაურებმა — ხატაბმა და ბასაევმა თავისი ძალები დაღესტნისკენ დაძრეს — ასე დაიწყო ახალი საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც უახლეს ისტორიაში ჩეჩნეთის მეორე ომის სახელწოდებით შევა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ უკვე შუა აზიაში გამოჩნდნენ შეიარაღებული ისლამისტები, რომლებმაც ჯერ ტაჯიკეთის ტერიტორიაზე გაინავარდეს, შემდეგ ყირგიზეთის, ხოლო ამჟამად უზბეკეთის მთებში იბრძვიან, დღე-დღეზე კი მათ თავდასხმებს ყაზახეთის ხელისუფლებაც ელოდება და საზღვრებს ამაგრებს.

მცირე ანალიზიც კმარა იმის გასარკვევად, რომ ბრძოლებს ჩრდილო კავკასიასა და შუა აზიის სამხრეთით ერთი და იგივე ძალა მართავს. მათ შესაძლოა რომელიმე ისლამისტური ცენტრიც ხელმძღვანელობდეს, თუნდაც იმავე ყბადაღებული ბენ ლადენის ან ავღანელი თალიბების სახით.

ასე რომ არ იყოს, ტყუილად როდი შეიქმნებოდა აშშ-რუსეთის ერთობლივი კომისია, რომლის მიზანია ავღანეთიდან წამოსული ტერორიზმის ნეიტრალიზაცია.



რით ემუქრებიან ფუნდამენტალისტი ისლამისტები საქართველოს?!

ფაქტობრივად, XXI საუკუნის ზღურბლზე მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს — აშშ-სა და რუსეთს (უკანასკნელი ზესახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს არა ეკონომიკური, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ დიდი რაოდენობით ბირთვული იარაღი და მათი გადამტანი საშუალებები კიდევ შემორჩა) საერთო, სასიცოცხლო ინტერესი გაუჩნდათ. ეს ინტერესი შეიძლება მოკლედ ასე განიმარტოს — მოსკოვი და ვაშინგტონი შეშფოთებულნი არიან ფუნდამენტალისტი ისლამისტების გაძლიერებით.

ოკეანეებით გამოყოფილ ჩრდილო ამერიკის კონტინენტს ეს ფაქტორი, ძირითადად, იმ თვალსაზრისით ემუქრება, რომ ისლამისტებმა შეიძლება ტერორისტული აქტები განახორციელონ აშშ-ის მოქალაქეების მიმართ მთელ მსოფლიოში.

რაც შეეხება რუსეთს, აქ საქმე გაცილებით სერიოზულადაა — სულ ცოტა ხნის წინ შუა აზიაში გაერთიანდნენ ექსტრემისტი ფუნდამენტალისტები — უზბეკეთის ისლამისტური მოძრაობა და ისლამის აღორძინების პარტია. თუკი პირველს დღემდე მხოლოდ მოკრძალებული ამოცანა ჰქონდა დასახული — ქარიმოვის პოსტკომუნისტური მმართველობის ძალით ჩამოგდება, ისლამის აღორძინების პარტია უფრო შორს მიდის — მას მიზნად აქვს დასახული ერთიანი მძლავრი ისლამისტური სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც შუა აზიის ქვეყნების გარდა, შევა რუსეთის მუსლიმანური რეგიონებიც, მათ შორის — ჩრდილო კავკასიაც.

ამ შემთხვევაში, ვერც საქართველო დარჩება გულარხეინად — როგორც ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო. სხვა თუ არაფერი, საქართველოს ისტორია ამის თქმის საფუძველს გვაძლევს...

რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, სიტუაციის ასეთ რადიკალურ განვითარებას ხელს უშლის ჩვენი მეზობელი თურქეთი. საოცარია, მაგრამ რეალობაა, — ფაქტობრივად, თურქეთი არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც სამხედროები უფრო პროგრესულად მოაზროვნენი არიან, ვიდრე ამ ქვეყნის სამოქალაქო ხელმძღვანელობის უმეტესობა. შუა აზიაში განვითარებული მოვლენებისდაკვალად, თურქეთში ფუნდამენტალისტი ისლამისტები კვლავ გააქტიურდნენ — ამის საპასუხოდ, 30 აგვისტოს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა ჰუსეინ ქიერიქოღლუმ არცთუ ორაზროვნად განაცხადა, — თურქი სამხედროები არ დაუშვებენ ქვეყანაში რადიკალი ისლამისტების გაძლიერებასო. თურქეთის ყველაზე გავლენიანი სამხედროს განცხადება უსაფუძვლო ქადილი სულაც არ გახლავთ — თურქმა სამხედროებმა 1960 წლიდან სამი გადატრიალება მოაწყვეს, რათა ქვეყნის სათავეში ისლამისტები არ მოქცეულიყვნენ.

ვის ინტერესებს უნდა პასუხობდეს ისლამისტების გაძლიერება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში? პირველ რიგში, ეტყობა, ავღანელი თალიბებისა, რომლებსაც სურთ „მეხუთე კოლონის“ საშუალებით გაანეიტრალონ ის სამხედრო დახმარება, რასაც მოსკოვი, ტაშკენტი თუ დუშამბე უწევენ ავღანეთის ჩრდილოეთში გამაგრებულ გენერლებს, მასუდსა და დუსთუმს. თუ თალიბები მთლიანად გააკონტროლებენ ავღანეთს, მაშინ შუა აზიასა და ჩრდილო კავკასიაში ფუნდამენტალისტური ისლამის გამარჯვებაზეც იფიქრებენ.

ჯერჯერობით კი, შეიარაღებული ისლამისტების შემოტევამ (რომელთა რიცხვი 5 ათასს შეიძლება აღწევდეს), ოფიციალური ტაშკენტი აიძულა, მოსკოვისთვის სამხედრო-ტექნიკური დახმარება ეთხოვა. ამაში არაფერი იქნებოდა გასაკვირი, რომ არა ერთი ნიუანსი — თუ გახსოვთ, უზბეკეთიც, საქართველოსი არ იყოს, გამოვიდა დსთ-ის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან და გაერთიანდა **სუუამ**-ში (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა). მართალია, **სუუამი**, ჯერჯერობით, მხოლოდ უფუნქციო, გაუგებარი არსის გაერთიანებად რჩება, სამაგიეროდ, კრემლი კმაყოფილია — აქაოდა, უზბეკებო, რომ გაგიჭირდათ, ხომ ისევ რუსეთს სთხოვეთ დახმარებაო (თუმცა თავის მხრივ, ოფიციალური ტაშკენტი კატეგორიულად უარყოფს ამას, — ასობით სნაიპერული შაშხანა და ჯავშანჟილეტი მოსკოვმა კი არა, ჩინეთმა მოგვაწოდაო, ამტკიცებენ უზბეკები)!

მოსკოვს არც თავისი სიტყვები დავიწყებია — თუ საჭირო შეიქნა, ავღანეთის ტერიტორიაზე არსებულ ტერორისტების მოსამზადებელ ბაზებს დავბომბავთო — ამიტომაც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები გარკვეულ მომზადებას უკვე გადიან.

ფაქტობრივად, ცოტა ხანში რუსეთი, აშშ და ევროპის დიდი ნაწილი შეიძლება გაერთიანდნენ იმ საშიშროების წინააღმდეგ, რასაც აზიიდან მომდინარე პანისლამისტური ტალღა ჰქვია, რომელიც გზად ყველაფერს წალეკავს.

როგორი იქნება საქართველოს წილი ამ საქმეში? ჩვენს მუდმივ მკითხველს ახსოვს ალბათ — „კვირის პალიტრამ“ ერთხელ უკვე აღნიშნა, რომ თურქმენეთი ტყუილად არ არემონტებს თავის მოიერიშე Cy-25 თვითმფრინავებს თბილისში ასე დაჩქარებული ტემპებით. დღე-დღეზე შეიარაღებული ისლამისტები თურქმენბაშის ხელისუფლებასაც დაემუქრებიან, მათ საწინააღმდეგოდ კი თბილისის საავიაციო ქარხანამ 12 შეკეთებული მოიერიშე უკვე გაუგზავნა თურქმენებს.

ერთი რამეც უნდა ითქვას, საქართველოს ხელისუფლება თურქმენბაშის მომავალზე ნამდვილად ნერვიულობს, მაგრამ საკუთარი თვითმფრინავმშენებლებისთვის ყურსაც არ იბერტყავს და მილიონობით სახელმწიფო ვალს არ უბრუნებს თბილისის საავიაციო ქარხანას, რის გამოც სავსებით შესაძლებელია ამ უკანასკნელმა მუშაობა შეწყვიტოს, მით უმეტეს, რომ დღეს დავალიანების გამო ქარხანას ელექტროენერგიაც აღარ მიეწოდება.

მკითხველის სვეტი

ტერორისტებს ვთხოვთ, ნუ წაიკითხავენ!

ჩვენი თელაველი მკითხველის ინტერესი სავსებით გასაგებია, რადგან მასმედია ძალზე ხშირად იყენებს ისეთ გამონათქვამებს, რომელთა გაშიფვრა ჩვეულებრივი ადამიანისთვის, არცთუ იშვიათად, შეუძლებელი ხდება.

დავიწყოთ თავიდან. საერთოდ, ასაფეთქებელი ნივთიერებები ეწოდება ისეთ ქიმიურ ნაერთებს ან ნარევებს, რომლებიც ინიცირების შემდეგ იწყებენ უსწრაფეს ქიმიურ გარდაქმნას. ამ დროს გამოიყოფა მაღალი ტემპერატურისა და წნევის გაზები. თავის მხრივ, ეს გაზები მექანიკურ სამუშაოს ასრულებენ — სწორედ ასე, ოღონდ წამის მეასედებში ხორციელდება აფეთქების პროცესი.

ყველა ასაფეთქებელი ნივთიერება სამ ძირითად ჯგუფად იყოფა — ინიცირებადი, ბრიზანტული და დენთები.

ინიცირებას განეკუთვნება ის ასაფეთქებელი ნივთიერებები, რომლებსაც მაღალი მგრძნობელობა აქვთ დარტყმის, ხახუნისა და ცეცხლის მიმართ. სწორედ ამიტომაც, ინიცირებადად გამოიყენება მგრგვინავი ვერცხლისწყალი, ტყვიის აზიდი, ტენერესი (ტრინიტრორეზორცინატი), რომლებსაც ათავსებენ კაფსულ-დეტონატორისა და ელექტრო-დეტონატორებში. თავად ამ უკანასკნელებს კი ბრიზანტულ ასაფეთქებელ ნივთიერებებში ათავსებენ.

ბრიზანტული ასაფეთქებელი ნივთიერებები, თავის მხრივ, სამ ჯგუფად იყოფა — გაძლიერებული, ნორმალური და შემცირებული სიმძლავრისა.

გაძლიერებულში გაერთიანებულია ტენი (პენტრიტი), ჰექსოგენი და ტეტრილი.

სამივე ეს ასაფეთქებელი ნივთიერება საკმაოდ მგრძნობიარეა ტყვიის ან ცეცხლისადმი და შეიძლება დეტონაცია განიცადოს. ამიტომაც მათი გამოყენება სამხედრო საქმეში ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ტენს, ძირითადად, დეტონირებადი სადენების გასაკეთებლად იყენებენ, ხოლო ჰექსოგენსა (თეთრი ფერის მცირე კრისტალები) და ტეტრილს (მკვეთრი ყვითელი ფერის, უსუნო კრისტალები) კი კაფსულ-დეტონატორების აღსაჭურვად.

სხვათა შორის, ჰექსოგენისა და ტროტილის შენაერთი (50:50-ზე) გამოიყენება კუმულატიური ტანკსაწინააღმდეგო მუხტების აღსაჭურვად. ასეთ შერეულ მდგომარეობაში ჰექსოგენი შედარებით ნაკლებად სახიფათო ხდება.

ტროტილი სწორედ საშუალო სიმძლავრის ბრიზანტულ ასაფეთქებელ ნივთიერებას მიეკუთვნება. ტროტილი ანუ ტრინიტროტოლუოლი (ან უბრალოდ, ტოლი) წყალში არ იხსნება, ტყვიის მოხვედრისას ან ცეცხლში ჩავარდნისას არ ფეთქდება, ანუ ძალზე უხიფათოა მოხმარებისას, გამოიყენება მთელ მსოფლიოში, ბომბებისა და ჭურვების ძირითად აღსაჭურვ ასაფეთქებელ ნივთიერებად და ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სწორედ ის არის აღიარებული, როგორც ერთგვარი ეტალონი და ეკვივალენტი სხვადასხვა აფეთქების (მათ შორის ატომური თუ ბირთვული) სიმძლავრის გასაზომად.

ტროტილის ბრიკეტები (ძირითადად, 75 გ, 200 გ და 400 გ) 81 გრადუს ტემპერატურაზე დნება. ბრიკეტის აფეთქება ჩვეულებრივი კაფსულ-დეტონატორით შეიძლება, ხოლო გამდნარი ტროტილის აფეთქებას აუცილებლად შუალედური დეტონატორი სჭირდება, ამიტომაც ა.წ. გაზაფხულზე თბილისში, ოქროს ბირჟაზე აღმოჩენილი გამდნარი ტროტილის შემცველი ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აფეთქდებოდა, თუკი ზემოთ ხსენებული შუალედური დეტონატორი არ ექნებოდა.

საშუალო სიმძლავრის ბრიზანტულ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ტროტილის გარდა, განეკუთვნებიან პიკრინის მჟავა და პლასტიტ-4-იც. თუმცა პიკრინის მჟავა ლითონებთან აქტიურ რეაქციაში შედის, რაც მის გამოყენებას ჭურვებსა და ბომბებში ძალიან ართულებს და სამხედრო საქმეში იშვიათად გამოიყენება. პლასტიტ-4 ცომისმაგვარი მასაა და ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია, ამიტომაც ძალზე პოპულარულია, როგორც მსოფლიო ტერორისტულ პრაქტიკაში, ისე სპეცსამსახურებში. იგი, ძირითადად, ფხვნილისებრი ჰექსოგენისგან მზადდება, თუმცა სპეციალური პლასტიფიკატორიც აქვს შერეული, რის გამოც ჩვეულებრივი ჰექსოგენივით ტყვიის მოხვედრისას ან ცეცხლში ჩაგდებისას არ დეტონირდება.

შემცირებული სიმძლავრის ბრიზანტულ ასაფეთქებელ ნივთიერებებს — ამიაკის სელიტრას, ამონიტებს, დინამონებს, ამონალებს ძირითადად მხოლოდ სამრეწველო აფეთქებებისთვის იყენებენ.

რაც შეეხება დენთებს, სამხედრო საქმეში მის ორ სახეობას — კვამლიანს და უკვამლოს — იყენებენ. პირველი სასიგნალო და „მხტომარე“ ნაღმებშია გამოყენებული, უკვამლო კი საარტილერიო და სარაკეტო ჭურვებსა და რაკეტებში. ჰექსოგენი ტროტილზე 1,5-2-ჯერ უფრო მძლავრია, ხოლო ტროტილი, თავის მხრივ, ასევე აღემატება ამონალს.

ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ იმედია, ჩვენი თელაველი მკითხველი ტერორისტულ აქტს არ გეგმავს — სანაღმო საქმე ცეცხლთან თამაშია, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით და „კვირის პალიტრას“ სულაც არ სურს ახალ „ტერორისტულ ბუმს“ მისცეს დასაბამი.

ორსენალი

„მომავლის ჯარისკაცს“ მუდმივი „ზარიადკა“ დასჭირდება

XX საუკუნის ბოლოსთვის სამხედრო საქმეში მოძველებული აღმოჩნდა ის ძირითადი ავტომატები თუ საიერიშო შაშხანები, რომლებითაც შეიარაღებულნი არიან მსოფლიოს ჯარისკაცები. ამასთან, ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებმა — ჯავშანჩაფხუტებმა და კევლარისგან გაკეთებულმა ჯავშანჟილეტებმა მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა გააძნელა. სწორედ ამიტომაც, უკვე ათი წელია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საიარაღო ფირმები ძალ-ღონესა და, რაც მთავარია, დიდ თანხებს არ იშურებენ ახალი ეფექტური საიარაღო კომპლექსის შესაქმნელად, რომელშიც ავტომატის გარდა, მსუბუქი ყუმბარსატყორცნიც იქნებოდა.



XXI საუკუნის Heckler & Koch-ის იარაღი 5,56 მმ კალიბრის ავტომატისა და 20 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნის ჰიბრიდს წარმოადგენს.

აქამდე, ყველაზე გავრცელებულ ტანდემებს წარმოადგენდნენ საბჭოთა „კალაშნიკოვი“ — AK-74 ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნ ГП-25-ითა და ამერიკული „შავი შაშხანა“ M-16A2 თავისი ყუმბარსატყორცნ M-203-ით. თუმცა მათ საერთო ნაკლიც ჰქონდათ — ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნები მხოლოდ ერთჯერად სროლას აწარმოებდნენ.

90-იან წლებში ამერიკულმა დიდმა კომპანიებმა AAI **Corporation**-მა და **Alliant Techsystem**-მა შექმნეს XXI საუკუნის ჯარისკაცის ინდივიდუალური ცეცხლსასროლი იარაღის კომპლექსები, რომლებიც ავტომატთან შერწყმულ, ასევე ავტომატურ ყუმბარსატყორცნს წარმოადგენდა. მათი მართვა კომპიუტერული სისტემით ხდებოდა.

ავტომატური შაშხანა, ჩვეულებრივ, 5,56 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის, ისეთივეს, როგორსაც კარგად ნაცნობი M-16A2, სამაგიეროდ, ავტომატური ყუმბარსატყორცნიდან ცეცხლი 20 მმ-იანი ყუმბარებით ხდება — მას, რა თქმა უნდა, ვერც ერთი ჯავშანჟილეტი ვერ გაუძლებს.

ყუმბარები აღჭურვილია სპეციალური ელექტრონული ტაიმერამფეთქებლებით. გასროლამდე ჯარისკაცი იარაღზე დამონტაჟებული ლაზერული მანძილმზომით ადგენს ზუსტ დაშორებას მიზნამდე და ეს მონაცემი მინიატურული კომპიუტერის (რომელიც ასევე იარაღზეა დაყენებული) საშუალებით ყუმბარის ტაიმერში შეჰყავს. გასროლის შემდეგ, ყუმბარა აკეთებს გარკვეული რაოდენობის ბრუნს თავისი ღერძის გარშემო და ფეთქდება მიზნის თავზე, რითაც მას მაქსიმალურად აზიანებს. ერთ-ერთი გამოცდისას, სამიზნის გარშემო გაბერილი ბუშტები დაკიდეს. ყუმბარის აფეთქების შემდეგ თითქმის ყველა მათგანს ნამსხვრევი მოხვდა და გასკდა. თუკი აქამდე ჯარისკაცს 5,56 მმ კალიბრის ტყვიებით მოწინააღმდეგის დაზიანება, ძირითადად, მხოლოდ 500 მ-ის სიშორემდე შეეძლო, ავტომატურმა ყუმბარსატყორცნმა ეს მანძილი 800-1000 მ-მდე გაზარდა.

გარდა ამისა, XXI საუკუნის ჯარისკაცი რომ არ გაწვალდეს დამიზნების პროცესით, ყველა მონაცემი უშუალოდ მისი ჯავშანჩაფხუტის დისპლეიზე აისახება — ფაქტობრივად, „მომავლის ჯარისკაცი“ კომპიუტერთან მოთამამშეს ემსგავსება, თუმცა განსხვავება რა თქმა უნდა, მაინც უზარმაზარია.

ამერიკელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ახალ უნივერსალურ იარაღს უკვე 2006 წლისთვის მიიღებენ შეიარაღებაში. თუმცა ახალი იარაღის შესახებ თავიანთ უარყოფით აზრს თავად დამკვეთები — ამერიკელი სამხედროები სულაც არ მალავენ.

იმის მიუხედავად, რომ პენტაგონმა ახალი უნივერსალური იარაღის თითოეული ეგზემპლარის შესასყიდად ისედაც ფანტასტიკური თანხა გაიმეტა — 10 ათასი დოლარი (ისიც დისპლეიანი ჩაფხუტისა და ტყვიაწამლის გარეშე), ამერიკელ კონსტრუქტორებს ეს თანხა მაინც არ ჰყოფნით და მის სავარაუდო ღირებულებად 15-20 ათას დოლარს მიიჩნევენ.

გარდა ამისა, სამხედროებისთვის მიუღებელია ახალი იარაღის მასაც — იგი 4,5-5 კგ-ს აღწევს, რასაც ემატება „მომავლის ჯარისკაცის“ ახალი ფორმა. ეს უკანასკნელი მასობრივი განადგურების იარაღისგან იცავს მებრძოლს, — მისი სხეულის გარშემო ქმნის მიკროკლიმატს, რასაც თავის მხრივ, 4,5 კგ-იანი მინიკონდიციონერი სჭირდება (სხვათა შორის, ეს ფორმა, იმის მიხედვით, თუ რა ბუნებრივ პირობებში იმყოფება ჯარისკაცი, ქამელეონივით იცვლის ფერს). უმთავრეს პრობლემას მაინც ენერგეტიკული უზრუნველყოფა წარმოადგენს — აუცილებლად საჭიროა ენერგია ლაზერული მანძილმზომისთვის, კომპიუტერისთვის, ღამის ხედვის მოწყობილობისთვის, ჩაფხუტის დისპლეისთვის, რაციისა და მინიკონდიციონერისთვის.

ფაქტობრივად, „მომავლის ჯარისკაცმა“ ან მანქანის ერთი დიდი აკუმულატორი უნდა ატაროს, ანდა „დვიჟოკი“ ათრიოს თან. თანაც ყოველივე ამას ხომ ყოველდღიური დატენა სჭირდება, — სად იშოვოს ჯარისკაცმა შტეფსელი ჯუნგლებსა თუ მთებში? თანაც პაწაწინა ნამსხვრევიც რომ მოხვდეს კომპიუტერს, მაშინ მთელი ელექტრონიკა პლასტმასისა და პლატების უბრალო გროვად იქცევა.

ამიტომ ასეთი „გონიერი“ იარაღით „მომავლის ჯარისკაცის“ აღჭურვა ნაადრევია მანამ, სანამ არ გამოიგონებენ მინიატურულ, მაგრამ ძალზე ენერგოტევად ბატარეებს. ამასთან, ასეთი რთული და ძვირი იარაღის მოხმარება უბრალო ჯარისკაცისთვის საკმაოდ ძნელია. მსგავსი იარაღი პროფესიონალი მეომრებისათვის არის უფრო მისაღები.

გვერდი მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

ბანდის ხელმძღვანელს მუჰამედ ალიც ჰყოლია დამარცხებული...

სქემა არცთუ მარტივი იყო: ბანდის წევრები მოსკოვში მდებარე სასტუმრო „როსიაში“ მყოფ სტუმრებს, იქაური პერსონალის დახმარებით, ბინის გასაღებს ჰპარავდნენ და ასლებს ამზადებდნენ. შემდეგ გასაღები მფლობელს შეუმჩნევლად უბრუნდებოდა. პარალელურად, სასტუმროს სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით აღგენდნენ გასაქურდი ადამიანის საცხოვრებელი ბინის მისამართს და გარკვეული დროის შემდეგ ბინა „სუფთავდებოდა“. ბოროტმოქმედთა ძირითად სამიზნეს ლენინგრადელი, კიეველი და თბილისელი სტუმრები წარმოადგენდნენ. დანაშაულებრივი ორგანიზაცია თითქმის ორი წელიწადი, 1975 წლის თებერვლიდან 1977 წლის იანვრამდე მოქმედებდა.

ბანდა

ბოროტმოქმედთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი და საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი კრივში, 1950 წელს დაბადებული ოლეგ კოროტაევი, რომელიც სპორტულ სამყაროში იმითაც იყო ცნობილი, რომ 1974 წელს (არაოფიციალურ შეხვედრაში) დამარცხებული ჰყავდა ლეგენდარული მუჰამედ ალი (კასიუს კლეი).

ბანდაში მეორე კაცად ითვლებოდა კოროტაევის თანატოლი ნიკოლოზ საყვარელიძე, მოსკოვში დაბადებულ-გაზრდილი კაცი, სულ კი დაჯგუფება თოთხმეტ წევრს ითვლიდა და თითოეულს თავისი, მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა. ერთნი „როსიაში“ მყოფებს გასაღებს ჰპარავდნენ, მეორენი — ასლებს აკეთებდნენ, სხვები ლენინგრადში, კიევსა და თბილისში ბინებს ქურდავდნენ, დანარჩენები კი ნადავლის რეალიზაციით იყვნენ დაკავებული. ჯგუფს კურირებდა ციმბირელი კანონიერი ქურდი, 1924 წელს დაბადებული სტეპან სილიჩი, მეტსახელად „ძედი“.

МУР-ის — მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს ცნობიდან (1977 წლის თებერვალი): „როგორც ძიების პროცესში გაირკვა, 1975 წლის 17 თებერვალს ოლეგ კოროტაევი თავის ბინაში შეხვდა მეგობრებს — ფაბრიკა „ზნამიას“ მძღოლ-ექსპედიტორ ნიკოლოზ საყვარელიძესა და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს, სტეპან სილიჩს. კოროტაევმა მათ ბოროტმოქმედთა ჯგუფის შექმნა შესთავაზა, რომელიც მოქალაქეთა ბინებს გაქურდავდა. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, დამნაშავეებმა მოქმედების დეტალური გეგმა შეიმუშავეს. კრიმინალურ სამყაროში კარგად ცნობილი სილიჩი თანამოაზრეებს მფარველობას შეჰპირდა და სანაცვლოდ, ნადავლის რეალიზაციიდან 20 პროცენტიანი წილი მოითხოვა. კოროტაევი და საყვარელიძე პირობას დათანხმდნენ და უკვე სამი დღის შემდეგ თავიანთი გეგმის განხორციელებას შეუდგნენ.

20 თებერვალს, დაახლოებით 21 საათზე, სასტუმრო „როსიას“ მეხუთე სართულის ერთ-ერთმა მორიგემ, ნინა არონოვამ №517 ოთახის გასაღები გადასცა ნიკოლოზ საყვარელიძესა და მის თანამზრახველს — 18 წლის ვახტანგ კობალაძეს. აღნიშნული ოთახის ბინადარნი, თბილისელი ცოლ-ქმარი, მერაბ და ნელი თავაძეები ამ დროს სასტუმროს რესტორანში იყვნენ. საყვარელიძემ და კობალაძემ მათი ოთახი გაჩხრიკეს, სტუმრების ხელჩანთიდან გასაღების აცმა ამოიღეს და მორიგე არონოვას ოთახში მათი ყალიბები გააკეთეს. ამის შემდეგ გასაღების აცმა ხელჩანთაში დააბრუნეს და სასტუმრო დატოვეს. იმავე ღამით დამნაშავეთა ორგანიზაციის კიდევ ერთმა წევრმა არტემ მატვიენკომ ყალიბების საშუალებით ოთხი გასაღები გააკეთა.

მეორე დღეს, სამუშაო ცვლის დასრულების შემდეგ, ნინა არონოვა კოროტაევს ესტუმრა და „როსიას“ სარეგისტრაციო ჟურნალიდან ამოწერილი თავაძეების ბინის მისამართი მიუტანა.

22 თებერვალს საყვარელიძე თბილისში ჩაფრინდა და თავაძეების ბინის გასაღების დუბლიკატი ჯერჯერობით დაუდგენელ პირს გადასცა.

ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამართველოს ცნობით, 23 თებერვალს გაიქურდა მერაბ თავაძის ბინა. სახლის პატრონები ამ დროს ქალაქ მოსკოვში იყვნენ. ბოროტმოქმედებმა ბინიდან წაიღეს 4 ათასი მანეთი, 11 ათასი მანეთი ოქროს ობლიგაციების სახით და 3 ათასი მანეთის ღირებულების ნივთები“.

კვალი ჩნდება და ისევ იკარგება

ეს კოროტაევის ბანდის პირველი დანაშაული იყო. მას შემდეგ ბოროტმოქმედებმა 40-მდე მსგავსი ქურდობა ჩაიდინეს. 1976 წლის მაისში, როცა დაჯგუფების გაუვნებელყოფამდე ჯერ კიდევ შვიდი თვე იყო დარჩენილი, ქურდებს პირველი რეალური საფრთხე დაემუქრა. მაშინ კიეველმა სამართალდამცავებმა ავტომანქანის გატაცებისთვის ახალგაზრდა კაცი, ვინმე ანდრეი მიკიტიუკი დააკავეს. დაკითხვის დროს მან ბინის გაქურდვის ორი ფაქტიც დაასახელა. როდესაც მილიცია დაინტერესდა, ვინ იყო მისი ე.წ. საქმის მიმცემი, მიკიტიუკმა განაცხადა, რომ მოსკოვში ცხოვრობდა ვინმე „ლოცმანი“, რომლის ნამდვილი გვარ-სახელი არ იცოდა და სწორედ ეს ადამიანი ამარაგებდა ინფორმაციით კიევში გასაქურდი ბინების თაობაზე.

— როგორ უკავშირდებოდით ამ ადამიანს? — დაინტერესდნენ გამომძიებლები.

— იგი თავად გამეცნო. შინ დამირეკა, შენზე ვიღაც ბიჭებმა ბევრი კარგი რამ მიამბესო. შემდეგ მოსკოვიდან მირეკავდა ხოლმე, ამა და ამ დღეს ჩამოვდივარო და გასაღები და საჭირო მისამართიც ჩამოჰქონდა. ორივე ბინა მისი ჩამოსვლის დღეს გავქურდე, რადგან პატრონები შინ არ იყვნენ...

კიეველმა სამართალდამცავებმა გაქურდული მოქალაქეები დაჰკითხეს და საინტერესო რამ აღმოაჩინეს — იმ დროს, როცა მიკიტიუკი მათ ბინებს „ასუფთავებდა“, ორივე დაზარალებული მივლინებით მოსკოვში იყო და სასტუმრო „როსიას“ მეხუთე სართულზე ცხოვრობდა. როგორც ჩანს, „ლოცმანი“ მათ ბინის გასაღებს იქვე ჰპარავდა და მისამართებსაც სასტუმროშივე ადგენდა.

ოლეგ კოროტაევი

ნიკოლოზ საყვარელიძე

МУР-ის ცნობიდან: „დაზარალებული სტუმრისა და მისი თანმხლები პირის დაკითხვის შედეგად გამოიკვეთა მოსკოვში მცხოვრები, კრივში სსრკ-ის არაერთგზის ჩემპიონის, ოლეგ კოროტაევისა და მისი მეგობრის, ნიკოლოზ საყვარელიძის პიროვნებები. აგენტურული ინფორმაციით, აღნიშნულ პირებს კავშირი აქვთ მოსკოველ და ომსკელ დამნაშავეებთან. კოროტაევსა და საყვარელიძეს ფარული მეთვალყურეობა დაუწესდათ“.

აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა მოსკოვს. МУР-ის მუშაკებმა „როსიას“ უამრავი თანამშრომელი, მათ შორის, კოროტაევის ჯგუფის წევრი ნინა არონოვაც დაჰკითხეს, მაგრამ ვერც „ლოცმანის“ კვალს მიაგნეს და ვერც ის დაამტკიცეს, რომ კიეველ სტუმრებს მაინცდამაინც „როსიაში“ ჰპარავდნენ გასაღებებს. მოსკოვში ძიება გაჭიანურდა, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა.

ამასობაში უკრაინელმა გამომძიებლებმა ეშმაკობას მიმართეს და მიკიტიუკის ბინის სატელეფონო ხაზზე მილიციის განყოფილებიდან კონტროლი დააწესეს — შესაძლოა, ბინის ქურდის დაკავების თაობაზე „ლოცმანს“ ინფორმაცია ჯერ არ აქვს და ეგებ, კვლავ დარეკოს მიკიტიუკთანო. ტელეფონთან 24 საათის მანძილზე მორიგეობდა მილიციის თანამშრომელი, რომელსაც მხოლოდ საქალაქთაშორისო, გაბმული ზარის დროს უნდა აეღო ყურმილი. იმ შემთხვევაში, თუ ხაზზე მოსკოვი იქნებოდა, ტელეფონი სასწრაფოდ უნდა გადაერთოთ მიკიტიუკის ერთადგილიან საკანში დადგმულ პარალელურ ტელეფონზე. გამომძიებლების მიერ შემუშავებული ლეგენდის თანახმად, მიკიტიუკი „ლოცმანს“ ეტყოდა, ყურმილი სოფლიდან დროებით ჩამოსულმა ჩემმა ბიძაშვილმა აიღო და თუ კვლავაც გამომიძებნით საქმეს, იქნებ ეს კაციც თან ვიახლოო... ერთი სიტყვით, სამართალდამცავებმა ხაფანგი კი დააგეს, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, მაგრამ მოსკოვიდან არავინ რეკავდა. მილიცია ეჭვობდა — ან მიკიტიუკმა მოგვატყუა, ან კიდევ „ლოცმანმა“ შეიტყო მისი დაპატიმრების ამბავი და, რა თქმა უნდა, აღარ დაურეკავსო... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მაინც გაისმა გაბმული ზარის ხმა:

— ანდრეი, „ლოცმანი“ ვარ!

— ანდრეის ახლავე დავუძახებ, — მილიციელმა ტელეფონი მიკიტიუკთან გადართო.

— „ლოცმანი“ ვარ! — გაიმეორა მამაკაცმა. — ხვალ შვიდსაათიან რეისს მოვყვები. ისევ იმ ადგილას დამხვდი...

27 მაისს, კიევის აეროპორტში, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე ოპერმუშაკი ელოდა „ლოცმანს“. აქვე იყო ანდრეი მიკიტიუკიც. მილიციის დავალებით, მას ტაქსიში უნდა ჩაესვა სტუმარი და გაერკვია, ჰქონდა თუ არა მას თან მისამართი და გასაღები. დასტურის შემთხვევაში, მიკიტიუკი ოპერებს სიგნალს მისცემდა და „ლოცმანს“ იქვე აიყვანდნენ.

გათვალისწინებული იყო მეორე ვარიანტიც — თუ სტუმარი ანდრეის ეტყოდა, ყოველივე ეს თან არ მაქვსო, ტაქსი (საჭესთან მილიციელი იჯდა) მგზავრებს მიკიტიუკის ბინაში მიიყვანდა. გეგმის მიხედვით, მიკიტიუკსა და „ლოცმანს“ შორის ბინაში შემდგარი საუბარი წინასწარ დამონტაჟებული მიკროფონებით მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერებოდა და ჩასაფრებული ოპერმუშაკები „ლოცმანს“ მხოლოდ ამის შემდეგ დააკავებდნენ.

მოსკოვი-კიევის თვითმფრინავი დაგვიანებით ჩამოფრინდა. „ლოცმანი“ — მხარბეჭიანი ახალგაზრდა მამაკაცი — აეროპორტში მხოლოდ ათ საათზე გამოჩნდა. მიკიტიუკი მას მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა:

— როგორ იმგზავრე, მეგობარო? ყველაფერი რიგზეა?

— რა თქმა უნდა. საჭირო ინსტრუმენტები ჩამოგიტანე.

— ვისი ბინაა?

— ვიღაც ვიტალი დერბენიოვისა. ფულიანი, მარტოხელა კაცია. თვის ბოლომდე მოსკოვში იქნება. მის ბინაში, ალბათ, არავინ უნდა იყოს...

მოსაუბრების წინ ტაქსი გაჩერდა. ორივე უკანა სავარძელზე მოთავსდა. მიკიტიუკმა კეპი მოიხადა და თმაზე ხელი გადაისვა. ეს სიგნალი იყო.

სამი ოპერმუშაკი თვალის დახამხამებაში შეხტა მანქანაში. ერთ-ერთმა „ლოცმანს“ პირადობის მოწმობა უჩვენა:

— კიევის სისხლის სამართლის სამძებრო. თქვენ დაპატიმრებული ხართ!

მოსკოველი სტუმარი 25 წლის ივან ბობროვი აღმოჩნდა. მისი დაკითხვა დილამდე გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. „ლოცმანი“ კატეგორიულად უარყოფდა რაიმე კავშირს დამნაშავეთა სამყაროსთან — მიკიტიუკი ცრუობს, ქურდობების თაობაზე არაფერი მსმენიაო. დილის შვიდ საათზე გამომძიებლებმა ბობროვი საკანში მოათავსეს და МУР-ს დაუკავშირდნენ: „ცხოვრობს თუ არა სასტუმრო „როსიაში“ ვინმე ვიტალი დერბენიოვი?“ მალე დასტურიც მოვიდა: „სასტუმროს მეხუთე სართულზე ასეთი პიროვნება მართლაც ცხოვრობს!“

კიეველმა გამომძიებლებმა სათანადო ნებართვა უმალ აიღეს და „ლოცმანის“ ჩანთაში აღმოჩენილი გასაღებებით დერბენიოვის ბინას ესტუმრნენ. ორი გასაღები უპრობლემოდ მოერგო კარის საკეტს... მაგრამ მილიციაში დაბრუნებულებს მოულოდნელი ამბავი დახვდათ — საკანში „ლოცმანს“ პერანგისგან თოკი გაეკეთებინა და თავი ჩამოეხრჩო. კვალი დაიკარგა.

ერთადერთი ხელჩასაჭიდი სასტუმრო „როსიას“ თანამშრომლები იყვნენ, განსაკუთრებით, მეხუთე სართულზე მომუშავე პერსონალი. მაგრამ მილიციას აქაც იმედგაცრუება ელოდა. სართულის მორიგე ნინა არონოვა უკვალოდ გაქრა და სამართალდამცავებმა მისი ადგილსამყოფელი ვერაფრით დაადგინეს.

ბანდის აღსასრული

კოროტაევ-საყვარელიძის ბანდამ საქმიანობა დროებით შეაჩერა. „როსიაში“ მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო.

МУР-ის არქივიდან (1977 წლის თებერვალი): „1976 წლის 2 ნოემბერს სტეპან სილიჩი („ძედი“), ნიკოლოზ საყვარელიძე და ოლეგ კოროტაევი კვლავ შეიკრიბნენ ამ უკანასკნელის ბინაში. სილიჩმა განაცხადა, რომ ივან-„ლოცმანის“ თვითმკვლელობისა და ნინა არონოვას ქალაქ ომსკში მიმალვის გამო, ბანდას საქმიანობა მოსკოვის სასტუმრო „ბელგრადში“ უნდა გაეგრძელებინა. მისი ინფორმაციით, იქ ძირითადად უცხოელები ჩერდებოდნენ და მათი გაძარცვა ფრიად სარფიანი საქმე იქნებოდა. ბოროტმოქმედთა გეგმის თანახმად, კოროტაევი ხშირად უნდა მისულიყო „ბელგრადის“ რესტორანში, გაეცნო იქაური პერსონალი და სიტუაცია დაეზვერა. ამის შემდეგ კონკრეტული ღონისძიების გეგმაც შემუშავდებოდა“.

4-დან 23 ნოემბრამდე კოროტაევი ექვსჯერ ესტუმრა „ბელგრადს“. მოსკოვში კარგად ცნობილ სპორტსმენს იქ შესვლა არ გაუჭირდებოდა. ყოფილი მოკრივე რესტორნის ოფიციანტ გოგონას, ვინმე ლენას დაუახლოვდა და შემდეგ იგი ნიკოლოზ საყვარელიძეს გააცნო.

27 ნოემბერს მოსკოვის რესტორან „არაგვში“ საყვარელიძემ ლენასგან შეიტყო, რომ „ბელგრადის“ ერთ-ერთ ნომერში გაჩერდა იაპონელი მამაკაცი, რომელიც რამდენიმე დღეში ლენინგრადში აპირებდა გამგზავრებას:

— მატარებლით მიდის, ლენინგრადის დათვალიერება სურს და მეც მეპატიჟება. ზეგიდან შვებულება მეკუთვნის და ალბათ, მართლაც გავყვები.

— თუ ნებას დამრთავ, გაგაცილებ, — გაუღიმა საყვარელიძემ, — მინდა ყვავილები მოგართვა.

30 ნოემბრის დილას ნიკოლოზი რკინიგზის სადგურის ბაქანზე ლენასა და იაპონელ ტურისტს შეხვდა. გოგონას ულამაზესი თაიგული გადასცა, იაპონელი კარგად შეათვალიერა და მგზავრები ადგილებამდე მიაცილა:

— კეთილი მგზავრობა, ლენა, იმედია, მალე ისევ გიხილავ!

მატარებელი დაიძრა. დაახლოებით ერთ საათში ტუალეტში გასული იაპონელი ორმა მამაკაცმა გაძარცვა. სტუმარს სამი ათასამდე ამერიკული დოლარი, ოქროს ნივთები და 1.800 საბჭოთა მანეთი წაართვეს.

МУР -ის ცნობით (1976 წლის დეკემბერი): „დაზარალებული სტუმრისა და მისი თანმხლები პირის დაკითხვის შედეგად გამოიკვეთა მოსკოვში მცხოვრები, კრივში სსრკ-ის არაერთგზის ჩემპიონის, ოლეგ კოროტაევისა და მისი მეგობრის, ნიკოლოზ საყვარელიძის პიროვნებები. აგენტურული ინფორმაციით, აღნიშნულ პირებს კავშირი აქვთ მოსკოველ და ომსკელ დამნაშავეებთან. კოროტაევსა და საყვარელიძეს ფარული მეთვალყურეობა დაუწესდათ“.

რადგან დაზარალებული უცხოეთის მოქალაქე იყო, ძიებაში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც ჩაერთო. თვალთვალთან ერთად მიმდინარეობდა აგენტურული ღონისძიებანი და ეჭვმიტანილთა ბინების ტელეფონების მოსმენა. 1977 წლის 2 იანვარს მაძებრებმა ნიკოლოზ საყვარელიძის კვალი დაკარგეს. მოთვალთვალეებს იგი მეტროში დაუძვრა ხელიდან. ეტყობა, დამნაშავემ საშიშროება იგრძნო. გაჩნდა ვარაუდი, რომ მიმალვას მოკრივეც ეცდებოდა და სამართალდამცავები იძულებული შეიქნენ, იგი სასწრაფოდ დაეკავებინათ. პირველივე დაკითხვისას მახეში გაბმულმა კოროტაევმა ჩვენებების მიცემა დაიწყო:

— ნინა არონოვა მართლაც ჩვენი ჯგუფის წევრი იყო, წელიწად-ნახევრის მანძილზე გვეხმარებოდა გასაღებების მოპოვებაში, მისგანვე ვიგებდით „როსიაში“ მყოფი მოქალაქეების მისამართებსაც. „ლოცმანის“ ჩავარდნის შესახებ საყვარელიძისგან შევიტყვეთ — დაზღვეული რომ ვყოფილიყავით, ბოროვთან ერთად კიევში საყვარელიძესაც ვგზავნიდი. ერთი რეისით მიფრინავდნენ ხოლმე, მაგრამ ერთმანეთს არ ხვდებოდნენ და კიევშიც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. 1976 წლის 27 მაისს, ნიკოლოზმა დამირეკა, „ლოცმანი“ აიყვანეს და არონოვა სასწრაფოდ გააფრთხილეო. ნინა მოსკოვიდან ომსკში წავიდა, მისი ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი ვიცი. ვერაფერს გეტყვით საყვარელიძის თაობაზეც. ჩემს დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე მაუწყა, მგონი, მითვალთვალებენ და გული მიგრძნობს, ხიფათი გვიახლოვდებაო. რაც შეეხება ჯგუფის სხვა წევრებს...

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბანდის მთელი შემადგენლობა ჩამოთვალა და მათი მისამართებიც დაასახელა.

1977 წლის იანვარში სამართალდამცავებმა სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში კოროტაევის ბანდის თერთმეტი წევრი დააპატიმრეს. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ კოროტაევს დიდი წვლილი მიუძღოდა საბჭოთა კრივის განვითარების საქმეში, გარდა ამისა, იგი აქტიურად ეხმარებოდა ძიებას და ორგანიზებული დაჯგუფების მეთაურს მხოლოდ ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ნიკოლოზ საყვარელიძისა და ნინა არონოვას ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

კოროტაევი ციხიდან 1983 წელს გამოვიდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ქურდობისთვის იგი კვლავ დააპატიმრეს. 90-იანი წლების დასაწყისში მუჰამედ ალის მძლეველს ხშირად ხედავდნენ მოსკოვის ფეშენებელურ რესტორნებში, ცნობილი ხალხის — ამირან და ოთარ კვანტრიშვილებისა და ვიაჩესლავ ივანკოვის („იაპონჩიკის“) გარემოცვაში.

1994 წელს ოლეგ კოროტაევი ამერიკაში გაემგზავრა. მალე მოვლენები წმინდა სიცილიური სცენარით განვითარდა: ზაფხულის ერთ საღამოს, როცა ყოფილი მოკრივე თავისი ძვირფასი ავტომანქანიდან გადმოდიოდა, მას უცნობი პირი მიუახლოვდა და თვითმხილველთა გადმოცემით, რუსულად გამოელაპარაკა. შემდეგ უცნობმა პისტოლეტი დააძრო, კოროტაევს ორჯერ ესროლა და მიიმალა. ხუთგზის ჩემპიონი სასწრაფო დახმარების მოსვლამდე გარდაიცვალა.

საქმე გაუხსნელია, თუმცა МУР-ში დღემდე მიაჩნიათ, რომ ოლეგ კოროტაევი მისმა ყოფილმა მეგობრებმა დასაჯეს — შესაძლოა, მათ, ვინც მოკრივემ 1977 წელს დააბეზღა.

გვერდი მოამზადა
მიხეილ ჩერქეზიამ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲔᲑᲘ

ᲞᲘᲚᲒᲚᲝ ᲝᲗᲐᲠᲘ

ჩემი მეგობარი ოთარი ღამით შინ ბრუნდებოდა. მაშინდელი მეტროს სადგურის, „26 კომისრის“ (დღევანდელი „ავლაბარი“) უკან მდებარე რობესპიერის ქუჩას რომ დაადგა, ვიღაც მანიაკური შეხედულების მამაკაცმა ხელი ჩაავლო, წინ გაიგდო და უსიტყვო მორჩილება მოსთხოვა. მიიყვანა იქვე ახლოს, კორპუსთან, დააყენა შუა ადგილას და უბრძანა, — „მარინა“ დაიძახეო. შიშისგან აკანკალებულმა ოთარმა თავიდან ხმადაბლა ამოიკნავლა: „მარინა“. „ხმამაღლა, შენო“... და იმ კაცმა ვეება მუშტი თავში უროსავით ჩასცხო. თითქოს გონს მოვიდაო, — „მა-რი-ნა“, „მა-რი-ნა“, „მარინა“... არ ცხრებოდა ოთარი. „გეყოფა შენი... ახლა კი გაეთრიე აქედან“ — მიაყვირა მოძალადემ და საგზლად ერთი ხეირიანი პანლურიც მიაყოლა.

ის იყო, ოთარი იქაურობას უნდა გასცლოდა, რომ ახლა ვიღაც მეორემ, იმ „მანიაკზე“ ორჯერ უფრო მოხეულმა ტიპმა, — შენ რა გესაქმება ჩემს მარინასთანო — ფეხქვეშ ამოიდო და...

მინგრეულ-მონგრეულმა ოთარმა გამთენიისას ოთხით ძლივს ამოაღწია ნასაკირალის ქუჩამდე.

სოსო ცირგაია

ᲮᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

დაახლოებით ორი ათეული წლის წინ, ზაფხულში, ასეთივე სიცხეები იყო. საბჭოთა მეურნეობას ხახვი და ნიორი ჰქონდა დათესილი. მოსავალი, ღვთის მადლით, კარგი მოვიდა, მაგრამ აღება გაჭირდა...

მთელი ბრიგადა გაიგზავნა მოსავლის ასაღებად. ბრიგადაში ქალებიც იყვნენ და მამაკაცებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვალვა იყო და გაქვავებული მიწიდან ხახვის და ნივრის ამოგლეჯა თითქმის შეუძლებელი გახდა. ერთმა მანდილოსანმა „რაციონალიზატორული“ წინადადება შემოიტანა, — მოდით, კაცებო, თქვენ ამოიღეთ და ქალები თავებს დავაჭრითო, — თქვა მთელი ბრიგადის გასაგონად.

ერთმა მამაკაცმა, რომელიც ყველაზე ადრე მოეგო გონს, უპასუხა: „მამა გიცხონდა, სულ მაგასა ვფიქრობ, რაღა!“ სხვებიც მიხვდნენ ქალის ნათქვამს და ატყდა სიცილ-ხარხარი. რაციონალიზატორს ისე შერცხვა, სად დამალულიყო, აღარ იცოდა.

უცნობი

„ᲣᲖᲔᲓᲣᲠᲘ“ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

(ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ)

გადაჭედილი ტროლეიბუსით ვმგზავრობ. ჭყლეტა-ჯეჯგვაში, როგორც იქნა, გავიკვლიე გზა ჩასასვლელისკენ.

— ჩადიხარ? — მკითხა მელოტმა და ქოჩორა ბიჭივით გამიღიმა.

— ხო... ჩავ... უხ... ვახ!.. ჩამიშვით! —

— მომეცით ჩემი ფეხსაცმელი, მარცხენა! — ვიყვირე განწირული ხმით, — მომეცით!

არავითარი რეაქცია...

ტროლეიბუსი ავჯანჯღარდა, მივხვდი, რომ წასვლას აპირებდა.

— ჩემი ფეხსაცმელი... მომეცით — მარცხენაა!! — ვიბღავლე გამწარებულმა გვადი ბიგვასავით.

ტროლეიბუსი ნელა დაიძრა.

— ტუფლიი! — მოვიკრიბე ბოლო ძალა, — სადაა? თქვენც შეგარცხვინათ ღმერთმა და ჩემი მარცხენა ფეხსაცმელიც!

ცალი ფეხსაცმლით ხომ არ ვივლიდი? გაბრაზებულმა წავიძვრე მარჯვენაც და შევისროლე ტროლეიბუსში.

დაძრული ტროლეიბუსიდან ვიღაც მადლიანმა არ გადმოაგდო ჩემი მარცხენა ფეხსაცმელი?

— მარჯვენაა! — ვიბღავლე ახლა, მაგრამ ტროლეიბუსი უკვე შორს იყო.

ვიჭიმე, ვიჭიმე და ახალნაშობივით გამოვსხლტი უკანა კარიდან.

გამოვსხლტი, შვებით ამოვისუნთქე და დარჩენილი სამი ღილი რომ უნდა შევიკრა — ფეხებზე დავიხედე.

სადღაა მარცხენა ფეხსაცმელი.

მურმან მერკვილიშვილი

ᲐᲡᲘ ᲢᲐᲜᲙᲘ, ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ...

მე და ერთ ჩემს მეგობარს დაგვირეკა მესამე ახლო მეგობარმა და მოგვახარა, — ფაბრიკის დირექტორად დამნიშნეს და მნახეთო. გვითხრა მისამართი, ოღონდ ფაბრიკის დასახელება არ დაუზუსტებია.

ჩვენც მივედით აღნიშნულ მისამართზე. მისაღებში შევედით თუ არა, კაბინეტის ღია კარიდან მოისმა ჩვენი მეგობრის ხმა, ხმამაღლა ლაპარაკობდა ტელეფონით: „ასი ტანკი გაგზავნეთ ქუთაისში, ორმოცდაათი თვითმფრინავი თელავში, ორასი ცხენი გორში, ხუთასი ავტომატი ბათუმში“ და ა.შ.

თანმხლებმა მეგობარმა გაოცებით შემომხედა და მითხრა, — ბიჭო, ჩვენი ძმაკაცი ან ამიერკავკასიის ჯარების შტაბის უფროსად დაუნიშნავთ, ან კარგა მაგრად გაუფრენიაო!

ამასობაში იმანაც დაამთავრა ტელეფონზე საუბარი და კაბინეტში შეგვიწვია. გაირკვა, რომ ეს იყო სათამაშოების ფაბრიკა და მისი ახალი დირექტორი პროდუქციას ანაწილებდა რეგიონებში!!!

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

ᲜᲐᲢᲕᲘᲡᲐᲪ ᲨᲜᲝ ᲣᲜᲓᲐ!

ბათუმში, ორჯონიკიძის ქუჩაზე, რესტორან „გემოსთან“ ორი, დაახლოებით 70-80 წლის მოხუცი დინჯად მისეირნობდა.

მოპირდაპირე მხარეს გოგო და ბიჭი მიდიოდნენ, ისეთები იყვნენ, ავ თვალს არ ენახვებოდნენ, თითქოს მათზე ეთქვათ: „ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსაო“. მათ დანახვაზე ერთმა მოხუცმა მეორეს გადაულაპარაკა: „ერთი ეს გოგო მომცა ახლა?!“

მეორემ მიუგო:

— შე ბეჩავო, ის გოგო რად გინდა, იმ ბიჭს რომ აქვს, ისეთი ინატრე.

— შენც მართალი ხარ, — დაეთანხმა პირველი.

ორივეს სიცილი აუტყდა და ასე გააგრძელეს გზა.

თ. ლევანიშვილი, ბათუმი

ᲛᲣᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲜᲘᲣᲗᲑᲘ

ჭიჭიკიამ და ბიჭიკიამ ბანკი გაძარცვეს. ჭიჭიკიამ დაიწყო ფულის თვლა. ბიჭიკია ეუბნება:

— შეეშვი თვლას, ხვალე ვიდეოპატრულში გამოაცხადებენ.

ზურა და ზვიადი, არალი

კალაბოკი აბანოში წავიდა. გამოვიდა და წამოიძახა:

— ვააჰ, თავის დაბანა დამავიწყდა.

ნიკა ფხაკაძე, 13 წლის, თბილისი



ჭიჭიკია კლდიდან გადავარდა.

— რა მოიტეხე, ხელი? — დასძახის ზემოდან ბიჭიკია.

— არა, არა, — ამოსძახა ჭიჭიკიამ.

— აბა რა? — არ ეშვება ბიჭიკია.

— მცალე, ბიჭო, ჯერ არ დავცემულვარ და რო დავეცემი, გეტყვი. — სიღრმიდან მოისმა ჭიჭიკიას ხმა.

ჯანო ონიანი



— რა არის, ჭიჭიკია, რა ბინტებში გახვეულხარ?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ბიჭიკიამ თავისი მერსედესით ისეთი სისწრაფით ჩამიქროლა, ჩემი მანქანა გაჩერებული მეგონა, გავაღე კარი და გადავედი.

ზურა და ზვიადი, არალი

„ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲔᲥᲡᲘ“

მარო:

— შამიპყარ, მიხავ, შამიპყარ!

მიხა:

— მეტი რა გიყო, ქალო, ალყას ხო არ დაგარტყამ?!

* * *

მარო:

— არ დამინდო, მიხავ, არ დამინდო!

მიხა:

— თოფ ხო არ დაგცემ, ქალო, სხვა რაღაი ვქნა?!

მაია, კახეთი

მეგრელმა აღმასკომში განაცხადა:

— ჩემი სახლის წინ ქალების აბანოა, მოვკვდი კაცი. იქნებ ბინა შემიცვალოთ.

შესამონმებლად აღმასკომის თანამშრომელი გაგზავნეს. მივიდა ფანჯარასთან და გადაიხედა, არაფერი მოჩანს.

— „შკაფის“ თავზე ადით, ბატონო! ვერც ახლა დაინახეს ვერაფერი.

— ცოტა აქეთ მოიწით, აქეთ... კიდევ აქეთ...

აღმასკომელმა ძირს მოადინა ბრაგვანი.

— ვერ დეინახეთ, ხომ? ე, მაგრე ვწვალობ ყოველდღე!

ნანა არჩუაძე

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲔᲚᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲡ. ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

ევროპული პრესა საუკუნის დასაწყისშიც დემოკრატიას იცავდა

ჩვენი გაზეთის რუბრიკა — „რას წერენ ჩვენზე“, როგორც ჩანს, საუკუნის დასაწყისის ქართული პროგრესული გაზეთებისა და მკითხველისთვისაც ძალზე საინტერესო და აქტუალური იყო. 1906 წლის ქართული პრესა ერთხმად გამოთქვამს სინანულს იმის გამო, რომ არა მარტო ევროპის, არამედ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებიც კი, ინფორმაციის სიმწირის გამო, საქართველოს ამბებს დამახინჯებულად ასახავდნენ.

1906 წელი კი ის პერიოდია, როდესაც პირველი რევოლუციისა და დასავლეთ საქართველოში სახალხო გამოსვლების შემდეგ, ჩვენში რეაქცია მძვინვარებდა და პროგრესული ევროპის თუნდაც სიტყვიერი მხარდაჭერაც წაადგებოდა საქართველოს, რადგან როგორც ირკვევა, დღევანდელის მსგავსად, რუსეთის მთავრობა მაშინაც დასავლეთისკენ ხელგაწვდილი მათხოვრობდა და კრედიტებს ითხოვდა. „სახალხო გაზეთი“ აღნიშნავს, რომ ევროპულ გაზეთებში საქართველოს ამბების ხსენებისას ქართველებს არავინ ახსენებს: წერენ ყარსში ბოქაული მოკლესო, განჯაში ვიღაც დაჭრესო, სომხებმა და თათრებმა ერთმანეთი ამოხოცესო, რევოლუციას კი აღბათ რუსები და ებრაელები ახდენენო, თითქოს საქართველოში ქართველის ხსენებაც კი არ იყოსო — სინანულით დაასკვნის ქართული გაზეთი და ასეთი მაგალითიც მოჰყავს: გერმანიის ქალაქ აახენის პოლიტექნიკუმში მავანმა ახალგაზრდა პროფესორ-გეოლოგმა მოხსენება წაიკითხა, სადაც აღინიშნა, — ესა და ეს მადნები სომხეთში — ოზურგეთთან და დუშეთთან მოიპოვებაო (სხვათა შორის, ქართული გაზეთი იქვე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმავე დროს იმავე დაწესებულებაში მოღვაწეობდა წარმოშობით თბილისელი, სომეხი პროფესორი არწრუნი).

აი, ასეთი ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისთაგანი იყო ბელგიის გაზეთ „L'Etoil Belge“-ში („ბელგიის ვარსკვლავი“) გამოქვეყნებული მასალა, სადაც ზუსტი ცნობებია მოტანილი საქართველოსა და იქ მიმდინარე მოვლენების, მათ შორის გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სასტიკი სადამსჯელო ოპერაციების შესახებ. გარდა ამისა, იქვე იყო დაბეჭდილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი ქალებისა და კაცების ფოტოპორტრეტები ეროვნულ ტანსაცმელში და მცირე ისტორიული ექსკურსიც.

ბელგიური გაზეთი მკვეთრ შეფასებას აძლევდა რუსეთის სასტიკ მოქმედებას საქართველოში და თავის მთავრობას მოუწოდებდა შესაბამისი ზომების მიღებისაკენ. ამ პირველმა პუბლიკაციამ შედეგიც გამოიღო — ბრიუსელში მოქმედმა ორგანიზაციამ — „რუსეთის ხალხოსნებთან მეგობრობის საზოგადოება“ — დიდი საპროტესტო მიტინგი მოაწყო 23 აპრილს, მისი თავმჯდომარის, უნივერსიტეტის პროფესორის, ვანდერკინდერის ინიციატივით.

ამ მიტინგიდან რეპორტაჟიც დაიბეჭდა იმავე „L'Etoil Belge“-ში, რომელიც 1906 წლის 30 აპრილის ნომერში გაზეთმა „შრომამ“ გადმობეჭდა: ორგანიზაცია უმაღლეს დონეზე ყოფილა, ორიათასიანი დარბაზი უქირავებიათ, რომელიც

1905 წელი, გოლოვინის პროსპექტი; რევოლუციური გამოსვლები თბილისში

გადაჭედილა ხალხით, შესასვლელში ე.წ. კარტპოსტალებს არიგებდნენ, რომელშიც საქართველოზე ცნობები იყო დაბეჭდილი. იქვე ყოფილა ქართველი ქალბატონიც (სამწუხაროდ, მისი ვინაობა უცნობია), რომელიც დაინტერესებულთა შეკითხვებს პასუხობდა. მიტინგს პროფესორი დენი თავმჯდომარეობდა. მთავარი ორატორი ვინმე პოლ-ემილ ჟანსონი ყოფილა, რომელმაც ოცდახუთწუთიანი სიტყვა წარმოთქვა, სადაც სხვათა შორის აღუნიშნავს: „ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს საქართველოდან. რუსეთის მთავრობა და პრესა ვეღარ გაბედავს იმის თქმას, რომ ყველაფერი ჭორია. ეს კი ქართული პრესის სიმამაცის დამსახურებაა, რომელმაც რუსეთის ავაზაკობა ამხილა. ბელგიამ და მთელმა ევროპამ უნდა დაინახოს, რომ რუსეთი გვატყუებს, რათა ფულები დაგვცინცლოს. დაე, მისცენ კრედიტები გაუმაძღარმა ბანკირებმა, მაგრამ მთავრობა ხალხის ფულს ეროვნული ხაზინიდან გროშსაც არ მისცემს“.

ამ გამოსვლას მსმენელთა დიდი ოვაცია მოჰყოლია. ბელგიური გაზეთის ცნობით, მიტინგის კულმინაცია ყოფილა ცნობილი დეპუტატის ემილ ვანდერველდის გამოსვლა (ეს ის ვანდერველდია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩამოვიდა თბილისში სოცინტერნის დელეგაციასთან ერთად და რომელიც აქტიურად ლობირებდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ერთა ლიგაში — ზ.გ.), რომელსაც მთელი საათის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა ხალხი.

იქვე მოყვანილია რამდენიმე ფრაზა მისი გამოსვლიდან: „ისტორიაში არ არის მაგალითი ხალხისა, რომელსაც ასეთის განუწყვეტელის და მედგარის ბრძოლით დაეცვას თავისი დამოუკიდებლობა. როგორც ელიზე რეკლუ ამბობს, ადრე ქართველი მამები თავიანთ შვილებს აკვანში ტყვიას უგორებდნენ, რითაც თითქოს ბრძოლისთვის ამზადებდნენო. ქართველმა ერმა თავი დააღწია აღმოსავლელ ბარბაროსებს და ხელშეკრულება დადო რუსეთთან, რომელმაც აღუთქვა ეროვნული დამოუკიდებლობა. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა ფასი აქვს ასეთ ხელშეკრულებას პატარა ერისა რუსეთთან. ამის მაგალითად ფინეთიც გამოდგება.“

ვანდერველდი შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს რუსიფიკაცია-კოლონიზაციაზე ლაპარაკობს და ბოლოს მაშინდელ მდგომარეობაზე ისაუბრა:

„რას წარმოვიდგენდი, რომ კავკასიაში, რომელსაც ადრე მარტო ბუნებითა და მადნებით ვიცნობდი, დღეს ასეთი სასახელო მოძრაობა იჩენს თავს. სიხარულით მევსება გული, რომ ისეთი თანამებრძოლი შეგვემატა დემოკრატიისთვის ბრძოლაში, როგორიც ქართველი ერია“.

შემდეგ ცალკე შეეხო აგრარულ საკითხს და ე.წ. „გურიის რესპუბლიკას“, აღფრთოვანება გამოთქვა მის გამო და სასტიკად გაამათრახა რუსეთის რეაქციული პოლიტიკა. როგორც გაზეთი აღნიშნავს, — მთელი დარბაზი ოხრავდა.

ყველაზე საინტერესო გაზეთში გამოქვეყნებული მიტინგის რეზოლუციაა: „გამოეცხადოს წამებულ ქართველ ერს თანაგრძნობა და გაიწიოს პროპაგანდა, რომ ბელგიის ხალხმა და მთავრობამ ფული არ გაიღოს სასესხებლად რუსეთის მთავრობისათვის“.

არ ვიცით, ამ კონკრეტულმა აქციამ რა პრაქტიკული შედეგები გამოიღო, მაგრამ დემოკრატიული ევროპის პრესის მხარდაჭერა ჩვენი ერის მიმართ მაშინ იშვიათი იყო და ამდენად, მნიშვნელოვანიც.

ზვიად გურული

რას წერენ ჩვენზე

რუს ჯარისკაცებს კავკასია საკუთარ კარ-მიდამოდ ეგულებათ!

კავკასიაში სამი ათასი კილომეტრი სიგრძის საერთაშორისო საზღვრებია, მათ შორის, მხოლოდ აზერბაიჯანის ნახჭევანის რეგიონსა და თურქეთს შორის არსებული 9 კილომეტრიანი მონაკვეთია მეგობრული. არადა, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გამავალი შესანიშნავი სატრანზიტო გზა იქნებოდა საქონლის შესატანად, ფულის დასაბანდებლად, მუშახელის დასასაქმებლად და ახალი იდეების განსახორციელებლად. მაგრამ საზღვრები კავკასიაში ქვეყნებს კი არ აახლოებს, არამედ ერთმანეთს აშორებს. ეს გასაოცარი და საწყენია, რადგან ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის შემდეგ, კავკასიის ქვეყნებს განვითარების ყველაზე მეტი პოტენციალი ჰქონდათ, მაგრამ თუ ბალტიის ქვეყნები უმტკივნეულოდ დაუბრუნდნენ ევროპას, კავკასიის სახელმწიფოებმა ომები, იზოლაცია და სიღატაკე იწვნიეს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი აფხაზეთია, — ერთ დროს საბჭოთა რივიერად წოდებული. თავად აფხაზებს მიაჩნიათ, რომ წარმატებებს მიაღწიეს. „ყოველი საათი და ყოველი დღე აფხაზეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მუშაობს. სიღარიბე გამომგონებლობას შობს, აფხაზეთს დიდი შესაძლებლობები აქვს“, — ამბობს პრეზიდენტი არძინბა და თავისი სიტყვების დასტურად თხილის წარმოება მოჰყავს... მაგრამ აფხაზეთი ევრაზიის სივრცეში ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია, — აღნიშნავს „ეკონომისტი“ და განაგრძობს, — სოხუმში ერთი სასტუმროც კი აღარ არსებობს, მოშლილია სატელეფონო სისტემა, არ არსებობს არც მობილური ტელეფონი, არც ინტერნეტი. 1992 წლის სამოქალაქო ომის დროს, მხოლოდ ერთ თვეში, მან თავისი კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები დაკარგა ((!) — რედ.). არავის უცდია მათი, ან თუნდაც უკვე მოჩვენებად გადაქცეული ქალაქის სხვა ნანგრევების აღდგენა. აქ, პრაქტიკულად, არ არის სამუშაო. მიუხედავად ხელისუფალთა ქადილისა, აფხაზეთი თავიდან ბოლომდე რუსეთის ხარჯზე ცხოვრობს. რუსეთის სამხედრო დახმარების გარეშე აფხაზები, რომლებიც ომამდე მთელი მოსახლეობის მეხუთედს შეადგენდნენ, სამოქალაქო ომს წააგებდნენ... დღეს, რუსეთის ენერგეტიკა აფხაზეთს მხოლოდ იმ დონეზე უზრუნველყოფს, რომ სული არ დალიოს, მაგრამ ხელმძღვანელებისა და მათი შეიარაღებული დაცვის გარდა, ყველამ, ვისაც გაქცევა შეეძლო, უკვე დატოვა აფხაზეთი — ძირითადად, მოხუცები, ავადმყოფები, ინვალიდები, მუქთახორები და ლოთებიღა დარჩნენ სოხუმში. ქალაქში ერთადერთი ნორმალური სამუშაო დაწესებულება გაეროს დამკვირვებელთა მისიაა, რომელიც რუსეთის სამშვიდობო ძალების მონიტორინგს ატარებს. ცინიკოსების თქმით, სამშვიდობო ძალები სიტყვით „მშვიდობას“, საქმით კი რუსეთის ყოფილი იმპერიის ამ ნაწილში კრემლის ინტერესებს იცავენ...

აფხაზეთის მსგავსი მაგალითი კავკასიაში არაერთია, — განაგრძობს „ეკონომისტი“ — ცუდი მმართველობა, მეზობლების ჯიბრით საერთო საქმის გაფუჭება და სიღატაკე კავკასიის მკვიდრთ სიცოცხლეს უწამლავს. სამხრეთ ოსეთი კიდევ ერთი მარიონეტული სახელმწიფოა ((!) — რედ.), რომელსაც რუსეთი უმაგრებს ზურგს, ფულს მეტ-ნაკლებად არარეგალურად, კავკასიის ქედში რუსეთისაკენ გამავალი გვირაბის წყალობით აკეთებს, მაგრამ ისიც საკმაოდ ღატაკია... საერთოდ, ცნობილია, რომ პოლიტიკური და სამხედრო წარუმატებლობანი ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფებს იწვევს.

დასავლელი დიპლომატების შეფასებით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბოლო 10 წლის მანძილზე ორ მილიონზე მეტმა სომეხმა დატოვა სამშობლო, ეს სომხეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტია. ყოველი მეხუთე ქართველი და აზერბაიჯანელი ემიგრანტი გახდა. საქართველო უკვე მილიონმა კაცმა დატოვა, აზერბაიჯანი — მილიონ ხუთასი ათასმა. ქვეყანას, ძირითადად, კეთილსინდისიერი, პატიოსანი და კანონმორჩილი ადამიანები ტოვებენ. ყოველივე ამას ემატება დაკონსერვებული კონფლიქტების მოუგვარებლობა, რომლებიც არათუ აფერხებს ამ რეგიონის სახელმწიფოთა ჰარმონიულ განვითარებას, არამედ ფეთქებადსაშიშია სამომავლოდაც. ამერიკელი ექსპერტი პოლ გოუბლი სომხეთსა და აზერბაიჯანელებს კონფლიქტის გადაწყვეტის პრაქტიკულ გზას სთავაზობს: მთიანი ყარაბაღის სანაცვლოდ, სომხეთმა აზერბაიჯანს ნახჭევანისკენ გასასვლელი დერეფანი უნდა მისცეს, მაგრამ სომხეთი თავს იკავებს, რადგან მეგობრულად განწყობილ ერთადერთ მეზობელთან, ირანთან, საერთო საზღვარს დაკარგავს... მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ლიდერები მოლაპარაკებებს მართავენ, სამშვიდობო პროცესი მაინც ჩიხშია მოქცეული. რაც შეეხება საქართველოს, ამას წინათ, ოფიციალური თბილისი დიდ დათმობაზე წავიდა და ვლადისლავ არძინბა პრეზიდენტადაც კი მოიხსენია, მაგრამ ეს ძალზე სარისკოა. მოსახლეობა, განსაკუთრებით აფხაზეთიდან ლტოლვილები, ასეთ ნაბიჯებს ღალატად აღიქვამენ. თავად გამარჯვებული მხარე (აფხაზეთი) დარწმუნებულია, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობა დაიცავს ფიზიკური განადგურებისაგან. მართალია, აფხაზეთი მიწასთან არის გასწორებული, მათ მაინც საკუთარი ცუდი მთავრობა ურჩევნიათ, რადგან ნებისმიერი აფხაზის აზრით, კორუმპირებული, ეთნოცენტრისტული და შურისძიების გრძნობით გაჟღენთილი ქართული მმართველობის დაბრუნება აფხაზეთში, კარგს არაფერს უქადიდ! სიღატაკესთან ერთად არასტაბილურობაც მატულობს საქართველოში, — წერს „ეკონომისტი“ და ჯავახეთის თემაზე გადადის, — ამ ქვეყნის ყველაზე ღარიბი რეგიონი, ეთნიკური სომხებით დასახლებული ჯავახეთია, სადაც მოსახლეობის ერთადერთი დამსაქმებელი რუსეთის სამხედრო ბაზაა. ის ადამიანები, ვინც კონფლიქტების გაჩაღებაში რუსებს ადანაშაულებენ, ამბობენ, ჯავახეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება მხოლოდ დროის საქმეაო... კონფლიქტების გადაწყვეტა კი, სავსებით შესაძლებელია გონივრული მმართველობითა და კარგად განვითარებული ქვეყნის შექმნით, საიდანაც მოქალაქეებს გაქცევა აღარ მოუნდებათ. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა, არც ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა განვითარების გზას არ ადგას და ამაში მხოლოდ საბჭოთა მემკვიდრეობა როდია დამნაშავე: კავკასიის ხალხებისათვის ჩვეული ნათესაური და მეგობრული კავშირები გამჭვირვალე და პასუხისმგებელი ადმინისტრაციების შესაქმნელად ნაყოფიერ ნიადაგს ნაკლებად ქმნის. მმართველი ელიტები თანამემამულეებს ისეთ ცუდ მაგალითს აძლევენ, რომ არც ერთ რიგით მოქალაქეს გადასახადების გადახდის სურვილი არა აქვს...

რა ბედი ელის კავკასიას ახლო მომავალში? — სვამს კითხვას „ეკონომისტი“ და განაგრძობს, — კონფლიქტების გადაწყვეტა გარედან ზეწოლის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი: რუსეთი თავის მოკავშირე მარიონეტ სახელმწიფოებს (აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, მთიან ყარაბაღს) ენერგეტიკული და სხვა ბერკეტების საშუალებით სრულ დამოუკიდებლობაზე უარს ათქმევინებდა. დასავლეთი თავის მოკავშირეებს, საქართველოსა და აზერბაიჯანს, უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარებაზე დაიყოლიებდა, თურქეთი სომხეთთან საზღვარს გახსნიდა, ხოლო აშშ ნაკლებად მკაცრი იქნებოდა ირანთან ურთიერთობებში... მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კავკასიური პოლიტიკის ყველა მონაწილე სიტყვით მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების მომხრეა, სინამდვილეში, ისევ ძველი გეოპოლიტიკური თამაში გრძელდება, — აღნიშნავს „ეკონომისტი“ და იქვე დასძენს, — რუს ჯაშუშებსა და სამხედროებს კავკასია საკუთარ კარ-მიდამოდ ეგულებათ კვლავაც. ისინი გულისტკივილით, მაგრამ მაინც ეგუებიან ფორმალური სუვერენიტეტის გაუქმებას ამ ქვეყნების მიმართ, მაგრამ არ სურთ, რომ აქედანაც ისევე გაისტუმრონ, როგორც ბალტიის ქვეყნებიდან! რუსმა გენერალმა ლეონიდ ივაშოვმა განაცხადა, რეგიონულ პოლიტიკაში აშშ-ის ჩართვა სახიფათო იქნებაო და საქართველოსა და აზერბაიჯანს საპასუხო ზომებით დაემუქრა, თუ ისინი ნატოსთან „არშიყობას“ თავს არ დაანებებენ! გენერლის განცხადებით, რუსეთს საქართველოში ორი რუსული სამხედრო ბაზის განუსაზღვრელი ვადით დატოვება უნდა... კრემლის მიზნების ერთ-ერთი მაჩვენებელი შეიძლება რუსული პასპორტის გაცემაც იყოს. ახლა რუსული პასპორტების მიღება ყოფილი სსრკ-ის თითქმის ყველა მოქალაქეს შეუძლია. ამდენად, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ჯავახეთში რუსეთის პასპორტიანმა მოქალაქეებმა ამ რეგიონების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და, შესაძლოა, უმრავლესობაც შეადგინონ. სავარაუდოა, რომ რუსეთის პოლიტიკის გაგრძელება საქართველოსა და აზერბაიჯანთან მიმართებაში სავიზო რეჟიმის შემოღება იქნება, რაც ორივე ქვეყნისთვის ძალზე მტკივნეული გამოდგება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ეკონომიკურ კავშირებს, რაც ამ ქვეყნებს აქვთ რუსეთთან...

ეკონომისტი

რას გმეტყვი, მამაო?

— აუცილებელია თუ არა მართლმადიდებლური წესით ახლობლის გარდაცვალებიდან 40 დღე-ღამის განმავლობაში წვერის მოშვება?

— ეს გახლავთ გლოვის გამომხატველი რიტუალი. მართლმადიდებლური წესით აუცილებელი არ არის.

— 1995 წლის 13 ივლისს ჯვარი დავიწერეთ და ბავშვი მოვნათლეთ გლდანის წმ. გიორგის ეკლესიაში მამა ბასილთან. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იმ დროისათვის მამა ბასილი უკვე მოკვეთილი იყო. გთხოვთ, გამარკვიოთ, არის თუ არა ჯვრისწერა და ნათლობა თავიდან შესასრულებელი?

— მას შემდეგ, რაც საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ბასილ მკალავიშვილი დაყვანილ იქნა ერისკაცის დონეზე, ყველა მის მიერ შესრულებული საეკლესიო საიდუმლო თავიდან არის შესასრულებელი.

— გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც მონათლული არ ყოფილა. რა შემიძლია მისთვის გავაკეთო?

— სამწუხაროდ, ასეთ ადამიანს საეკლესიო მსახურნი ვერ მოიხსენიებენ, რადგან ის წმინდა ეკლესიის წევრი არ ყოფილა. ამიტომ, მის სახელზე შეიძლება გავიღოთ მოწყალება, რათა ყოვლადსახიერმა უფალმა შეიწყალოს.

— შეიძლება თუ არა ადამიანმა შეიზლუდოს მარხვა, თუ აქვს გასტრიტი და უჭირს არასახსნილი პროდუქტების მიღება?

— ყოველივე ეს უნდა მოხდეს თქვენს მოძღვართან შეთანხმებით.

— სიონის ეკლესიაში ორი პატარა ძმა მონათლეს. ერთ მათგანს ნათლია ჰყავდა, მეორეს — არა. მღვდელმა ორივე მონათლა ჩვეულებრივი წესით. უმორჩილესად გთხოვთ, ზუსტად მიპასუხოთ, ჩაითვლება თუ არა მეორე ბავშვი მონათლულ ქრისტიანად?

— ბავშვი ჩაითვლება მონათლულ ქრისტიანად. მღვდელმსახურის მიერ ნათლობა შესრულებულია. ხოლო, რადგან გული გწყდებათ, რომ ბავშვს ნათლია არა ჰყავს, თქვენვე შეგიძლიათ იკისროთ ნათლიის როლი — ბავშვის ქრისტიანული სულიერი აღზრდის თვალსაზრისით.

— თუ ოჯახში გვაქვს რელიგიური თემატიკის კალენდრები ან ფურცლები, რომლებიც უკვე გამოვიყენეთ და მათ შენახვას აზრი არა აქვს, როგორ მოვექცეთ მათ?

— ასეთი ფურცლები სუფთა ადგილზე უნდა დაიწვას.

— თუ ადამიანს ვინმეზე ან რაიმეზე აქვს შეთქმული, შეიძლება თუ არა, სხვამ შეასრულოს ეს პირობა და რა შემთხვევაში?

— თუ ამ ადამიანს პირობის შესრულებაში რაიმე საპატიო მიზეზი (მაგალითად, უძლურება) აბრკოლებს, შეიძლება.

— როდის უნდა წამოვიღოთ ეკლესიიდან ნაკურთხი წყალი და როგორ უნდა მოვიხმაროთ იგი?

— ნაკურთხი წყალი ეკლესიიდან უნდა წამოვიღოთ მაშინ, როდესაც იგი სახლში გაგვითავდება და დილის ლოცვის შემდეგ ვიხმიოთ.

— ამბობენ, ბავშვი რომელ დღესაც დაიბადება, იმ დღეს მისი დაბანა არ შეიძლებაო. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

— ეს არის ცრუმორწმუნეობა. მსგავს ცრურელიგიურ შეხედულებებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

— შეიძლება თუ არა ნათლობის პირსახოცის გამოყენება, თუ ხელუხლებლად უნდა შევინახოთ?

— როგორც წესი, ნათლობის პირსახოცს ხელუხლებლად ინახავენ, რადგან მასზე მირონია შეწმენდილი.

— ცოდვაა თუ არა გაჯიუტებული ბავშვის დატუქსვა და ცემა, თუ სხვა საშუალებებით იგი არ გვემორჩილება?

— ბავშვის დასჯა შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ არაფრით არ შეიძლება სახის არეში ფიზიკური შეხება. დასჯა არ უნდა ხდებოდეს მშობლის განრისხების და გაღიზიანების მიზეზით და სამართლიანი უნდა იყოს.

— სად არ შეიძლება ხატების დაკიდება და როგორ უნდა მოვიქცეთ ერთოთახიანი ბინის შემთხვევაში?

— ხატის დაკიდება, ბუნებრივია, არ შეიძლება საპირფარეშოში, სააბაზანოში, ხოლო ერთი ოთახის შემთხვევაში, უმჯობესია, მისთვის აღმოსავლეთი კედლის მხარე ამოვირჩიოთ.

— შეიძლება თუ არა ნათლობისას ნათლიად ავირჩიოთ უშუალოდ მოძღვარი?

— ნათლიად მოძღვრის ამორჩევა შეიძლება.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 32

თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჩვენი გერიატრები

პატარა ეკა კვანტალიანს მამა „ნაცარქექიას“ უამბობს:

— წავიდა საწყალი ნაცარქექია ლუკმაპურის საშოვნელად. გუდაში ჩადო ჭყინტი ყველი, ნაცარი და...

— მამიკო, ნაცარქექიას ჭყინტი ყველი თუ ჰქონდა, ლუკმაპურის საშოვნელად რაღას მიდიოდა?! — შეაწყვეტინა ეკამ თხრობა მამას.

* * *

3 წლის გიო ბებოს გაუბრაზდა:

— წადი, ბებო, ხმა არ გამცე... და შენი არც ერთი ფეხი აქ აღარ დავინახო!

* * *

პატარა თიკოს დედა აჭმევს:

— ჭამე, თიკო, სტაფილო, მაღალი გაიზრდები.

— შენ დროს არ იყო სტაფილო, დედიკო?

* * *

ერთხელ **2 წლის ნინუცა ხუციშვილს** მამა ასეირნებდა ეზოში (აეროპორტთან ცხოვრობენ და მათი სახლის თავზე თვითმფრინავები შედარებით დაბლა დაფრინავენ). ცაზე თვითმფრინავმა გადაიფრინა. ეტყობა, სამთავრობო თვითმფრინავი იყო, რადგან აქეთიქიდან, სხვა ორი პატარა მისდევდა.

ნინუცამ აღტაცებით შესძახა:

— მამიკო, ნახე, თვითმფრინავს თავისი შვილებიც მიჰყავსო.

* * *

3 წლის სოსო გაზიერაშვილი დედ-მამამ მეტროში ჩაიყვანა, სოსოს არ მოეწონა და მამას ეუბნება:

— მამი, აქ არ მინდა, თბილისში ამიყვანე.

* * *

8 წლის ლუკა შაიშმელაშვილი მამასთან ერთად უყურებს ტელევიზორს. აჩვენებენ რუსეთ-ჩეჩნეთის ომს. ლუკა ეკითხება მამას:

— ვინ და ვინ ომობს?

— რუსები და ჩეჩნები, — უპასუხა მამამ.

— ვინ იგებს?

— რუსები.

— რამდენით რამდენს?

I ჯროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ყველაზე წვრილი და პატარა თითი; 2. ლომის შვილი; 3. ...აღმართს ხნავსო (ანდ.); 4. სჯობს .... მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა; 5. ღორის .... ფეხზე დაისვი და თავზე აგაცოცდებაო (ანდ.); 7. თამაში, სადაც კამათლები მონაწილეობს; 8. ძილის მომგვრელი სიმღერა; 10. დათა თუთაშხიას „ტიტული“; 12. ის, რასაც სავარცხელი სჭირდება; 14. ... კარენინა.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ცირკის მასხარა ანუ ... 9. ევას ქმარი; 10. წამლის პატარა ბურთულა; 11. ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ... 13. გაზაფხულის გიჟი თვე; 15. „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალი ...; 16. გირჩის მსგავსი ტროპიკული ხილი.

II რებუსი

მოთხრობა-გამოცანა

მოხერხებული პაპუნა

პაპუნა ოქრომჭედელს მიუტანეს 5 ნაწილად გაწყვეტილი ჯაჭვი, თითოეულ ნაწყვეტში იყო სამ-სამი რგოლი და სთხოვეს გადაება ერთ ჯაჭვად ისე, რომ გაეხსნა მხოლოდ სამი რგოლი. ეს პაპუნა ოქრომჭედელმა იოლად მოახერხა. როგორ? (პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით).

მოგვაწოდა ნათია ბეკურაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ-ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ: გოგა ბარამიამ, ნინო ტომარაძემ, გიორგი მელქაძემ, თეონა გოგაძემ, მარეხ ფხოველმა.

ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ: ვინაიდან თამარ მეფეს მანძილი არ დაუსახელებია, შოთა რუსთაველმა დაიკავა ხელში ისარი, დინჯად მიუახლოვდა თამარს, ისარი ჰკრა ვაშლს და ზევით ასწია.

გამოიცანით გამოფენილი ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით



VI სახალისო ამოცანები

Ა ქათმის დიდი მტერია, არის კუდაგრძელია, რა იქნება?

Ბ წვერი აქვს — კაცი არ არის, ბალახს ძოვს — ცხენი არ არის, რქები აქვს — ხარი არ არის.

VII

გაარკვიეთ, რა უზუსტობაა ამ მაკრატელში.



IV

მოძებნეთ საერთო დასასრული შვიდივე სიტყვისთვის

V ავარჯიშეთ გონება

შეეცადეთ, ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს ერთი საერთო სიტყვა შეუსაბამოთ. სწორი პასუხი — 1 ქულა.

1) **სკოლა, ტელეფონი**
2) **საათი, გული**
3) **სოიერი, ჯერი**
4) **ნახატი, გამოცანა**
5) **თხა, ბიჭი**
6) **ტკბილი, მწარე**
7) **ანგელოზი, ჩიტი**

0-2 ქულა: თქვენი გონებაც თქვენნაირი ზარმაცია.

3-5 ქულა: თქვენ კარგად აზროვნებთ.

6-7 ქულა: თქვენ შეუდარებელი, გენიოსი ბრძანდებით.

ᲧᲣᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲘᲐᲜᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1) ჭიჭია ჭიჭინაძე ჭრიალა ჭიშკართან მოჭრიჭინე ჭრიჭინას ჭრილობას ჭინჭით უხვევდა.

ᲘᲞᲝᲕᲔᲗ 11 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ

გამოფერადე ფერადი ფანქრებით



შეაერთეთ წერტილები თანმიმდევრობით და თავად მიხვდებით, რასაც მიიღებთ.

VIII სახალისო კითხვები ფეოფრაფიიდან

1) ამ მთებზე ბევრი წვიმა მოდის, დიდხანს რომ დარჩე, „დალპები“;

2) კუნძული, რომლის ჰობიც „სიცილია“;

3) ჩექმის ფორმის ნახევარკუნძული, რომელიც „ვიტალიმ“ ხმელთაშუა ზღვაში აღმოაჩინა.



აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით 15 წლის ნინო ტომარაძეს

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 25-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

ის, ჰაც დღემდე არ იცის ხალხმა, ანუ აფხაზეთის ომს ნელ-ნელა ფარდა ეხდება

ვერავინ მსმენია: ზედა ეშელონებში აღარავის აინტერესებს არც აფხაზეთის და არც სამაჩაბლოს თემა, ისევ და ისევ ჩვენ — ლტოლვილებმა უნდა ვიღონოთ რამეო.

მთავრობის წევრებს თუ არა, ჩვენ — ჟურნალისტებს და „უბრალო“ ხალხს გვაწუხებს ის სატკივარი, რომელიც საქართველოს დაკარგულმა ტერიტორიებმა, იქიდან გამორეკილი, უსახლკაროდ დარჩენილი და გამწარებული ადამიანების ბედმა დაგვიტოვა. არავინ თქვას, არ არსებობს გაუმრთელებელი და მოუშუშებელი ჭრილობაო. არსებობს და მას აფხაზეთი და სამაჩაბლო ჰქვია.

პუბლიკაციამ, რომელიც გაგრის დაცემას ეხებოდა, ბევრი ღრმად ჩაიფიქრა, ზოგს იქ გამოვლილი მწარე დღეები კვლავ ცოცხალ სურათებად ამოუტივტივა, ზოგიც გაანაწყენა: ყველა ერთ ტაფაზე როგორ „მოგვხრაკეთო“.

ამ პუბლიკაციის მერე რედაქციაში მოვიდა წერილი, რომელსაც გაგრაში მებრძოლი, ვინმე თამაზ ბლიაძე გვწერს. წერილმა აგვაფორიაქა, რადგან რესპონდენტი ბევრ ისეთ ფაქტს ასახელებს, რაზეც აქამდე დუმდნენ. ამასთან, საუბრობს ყველასათვის ცნობილ პიროვნებაზეც, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის. მოგეხსენებათ, ძნელია იმქვეყნად წასული კაცის აუგზე ლაპარაკი. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ თამაზს და წერილში მცირე კორექტივების შეტანა ვთხოვეთ... თანხმობა მივიღეთ, ოღონდ კატეგორიულად ითხოვა, ნასსენები ყოფილიყო ის პიროვნებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ აქვს ამ წერილის გამოქვეყნებასო...

რედაქციამ ამოსავალ წერტილად მიიჩნია, რომ სათქმელი უნდა ითქვას და სათქმელი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ომგამოვლილებს აქვთ... (რა მძიმეც არ უნდა იყოს გარდაცვლილებსა თუ დაღუპულებზე საუბარი.) მათი მონათხრობის შეჯერებით კი იქნებ, საბოლოოდ გაირკვეს მტყუანმართალი. ამის გარეშე არც არასოდეს დადგინდება სიმართლე... სიმართლე, რომელიც ასე სჭირდება ხალხს.

თქვენს სამსჯავროზეა წერილი წარსული დღეების ქრონიკით.

„გაგრის დაკარგვამდე ერთი კვირით ადრე, როდესაც გაგრის მოსახლეობა ქალაქის სტადიონზე შეიკრიბა და სამხედრო შტაბის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვა, მთავარი შტაბის უფროსმა, ან განსვენებულმა მიხეილ მარინაშვილმა იმ შეკრებაზე მე გამგზავნა. საქმე ეხებოდა ერთ-ერთი ბრძოლისას დაღუპულ ადგილობრივ მეომრებს. მოსახლეობას ავუხსენი, რომ ის, რაც მოხდა, ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა, რადგან იქაურ მებრძოლებს ადგილობრივი უფროსობა აძლევდა ბრძანებებს. ბოლოს კი, იქ შეკრებილნი ასე დავამშვიდე: ნუ გეშინიათ, გაგრა ისეა გამაგრებული, ჩიტიც კი ვერ შემოფრინდება-მეთქი — მაშინ ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული; დღეს საშუალება მეძლევა და მინდა ბოდიში მოვუხადო გაგრის მთელ მოსახლეობას, ჩემს ნაცნობ-მეგობრებს, რომლებიც მაშინ თვალცრემლიანნი შემომყურებდნენ, მე კი თურმე უსაფუძვლოდ ვაიმედებდი.

2 ოქტომბერს, დაახლოებით დღის ორ საათზე, გაგრის შემოსასვლელთან რომ სასაფლაოებია, უკან დახევა დავიწყეთ. ექვსნი ვიყავით. მივხვდით, რომ ჩვენი საქმე უკან-უკან მიდიოდა. სოფელ კოლხიდიდან ჩვენი შტაბი ქალაქის მილიციაში იყო გადმოტანილი. მარინაშვილის ნახვა მინდოდა და ახალ შტაბში ავედი, მაგრამ იქ არ დამხვდა. სამაგიეროდ, გივი კვანტალიანს შევეფეთე, რომელიც თავისი დაცვისა და ჟურნალისტების გარემოცვაში თავს თითქოს მშვიდად გრძნობდა. ბატონ გივის ავუხსენი, რომ ვითარება ძალიან მძიმე იყო: წინა ხაზზე აღარავინ არის, გარდა დახოცილებისა, ჩვენ 6 კაცი დავრჩით, სხვებმა, ცოცხლად დარჩენილებმა კი უფროსებთან ერთად მიატოვეს პოზიციებიმეთქი. რაო? — იყვირა გენერალმა, — შენ რას პანიკიორობ, ყარყარაშვილი მოდის ჩვენს დასახმარებლად, ხვალ კი უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ჩამოდის, რათა პეტრე-პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია აკურთხოსო.

ერთადერთი, რაც მოვახერხე, ის იყო, რომ კვანტალიანს ვუთხარი: ბატონო გივი, ხალხს ის მაინც ვაცნობოთ, სანამ ჯერ კიდევ დროა, დატოვონ გაგრა-მეთქი. ამაზე მთლად გაგიჟდა გენერალი, — იცოდე, ვბრძანებ, სამხედრო ტრიბუნალს გადაგცენო. ჩემთვის ჩავიბურტყუნე: სადღა არის ტრიბუნალი ან მეომართა რაზმიმეთქი... შტაბიდან გამოსულმა თანამშრომლებს ვუთხარი, თუკი საბრძოლო ხაზზე ვინმე ცოცხალი იყო, ჯერ მათ გადარჩენაზე გვეზრუნა, მერე კი იქიდან გამოღწევაზე. ჩავჯექი მანქანაში და მეგობრების მოსაძებნად გავემართე.

გაგრის ტყის პირიდან სნაიპერებმა მიზანში ამომიღეს. ბიჭები უნივერმაღთან შემხვდნენ — პოზიცია მივატოვეთ, აზრი აღარ ჰქონდა იქ გაჩერებასო. მრცხვენოდა უკან დახევისა, როგორ უნდა მიმეტოვებინა დახოცილი ან დაჭრილი მეგობრები? ვიცოდი, რომ წინ, ერთ-ერთ სანატორიუმში, თბილისელი თამაზ მეფარიშვილი იყო გამაგრებული 50 კაცით. ვიფიქრე, მათ შეეფურთდები და მოვიგერიებთ ბასაევის რაზმსმეთქი. მაგრამ იმედი გამიცრუვდა, ბიჭებმა მითხრეს, მეფარიშვილი აღყაშია და მისი შველა აღარ შეიძლებაო. უნივერმაღის გვერდით, პატარა ღელე ჩამოდიოდა, უცებ იმ მხრიდან მომავალი ქალებისა და ბავშვების დიდი ჯგუფი დავინახე (დაახლოებით 40-50-მდე). სასწრაფოდ მათკენ გადავირბინეთ. ბევრი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა, შველას ითხოვდნენ, იმ წუთებში მათი იმედი მხოლოდ ჩვენ ვიყავით. თოთხმეტიოდე წლის ბიჭის ხელში თოფი შევნიშნე. თოფის გამორთმევა დავუპირე, მაგრამ იუარა... ავუხსენი, თოფიანს რომ დაგინახავენ, აფხაზები არ დაგინდობენ და ჩაგცხრილავენ, ისე კი, როგორც არასრულწლოვანი და მშვიდობიანი მცხოვრები, იქნებ სამშვიდობოს უვნებლად გადაგიშვანმეთქი. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ დედამისმა თოფი ძალით გადააგდებინა...

საოცრად დაბნეულები ვიყავით, ჩვენ გარდა, მეომარი აღარავინ ჩანდა, ხალხი კი ჩვენგან ელოდა შველას. ეს ის პერიოდი იყო, როცა გივი კვანტალიანი თავისი ამალით უკვე გასცლოდა განთიადს და ღესელიძეს უახლოვდებოდა, როცა ყველა — უმცროს-უფროსიანად თავის გადარჩენაზე ფიქრობდა და სხვა აღარაფერზე. ხალხის ბედი ვისღა აინტერესებდა?

ბასაევის ხროვა ნელ-ნელა მოიწევდა წინ. ერთმა შუახნის ქალმა გვირჩია, ზღვის მხარეს გავიდეთ, იქ უფრო უსაფრთხოდ ვივლითო. გაჩერება აღარ შეიძლებოდა, მილიციის მხრიდანაც უკვე სროლის ხმა ისმოდა. ზღვის სანაპირომდე ჩავედით. მართალი გამოდგა ის ქალი. ზღვის სამაგრი ბეტონის 2-მეტრიანი კედელი თითქმის გაგრის ბოლომდე გრძელდებოდა. დავიწყეთ უკან დახევა. სამი კაცი წინ მიდიოდა, მერე ქალები და ბავშვები, ბოლოს — დანარჩენი სამი მეომარი. ასე მივედით მილიციის შენობამდე. აქ ყველანი შევჩერდით, რადგან ბეტონის კედელი მორღვეული დაგვხვდა, მოხრილებიც ვერ გავივლიდით შეუმჩნევლად. სანამ ქალები და ბავშვები გადაირბენდნენ, სროლა არ შეგვიწყვეტია. მეორე მხარეს კი გადავედით, მაგრამ მე მაინც მილიციის შენობაში მყოფთა ბედი მაინტერესებდა. ნუთუ ის კაცი, ვინც ორი საათის წინ სამხედრო ტრიბუნალით მაშინებდა, გაიქცა? გავიხედე მილიციისკენ. ჩვენიანი აღარავინ ჩანდა, წინ ორი მიცვალებული ეგდო. ერთის გვარი არ მაგონდება, სვანი იყო, მეორეს კი ყველა კარგად ვიცნობდით — თბილისელი კალათბურთელი იური ძიძიგური გახლდათ. გვამებთან მიხოხება ვცადე, მაგრამ ტყვიებმა გადამიჭრა გზა. აფხაზები განუწყვეტლივ ისროდნენ. თუ დროზე არ გავეცლებოდი იქაურობას, მეც ჩამცხრილავდნენ ან ტყვედ ამიყვანდნენ.

ბიჭები მიმიხვდნენ, რომ გამოსვლას ვეღარ ვახერხებდი, ამიტომაც ცეცხლი გაუხსნეს აფხაზებს და იქამდე ისროდნენ, სანამ მათთან არ გადავირბინე და გავწექი. ხალხს გადავხედე. შეშინებული ქალები და ბავშვები კედელთან მიყუჟულიყვნენ — აი, ისე, ქორის მოლოდინში შეშინებული კრუხ-წიწილა რომ იმალება ხოლმე. ფიქრის დრო აღარ იყო, სასწრაფოდ ხალხზე უნდა გვეზრუნა. ბასაევის ხალხი ამ დროისათვის გაგრაში უკვე შემოსული იყო. არავის ინდობდნენ, ვინც კი წინ შემოხვდებოდათ. ბეტონის კედლის გასწვრივ გავაგრძელეთ სიარული. სნაიპერების ტყვიებისგან ჯეტირი გვფარავდა და იქვე, ჩვენს ახლოს, ცვიოდა დაცლილი ჰილზები.

როდესაც სკვერს მივუახლოვდით (გაგრელები მიმიხვდებიან, რომელ ადგილსაც ვგულისხმობ), ხმა მოგვესმა — ვიღაც შველას ითხოვდა, მაგრამ საფრიდან გასვლა არ შეიძლებოდა, ამდენი ქალისა და ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეში ხომ არ ჩავგდებდით. ექვსივე მეომარი თავიდანვე შევთანხმდით, თუ ვინმე დაიჭრებოდა, აფხაზებს ტყვედ არ ჩავბარებოდით და თავი მოგვეკლა, მაგრამ იმ წუთებში ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ამ ხალხის სამშვიდობოს გაყვანა იყო. ზოგ მათგანს ნებისყოფამ უმტყუნა, ზოგი ჩუმად იწმენდდა ცრემლებს, ზოგიც ხმამაღლა მოთქვამდა, ერთი ქალი კი ისტერიულად ხარხარებდა. უფრო უარესი თურმე წინ გველოდა.

ერთ-ერთ სანატორიუმთან ბეტონის კედელი ორმეტრიანი რკინის მესრით იყო გადაღობილი, რომელიც საკმაოდ ღრმად იჭრებოდა ზღვაში. რა უნდა გვექნა? სანაპიროზე ვერ ავიყვანდით ხალხს, აშკარა სიკვდილი გველოდა ზემოთ, ისევ მესერზე უნდა გადაგვეყვანა როგორმე. პირველად ბავშვები და ახალგაზრდა ქალები გადავიდნენ. როცა ჯერი ხანდაზმულებზე მიდგა, გაუძნელდათ გადასვლა, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო, როგორც იქნა, გადავიყვანეთ. ახლა უკვე თითქმის სამშვიდობოს იყვნენ გასულები. მათ საფრთხე აღარ ემუქრებოდა. იქითა მხარეს ჯერ კიდევ ჩვენები აკონტროლებდნენ.

ჩვენ აქეთ დავრჩით. ფეხს ვითრევდით, გაქცევის არავითარი სურვილი არ გვქონდა. რაკი ხალხი სამშვიდობოს დავიგულეთ, უკან გამოვტრიალდით, ჯეტირს ზემოდან მოვექეცით, სანატორიუმის ეზო სირბილით გადავჭერით და ჩვენდა გასაოცრად, სკვერში გვარდიელები დავინახეთ — თქვენიანები ვართ-თქო, შევძახეთ. ისეთი დაღლილ-დაქანცულები ვიყავით, ფეხებს ძლივსღა მივათრევდით. უფროსობა სადაა-თქო, ვკითხეთ. მხრები აიჩეჩეს, ზოგიერთმა ამ კითხვას ზედ დედის გინებაც დაურთო მათი მისამართით, ვისაც ეს ალალად ეკუთვნოდა. შორიახლო „ურალის“ ტიპის მანქანა შევამჩნიე, მის ირგვლივ უამრავი მეომარი ირეოდა. გაქცევას მანქანით აპირებდნენ. შიშისაგან თავგზააბნეულები იყვნენ. ბიჭებო, ნუ შეშინდებით, დაბრუნდით, ბევრნი არ არიან, ჩავუსაფრდეთ და მოვიგერიებთ-მეთქი, ხმამაღლა შევყვირე. ყვირილით კი ვყვიროდი, მაგრამ როგორც მერე ბიჭებმა მითხრეს, თურმე ხან ვტიროდი, ხანაც კი გამწარებული ვეჩხუბებოდი... უცებ ვიღაცამ იღრიალა, ტანკი მოდისო. უკან მივიხედე — ტ-72 მარკის ტანკი ელვისსისწრაფით მოქროდა ჩვენკენ. ბიჭები დაიბნენ. ბევრი „ურალს“ მიაწყდა, ზოგიც ინერციით გავარდა წინ და გაჩერებას ვეღარ ახერხებდა, დანარჩენები კი გავწექით. ტანკმა ტყვიამფრქვევიდან გაუხსნა ცეცხლი გაქცეულებს. სულ ტყუილად ვღრიალებდი: დაწექით, დაწექით-მეთქი. არაფერი ესმოდათ, თავზარდაცემულები გარბოდნენ. ვხედავდი, ტყვიები როგორ ცელავდა ბიჭებს, ჩვენ კი არაფერი გვქონდა, რომ ტანკი აგვეფეთქებინა... გზის იქით ბაღები იყო, ცოტა ზემოთ რკინიგზა გადიოდა, მერე კი ტყე იწყებოდა. სწორედ ამ ტყით ჩავაღწიეთ 5 ოქტომბერს მე და ჩემმა მეგობრებმა განთიადამდე. ხიდი გადავირბინეთ. იქიდან კი მანქანით მიგვიყვანეს განთიადის ცენტრამდე, სადაც ჩვენი შტაბი იყო. გზაში მითხრეს, გია ყარყარაშვილი ჩამოვიდაო. გამიხარდა, გია ხომ ყოველი მეომრის იმედი იყო. მანქანა შტაბის წინ გაჩერდა, მაგრამ ვერ შევძელი გადასვლა, ფეხები ერთიანად დასისხლიანებული და დასიებული მქონდა, „ბათინკებსაც“ კი ვერ ვიცვამდი ამის გამო. მანქანის კარი ჩემმა მეგობარმა — გოჩამ გამიღო და გახარებული გადამეხვია, თურმე მკვდარი ვეგონე. მის უკან მეომართა ჯგუფი დავინახე და... ელდა მეცა. გივი კვანტალიანი ისე იდგა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. თვალთ დამიბნელდა, უნებლიეთ ავტომატისკენ გამექცა ხელი, მინდოდა იქვე გავსწორებოდი „გამოუსწორებელ ოპტიმისტ“ გენერალს. მეგობრები გადამეღობნენ, არ დამანებეს ავტომატი, მერე მაკაროვზე ვიტაცე ხელი, ისიც ამართვეს. ვღრიალებდი, ვტიროდი, ერთსა და იმავეს ისტერიულად ვიმეორებდი: გივი კვანტალიანო, შენ დაგედოს გაგრელების ცოდვა-მეთქი. ღმერთმა მაპატიოს გარდაცვლილზე ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ ოდესმე ხომ მაინც უნდა ითქვას სიმართლე, რათა აფხაზეთის ომის ამბებს (სხვათა შორის, წინასწარ წაგებულს) ნელ-ნელა მაინც აეხადოს ფარდა.

თუ სურვილი გექნებათ, კიდევ გამოგიგზავნით ჩემს ჩანაწერებს გაგრის დაცემის შესახებ. იმდენი ტანჯვა გამოვიარე, ახლა აღარაფრის მეშინია. დღეს მე პოლიტპატიმრად ვითვლები და „სასჯელს“ ვიხდი. თუ აქედან ცოცხალი გამოვედი, ბერობა მაქვს ჩაფიქრებული.

ერთს ვიტყვი კიდევ: მე არ მინდა ისეთი საქართველო, სადაც ამბობენ — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“. ნამდვილი ქართველი ამბობდა და კვლავაც იტყვის: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი!“

გაგრის ომიდან დაბრუნებულს შინ შესვლა აღარ მინდოდა, მრცხვენოდა ჩემიანების, მეზობლების, ნათესავებისა. ასე მეგონა, ისინი მეც, როგორც ერთ-ერთ მებრძოლს, სხვებთან ერთად მადანაშაულებდნენ აფხაზეთის დაკარგვაში. ბრძოლის ერთი წლის მანძილზე რა არ ვნახე: ტანკგადავლილი, ტვინდანთხეული ადამიანები, ცხვირ-ყურმოჭრილი მეომრები და კიდევ ბევრი სხვა საშინელება. ახლაც მზარავს, როცა ვიგონებ, გაგრის სტადიონზე ბასაევის ხალხმა როგორ შეყარა ქართველობა, საბურავებით კოცონი გააჩაღეს და ამ გეენიაში ჩაყარეს ჩვენები. მე და ჩემი მეგობრები ამ დროს მთაზე ვიყავით ასულები და იქიდან ვუყურებდით ყველაფერს. განწირულთა ხმები ჩვენამდე აღწევდა და იმ წუთებში ჩვენზე უბედური არავინ იყო. იმაზე აუტანელი რა უნდა იყოს კაცისთვის, უყურებდეს — მტერი როგორ აწამებს შენიანს — ქალს, კაცს და ბავშვს და ვერ ეშველებოდეს.

თბილისში დაბრუნებულ მიხეილ მარინაშვილს დევნა და შევიწროება დაუწყეს. სინამდვილეში, იგი ხომ ერთ-ერთი პაიკის როლს ასრულებდა? მისი მოადგილე ვიყავი და კარგად ვიცნობდი — მარინაშვილი უპატიოსნესი კაცი გახლდათ. ნავთლულში, ძველი კომისარიატის შენობაში განთავსებული იყო ჩვენი შტაბი. ერთხელაც, მოვიწვიე ყველა, ვინც კი მონაწილეობდა გაგრის ომში და თითოეულს ცალ-ცალკე ვთქმევინე თავისი სათქმელი. სხვათა შორის, ტელევიზიდანაც იყვნენ ჟურნალისტები. იმ დღეს ისეთი ფაქტები და სახელები იქნა დასახელებული, რომელიც დღემდე არ იცის ხალხმა. გადაღების დროს, ორჯერ გამომიყვანეს ოთახიდან, დამშალეს, ნუ აკეთებო მაგას, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე. სხვათა შორის, ის კასეტაზე თვით მიხეილ მარინაშვილის ინტერვიუც არის ჩაწერილი. რა თქმა უნდა, ტელევიზიით არ გაუშვეს ჩანაწერი. ის კასეტა გადავიწერე და ორიგინალი ერთ-ერთ ჟურნალისტს მივეცი (შეგნებულად არ ვასახელებ მის სახელს). ამ შეკრების შემდეგ სამჯერ გამომიძახეს რესპუბლიკურ პროკურატურაში, ვითომც ჩვენების მისაცემად, თუ როგორ წავაგეთ გაგრის ომი. ვგრძნობდი, რომ ბევრს ვეზედმეტებოდი. იქაური ომგამოვლილი ზოგი ციხეში მოხვდა, ზოგი — საგიჟეთში, ზოგიც (ვინც აქედან გაასწრო) სულ გადაიხვეწა საქართველოდან. აბა, დამისახელეთ აფხაზეთის ომის მონაწილე, ვინც ნამდვილად იბრძოდა იქ, რომელია განებივრებული ხელისუფლებისაგან ყურადღებით?! არავინ. ჩვენ ყველანი პაიკები ვიყავით, რომლებიც „ვიღაცების“ ბრძანებას ბრმად ვასრულებდით. ღმერთმა შეგვინდოს ეს უნებლიე შეცდომა.

პატივისცემით თამაზ ბლიაძე.“

ასეთია ეს წასაკითხადაც კი უმძიმესი ამბავი, რომლის ერთ-ერთმა უშუალო მონაწილემ წერილობით გვიამბო. ჩვენი სურვილი და თხოვნაა, ვისაც კი ძალა შეგწევთ იმ ტკივილით სავსე დღეების გახსენებისა, იქნებ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რადგან არაფერია იმაზე ამაზრზენი, როცა ტრაგედიასა და მოუშუშებელ დანაკარგზე ნახევრად სიმართლეს ამბობენ, ან თუ ამბობენ, ისე ალამაზებენ, რომ მეტ გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. დროა, აფხაზეთის ომს წლების მანძილზე საგულდაგულოდ ჩამოფარებული „მძიმე“ ფარდა ნელ-ნელა აეხადოთ.

მარინა ბაბუნაშვილი

ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.



გარანტია – 10 წელი

მის: ნერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ფირმა „ბოდინასე“

ასრულებს ბრტყელი სახურაველების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით – 4 ლარი, მინაქსოვილით – 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით – 8 ლარი. გარანტია 3-12 წლამდე.

ᲓᲐᲑᲘᲛᲖᲐᲓᲔᲗ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲘᲡ, ᲑᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲘᲠᲯᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲔᲑᲡ.

მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3

☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

ᲨᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ 22

☎99-86-09; 38-37-89

კოლეჯი „ᲠᲝᲓᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ“

აცხადებს მიღებას 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის სპეციალობებზე:

1. კბილის ტექნიკოსი;
2. ბებია ქალი (სამეანო საქმე);
3. საგადასახადო საქმე.

მის: აღმაშენებლის 178 („დინამოს“ სტადიონთან), მე-18 სკოლა

☎ 38-00-83; 35-27-00



თარაზულად:

7

სიტყვა, რომელიც ბერძნულად ნადიმს ნიშნავს

8 
ყანრი

10
გზად მიმავალი

11 
ქალაქი, რომელსაც ჩინელები „ჩრდილოეთის დედაქალაქს“ უწოდებენ

12 
უშფოთველი, უდარდელი ცხოვრება

15
სტუმრის დახვედრა

18
კიბე

19
60-იანი წლების ცეკვა

20
თამასა, რომელიც გასდევს კედელს იატაკის გადაკვეთასთან

21
მამალი ირემი

25
გამრავლების ორგანო

26
აირისა და სითხის სიმკვრივის ხარისხი

27
ფანჯარა

30
ჩამოსაკიდი მოწყობილობა

33
ჭაობის თახვი

34
თხა, რომელმაც ძუძუ აწოვა პაწია ზევსს კუნძულ კრეტაზე

35
გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა სისტემა

36

ამერიკაში მიღებული სახელწოდება კოსმონავტებისა

შვეულად:

1
პირი, რომელიც აწესრიგებს მუშაობას ერთი ცენტრალური ადგილიდან

2
აზარტული თამაში, რომელიც თავიდან გონებასუსტებისთვის გამოიგონეს

3 
შვეიცარიული ფირმა

4

ძირითადი მოსახლე

5 
ატმოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე

6
მასობრივ მოვლენათა აღრიცხვა

9
XVIII ს. ფრანგი მხედართმთავრის, ლუი კრილიონელის გამოგონება, რომელსაც სახელი კუნძულ მინორკას დედაქალაქის პატივსაცემად დაარქვა

13
სამუშაო იარაღი

14

სიტყვების პირობითი შემოკლება

16
კედელზე გასაკრავი ქაღალდი

17
გერმანულად — მაულტაშენ, იტალიურად — რავიოლი, რუსულად — ?

22
საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში

23
ჯიში

24
თვითმფრინავის სამართავი ავტომატური მოწყობილობა

28
გარკვეული ხასიათის როლები, რომლებიც შეესაბამება მსახიობის სასცენო მონაცემებს

29
გამომძიებლისთვის აუცილებელი თვისება

31
ამჟავებული ღვინო

32 
ნამცხვარი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №35 კროსვორდის პასუხები:
თარაზულად: 7. ბოლეტიერი; 8. პატარძალი; 10. აგარაკი; 11. ქავილი; 12. აკორდი; 17. პრადო; 18. გრანიტი; 19. ფრაკი; 20. ინტრიგა; 21. გლუკოზა; 25. მეტრო; 26. ფლორინი; 27. ნნეხი; 30. ბიუსტი; 33. ძეწკვი; 34. ტურნირი; 35. პროსპექტი; 36. მსგავსება.

შვეულად: 1. ტორეადორი; 2. სტენლი; 3. ბრაგა; 4. მარკა; 5. ფრესკა; 6. კლონდაიკი; 9. ჭრიჭინა; 13. მდინარე; 14. ორაგული; 15. ეტალონი; 16. „კრაზანა“; 22. ბერლინერი; 23. ყროყინი; 24. მხატვრობა; 28. შტამპი; 29. ჟენევა; 31. დუეტი; 32. პრასი.



საერთაშორისო როუმინგი *დეპოზიტი (საერთაშორისო კავშირის ჩათვლით):*	300
საერთაშორისო კავშირი *დეპოზიტი:*	100
ფაქსი/მონაცემთა გადაცემა *თითოეული სერვისის ჩართვის ფასი:*	130
ხმოვანი ფოსტა *ჩართვა უფასოა* *წუთობრივი გადასახადი:*	0,288
მოკლე შეტყობინებები *ჩართვა უფასოა* *ერთი შეტყობინების ფასი:*	0,06

თქვენი ქსელი ჯოსელი

**ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.*

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

მცირე სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად რუსეთში საუკუნის მამაკაცის საუკეთესო როლის შემსრულებლად ოლეგ იანკოვსკი დასახელეს (ფილმში „სწორედ ის მიუნჰაუზენი“)

— მიუნჰაუზენივით თქვენც თუ შეგიძლიათ გმირობის ჩადენა, ვთქვათ, ქალის გულისთვის?

— საერთოდ, ქალთან ცხოვრება — უკვე გმირობის ტოლფასია. მთელი სიცოცხლე მხოლოდ ერთ ქალს რომ უძღვნა, ნამდვილი გმირობაა. თუმცა, ამ შემთხვევაში ორივე გმირია, ქალიც და მამაკაციც... ჩემი ოჯახი უკვე ოცდათხუთმეტი წლისაა...

— მეუღლის გულისთვის თუ გაგიწირავთ თავი?

— ჯერ არა... მაგრამ ჩემი მეუღლის წყალობით ვარ ის, ვინც ვარ. ოჯახში, სადაც ორი მსახიობია, ერთ-ერთს უწევს მსხვერპლის გაღება. მეუღლემ ჩემი გულისთვის სარატოვში მიატოვა თავისი საქმე. მე ჯერ მსგავსი არაფერი გამიკეთებია.

— ქალის რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად?

— სიბრძნეს. ეს მთავარი ფაქტორია და ქალში ყველაფერს აერთიანებს — ცოლს, მეგობარს, დედას. ქალის ხიბლს ხომ საზღვარი არა აქვს.

— ცხოვრებაში ბევრი „ლირიკული თავგადასავალი“ გქონდათ?

— ამას პროფესიაც უწყობს ხელს. ყოველი მსახიობი სიყვარულს ელტვის და უამისოდ არც შეიძლება. ამ დროს თვალები სულ სხვანაირად ბრწყინავენ.

— რას გულისხმობთ ქალის სიბრძნეში?

— ღვთით მომადლებულ ქალურ სიბრძნეს. ქალი ბუნებასთან უფრო ახლოსაა. ქალებს ორ კატეგორიად ვყოფ: ქალი — ოჯახისთვის, ქორწინებისთვის გაჩენილი და ქალი — მეგობრად, საყვარლად შექმნილი. აქაც, ორივე შემთხვევაში სიბრძნეა საჭირო... უოჯახოდ, „მუდმივ საყვარლად“ ყოფნასაც სიბრძნე უნდა.

— ამ ორ კატეგორიას როგორ ასხვავებთ, დანახვისთანავე ხვდებით?

— ეს ხომ მაშინვე ჩანს, იგრძნობა კიდეც. იქნებ ქალსაც იგივე ახასიათებს: შეხედავს კაცს და ხვდება, ვისთან როგორი ურთიერთობა შეუძლია ჰქონდეს.

— ბუნებით ავანტიურისტი ხართ?

— ფრთხილი ვარ.

— ბავშვობაში ვინ გინდოდათ გამოსულიყავით?

— კბილის ტექნიკოსი. შემოსავლიანი ხელობაა-მეთქი, ვფიქრობდი. საბედნიეროდ, ერთხელ კარტოფილის საყიდლად წავედი ბაზარში და განცხადება წავიკითხე — სარატოვის თეატრალურ ინსტიტუში მიღება იყო. მივედი, გამოცდები უკვე დამთავრებული დამხვდა. ინსტიტუტის დირექტორმა სტეპანოვიჩმა სექტემბრისათვის დამიბარა. უგამოცდოდ მიმიღეს. კარგა ხნის შემდეგ სტეპანოვიჩი გამომიტყდა: ინტუიცია მკარნახობდა — მიიღე... მიიღეო...

— თუ გიოცნებიათ კანის ფესტივალზე?

— არა... (იცინის) ვტყუი; როგორ არა, ვოცნებობ. კანის ფესტივალი უკვე დიდი ხანია ტარდება. ჩვენ კი ბევრი რამის სწავლა დაგვჭირდება, სანამ იმ დონეს მივაღწევთ. მაგრამ ჯერ სახელმწიფო უნდა დადგეს ფეხზე. ბევრი რამ გავუშვით ხელიდან... თუნდაც კინოინდუსტრია. ამერიკელები კარგა ხანია მიხვდნენ, რომ ნავთობი, გაზი და ბრილიანტები მშვენიერი რამაა, მაგრამ კიდევ არსებობს კინო. ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვხვდებით ამას. საბჭოეთის დროს ჩვენც გვქონდა კინო, მაგრამ მაინც ვერ დავიკავეთ ის „ოპერატიული სივრცე“, რაც ახლა ამერიკელებმა დაიპყრეს.

— ინდუსტრია არ გამოგვივიდა, მაგრამ ხელოვნება ხომ იყო?

— ხელოვნება კი იყო, მაგრამ თუ — „ინდუსტრია“ არ გიწყობს ხელს, არ გიქმნის იმიჯს, დიდ მწვერვალებს ვერ დაეუფლები. მინდა, მსოფლიო ისევე მიცნობდეს, როგორც ჩვენ ვიცნობთ დე ნიროს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

— „ინდუსტრიაზე“ გამახსენდა, ითამაშებდით ტელესერიალში?

— სერიალი?! სახიფათო საქმეა.

— კი მაგრამ, ამერიკელი ვარსკვლავები ხომ აძლევენ თავს ამის უფლებას?

— არ მგონია, ნიკოლსონი ან დე ნირო ტელესერიალებზე დახურდავდნენ. ეს პოლიტიკაა. სერიალი კი — თავისებური იარლიყი.

— თქვენ მაინც, არ უნდა გეშინოდეთ იარლიყებისა!

— ყველას თავისი ადგილი აქვს. პოპულარულ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილ სტალონესა და შვარცენეგერს არასდროს მიიწვევენ კარგ ფილმში და არც „ოსკარზე“ წარადგენენ ოდესმე. ჩვენთან კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება. ჩემი შვილიშვილი მთხოვდა, პევცოვი გამაცანიო. გავაცანი. თურმე რაღაც სერიალში თამაშობს, „ბანდიტურ პეტერბურგში“, მე კი მეგონა, „თოლიაში“ რომ ტრეპლოვის როლს ასრულებს, ამიტომ დაინტერესდა-მეთქი...

— გქონიათ ისეთი წუთები, სინამდვილისგან გაქცევა რომ გინდა და მზად ხარ სხვა საქმეს მოჰკიდო ხელი?

— როგორ არა... „ჰამლეტის“ ჩავარდნის შემდეგ, გაზეთებში როგორ არ მლანძღავდნენ და უცებ... ფრანგებმა „კრეიცერის სონატაში“ მიმიწვიეს. ნახევარი წელი ვიყავი იქ და პირდაპირ „პერესტროიკაში“ დავბრუნდი. ყველგან დახლები, ბაზრები, დიდ თეატრთან, მცირე თეატრთანაც, ცარიელი კინოთეატრები. გული გამიტყდა — ვიღას სჭირდება მსახიობი-მეთქი... იდეა ჩაკვდა, მე კი მრავალი წლის მანძილზე ჩემს სურათებში ჩემი თაობის სახელით ვლაპარაკობდი...



... მერე ნელ-ნელა ყველაფერი თითქოს გამოსწორდა...

— თქვენი პროფესიის გარდა, რა გიზიდავთ?

— არაფერი. არც სანადიროდ, არც სათევზაოდ არ დავდივარ.

— ბავშვობა როგორი გქონდათ?

— უსიხარულო, ღარიბი და მძიმე. რეპრესირებული მამა, დედას სამი ვაჟი ვყავდით — ოცნებით ვცხოვრობდი... იყმაწვილე სულ ოცნებაში გავლიე. ისე, ოცნება ახლაც მიყვარს...

— ტყუილი გითქვამთ?

— უსასრულოდ შემიძლია ფანტაზიორობა... და ამას ტყუილს ვერ დავარქმევ.

— ადვილია თქვენთან ურთიერთობა?

— მგონი, კი. ჩემს სატკივარს არავის ვახვევ თავს. ვცდილობ, დავმალო, განსაკუთრებით, ახლობლებს, ოჯახის წევრებს ვუფრთხილდები.

— დეპრესიაში ჩავარდნილხართ?

— დიახ, და არაფერი მშველის მუშაობის გარდა. ყველაზე მეტად „თავისუფალი დროის“ მეშინია.

— როგორ მოხიბლეთ ცოლი?

— ჯერ იყო და, სტუდენტობისას კოლმეურნეობაში დავყავდით კარტოფილის ამოსაღებად. შემდეგ, მე და ნინა სასწავლებლიდან ცირკში მიგვიწვიეს წარმოდგენის წამყვანებად. თეატრისაგან განსხვავებით, ცირკში ცალ-ცალკე საგრიმიოროები არ არის და ერთ საგრიმიოროში გაგვამწესეს. რატომლაც ცოლ-ქმრად მიგვიჩნიეს. ჩვენც აღარ გავაწბილეთ... ერთი სიტყვით, ცირკმა შეგვაერთა.

— მას შემდეგ, ალბათ განსაკუთრებულად გიყვართ ცირკი?

— აბა რა! „მიუნჰაუზენის“ იუბილეც ცირკში ჩატარდა. ჩანაფიქრი ასეთი იყო — მიუნჰაუზენი ჯერ მოფრინდებოდა, შემდეგ კი ისევ გაფრინდებოდა ცაში. სამი ტროსით მწევდნენ ზევით, როცა ავფრინდი, ჩემს შვილიშვილს ისე შეშინებია, რომ შემდგომაც აღარ მეკარებოდა.

— რა ჰქვია?

— ლიზინკა.

ისე თბილად თქვა, მოგინდებოდათ მისი შვილიშვილი ყოფილიყავით...

ოგონიოკი №23

ᲝᲚᲘᲕᲘᲔᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲣᲧᲐᲠᲣᲚᲘ

ᲚᲝᲣᲠᲔᲜᲡᲘᲡ — ᲫᲘᲠᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲕᲐᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲫᲘᲠᲤᲔᲡᲕᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲝ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲝᲚᲔᲒ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ (ᲤᲘᲚᲛᲨᲘ „ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲛᲘᲣᲜᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘ“)

— მიუნჰაუზენივით თქვენც თუ შეგიძლიათ გმირობის ჩადენა, ვთქვათ, ქალის გულისთვის?

— საერთოდ, ქალთან ცხოვრება — უკვე გმირობის ტოლფასია. მთელი სიცოცხლე მხოლოდ ერთ ქალს რომ უძღვნა, ნამდვილი გმირობაა. თუმცა, ამ შემთხვევაში ორივე გმირია, ქალიც და მამაკაციც... ჩემი ოჯახი უკვე ოცდათხუთმეტი წლისაა...

— მეუღლის გულისთვის თუ გაგიწირავთ თავი?

— ჯერ არა... მაგრამ ჩემი მეუღლის წყალობით ვარ ის, ვინც ვარ. ოჯახში, სადაც ორი მსახიობია, ერთ-ერთს უწევს მსხვერპლის გაღება. მეუღლემ ჩემი გულისთვის სარატოვში მიატოვა თავისი საქმე. მე ჯერ მსგავსი არაფერი გამიკეთებია.

— ქალის რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად?

— სიბრძნეს. ეს მთავარი ფაქტორია და ქალში ყველაფერს აერთიანებს — ცოლს, მეგობარს, დედას. ქალის ხიბლს ხომ საზღვარი არა აქვს.

— ცხოვრებაში ბევრი „ლირიკული თავგადასავალი“ გქონდათ?

— ამას პროფესიაც უწყობს ხელს. ყოველი მსახიობი სიყვარულს ელტვის და უამისოდ არც შეიძლება. ამ დროს თვალები სულ სხვანაირად ბრწყინავენ.

— რას გულისხმობთ ქალის სიბრძნეში?

— ღვთით მომადლებულ ქალურ სიბრძნეს. ქალი ბუნებასთან უფრო ახლოსაა. ქალებს ორ კატეგორიად ვყოფ: ქალი — ოჯახისთვის, ქორწინებისთვის გაჩენილი და ქალი — მეგობრად, საყვარლად შექმნილი. აქაც, ორივე შემთხვევაში სიბრძნეა საჭირო... უოჯახოდ, „მუდმივ საყვარლად“ ყოფნასაც სიბრძნე უნდა.

— ამ ორ კატეგორიას როგორ ასხვავებთ, დანახვისთანავე ხვდებით?

— ეს ხომ მაშინვე ჩანს, იგრძნობა კიდეც. იქნებ ქალსაც იგივე ახასიათებს: შეხედავს კაცს და ხვდება, ვისთან როგორი ურთიერთობა შეუძლია ჰქონდეს.

— ბუნებით ავანტიურისტი ხართ?

— ფრთხილი ვარ.

— ბავშვობაში ვინ გინდოდათ გამოსულიყავით?

— კბილის ტექნიკოსი. შემოსავლიანი ხელობაა-მეთქი, ვფიქრობდი. საბედნიეროდ, ერთხელ კარტოფილის საყიდლად წავედი ბაზარში და განცხადება წავიკითხე — სარატოვის თეატრალურ ინსტიტუში მიღება იყო. მივედი, გამოცდები უკვე დამთავრებული დამხვდა. ინსტიტუტის დირექტორმა სტეპანოვიჩმა სექტემბრისათვის დამიბარა. უგამოცდოდ მიმიღეს. კარგა ხნის შემდეგ სტეპანოვიჩი გამომიტყდა: ინტუიცია მკარნახობდა — მიიღე... მიიღეო...

— თუ გიოცნებიათ კანის ფესტივალზე?

— არა... (იცინის) ვტყუი; როგორ არა, ვოცნებობ. კანის ფესტივალი უკვე დიდი ხანია ტარდება. ჩვენ კი ბევრი რამის სწავლა დაგვჭირდება, სანამ იმ დონეს მივაღწევთ. მაგრამ ჯერ სახელმწიფო უნდა დადგეს ფეხზე. ბევრი რამ გავუშვით ხელიდან... თუნდაც კინოინდუსტრია. ამერიკელები კარგა ხანია მიხვდნენ, რომ ნავთობი, გაზი და ბრილიანტები მშვენიერი რამაა, მაგრამ კიდევ არსებობს კინო. ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვხვდებით ამას. საბჭოეთის დროს ჩვენც გვქონდა კინო, მაგრამ მაინც ვერ დავიკავეთ ის „ოპერატიული სივრცე“, რაც ახლა ამერიკელებმა დაიპყრეს.

— ინდუსტრია არ გამოგვივიდა, მაგრამ ხელოვნება ხომ იყო?

— ხელოვნება კი იყო, მაგრამ თუ — „ინდუსტრია“ არ გიწყობს ხელს, არ გიქმნის იმიჯს, დიდ მწვერვალებს ვერ დაეუფლები. მინდა, მსოფლიო ისევე მიცნობდეს, როგორც ჩვენ ვიცნობთ დე ნიროს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

— „ინდუსტრიაზე“ გამახსენდა, ითამაშებდით ტელესერიალში?

— სერიალი?! სახიფათო საქმეა.

— კი მაგრამ, ამერიკელი ვარსკვლავები ხომ აძლევენ თავს ამის უფლებას?

— არ მგონია, ნიკოლსონი ან დე ნირო ტელესერიალებზე დახურდავდნენ. ეს პოლიტიკაა. სერიალი კი — თავისებური იარლიყი.

— თქვენ მაინც, არ უნდა გეშინოდეთ იარლიყებისა!

— ყველას თავისი ადგილი აქვს. პოპულარულ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილ სტალონესა და შვარცენეგერს არასდროს მიიწვევენ კარგ ფილმში და არც „ოსკარზე“ წარადგენენ ოდესმე. ჩვენთან კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება. ჩემი შვილიშვილი მთხოვდა, პევცოვი გამაცანიო. გავაცანი. თურმე რაღაც სერიალში თამაშობს, „ბანდიტურ პეტერბურგში“, მე კი მეგონა, „თოლიაში“ რომ ტრეპლოვის როლს ასრულებს, ამიტომ დაინტერესდა-მეთქი...

— გქონიათ ისეთი წუთები, სინამდვილისგან გაქცევა რომ გინდა და მზად ხარ სხვა საქმეს მოჰკიდო ხელი?

— როგორ არა... „ჰამლეტის“ ჩავარდნის შემდეგ, გაზეთებში როგორ არ მლანძღავდნენ და უცებ... ფრანგებმა „კრეიცერის სონატაში“ მიმიწვიეს. ნახევარი წელი ვიყავი იქ და პირდაპირ „პერესტროიკაში“ დავბრუნდი. ყველგან დახლები, ბაზრები, დიდ თეატრთან, მცირე თეატრთანაც, ცარიელი კინოთეატრები. გული გამიტყდა — ვიღას სჭირდება მსახიობი-მეთქი... იდეა ჩაკვდა, მე კი მრავალი წლის მანძილზე ჩემს სურათებში ჩემი თაობის სახელით ვლაპარაკობდი...

... მერე ნელ-ნელა ყველაფერი თითქოს გამოსწორდა...

— თქვენი პროფესიის გარდა, რა გიზიდავთ?

— არაფერი. არც სანადიროდ, არც სათევზაოდ არ დავდივარ.

— ბავშვობა როგორი გქონდათ?

— უსიხარულო, ღარიბი და მძიმე. რეპრესირებული მამა, დედას სამი ვაჟი ვყავდით — ოცნებით ვცხოვრობდი... იყმაწვილე სულ ოცნებაში გავლიე. ისე, ოცნება ახლაც მიყვარს...

— ტყუილი გითქვამთ?

— უსასრულოდ შემიძლია ფანტაზიორობა... და ამას ტყუილს ვერ დავარქმევ.

— ადვილია თქვენთან ურთიერთობა?

— მგონი, კი. ჩემს სატკივარს არავის ვახვევ თავს. ვცდილობ, დავმალო, განსაკუთრებით, ახლობლებს, ოჯახის წევრებს ვუფრთხილდები.

— დეპრესიაში ჩავარდნილხართ?

— დიახ, და არაფერი მშველის მუშაობის გარდა. ყველაზე მეტად „თავისუფალი დროის“ მეშინია.

— როგორ მოხიბლეთ ცოლი?

— ჯერ იყო და, სტუდენტობისას კოლმეურნეობაში დავყავდით კარტოფილის ამოსაღებად. შემდეგ, მე და ნინა სასწავლებლიდან ცირკში მიგვიწვიეს წარმოდგენის წამყვანებად. თეატრისაგან განსხვავებით, ცირკში ცალ-ცალკე საგრიმიოროები არ არის და ერთ საგრიმიოროში გაგვამწესეს. რატომლაც ცოლ-ქმრად მიგვიჩნიეს. ჩვენც აღარ გავაწბილეთ... ერთი სიტყვით, ცირკმა შეგვაერთა.

— მას შემდეგ, ალბათ განსაკუთრებულად გიყვართ ცირკი?

— აბა რა! „მიუნჰაუზენის“ იუბილეც ცირკში ჩატარდა. ჩანაფიქრი ასეთი იყო — მიუნჰაუზენი ჯერ მოფრინდებოდა, შემდეგ კი ისევ გაფრინდებოდა ცაში. სამი ტროსით მწევდნენ ზევით, როცა ავფრინდი, ჩემს შვილიშვილს ისე შეშინებია, რომ შემდგომაც აღარ მეკარებოდა.

— რა ჰქვია?

— ლიზინკა.

ისე თბილად თქვა, მოგინდებოდათ მისი შვილიშვილი ყოფილიყავით...

ოგონიოკი №23



ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ? ᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვალის გადახდა ღირსების საქმეა. ეს დაუწერელი კანონი ათადან და ბაბადან მოყოლებული საფუძვლიანადაა გამჯდარი ყოველი ღირსეული ადამიანის ცნობიერებაში. ყოველ ეთნიკურ ჯგუფში თუ მთლიანად ერში, საუკუნეების განმავლობაში უცვლელად რჩებოდა ვალთან დამოკიდებულების საკითხი და ყველგან იგი ღირსებას, პატიოსნებასა და სინდის-ნამუსთან არის დაკავშირებული.

იაპონიაში, მაგალითად, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, მევალე მიდიოდა მოვალესთან და მისი კარის წინ ჰარაკირს იკეთებდა. წარმოგიდგენიათ? თავს ვალის გამცემი იკლავდა... ცოცხალი რჩებოდა მოვალე, მაგრამ ვაი, მის ასეთ სიცოცხლეს — ის, ყველასგან მოკვეთილი და შერცხვენილი რჩებოდა. ასეთი შეურაცხყოფა კი იაპონელთათვის ყველაზე საშინელ სასჯელად ითვლება.

ქართველი, ვალის გირაოდ, სინდის-ნამუსს დებდა (სიმბოლურად, ულვაშის ღერის სახით), სინდის-ნამუსდაკარგული ქართველი კაცი კი აბა რაღა კაცია, ამიტომ ასეთი გირაო, როგორც იტყვიან, წყალგაუვალი იყო...

ამ პატარა ისტორიული ექსკურსიდან წინა კვირის სამთავრობო სხდომაზე გადმოვინაცვლოთ და სიხარულ-სიამაყეინტონაციაგარეულ პრეზიდენტის სიტყვებს მოვუსმინოთ, რომელიც ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალებს ეხებოდა:

— ხშირად გვსაყვედურობენ მე და ჩემს კოლეგებს — თქვენ აიღეთ იმდენი ვალები, რომ ჩვენი შვილები და შვილთაშვილები ვერ გადაიხდიანო. არ დასჭირდებათ გადახდა, ვალებს ჩამოგვაწერენ ერთ ან ორ წელიწადში.

სანამ ამ განცხადებას ზემოთ ნახსენები ღირსების ასპექტში განვიხილავთ, მანამდე გარკვეული დაზუსტებაა საჭირო თავად ამ „ჩამოწერასთან“ დაკავშირებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის ორი მილიარდი დოლარის საგარეო ვალი ერთ-ორ წელიწადში ფაფუ... და საქართველო თავისუფალი იქნება.

საქმე ის არის, რომ, შარშან, შემოდგომაზე, ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა ინიციატივით, რომ განვითარებად ქვეყნებს ჩამოსწეროდა საგარეო ვალები. ამ წინადადებას მხარი გაერომ და სავალუტო ფონდმაც დაუჭირა, ანუ განვითარებულმა სამყარომ დახმარების ხელი გაუწოდა განვითარებად ქვეყნებს. შემუშავებულ პროგრამაში, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ვალების რესტრუქტურიზაციას ეხება, საქართველო ჯერ არ არის შეყვანილი...

— მომავალში, შეიძლება ნაწილობრივ ჩამოეწეროს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების ვალი, ხოლო რაც შეეხება კომერციულ ვალებს, როგორიცაა მაგალითად: ავსტრიის ვალი (სასტუმრო „მეტეხთან“ დაკავშირებული) და სხვადასხვა ვალები, რომლის გარანტიაც ქვეყნის ბიუჯეტია და მას აწევს კისერზე, ამის ჩამოწერა შეუძლებელი იქნება. იგივე შეიძლება ითქვას სხვადასხვა სახელმწიფოს ვალებზეც (თურქმენეთი და სხვა). ასე რომ, დიდი ოპტიმიზმი და იმედები არ უნდა გვქონდეს. უახლოეს წლებში ეს ნამდვილად არ მოხდება, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა, ბატონმა რომან გოცირიძემ.

აქედან გამომდინარე, წელში გამწყვეტი ვალების მომლოდინე შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზე მზრუნველებს, არსებული სინამდვილე ღრმად და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას ნამდვილად არ აძლევს. ახლა კი ვალთან დაკავშირებულ იმ არაპრაგმატულ დამოკიდებულებაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რომელიც მოვალის ღირსების საკითხს განსაზღვრავს. რამდენად შეიძლება ჩვენ, უბრალო მოკვდავმა ქართველებმა, გავიზიაროთ პრეზიდენტის აღტაცება და თავმოწონება...

გემახსოვრებათ, ალბათ, „შერეკილების“ ერთი სცენა: მორიდებით მიადგებიან გარდაცვლილ მიზანა ბრეგვაძის მემკვიდრეს მევალეები და... — „ასეა, შვილო, ცხოვრება — შენ მამაშენი მიზანას ვალები უნდა გადაიბარო, როგორც ცხონებულმა გადაიბარა მამამისის კალენიკეს ვალები... შენს ვალებს შენი შვილები გადაიბარებს და ასეა, აპა, — დამოძღვრავს სოფლის მღვდელი — რა გვიჭირს, ჩვენ, ბრეგვაძეებს, სამაგისო, გავსწორდეთ ახლავეო, — ღირსების მთელი შეგნებით უხვდება გაღლეტილ-გაღატაკებული მიზანას ერთა მევალეებს და უსწორდება კიდეც... ასეა, ვალი ღირსების საქმეა.

ვალთან დამოკიდებულების საკითხმა თავისებური ასახვა პოვა შავ სამყაროშიც. ვალის არგადამხდელს „ფუფლოდ“ აცხადებენ და მერე მას კაცურ ღირსებაზე მთელი ცხოვრება სიტყვა აღარ ეთქმის. მართალია, ეს ვალი და ქვეყნის საგარეო ვალი შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ვალი მაინც ვალია და ყველა შემთხვევაში, ღირსებას (გნებავთ, იმიჯს) უკავშირდება.

ერთია კიდევ, ამ ვალების ჩამოწერის ამბავი მათხოვრისათვის მოწყალების გაღებას უფრო ჰგავს. თუ რამდენად იმსახურებს აღტაცებას მათხოვრის, თუნდაც არაოფიციალური სტატუსი, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია. მხოლოდ განსჯისას მხედველობიდან არ გამოგრჩეთ ის მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები, ჩვენ, ქართველებმა, რომ ვიცით სუფრაზე ღირსებასთან, კაცობასა და ქართველი კაცის გენეტიკურ სიამაყესთან დაკავშირებით. ესეც არ იყოს, თუნდაც სუფთა პრაგმატული მოსაზრებით, ვინღა ენდობა შემდგომში ასეთი საერთაშორისო იმიჯის ქვეყანას?

და კიდევ ერთი, რაც ყველაფერ ამასთან ერთად მეტად გულსატკენია: თუ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას და ხალხს დავაკავირდებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ გაუბედურებულ ქვეყანას და ხალხს, 2 მილიარდი დოლარის, რაღაც არაფერი ეტყობა...

მამუკა გიორგაძე

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡᲐ

ბრიტანეთის ნავთობის კორპორაცია „რამკო ენერჯიმ“ 150 მლნ დოლარად მიჰყიდა ამერიკელებს ნავთობის საბადოს დამუშავების „აზერის“ პროექტის თავისი წილი, კასპიის აზერბაიჯანის სექტორში.

ყურადსაღებია რამდენიმე ფრაზა „რამკოს“ ოფიციალური ცნობიდან: „ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, საჭიროების შემთხვევაში, ფულადი დანახარჯის კომპენსაციის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ“. როგორც ჩანს, ეს დრო დადგა, რადგან საერთაშორისო კონსორციუმის „აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის“ (ასსკ) შეფასებით (რომელშიც „რამკო“ შედის), „აზერის“ პირველი ფაზის ფართომასშტაბიანი დამუშავების სარეალიზაციოდ დანახარჯები გეგმურს 40%-ით ანუ 1 მლრდ დოლარით აღემატება.

ფაქტობრივად, ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ აზერბაიჯანთან გრძელვადიანი პარტნიორობა საფრთხის წინაშე დადგა. თუმცა ექსპერტები იზიარებენ იმ აზრს, რომ კასპიის რეგიონში ნავთობისა და გაზის დამუშავებას აზრი არ აქვს შორეული ტრანზიტის გარეშე, რადგან, ბუნებრივი რესურსების ათვისებისთვის, უმთავრესი ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის და თურქეთის გასაღების ბაზრებზე შეღწევაა. უახლოეს დრომდე აზერბაიჯანის ნავთობი „ჩრდილოეთის გზით“, ნოვოროსიისკამდე მიდიოდა, საიდანაც ტანკერებით ევროპაში გაჰქონდათ. ამჟამად მთავარ „სატრანზიტო ჭიშკრად“ იქცა ქართული პორტი სუფსა. ბაქო-ნოვოროსიისკი ექსპლოატაციაში 1997 წ. ოქტომბერში შევიდა, ხოლო ბაქო-სუფსა — 1998 წ. დეკემბერში. ორივე ხაზს უნდა გაეტარებინა წელიწადში 5 მილიონი ტონა ნავთობი, მაგრამ ქართული ხაზის მოდერნიზების შედეგად, მისმა სიმძლავრემ საგრძნობლად მოიმატა. უფრო მეტიც, საქართველოს განზრახული აქვს პარალელური ხაზის გაყვანა.

თუკი ეს პროექტი განხორციელდება, მაშინ საეჭვო გახდება ძირითადი საექსპორტო მილსადენის — ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის საკითხი, მით უმეტეს, რომ ამ პროექტის მთავარი მოთამაშე, ბრიტანეთის კორპორაცია „ბრიტიშ პეტროლიუმი-ამოკი“ არ არის მზად მილსადენის დასაფინანსებლად ნავთობის მარაგის ზუსტი მონაცემების გარეშე.

ენერგეტიკის სამართლისა და პოლიტიკის ცენტრის (დიდი ბრიტანეთი) დირექტორის მოადგილის, არმანდო ზამორას აზრით, „აშშ-ისა და თურქეთის ზეწოლას ჯეიჰანის ყველაზე გრძელი და ძვირად ღირებული სატრანზიტო მარშრუტის სასარგებლოდ, შეიძლება ეკონომიკურად წამგები და მიზანშეუწონელი პროექტი მოჰყვეს“.

ზემოთქმულიდან დასკვნის გამოტანა მეტად მარტივია: დასავლეთს უკვე აღარ სჯერა აზერბაიჯანის „დიდი ნავთობის“ არსებობისა და საეჭვოა, რომ კასპია იქცეს ახალ „სპარსეთის ყურედ“. ამბობენ, რომ კასპიის ზღვის რესურსები მხოლოდ ჩრდილოეთის ზღვისას თუ შეედრება, რომელიც მსოფლიოს ნავთობმოპოვების 2-3%-ს შეადგენს. ამასთან, საბურღი სამუშაოების ღირებულება კასპიის ზღვაზე ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე სპარსეთის ყურეში.

ბაქო-ჯეიჰანის მთავარ კონკურენტად შესაძლოა განახლებული მილსადენი ბაქო-ტიხორეცკი-ნოვოროსიისკი იქცეს. როგორც რუსეთის მილსადენების სისტემის „ტრანსნეფტის“ მთავარი ოპერატორის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩეჩნეთის ირგვლივ მარშრუტის სიმძლავრე წელიწადში 15 მილიონ ტონა ნავთობს შეადგენს, მაგრამ უმოკლეს ხანში მისი გაზრდა 50 მილიონამდეც შეიძლება. „ტრანსნეფტის“ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ წელს მას არ აქვს დაკვეთა აზერბაიჯანიდან კასპიის ნავთობის გადაქაჩვაზე.

ეხო პლანეტი №31.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ჩემს შვილიშვილს ზედა და ქვედა კიდურები ზამთარ-ზაფხულ სისტემატურად უოფლიანდება და უცივდება. რა იწვევს ამას და როგორ ვუმკურნალოთ?

ნ. ქართველიშვილი, თბილისი

ზედა და ქვედა კიდურების გაოფლიანება და გაცივება შეიძლება სხვადასხვა დაავადებამ გამოიწვიოს, ძირითადად კი, იგი ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის შედეგია და სისხლის მიწოდების პერიფერიული უკმარისობით არის გამოწვეული. ამ დაავადების დროს სასურველია ემოციურობის შემცირება და მედიკამენტოზური მკურნალობა.

დალი ფოცხიშვილი, ინფექციური პათოლოგიის ცენტრის ნეიროინფექციების განყოფილების ექიმი-ნეიროინფექციონისტი

რამდენიმე კვირის წინ ტექნიკური უნივერსიტეტის მთავარი კორპუსების სახურავებზე დამონტაჟდა ელექტრომაგნიტური ტალღების დამჭერი ანტენა, რომელიც სავარაუდოდ ჯგთ-მობილს ეკუთვნის და იგი 1.800 მეგაჰერცზე მუშაობს. როგორც ამბობენ, იგი საზიანოა 1 კილომეტრის რადიუსში მცხოვრებთათვის. გთხოვთ, გაგვარკვიოთ, რამდენად სახიფათოა მისი გამოსხივება?

მოსახლეობა

ელექტრონაკადის სიმკვრივის მაჩვენებელი სანიტარული ნორმა არის 10 მიკროვატი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე. აღნიშნულზე მაღალი სიმკვრივე ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა და სხვადასხვა დაავადებასთან ერთად პირველ რიგში იწვევს ნერვების მოშლას, თავის ტკივილს და ა.შ. ამ ეტაპზე შეჩერებულია ინსტიტუტის შენობაზე დამონტაჟებული ანტენების ექსპლუატაციაში გაშვება, რადგან გარემოს დაცვის სამინისტროს მითითებით, მან ეკოლოგიური ექსპერტიზა უნდა გაიაროს. მისი ფონის შემოწმებას კი გარემოს დაცვის ინსტიტუტთან ერთად ახორციელებს ჯანმრთელობის სამინისტრო. ამავე დროს, ტარდება ჯგთ-მობილის პროექტის ექსპერტიზაც, გაიზომება, ასევე, ანტენის სიმძლავრე და ირგვლივ განლაგებულ სახლებშიც შემოწმდება ფონი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1.800მგჰც (მეგაჰერცი) ნაკლებად სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე თუნდაც 900 მგჰც, რადგან მაღალი სიხშირე ნაკლებად მავნეა დაბალთან შედარებით.

თენგიზ კოჩინაშვილი, გარემოს დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

ვინ უნდა გადაიხადოს ლიფტისა და სადარბაზოს განათებისთვის დახარჯული ელექტროენერგიის საფასური მრიცხველების დაყენებამდე და დაყენების შემდეგ?

დიდი დილმის მცხოვრები

ლიფტისთვის დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს მრიცხველების დამონტაჟების მიუხედავად იხდიდა და იხდის მოსახლეობა, რადგან ლიფტი საერთო საკუთრებაა და მისი საფასური სადარბაზოში ოჯახთა რაოდენობით განისაზღვრება. 1998 წლამდე, მერიის დადგენილებით, სადარბაზოს მცხოვრებნი სახლმმართველობას ურიცხავდნენ ლიფტისთვის დახარჯულ ელექტროენერგიის თანხას, სახლმმართველობა კი — თელასს. 1998 წლის შემდგომ კი სახლმმართველობის გარეშე ხდება ლიფტის მომსახურების საფასურის ანაზღაურება სადარბაზოს ამხანაგობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სადარბაზოს განათების თანხას, მას მრიცხველის დამონტაჟების შემდეგ იხდიან სადარბაზოს მობინადრენი და ეს თანხა იყოფა მოსახლეობის რაოდენობაზე. ადრე კი მობინადრენი სადარბაზოს განათების თანხას იხდიდნენ სახლმმართველობაში და ეს უწყება ურიცხავდა თელასს.

დავით კუჭაიძე, თბილისის მერიის ენერგეტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

1942-48 წლებში ვმუშაობდი 26 კომისრის ქარხანაში, რომელიც ომის პერიოდში აწარმოებდა სამხედრო დანიშნულების იარაღს. მეკუთვნის თუ არა პენსია, როგორც ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირს?

თამარ თუმანიანი, თბილისი

სამამულო ომის დროს მრავალი დაწესებულება იყო გადაყვანილი სამხედრო მომსახურებაზე და ისინი ასრულებდნენ სამხედრო დაკვეთებს. მაგრამ, დღესდღეობით, სამხედრო კომისარიატები სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად თვლიან მხოლოდ ოთხი დაწესებულების მუშაკებს: 31-ე ქარხნის, ცენტროლიტის, კიროვის ქარხნისა და ორჯონიკიძის არსენალის მუშა-მოსამსახურეებს. სავარაუდოა, რომ სამომავლოდ პარლამენტი განიხილავს სხვა ობიექტების მოსამსახურეთა სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრების საკითხს.

ზ. არდაზიშვილი, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის სამობილიზაციო სამმართველო

აქვს თუ არა კონსტიტუციური უფლება სოფლის გამგეობას, ჩაერიოს ანდერძის შედგენაში და დაამტკიცოს ის ნოტარიუსის გარეშე? რამდენად ძალაშია ასეთი ანდერძი?

მ.მ. თბილისი

გამგეობას კონსტიტუციური უფლება არ აქვს ჩაერიოს ანდერძის შედგენაში და, მით უფრო, დამტკიცებაში, რადგან ანდერძის შემდგენელი თვით განსაზღვრავს მემკვიდრეობის პრეტენდენტთა საკითხს, ოღონდ იგი უნდა იყოს ნოტარიუსით დამტკიცებული.

ადვოკატთა კოლეგია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ
2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ		1,9700
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲙᲐ		0,8948
ᲘᲜᲒᲚ. ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ		2.8537
ᲔᲕᲠᲝ		1,7501
ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲠᲣᲑᲚᲘ		0,0710
ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ	(10.000)	0,0301

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ (ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ), ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ, ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ, ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ, Ს�პᲐᲠᲡᲣᲚ, ᲗᲣᲠᲥᲣᲚ, ᲐᲠᲐᲑᲣᲚ, ᲔᲑᲠᲐᲣᲚ, ᲩᲘᲜᲣᲠ, ᲘᲐ�პᲝᲜᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲘᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ (ᲕᲘᲓᲔᲝ, ᲐᲣᲓᲘᲝ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ CD-ᲔᲑᲘ).

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲡ. ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲘᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗ: ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 36 ᲗᲡᲣ ᲛᲔ-5 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲝᲗᲐᲮᲘ 40
☎ 22-03-03; 22-11-86 (10-16 ᲡᲗ-ᲛᲓᲔ); 37-31-23 (16-20 ᲡᲗ-ᲛᲓᲔ); 897-58-31-16

ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ
ᲐᲣᲓᲘᲢᲘ
ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ
ᲛᲘᲡ: ᲖᲐᲤᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 45, Ⓜ „ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ“ (Ⓜ „ᲓᲔᲚᲘᲡᲘ“), ᲛᲔ-7 ᲡᲐᲠᲗ, ᲝᲗ. 708
☎ 53-69-05
57-16-82

ᲚᲝᲒᲝᲗᲘᲞᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ
☞ ᲑᲝᲢᲙᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ; ᲥᲝᲚᲔᲪᲘᲡᲢᲘᲢᲡ; ᲢᲠᲝᲠᲝᲠᲘᲙᲣᲚ ᲬᲧᲚᲣᲚᲡ;
☞ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲦᲠᲣᲨᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲣᲜᲡ;
☞ ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲙᲝᲡ; ᲧᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲠᲡ; ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲭᲕᲔᲕᲘ;
☞ ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ;
☞ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲥᲐᲠᲡ; ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲗᲡ;
☞ ᲗᲛᲘᲡ ᲪᲕᲔᲜᲐᲡ, ᲡᲔᲑᲝᲠᲔᲐᲡ; ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲡ;
☞ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ;
ᲔᲣᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ 5-10 ᲓᲦᲘᲐᲜᲘᲐ
ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲖᲔᲕᲔ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ. ᲤᲐᲡᲘ 40 ᲚᲐᲠᲘ.
ᲛᲘᲡ: ᲐᲚᲐᲒᲐᲕᲔᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №115, „ᲤᲐᲜᲐᲡᲙᲔᲠᲒᲔᲚᲘ“, ᲘᲐᲜᲘᲗᲚᲘᲡᲘᲗ ᲚᲝᲒᲝᲗᲘᲞᲘᲫᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ. ᲢᲔᲚ: 77-68-50 (ᲓᲘᲜᲐ); 899-51-76-08

კლინტონი ბელადის მრჩევლად აირჩიეს...

ბილ კლინტონმა, როგორც ამერიკის პრეზიდენტმა ერთ-ერთი უკანასკნელი ტურნე ჩაატარა აფრიკის ქვეყნებში — ნიგერიაში, ტანზანიასა და ეგვიპტეში.

ორი წლის წინ, აფრიკაში თავისი პირველი მოგზაურობის დროს კლინტონმა დემონსტრაციულად არ ჩართო თავის პროგრამაში ნიგერიის მონახულება. მაშინ ნიგერიაში დიქტატურა მეფობდა. ახლა ეს წინააღმდეგობა აღარ არსებობს. 1999 წელს ნიგერიაში გაიმართა დემოკრატიული არჩევნები და ახლა ქვეყანა ოლუსეგუნ ობასანჯოს თავკაცობით ცდილობს „წარსულის ლაქებისგან“ — კორუფციისგან, ნარკოტიკებით ვაჭრობისგან თავის დაღწევას. კლინტონის ვიზიტი დიდად წაადგება ნიგერიას საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებაში. თავის ქალიშვილ ჩელსისთან ერთად კლინტონმა მოინახულა ნიგერიის სოფელი უმაფა, სადაც მათ ეროვნულ ტანსაცმელში გამოეწყო და მასპინძლებზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იგი „ტომის ბელადის მრჩევლად და სოფლის ყველაზე ბრძენკაცად აირჩიეს“.

ცხადია, რომ ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის მთავარი მიზეზი ეს არ გახლდათ. ნიგერია აფრიკის კონტინენტზე ნავთობის მსხვილი მიმწოდებელია, ამერიკაში უკანასკნელ თვეებში ისე აიწია ნავთობის ფასმა (მსოფლიო ფასების ზრდის გამო), რომ შეიძლება ნულზე დაიყვანოს უკანასკნელი წლების ეკონომიკური აღმავლობა — კლინტონ-გორის ადმინისტრაციის მთავარი მიღწევა. ვენესუელაში ეუთოს სამიტის წინ კლინტონისათვის მნიშვნელოვანი იყო მიეღწია იმისთვის, რომ ნიგერია (ეუთოს გავლენიანი წევრი) გაგებით მოჰკიდებოდა ამერიკელთა პოზიციას, და მიაღწია კიდეც. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტმა ობასანჯომ განაცხადა — ნავთობის მაღალი ფასი, უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებს აყენებს დარტყმას და არავის აძლევს ხელსო. თუმცა ნიგერიის პრეზიდენტის გადაბირება ძნელი არ იყო — კლინტონი დაჰპირდა, კრედიტორებთან სიტყვას შეგაწევო, ნიგერიას 28 მლრდ დოლარი ვალი აქვს.

იზვესტია №161

რას ამბობენ ამერიკის პრეზიდენტობის პრეტენდენტებზე

ერთხელ, პრეზიდენტად ყოფნისას, უფროსმა ბუშმა თეთრ სახლში დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ -ის მიღებისას, მას თავისი ერთ-ერთი ვაჟი წარუდგინა, რომელმაც დედოფალს უთხრა: ალბათ, შეამჩნიეთ, რომ მაგიდასთან თქვენგან მოშორებით დამსვეს... მეუბნებიან, ოჯახს არცხვენო. თქვენს ოჯახს ვინღა არცხვენს?

ამგვარი უზრდელობით აღშფოთებულმა მისმა უდიდებულესობამ უპასუხა, — ეს თქვენი საქმე არ არის, ყმაწვილო!

სწორედ ზემოთ ხსენებული ბუში-უმცროსი, პრეზიდენტობის ახლანდელი კანდიდატი, მეუღლის, ლაურას მეცადინეობით, ფილადელფიაში რესპუბლიკელთა ყრილობაზე ამომრჩეველთა წინაშე წარდგა, როგორც სანიმუშო მეოჯახე, წარმოსადეგი, ჭკვიანი მამაკაცი. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის შვილიშვილმა დაცინვით განაცხადა, — „დიდი ამბავი თუ ბუში აღარ სვამს, ვითომ მეტი რა გააკეთა ისეთი, რომ პრეზიდენტობის პრეტენზია აქვს?!“

... პრეტენდენტთა ცოლები პირდაპირ თავს იკლავენ, რომ რაც შეიძლება მეტად მოაწონონ თავიანთი მეუღლეები ამომრჩეველს. ლოს-ანჯელესში, დემოკრატთა ყრილობაზე ნაჩვენები „ოჯახური ალბომის“ საღიქტორო ტექსტში ტიპერ გორმა ქმრის მისამართით თქვა: „ალთან პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ ის პრეზიდენტი გახდებოდა“.

მელორ სტურუა
მკ ბულვარი №36

ოლიმპიური აფეთქება

ახალი ზელანდიის პოლიციამ შეძლო, წინ აღსდგომოდა ტერორისტულ აქტს, რომელიც თავისი მასშტაბებით საპატიო ადგილს დაიჭერდა გინესის რეკორდების წიგნში. — ახალი ზელანდიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქ ოკლენდში მცხოვრებ ავღანელ იმიგრანტთა ჯგუფი, სიდნეის მახლობლად ბირთვული რეაქტორის აფეთქებას აპირებდა.

ხელისუფალთა განცხადებით, ტერაქტის განხორციელების ბრძანება საუდელმა მილიარდერმა უსამა ბენ ლადენმა გასცა, რომელიც ახლა ავღანეთში იმალება.

ტერორისტთა კვალს ახალზელანდიელმა პოლიციელებმა ჯერ კიდევ მარტში მიაგნეს: არალეგალ იმიგრანტთა გამოსავლენი ჩვეულებრივი ოპერაციის შედეგად ცხადი შეიქნა, რომ მიაგნეს დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფს, რომელსაც არა მარტო არალეგალურად გადმოჰყავდა ახალ ზელანდიაში ავღანელი ლტოლვილები, არამედ ასაფეთქებელ ნივთიერებათა კონტრაბანდასაც ეწეოდა. თვეების მანძილზე ჯგუფს უთვალთვალებდნენ და მისი „შტაბბინის“ დადგენაც შეძლეს. იგი, პოლიციელების თქმით, ნამდვილ სამეთაურო პუნქტად იყო ქცეული. სწორედ იქ იპოვეს სიდნეისა და მისი შემოგარენის რუკა, რეაქტორთან მისასვლელი ყველა გზა სპეციალური ნიშნებით იყო აღნიშნული.

ჯერჯერობით, ამ საქმის დეტალებს არ ახმაურებენ, მაგრამ ახალი ზელანდიის გაზეთები ამტკიცებენ — ხელისუფლებას ყველა საფუძველი აქვს ამტკიცოს, აფეთქება ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს — 15 სექტემბერს მოხდებოდაო. ჯერ კიდევ 50-იან წლებში აგებული ბირთვული რეაქტორი ოლიმპიური ობიექტებიდან სულ 25 კმ-ითაა დაშორებული, ამიტომაც აფეთქების შედეგი ავსტრალიელებისათვის ნამდვილ კატასტროფად იქცეოდა.

ახალი ზელანდიის პოლიცია ამოწმებს ქვეყანაში მყოფ ყველა ავღანელ იმიგრანტს: უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქვეყანაში ცხოვრების უფლება თითქმის 700-მა ავღანელმა მიიღო. ხელისუფალთა მონაცემებით, 20 მათგანი, თავის დროზე, საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა.

მართალია ავსტრალიის და ახალი ზელანდიის სამართალდამცავი ორგანოები ამტკიცებენ, საფრთხე აღარ გვემუქრებაო, მაგრამ სიდნეიში ძალიან ფრთხილობენ — ბირთვული რეაქტორის მიმდებარე რაიონი პოლიციელებითაა გარშემორტყმული, ცაში კი რამდენიმე შვეულმფრენი ტრიალებს.

ნოვიე იზვესტია №157

სერბეთის ექსპრეზიდენტი დისტანციიდან მოხსნეს

ბელგრადში უკვალოდ დაიკარგა სერბეთის ექსპრეზიდენტი ივან სტამბოლიჩი, რომელმაც თავის დროზე პოლიტიკურ ოლიმპოზე აიყვანა სლობოდან მილოშევიჩი. სტამბოლიჩი მილოშევიჩის შესაძლო ოპონენტად მიაჩნიათ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში.

25 აგვისტოს, დილით, 63 წლის სტამბოლიჩი ბელგრადში თავისი სახლის მახლობლად პარკში ვარჯიშობდა. როცა ჩვეულ დროს შინ არ დაბრუნდა, მისი ოჯახის წევრები აფორიაქდნენ. მოგვიანებით გაიხსენეს, რომ ბოლო დღეებში სტამბოლიჩის სახლთან ხშირად ხედავდნენ თეთრ მიკროავტობუსს. პოლიციამ სახლის მიმდებარე რაიონი გაჩხრიკა, მაგრამ სტამბოლიჩი ვერსად ნახეს. ოპოზიციურმა პარტიამ „დემოკრატიული ალტერნატივა“, ნ. ჩოვიჩის ხელმძღვანელობით, სტამბოლიჩის მოტაცებაში მთავრობა დაადანაშაულა.

ი. სტამბოლიჩი და ს. მილოშევიჩი

ექსპრეზიდენტის დაკარგვა ბელგრადში მეხის გავარდნას ჰგავდა. სერბეთის კომპარტიის ყოფილი ლიდერი მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა. მის სახელს უკავშირდება ბანკის ყოფილი ჩინოვნიკის, მილოშევიჩის წარმატებული კარიერა. ისე მოხდა, რომ მილოშევიჩი სტამბოლიჩის მიერ გათავისუფლებულ პოსტებს იჭერდა და იერარქიულ კიბეზე ზევით-ზევით მიიწევდა. 1987 წელს „პროტეუემ“ ამაგი იმით დაუფასა თავის მფარველს, რომ მოიწვია კომპარტიის ცკ-ის რიგგარეშე პლენუმი, რომელზეც სტამბოლიჩი გადააყენეს. ეროვნული დიალოგის პოლიტიკა, რომელსაც სტამბოლიჩი ატარებდა, ველიკოსერბულ იდეაზე დამყარებულმა იდეამ შეცვალა. ექსპრეზიდენტი მოგვიანებით აღნიშნავდა — ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს წინდაუხედაობას, რომელმაც სერბეთი ეროვნულ ტრაგედიამდე მიიყვანაო.

ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ სტამბოლიჩი პოლიტიკიდან წავიდა და თითქმის 90-იანი წლების დამლევამდე საბანკო ბიზნესს ეწეოდა. სულ ახლახან ალაპარაკდნენ მასზე როგორც ადამიანზე, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მილოშევიჩს 24 სექტემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში.

სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამასთან იყოს დაკავშირებული მისი გაუჩინარება. ახლა სერბეთში ბევრი იხსენებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როცა გამოკითხვის თანახმად, გამარჯვებას „სერბეთის ეკონომიკური სასწაულის“ ავტორს, მხცოვან პროფესორს დ. ავრამოვიჩს უწინასწარმეტყველებდნენ, მან მოულოდნელად თავისი კანდიდატურა მოხსნა. ოპოზიციამ წააგო. ბელგრადში ამბობდნენ — ავრამოვიჩს დაემუქრნენ, ქალიშვილს მოგიკლავთო და ამიტომაც მოხსნა თავისი კანდიდატურაო.

ახლა სერბეთის ოპოზიცია საჯაროდ ადანაშაულებს მილოშევიჩს პოლიტიკური მოწინააღმდეგის მოტაცებაში.

კომერსანტი №159.

ფინეთის პრეზიდენტი გათხოვდა

56 წლის ტარია ჰალონენმა ოფიციალურად იქორწინა ცხოვრების დიდი ხნის თანამგზავრ, პენტი არაიარვისთან. სანამ ტარია ჰალონენი ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მისი პირადი ცხოვრება მაინცდამაინც არავის აინტერესებდა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაზეთები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ტარია ჰალონენი უკანასკნელი 15 წლის მანძილზე არაკანონიერ ქორწინებაში იმყოფება პენტი არაიარვისთან და ორივეს წინა ქორწინებიდან ჰყავთ შვილები. ჟურნალისტთა შეკითხვაზე: განა შეიძლება, სახელმწიფოს პირველი პირი ამგვარ მაგალითს აძლევდეს თანამემამულეებსო, ქალბატონი ტარია პასუხობდა — ეს ჩემი პირადი საქმეაო.

მას შემდეგ, რაც ტარია ჰალონენი პრეზიდენტი გახდა, პრესაში გახშირდა დისკუსია თემაზე — როგორ მივმართოთ ანრა სახელი დავარქვათ მამაკაცს, რომელიც პრეზიდენტ ქალთან ცხოვრობს. გამოკითხულთა 50% მომხრე იყო, რომ მისთვის ცხოვრების მეგზური ეწოდებინა, 25% კი „პრეზიდენტის მამაკაცად“ იხსენიებდა. ფინელები იმასაც ხედავდნენ, რომ საზღვარგარეთ ვიზიტების დროს იქმნებოდა უხერხული სიტუაცია, მასპინძელი იბნეოდა, რადგან არ იცოდა პრეზიდენტის თანმხლები მამაკაცის სტატუსი.

ამ გაუგებრობას ბოლო მოეღო — ფინეთის პრეზიდენტის რეზიდენციის ბაღში გაიმართა საქორწინო ცერემონია, ხელისმომკიდეები იყვნენ ტარია ჰალონენის ქალიშვილი ანა და პენტი არაიარვის ვაჟიშვილი ესკო. ცერემონიამ ძალზე მოკრძალებულად ჩაიარა, სულ 30-მდე სტუმარი ესწრებოდა. ახლა საპრეზიდენტო წყვილს მოიხსენიებენ ისე, როგორც საჭიროა — ფინეთის რესპუბლიკის მეთაური ტარია ჰალონენი და მისი მეუღლე პენტი არაიარვი.

სეგოდნია №190

ალმოდებული კორსიკა

მესამე კვირაა, რაც კორსიკის ტყეებს ხანძარი ანადგურებს. ცეცხლის ალი უკანასკნელი დროის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების სიმბოლოდაც იქცა.

ვინ აჩაღებს ხანძარს კორსიკაში, არსებობს სხვადასხვა ვერსია. ერთ-ერთის თანახმად, ხანძარს სეპარატისტ-იატაკქვეშელები აჩენენ, პარიზის მთავრობის მიმართ შურისძიების მიზნით. ეს ვერსიაა, სინამდვილეში კი, კორსიკასთან დაკავშირებით ცეცხლი შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟან-პიერ შევენმანმა დაანთო, რომელიც რამდენიმე დღის წინ გადადგა. იგი კატეგორიულად არ ეთანხმებოდა პრემიერ ლიონელ ჟოსპენს საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით, რომლის თაობაზე კაბინეტის მეთაური ერთი თვის წინ მოელაპარაკა კორსიკელებს. ამ რეფორმის არსი გახლავთ კუნძულისათვის ფართო ავტონომიის მინიჭება, რაც გულისხმობს იმას, რომ კორსიკას ექნება საკუთარი საკანონმდებლო საკრებულო და შესაძლოა მთავრობაც კი.

თუ ეს პროექტი განხორციელდა, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციას ბოლო მოეღება. დაიშლება ქვეყნის მოწყობის ძირითადი პრინციპი, რომელსაც წმინდად იცავენ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ. საფრანგეთის საკონსტიტუციო სამართალი არ აღიარებს ეროვნულ ავტონომიებს. კორსიკელი ნაციონალისტებისთვის დათმობა სახელმწიფო სამართლებრივი ტრადიციის ღალატს ნიშნავს.

ჟოსპენის გეგმა, პრაქტიკულად, ყველა ანალიტიკოსმა გააკრიტიკა. კორსიკულ პრეცედენტს შეიძლება სახიფათო შედეგები მოჰყვეს. ბონაპარტის თანამემამულეების კვალდაკვალ ავტონომიას მოითხოვენ ბრეტონელები, ბასკები, ელზასელები — მაშინ საფრანგეთი რამდენიმე რეგიონად დაიყოფა.

შინაგან საქმეთა მინისტრი შევენმანი წინ აღუდგა კორსიკელთა პროექტს და უარი თქვა ქვეყნის პარლამენტში მის წარდგენაზე. ეს კი გადადგომას ნიშნავდა. მინისტრმა პრემიერს შეხვედრა სთხოვა. მათი შეხვედრა კი იმით დამთავრდა, რომ შევენმანმა კაბინეტის კარი გამოიჯახუნა. მისმა გადადგომამ შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა განლაგება. პრემიერ ჟოსპენის რეიტინგი 53%-მდე შემცირდა, სამაგიეროდ, 61%-ით გაიზარდა მემარჯვენე პრეზიდენტ ჟაკ შირაქის რეიტინგი.

კორსიკაზე სეპარატისტები მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ, ცნობილია ისიც, რომ ნაციონალისტი-იატაკქვეშეთელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მაფიოზურ კლანებთან, რომლებიც იმედოვნებენ, რომ პარიზის გავლენის შესუსტების შემდეგ ხელში ჩაიგდებენ კორსიკაზე კონტროლს. ამ ფონზე ნაკლებდამჯერებელი აღმოჩნდა ჟოსპენის გუნდის მცდელობა — დაერწმუნებინა საფრანგეთის მოქალაქეები კორსიკელ სეპარატისტთა მოთხოვნის სამართლიანობაში.

პრეზიდენტ შირაქს კონსტიტუციური უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს. მისი პირადი მაღალი რეიტინგი შესაძლოა არჩევნებში მემარჯვენეთა გამარჯვების საწინდრად იქცეს.

იზვესტია №162

ერაყის პოეზიის მზე



უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ერაყის ეროვნული ჰიმნი 5-ჯერ შეიცვალა. ამჟამად მოქმედი ჰიმნი 1980 წელს დაწერა ვინმე შაფიკ ალ-ქამალიმ. ეს ერთი წლის შემდეგ მოხდა, მას მერე, რაც სადამ ჰუსეინი ერაყის ნომერი პირველი ადამიანი გახდა, მაგრამ ტექსტის შესარჩევი კონკურსი ჯერ კიდევ წინა პრეზიდენტის, აჰმედ ჰასან ბაქრის დროს გამოცხადდა.

ახლა, ჰუსეინის აზრით, ქვეყანას ახალი ჰიმნი სჭირდება, ამიტომაც მან ერაყის პოეტების წინაშე ახალი ტექსტის დაწერის ამოცანა დააყენა. ჰუსეინი უკვე შეხვდა ერთ-ერთ პოტენციურ ავტორს — უსინათლო პოეტ ქამალ ალ-ჰადისის, რომელსაც ერაყელ ჰომეროსს უწოდებენ. მისი შემოქმედება კლასიკური სტილით ხასიათდება, ამასთან, საიმედო კაცია — მმართველი პარტია „ბაასის“ ერთ-ერთი უხუცესი წევრი.

ჰუსეინმა აუხსნა ალ ჰადისის, როგორი ტექსტი სურს ჰიმნისთვის. „ჰიმნი უნდა იმღერონ ჯარისკაცებმა ომის დროს, ის მათ მტრის თვითმფრინავების ჩამოგდებაში უნდა დაეხმაროს, ქალებს კი — მინდვრის სამუშაოებისას. ჰუსეინმა პოეტს ურჩია სახელმძღვანელოდ მისი (ე.ი. სადამ ჰუსეინის) პოემა გამოიყენოს, რომელიც ასე იწყება — „დიდება მსხვერპლად შეწირულ გმირებს, ჩვენს დედებს, დებს, ჩვენს საყვარელ ამხანაგებს. დიდება ჩვენს ხალხს და ჩვენს სამშობლოს!“

ეჭვს აღარ იწვევს, რომ ერაყის ლიდერის პოემა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შევა ახალ ჰიმნში და, რაღა თქმა უნდა, არაერთხელ იქნება მოხსენიებული თავად სადამიც, როგორც უჭკვიანესი, უშესანიშნავესი, ბრძენთა ბრძენი და ა.შ.

ახლა ტექსტზე ასობით პოეტი მუშაობს, საქმე ის არის, რომ ამგვარ პრესტიჟულ კონკურსში გამარჯვება ძალზე სახარბიელოა. მართალია, სახელმწიფოს ფული არა აქვს, მაგრამ წამყვანი ლიტერატორები პრემიების სახით შეღავათებს მიიღებენ, მაგალითად, შეეძლებათ ბაჟის გადაუხდელად ქვეყანაში მანქანების შემოყვანა.

კომერსანტი №160

მოკლედ

რუსეთ-ბელორუსიის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება ერთიანი ვალუტის შემოღების შესახებ. იგი 2008 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას.

რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმად, წყალქვეშა ნავის „კურსკის“ მთელი ეკიპაჟი სიკვდილის შემდეგ ჯილდოვდება სახელმწიფო ჯილდოებით. ნავის კაპიტანს გენადი ლიაჩინს რუსეთის გმირის წოდება მიენიჭა, დანარჩენი მეზღვაურები მამაცობის ორდენით დაჯილდოვდნენ.

ვენეციის კინოფესტივალზე, 70 წლის ქლინთ ისთვუდმა კინემატოგრაფში გაწეული ღვაწლისათვის „ოქროს ლომი“ მიიღო, რომელიც მას შარონ სთოუნმა გადასცა.

ათენის სასაფლაოზე აღარ არსებობს ცნობილი რუსი ქილერის ალექსანდრ სოლონიკის საფლავი. როგორც იუწყებიან, საფლავს არავინ უვლიდა და არც მისი შენახვის ფულია გადახდილი. საბერძნეთის კანონების თანახმად, ასეთ შემთხვევაში სამარეს აუქმებენ და ნეშტი საერთო საფლავში გადააქვთ.

ᲣᲐᲠᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲐᲜ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲡ



ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები — რისი საშუალებითაც სკოლის მოსწავლეები ხელისგულების ხახუნით ტემპერატურას იწვდნენ — ეგებ ხვალ სკოლაში არ გამიშვანო, — შესაძლოა აფთიაქებიდან გაქრეს. მიჩიგანის შტატის ქალაქ ენ არბორში და მინესოტას შტატის ქალაქ დულუთში ასეთი გადაწყვეტილება უკვე მიიღეს. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციამ „ჯანდაცვა ზიანის გარეშე“ გამოაქვეყნა ცნობა, რომლის მიხედვითაც ასეთი თერმომეტრების ტოქსიკური შიგთავსი მავნებელია ჯანმრთელობისთვის და ნერვულ დაავადებებს იწვევს. ამასთან, შესაძლოა, მშობიარობისას დეფექტური ნაყოფის შობა გამოიწვიოს ან მუცლის მოშლის მიზეზი გახდეს. ამიტომ ბევრი ადამიანი უარს ამბობს ვერცხლისწყლიან თერმომეტრებზე და მათ მაგივრად ელექტროთერმომეტრებს ირჩევს.

ნიუზუიქი, 21 აგვისტო

ᲐᲡᲞᲘᲠᲘᲜᲘ ᲞᲐᲜᲐᲪᲔᲐ ᲐᲰ ᲐᲰᲘᲡ

შეუძლია კი ასპირინს თავიდან აგაცილოთ გულის შეტევა? შეუძლია, თუკი თქვენ გული უკვე გაწუხებთ. მაგრამ მათთვის, ვისაც გულის პრობლემები არა აქვთ, ის შესაძლოა უფრო საზიანო აღმოჩნდეს, ვიდრე მარგებელი.

ბრიტანელმა მკვლევარებმა 5500 კაცი გამოიკვლიეს, ვინც გულის ტკივილს არ უჩიოდა. გამოირკვა, რომ ასპირინის რეგულარული დოზების მიღება მათთვის, ვისაც წნევა 130-ზე ნაკლები აქვთ, შესაძლოა გულის შეტევის რისკის შემამცირებელი იყოს. უფრო მაღალი წნევის მქონეთათვის კი, შესაძლოა საშიშ მაპროვოცირებლადაც იქცეს.

ექსპერტთა თქმით, თუ ადრე გულით დაავადებულთათვის ასპირინის რეგულარული მიღება სასიკეთო იყო, დღევანდელი მონაცემებით, მისი პროფილაქტიკის მიზნით მიღებაც კი აღარ არის სასურველი. ერთადერთი, რასაც ექიმები გვირჩევენ გულის მოსაფრთხილებლად — მოწევას დაანებეთ თავი, წნევა და ქოლესტერინი კი შეძლებისდაგვარად დაიწიეთ.

უიქლი უორლდ ნიუზი

ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ...

უგანდის დედაქალაქ კამპალეში ჩატარებულ საერთაშორისო სემინარზე ფრანგმა მეცნიერმა ლუკ მონტენიემ სენსაციური განცხადება გააკეთა. მკვლევარი ამტკიცებს, რომ საშინელი დაავადება შიდსი კოცნითაც გადადის — საშიშია ღრმა კოცნა, ლოყაზე ჩვეულებრივ კოცნას კი, არაფერი სერიოზული არ მოჰყვება. გამოკვლევების შედეგად მონტენიემ დაასკვნა, რომ სანერწყვე ჯირკვალს შეუძლია დააგროვოს ვირუსი.

ბრიტანეთში უკვე დაიწყო გამოკვლევა — შიდსის წინააღმდეგ ვაქცინის გამოცდა ადამიანებზე. დიდი ბრიტანეთის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის საბჭოს მოწოდებას 18 მოხალისე გამოეხმაურა. დროის რაღაც განსაზღვრულ პერიოდში მათ სპეციალურ პრეპარატს შეუყვანენ, რომელიც დმ-ის საფუძველზე არის დამზადებული. გენეტიკური მასალა ვაქცინისათვის ექიმებმა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსიდან ამოიღეს.

ნოვიე იზვესტია №159

ᲯᲐᲠᲐ-ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲤᲡᲝᲠᲘᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ: ქრისტესისლას ფოთლები შეათქვიფეთ ვაზელინს ან ლანოლინს (3:1) და წაისვით ფსორიაზის კვანძებზე (ქერცლით დაფარული წითელი ლაქები).

ქრისტესისლას წვენი შეიძლება შეაგროვოთ შემოდგომით. ქრისტესისლას ღეროები გაატარეთ ხორცსაკეპში და გაწურეთ. წვენი შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ მინის მუქი ფერის ჭურჭელში, დადგით ბნელ და ცივ ადგილას. ამ წვენით დაიმუშავეთ კანი 2-3-ჯერ დღეში.

დანაყეთ ნიორი, ჩადეთ მარლაში და წაისვით 2-3-ჯერ დღეში დაზიანებულ კანზე (ნიორის მაგივრად შეიძლება გამოიყენოთ კალანჭოე).

ძალიან კარგია ჟოლოს ფოთლების ნაყენის კომპრესი. 3 ს/კოვზ ფოთოლს დაასხით 1ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15 წუთი და გაიკეთეთ სალბუნი. კარგია, აგრეთვე, მოცვის ახალი ნაყენის სალბუნი.

აიღეთ თანაბარი რაოდენობის კუპრი, ღორის ქონი, გამხმარი ქრისტესისლა (ფხვნილი), ელეუთეროკოკის ექსტრატი და 1 კვერცხის ცილა. აურიეთ და მიღებული მალამო წაისვით ფსორიაზის კვანძებზე.

ძალიან ეფექტურია ყოველდღე ზღვის მარილისა და 4 ს/კოვზი წიწვის ექსტრატის აბაზანები.

ფსორიაზის განკურნების (რეგრესულ სტადიაში) დროს რეკომენდებულია ლუდის საფუარი, რომელიც მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით. მიიღეთ 1ჩ/კ დღეში 3-ჯერ.

ორაკული №8

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲘᲡ

— ექსრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, ჰროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენინკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

ᲞᲘᲠᲘᲡ ᲦᲠᲣᲡ ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲐ

პირის ღრუს ჰიგიენას დიდი მნიშვნელობა აქვს კბილების და ღრძილების დაავადებათა პროფილაქტიკაში. ბავშვს უკვე ორი წლის ასაკიდან უნდა დააწყებინოთ პირადი ჰიგიენის ჩვევების გამომუშავება. თავდაპირველად, ბავშვი უნდა მივაჩვიოთ კბილების გამოხეხვას პასტის გარეშე (რათა არ მოხდეს პასტის ასპირაცია — გადაცდენა სასუნთქ სისტემაში). 4-5 წლის ასაკიდან კი იგი უნდა დაეუფლოს კბილების სწორად გამოხეხვის წესს:

1) კბილები უნდა ვიხეხოთ დღეში ორჯერ — დილას, ჭამის შემდეგ და საღამოს, ძილის წინ, დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში.

2) კბილის ჯაგრისის ჯაგარი არ უნდა იყოს ძალიან ხშირი (მჭიდროდ განლაგებული ჯაგრით), რადგან ეს აძნელებს კბილთაშუა სივრცეების გასუფთავებას. არ არის რეკომენდებული მაღალი ჯაგარიც, რადგანაც ის ართულებს კბილების ლოყისკენა ზედაპირების გაწმენდას.

უმჯობესია საშუალო სიმაგრის, სამმწკრივიანი ჯაგრისი (ჯაგრის კონები სამ მწკრივადაა განლაგებული), რომლითაც შესაძლებელი ხდება კბილის ყველა ზედაპირის გასუფთავება.

კბილის პასტა:

დღეს არსებული სხვადასხვა ფორმის მრავალფეროვანი პროდუქცია დიდი არჩევანის საშუალებას იძლევა. უმჯობესია, შეარჩიოთ ფტორირებული პასტები, რომლებიც თქვენს კბილებს კარიესისგან დაიცავს. ხოლო მცენარეული ნაკრების შემცველი პასტები მიზანშეწონილია ღრძილების დაავადების დროს და გინგივიტის (ღრძილების ანთება) პროფილაქტიკისთვის.

გარდა ჯაგრისისა, რომელიც არ გვაძლევს კბილთაშუა არეების კარგად გასუფთავების საშუალებას, მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ საშუალებას წარმოადგენს ფლოსი — ძაფი. მისი გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია კბილების მჭიდრო წყობის დროს.



დღესდღეობით, ტელევიზიის საშუალებით დიდი რეკლამა უკეთდება უშაქრო საღეჭ რეზინებს. მაგრამ მათი გამოყენება რეკომენდებულია საჭმლის მიღებიდან 15-20 წუთის განმავლობაში, რაც აქტიურებს ღრძილებსა და კბილებში სისხლის მიმოქცევას და მექანიკურად ჩამორეცხს საჭმლის ნაწილაკებს კბილებიდან. მაგრამ გაითვალისწინეთ! საღეჭი რეზინის დიდხანს ღეჭვა ხელს უწყობს კუჭის წვენის აქტიურ გამოყოფას და ზედმეტი მექანიკური დატვირთვაა საფეთქელქვედა ყბის სახსრისთვისაც. მოსახლეობაში ხშირად ჩნდება კითხვა, კბილებს ვუვლი და რატომ მიჩნდება კარიესი? შეადარეთ თქვენი პირის ღრუს მოვლის პრინციპი აქ მოყვანილ ჰიგიენურ ჩვევებს და თუ ყველა ამ წესს იცავთ, მაშინ დაფიქრდით, როგორია თქვენი კვების რეჟიმი. ნახშირწყლების დიდი რაოდენობით მიღება, ცილების, ფტორის, ვიტამინების დეფიციტი ის ფაქტორებია, რომელიც კარიესის განვითარებას იწვევს.

დღეს არსებული ნახევარფაბრიკატები და ქიმიური კონსერვანტებით გამდიდრებული საკვები, ღამაზად შეფუთული და გაფორმებული რომ გვაწონებს თავს დახლებიდან, ნამდვილად ვერ იძლევა ჯანმრთელობის გარანტიას! აუარებელი პურ-ფუნთუშეული და ტკბილეული ხომ პირდაპირ მისწრებაა პირის ღრუში დაბუდებული მიკრობებისთვის, რომლებიც სიამოვნებით ჩატკბარუნებულ შაქარს ჩვენდა საზიანოდ შლის და მჟავების გამოყოფით კარიესით ემუქრება ჩვენ კბილებს.

საკვებ რაციონში უნდა შედიოდეს ხორცი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, ცხოველური და მცენარეული ცხიმი, მინერალებით და ვიტამინებით მდიდარი ხილ-ბოსტნეული. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ასე საჭიროა ორგანიზმისთვის.

მშობლებმა ხშირად იციან საკვებს შორის შუალედებში ბავშვებისთვის წვენების მიცემა. ნახშირწყლები, რა თქმა უნდა, აუცილებელია ბავშვის გონებრივი განვითარებისთვის, მაგრამ მათი „უნიათოდ“ გამოყენება არა მარტო არღვევს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, არამედ საუკეთესო პირობებს ქმნის პირის ღრუში მიკრობთა „აყვავების“ და საბოლოოდ, კარიესის განვითარებისთვის.

არსებობს ნახშირწყლების მიღების კულტურა, რომლის პრინციპია:

1) არ ჭამოთ ტკბილი ღამით;

2) არ მიიღოთ ტკბილეული როგორც ბოლო კერძი, საკვების მიღებისას;

3) არ ჭამოთ ტკბილეული საკვებს შორის შუალედებში.

ამ რომელიმე წესის დარღვევის დროს აუცილებელია პირის ღრუს წყლით გამოვლება, კბილების გამოხეხვა ან თუნდაც უშაქრო საღეჭი რეზინის გამოყენება.

მაია მუხიგული

ᲙᲐᲚᲪᲘᲣᲛᲘ — ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ

კალციუმი არ იზრდება ფორთოხლის ბაღებში, მაგრამ ის ბევრია ფორთოხლის წვენში. ამიტომაა, რომ მოთხოვნა ფორთოხლის წვენზე ერთიორად გაიზარდა. სულ უფრო მეტად ყიდულობენ კალციუმის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებს. შეერთებულ შტატებში 20 მილიონზე მეტი დიასახლისი, პროდუქტების ყიდვისას მაღაზიებში კითხულობს, — თუ რამდენია მათში კალციუმის ოდენობა. კალციუმის, როგორც ძვლებისა და კბილების ზრდა-გაჯანსაღების მთავარი ელემენტის, სასიკეთო თვისებები დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ ბოლო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ამ ელემენტის დღიური დოზით მიღება ბევრი დაავადების, მათ შორის სწორი ნაწლავისა და მკერდის კიბოსაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა. რეკომენდებული დოზა ბავშვებისთვის 4-დან 8 წლამდე 800 მლგ. 9-დან 18 წლამდე ასაკისთვის 1.300 მლგ. 19-დან 50-მდე ასაკისთვის 1000 მლგ, ხოლო 50-ის ზევით 1.200 მლგ. მაქსიმალური მოცულობა კი, რომელიც შეგიძლიათ დღიურად მიიღოთ, 2.500 მლგ გახლავთ. ამერიკელები კალციუმის შემცველი პროდუქტებიდან რძეს ანიჭებენ უპირატესობას — ეს არცაა გასაკვირი. ჭიქა რძეში ხომ რიბოფლავინთან, პროტეინთან და ვიტამინ D-სთან ერთად 300 მლგ კალციუმია. თუმცა, ბევრი სპეციალურ აბებს ამჯობინებს, სადაც კალციუმის შემცველობა 500 მლგ-ის ტოლია და ვიტამინ D-საც შეიცავს. თუმცა, დღიური ნორმის გადამეტება არასასუველი და შესაძლოა ძლიერ მავნებელიც იყოს. 2500 მლგ-ზე მეტი დოზით კალციუმის მიღება — კუჭის პრობლემებს შეგიქმნით. ის ხელს შეუშლის ისეთი საჭირო ნივთიერებების ათვისებას, როგორიცაა თუთია და რკინა. გადაჭარბებული დოზა აზიანებს თირკმელს და თირკმელში ქვების წარმოქმნას იწვევს. ბოლო მონაცემებით, მამაკაცები, რომლებიც მომატებულად იღებენ კალციუმს, ზრდიან პროსტატის კიბოთი დაავადების საშიშროებას.



ნიუზუიქი, 28 აგვისტო

ᲜᲘᲚᲮᲭᲘ



ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1 ს/კოვზ ხაჭოს კარგად შეურიეთ 1ს/კოვზი სტაფილოს წვენი და ასეთივე რაოდენობის ქლიავის რბილობი. მიღებული მასა წაისვით სახეზე და 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

ეს პროცედურა ჩაიტარეთ ერთი თვის განმავლობაში კვირაში 1-2-ჯერ. 2-3 კვირის შემდეგ თქვენი კანი გახდება გლუვი, ნაზი და სიმშრალე გაქრება.

ᲜᲐᲝᲭᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ყურძნის 1/4 ჭიქა წვენს შეურიეთ იმავე რაოდენობის უმი რძე. ამ კოქტეილში დაასველეთ ფლანელის ნაჭერი (ამოჭრილია თვალების ადგილი), დაიფინეთ სახეზე და ზევიდან დაიფარეთ მუშამბა ან ხაოიანი პირსახოცი. გაიჩერეთ 15-20 წუთი.

მოიხსენით ნიღაბი, გაიშრეთ სახე და წაისვით მკვებავი კრემი.

ოტდოხნი №32

ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘᲡ ᲯᲘᲓᲔᲕ ᲔᲘᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

კოსტარიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნასადილევს წათვლემა უაღრესად საშიშია ჯანმრთელობისთვის — იგი თურმე, თითქმის სამჯერ ზრდის ინფარქტის რისკს.

კარგა ხანია დადგენილია, რომ პირდაპირი კავშირია ინფარქტის რაოდენობასა და გამოღვიძებას შორის.

შუადღის ძილი არ ვნებთ მხოლოდ ხანდაზმულებს, რომლებიც მშვიდად და აუჩქარებლად ცხოვრობენ. შემოქმედი, განსაკუთრებით ემოციური ადამიანებისთვის კი საშიშია.

ᲰᲔᲛᲐᲢᲝᲛᲐᲡ, ᲓᲐᲚᲣᲠᲯᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲭᲘᲛᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲥᲔᲥᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ...

ასეთი ტრავმები ძალიან გვიან რჩება, მაგრამ ეს პროცესი შეიძლება დააჩქაროთ, თუ მოამზადებთ კომპრესისათვის სპეციალური შემადგენლობის ნაყენს. დაქუცმაცეთ (გახეხეთ) აბზინდას ფოთლები, შეურიეთ მცირე რაოდენობის თაფლი და აბუსალათინის ზეთი. დაიდეთ კომპრესი სილურჯეზე 15 წუთი. თუ ტუჩებთან გაჩნდა ჰემატომა, აბუსალათინის ზეთის ნაცვლად დაუმატეთ საჭმელი სოდა.

ასევე კარგია იოდის უჯრედის გაკეთება. რა თქმა უნდა, ამ დროს კანი დაზიანებული არ უნდა იყოს.

პროცედურა ჩაიტარეთ რამდენიმე დღეს.

ბულგარეთში დაკარგული საქართველო

1878 წლის იანვარში, ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში კაპიტანმა ჯორჯაძემ თავისი რუსული მხედრობით თურქ-ოსმალთა დარბევისგან იხსნა ბულგარელთა უწმინდესი სალოცავი — პეტრიწონის მონასტრი. როგორც კი მონასტრის ბერებმა შეიტყვეს, რომ მათი გადამრჩენი ქართველი იყო, სიხარულისგან აცრემლებულებმა გულში ჩაიკრეს და მთელი ტაძარი კუთხე-კუნჭულ მოატარეს: — შვილო, შენ საკუთარ სახლში ხარ, ეს მონასტერი შენი წინაპრების აგებულიაო. გულაჩუყებულმა კაპიტანმა უძალ წერილი აფრინა „დროებაში“, რომლის მეოხებითაც ქართველმა ხალხმა მრავალი ასწლეულის შემდეგ აღიდგინა მეხსიერებაში, თუ რა დიდი მემკვიდრეობა ჰქონდა დატოვებული ბულგარეთში.

იოანე ივერიელის — გრიგოლ ბაკურიანისძის ფრაგმენტი

უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია -ის ლოცვა-კურთხევით საქართველოდან პეტრიწონის მონასტერში, ბულგარეთს, გაემგზავრა მომლოცველთა ჯგუფი — სოფელ დიღმის წმ. მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვრის, მამა დავითისა და მართლმადიდებელი მრევლის შემადგენლობით... ძალიან გვინდა შთაბეჭდილებების თქვენთვის გაზიარება.

მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები

განა იფიქრებდნენ პეტრიწონის მონასტრის მაშენებელი ძმები გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი, რომ მათ თანამემამულეებს საუკუნეთა შემდეგ გასახსენებელი გაუხდებოდათ ბულგარული სამკვიდროს შესახებ. დიდი ქართველობა გრიგოლმა საქართველოს მიწა-წყლის გამთლიანებაში მიღებული ქმედითი მონაწილეობითაც დაამტკიცა. მაგრამ ბაკურიანისძეთა მოღვაწეობისა და ცხოვრების გვირგვინად იქცა მაშინდელი ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მდებარე პეტრიწონში აგებული ქართული მართლმადიდებლური მონასტერი, რომელიც მათ თავიანთი პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებების ჯილდოდ და საზღაურად მიღებულ მამულში, უძველესი თრაკიის მიწაზე დაამკვიდრეს.

მონასტრის ეკლესიები ქართველებისათვის განსაკუთრებულად თაყვანსაცემ წმინდანთა — დედა ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის და წმინდა გიორგის სახელზე ააგეს; ეკლესიებს ფორმაც ქართული არქიტექტურული იერსახისა მისცეს; მშენებლობას სათავეში ქართველი ოსტატები და კირითხურონი ჩაუყენეს და ტაძრებიც ქართველ ხატმწერს — იოანე ივერიელს მოახატვინეს. და, რაც მთავარია, გრიგოლ ბაკურიანისძემ თვითონ შეუდგინა მონასტერს წესდება — ტიპიკონი, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იმისათვის, რათა „უმანკო და გულით მარტივ“ ქართველებს მათთვის განკუთვნილი ტაძარი ხელიდან არ გამოსცლოდათ, არც ერთ ბერძენს, რომელთა „ბუნებითა მძლავრობა“ და ქვეგამხედურობა უწყოდა ქტიტორმა, არ ჰქონდა მონასტერში ბინადრობის უფლება!

ქართველებო! თქვენ ალბათ ბაქოდან იქნებით...

მშობლიურობის გრძნობითა და განცდით ავსილნი ვუახლოვდებით მონასტრის ქვითკირის კედელს და ბაკურიანისძეთა დროინდელი ალაყაფის კართან პირველი დამხვდურიც გვეგებება: სატინის ცისფერ-ხალათიანი ჯმუხი წვეროსანი დგას ცოცხითა და აქანდაზით ხელში და გვეკითხება: — ქართველები ჩამოხვედით მონასტერში? საიდანა ხართ, თქვენ ალბათ ბაქოდან იქნებით...

ჩვენთან უკვე საკმაოდ გაშინაურებულმა ვარუჟან ფაფაზიანმა, რომელსაც მართლმადიდებლურად გადანათვლასთან ერთად სახელად ევგენი მიუღია და იპოდიაკონის ხარისხს მებალეობასა და მონასტრის დაგვა-დასუფთავებასაც უთავსებს, საკმაოდ არაორაზროვნად შეგვნიშნა: — როგორი გადამეტება იცით ხოლმე ქართველებმა, მაინც ვერ იშლით ბაკურიანის ქართველობას. თუ ქართველი იყო ეგ დალოცვილი, ტიპიკონს რატომღა შეადგენდა სომხურად და ხელსაც რატომ მოაწერდა? — ამბობს და თავის მომავლინებელთა ზრახვებსაც ამჟღავნებს, რომელთაც ისიც მშვენივრად მოუხერხებიათ, რომ მონასტრის კედელზე გაკრულ გზამკვლევში დაუფიქსირებიათ ტიპიკონის გვიანდელ ბერძნულ ასლში შეპარებული ნაყალბევი, თითქოს გრიგოლ ბაკურიანისძეს ტიპიკონი ქართულთან და ბერძნულთან ერთად სომხურადაც შეუდგენია და ხელიც მოუწერია სომხურად! ასე რომ, პეტრიწონშიც წინ გვხვდება ჩვენი მარადიული სამეზობლო თემა — ყოველივე ქართულის სომხურთან წილნაყარობის ზეღირებულოვანი იდეა!

ერთი ასოს ჩამატებით...

მონასტრის შიგნით ვითარება მთლად ისეთი როდი აღმოჩნდა, მონასტრის გარედან ვარუჟანმა რომ დაგვიხატა. მობრძანდით, თქვენს საკუთარ სახლში იმყოფებითო, — მოგვეგებნენ ყველანი, იღუმენიდან მოკიდებული. იღუმენმა მეუფე ნაუმმა გულითადად გვიმასპინძლა — მონასტრის ჭერქვეშ მიგვიჩინა ბინა, მონასტრისავე სუფრაზე დაგვიდო წილი და წამოსვლისას უხვი საგზლითაც გამოგვისტუმრა. მოძმე მართლმადიდებელი ქართული ეკლესიაც თბილად მოიკითხა და მორიდებული საყვედურიც გვკადრა — თურმე სომხური პრობლემა არც ვარუჟანით იწყება და არც ვარუჟანით მთავრდება — ჩვენი სამხრეთელი მეზობლები სერიოზულ თავსატეხად ქცეულან მონასტრის განმგებლობისათვის. მეუფემ მოგვითხრო, თუ როგორი მომაბეზრებელი ვიზიტებით მოდიან და აწუხებენ სამღვდელოებას, პრესასა და ტელევიზიას — იჩემებენ მონასტრის ამშენებელთა თანაგვარტომობას და თვით მონასტერსაც... ამ დროს, საქართველოს სასულიერო წოდებისგან და სამეცნიერო წრეებისგან ჯეროვანი თანადგომა და ხელის შეწყობა რომ გვქონდეს, შევძლებდით აღგვეკვეთა მათი უკანონო პრეტენზიებიო.

— ვეუბნები, — დასძინა იღუმენმა, — ეს რომ სომხური ტაძარი ყოფილიყო, ქართველები რად შესწირავდნენ მას ღვთისმშობლის ხატს-მეთქი, ისინი კი — ტიპიკონი და ტიპიკონიო — გაიძახიან. ამ დროს სომხური ტიპიკონი ბუნებაში ჯერ არავის უნახავს...

იღუმენს კვერს უკრავდა მონასტრის ადმინისტრაციული გამგებელი — ცნობილი პუბლიცისტი და ხელოვნებათმცოდნე — სლავჩო კისიოვი. იგი გამოთქვამდა გულწრფელ გაკვირვებას, თუ რა გზით ახერხებდნენ სომხები აშკარად ხილული მოვლენების უკუღმართად წარმოჩენას. ჩვენ საშუალება მოგვეცა, გვეჩვენებინა ბატონი სლავჩოსათვის ეს გზა და საშუალება. ამ საუბრის დროისათვის უკვე ხელთ გვქონდა პროვდივის (ძველი ფილიპოპოლისი) საეკლესიო ღირსშესანიშნაობათა შესახებ დაწერილი მისი მონოგრაფია, რომლის შმუცტიტულზე პეტრიწონის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია გამოსახული. ბულგარულ ენაზე ხატს აქვს აღნიშვნა, რომ ეს ხატი ქართველთა შესაწირია. ინგლისურ თარგმანში კი ტერმინი: „BY GEORGIANS“ (ქართველების მიერ) ერთი ასოს გადაადგილებით შეცვლილია ტერმინით: „BY GREGORIANS“ (გრიგორიანთა მიერ), რითაც ქართველების ნაცვლად, შემწირველები სომხები გამოდიან.

ოღონდ გამოჩნდი

მე-10-11 საუკუნეები ბნელით მოცული ხანაა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ბულგარეთის ცხოვრებაში. ქვეყანამ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დაბეჯითებით არის დადასტურებული, რომ ამ პერიოდში შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის ნიმუშები მათ ტერიტორიაზე მათსავე წინაპრებს არ ეკუთვნის. იმპერიისგან პყრობილნი, ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ აღმშენებლობით უნარს. მაშასადამე, იმისათვის, რომ გაითავისონ, ან 2-3 საუკუნით უკან უნდა გადაწიონ დათარიღება ან აღიარონ, რომ უპირატესად ბერძნულია (იმპერიული პრეროგატივა), სომხურია (იჩემებენ!) ან... „ან“-ზე ცოტა ქვემოთ. ძირითადი მიზეზი, თუ რატომ არ სურთ ბულგარელებს დავალებულნი იყვნენ ერთმორწმუნე ბერძნებისგან, გახლავთ ის, რომ მათ ისევე მრავლად აქვთ ნაწვნევი ისტორიის მანილზე, როგორც ჩვენ — ერთმორწმუნე ჩრდილოელი „უფროსი ძმისგან“. მიზეზი ბულგარეთთან სომხთა წვლილის უარყოფისა კი არის ის, რომ არ სურთ თავისი ეკლესიის წიაღში სომხური მწვალებლური ეკლესიის მესვეურთა შერთვა და ჩაზიარება. ბულგარელთა სადღესო სიმპათიები აშკარად „ან“-ის მისამართით იხრება — ოღონდ გამოჩნდი, ოღონდ დაარწმუნე შენს სიმართლეში! ჩვენ თავად ვიყავით მომსწრე, როგორი კეთილი მოშურნეობით გვეკითხებოდნენ ციხეებისა და ტაძრების მათთვის უცნობ ენაზე გაკეთებულ მინაწერებზე: — აბა, ნახეთ, ქართული ხომ არ არისო!

ამჟამად ბულგარეთის ტელევიზია იღებს ფილმს სახელწოდებით „ასენოვგრადი — ბულგარეთის იერუსალიმი“. ასენოვგრადი — ძველი სტენიმახის თანამედროვე სახელწოდებაა და მთელ არემარეში სიძველით აღბეჭდილი კენჭი არ არის, რომ გრიგოლ ბაკურიანის სახელთან არ იყოს დაკავშირებული. ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები ამ ტერიტორიაზე მთის მწვერვალებზე შეფენილან და საქართველოს ციხე-ქონგურების დარად სასულიეროსთან ერთად თავდაცვით ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ისინი მტრის შემოსვლას ზუსტად იმდაგვარივე ნიშნებით (კოცონით) აუწყებდნენ, როგორც ეს ჩვენში ხდებოდა ხოლმე. იმ კლდის ყველაზე მაღალ მწვერვალზე, რომელსაც დღემდე „ბაკურიანის კლდე“ ჰქვია, მდებარეობს დიმიტრი თესალონიკელის სამლოცველო, მისგან მოშორებით — ასენოვის დიდებული ციხე-იმაგრე პეტრიწონის ღვთისმშობლის სახელობაზე აგებული ტაძრით, კლდის ქიმიდან არწივივით გადმომდგარა ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი — იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, იქვე მთის ფერდობზე — ხატწერის ენით საკურთხეველში ძველქართულად ამეტყველებული წმინდა ეკატერინეს ეკლესია... მაგრამ თუ დაისაჭიროებთ ისტორიულ ცნობებს „ბულგარული იერუსალიმის“ უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლების წარმომავლობათა შესახებ, ვის გავლენას აღარ ამოიკითხავთ — ბიზანტიურსა და ასურულს, სომხურსა და თვით არაბულს — ენციკლოპედიურ ლექსიკონებსა თუ რელიგიურ ანთოლოგიებში, ოღონდ არსად შეგხვდებათ ამ სულიერ ღირებულებათა ჭეშმარიტი შემოქმედი ერის სახელი! ეს კიდევ არაფერი: მთელ ბულგარეთში განსაკუთრებული დიდებით არის მოსილი დედა ღვთისმშობლის ორი ქართული ხატი — ერთი ათონის ივერთა მონასტრისა და მეორე — პეტრიწონისა. როგორც გვამცნობდნენ, როდესაც მუნიოსმა კანადიდან სოფიაში ჩამოაბრძანა ათონის ხატის მირონმდინარე ასლი, მთელი ქვეყნის მოსახლეობა დიდპატარაანად გრძელ რიგში მდგარა, რათა მის მადლს მიახლოებოდა. დღეს კი ვარნაში, წმინდა ნიკოლოზის ტაძარში, თვით წინამძღვარმაც კი არ იცის, მათი ეკლესიის საკურთხევლის წინ მდებარე ამ ხატის სადაურობა. რაც შეეხება პეტრიწონის ხატს, ულამაზესი ქართულწარწერიანი პერანგით დამშვენებულს, თავად ვიყავით მოწმენი, როგორ მოდიოდნენ უწყვეტ ნაკადად ურიცხვი მომლოცველები — დიდები და პატარები, ხეიბრები და მკელობლები და კურნებასა და კურთხევას გამოსთხოვდნენ. და ამის მომსწრენიც ხშირად გახლდით, თუ რარიგ უცხო და შორეული იყო მათთვის ამ ხატისა და მონასტრის მშენებლების გვარტომობა და სადაურობა.

პეტრიწონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ან კი რატომ უნდა ვყოფილიყავით საცნობელი და ახლობელი — რა ღირსება და დამსახურება მოვიმუშაკეთ დღევანდელმა ქართველებმა ქვეყნიერების წინაშე? თუკი დავითის დროს ქართველები „ბორღალეთის“ გარდა ოქსინოთი და „ოქროთი რჩეულით“ ავსებდნენ მთაწმინდისა და ასურეთის, კვიპროსისა და შავიმთის, პალესტინისა და სინის მთის ეკლესია-მონასტრებს და „უფროსღა საფლავსა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“ — დღეს მათ მემკვიდრეებს რა გვაქვს თავმოსაწონები? ქვეყნის გარეთ ყველაზე მრავალრიცხოვანი სასულიერო კერების მქონებლებმა დავკარგეთ უკლებლივ ყველა სიწმინდე და საუკუნეების წინ ფეხით მოსიარულეთათვის აგრე ახლობელი სავანე დღევანდელ მიმომფრენთათვის ასე უცხო და შორებელი გავიხადეთ!

ზურაბ ქუთათელაძე

ქირაფი

ყოველთვის მინდოდა საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ უფულობის გამო ჩემი სურვილი ვერა და ვერ სრულდებოდა. ველოდი სასწაულს. ერთხელაც, მარტო ვიყავი შინ, ჩემს ოცნებებში გადაკარგული. ამ დროს ზარის ხმა გაისმა. სწრაფად წამოვხტი, კარი გავაღე. შემოსასვლელში გახარებული დედაჩემი იდგა. „დაჯექი“, მითხრა მან შემოსვლისთანავე. თითქოს გრძნობდა, ამ ამბის გაგებისას ფეხზე ვერ გავჩერდებოდი. „გიო, პარიზში მიდიხარ!“ — მითხრა მოკლედ. შოკში ჩავვარდი. პარიზი ჩემი ოცნების ქალაქი იყო. „ორი კვირით“, — დაამატა დედაჩემმა. ამის შემდეგ საერთოდ ცუდად გავხდი.

გაირკვა, რომ დედაჩემმა ფეხბურთის გულშემატკივრებთან ერთად (თითქოს ფეხბურთის დიდი მოყვარული ვიყო) ჩამწერა მათ სიაში. ორ დღეში მივემგზავრებოდი. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა საქართველოში. „მე იქ ისეთებს ვიზამ“, ვფიქრობდი. პარიზი ხომ ის ქალაქია, სადაც უცხოვრიათ ისეთ პოეტებს, რომელთაც მე ვეთაყვანებოდი.

ორმა დღემ სწრაფად გაიარა. დედაჩემმა, როგორც ყველა დედამ, დარიგება დამიწყო. აეროპორტში დიდი ჩახუტებისა და დედაჩემის დიდი ცრემლის შემდეგ, როგორც იქნა, მოვხვდი სანუკვარ თვითმფრინავში. „შეიკარით ქამრები, მოემზადეთ“, — გაისმა მშვენიერი სტიუარდესას ხმა. რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავი პარიზის „ორლის“ აეროპორტში დაეშვა. ფრანგები საკმაოდ ცივად შეგვხვდნენ. წაგვიყვანეს სასტუმროში და დაგვტოვეს. როცა ყველას მოგვშივდა, კაფეში ჩავედით. ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, რომ მთელ ჯგუფში ფრანგული მხოლოდ მე ვიცოდი და კაფეშივე გამოვამჟღავნე ჩემი ცოდნა.

— გამარჯობათ, — ვუთხარი იქვე მსხდომ გოგოს და ბიჭს. — თქვენ ფრანგები ხართ?

მათ გაკვირვებულებმა შემომხედეს.

— რა თქმა უნდა.

— შენ თვითონ სადაური ხარ?

— მე, მე ქართველი, — ამაყად ვთქვი.

— ქართველი?!

მივხვდი, ყელმა ნერწყვი როგორ გადაყლაპა.

— დიახ, ქართველი, არ გაგიგიათ? უძველესი ქვეყანაა. — ამას მოჰყვა მოკლე ისტორიული ექსკურსი ჩემი ქვეყნის შესახებ, მაგრამ მათ ყურადღება მხოლოდ ორჯერ გაამახვილეს: სტალინზე, და იმ წამსვე მკითხეს — რაშენ — რუსი? მერე კი — შევარდნაძე — კი, კი როგორ არა, გერმანელი, ბერლინის კედელი რომ დაანგრია.

— დიახ, ნამდვილად, მაგრამ ის ქართველია.

სულელურად გაიქნიეს თავი. დაბოღმილი და ხასიათგაფუჭებული ისევ ჩვენებს შევუერთდი. ამის შემდეგ იმ გოგო-ბიჭს ყოველდღე ვხედავდი და დავუახლოვდი. დამათვალიერებინეს პარიზის ცნობილი ადგილები: ლუვრი, ეიფელის კოშკი, პანთეონი, მონმარტრი, პერ ლა შეზი... ყველაფერი ის, რაც ბავშვობიდანვე გვესმის პარიზის შესახებ.

რომ გითხრათ, ნანახმა აღმაფრთოვანა-მეთქი, ალბათ ვერაფერს გეტყვით. გულის სიღრმეში ერთი რაღაც მაწუხებდა: „როგორ, მათ არ იციან საქართველო, ხოლო მე ბავშვობიდან პარიზის გარდა არაფერი მესმის“. ეს კი ნერვებზე მშლიდა, აღარც შენი პარიზი მინდოდა და აღარც შენი „ჯოკონდა“.

ამ აზრებში ვიყავი ჩაფლული, როცა ჩემი ფრანგი მეგობარი პიერი შემოვიდა. „ჟორჟ, მე ვიცი, შენ მხატვრობა გიყვარს და იმიტომ მოვედი. ისეთი უცნაური და საოცარი ნახატი ვნახე, გაფიცებ, ადექი, ჩაიცვი და წამომყევი. ვიდრემდის არ მივალთ, არაფერს გეტყვი. რაღაც გამოფენაა ჩამოტანილი და მინდა ნახო“. გავიფიქრე, ლუვრის შემდეგ რა უნდა მაჩვენოს ასეთი-მეთქი, მაგრამ ხათრი ვერ გავუტეხე და წავყევი. როცა დარბაზში შევედით, ჩუმად მანიშნა, აქეთ წამოდიო. სხვა ნახატებისთვის თვალი არ გამასწორებინა. მოვედით, — თქვა მან,— ორ ნაბიჯშია. დახუჭე თვალები, გთხოვ.

ამ უაზრობის შემდეგ საერთოდ დავიბენი. რაღას ვიზამდი, თვალები დავხუჭე.

— გაახილე, — მითხრა მან. თვალები გავახილე და „ჟირაფი“ დავინახე. მომესმა პიერის ხმა:

— შეხედე, როგორია ჰა, ვიღაც ფიროსმანის დახატულია, ნეტავ სადაურია?

საერთოდ რომ არ მყვარებოდა ფიროსმანი, ახლა, ამ დღიდან შევიყვარებდი.

— პიერ, ფიროსმანი ქართველია, გესმის, ქარ-თვე-ლი!

გიორგი წითური

ყველას ღვთისმშობლის ნახვის იმედი აქვს

ნეაპოლის ახლოს, პატარა სოფელ ოლივეტო სიტრაში ღვთისმშობელზე უამრავ ამბავს მოგითხრობენ: დედა მარიამი აქ 1985 წლის 24 მაისიდან მოყოლებული, ხალხს ხშირად ეცხადება, უფრო სამშაბათობით. ციხესიმაგრის ნანგრევებთან მას ყველა ხედავს. ყოველთვის სხვადასხვანაირი სამოსი აცვია და ვარდის სურნელი ასდის.

სოფლის მამასახლისი კომუნისტი ყოფილა და ამ სასწაულს საშინლად აღუშფოთებია. გზის გადაკეტვაც კი გადაუწყვეტია, მაგრამ სოფლელებს სასწრაფოდ გადაურჩევიათ და ამჯერად მორწმუნე თავკაცი ჰყავთ.

საერთოდ, აქაურობის მფარველად წმინდა ჯერარდო ითვლებოდა. როცა სოფელს მლოცველთა, განკურნების მსურველთა არმია შემოესია, ადგილობრივი პასტორები ეპისკოპოსთან წასულან რჩევის საკითხავად. ეპისკოპოსს შეუცხადებია — მე რა ვქნა, თუ სანტა მადონამ ოლივეტო სიტრაში მოვლინება ინება? მიენდეთ ღვთის ნებასო.

ღვთისმშობელი პირველად მღვდელს, 73 წლის დონ პეპინოს ეჩვენა.

— პირველად, მომელანდა-მეთქი, ვიფიქრე და სამი თვე ციხესიმაგრის შემოგარენს ვერიდებოდი. თან დაჯერება მინდოდა... საოცრად ლამაზი იყო... როგორც მღვდელი, ასეთ რამეს უნდა მოვრიდებოდი.

ახალმა ამბავმა სოფელში ყუმბარასავით იფეთქა.

— სოფლის ზეიმზე, საღამოს, — ჰყვება კარმინი, — მე, ჩემი ძმა და კიდევ 8 ბიჭი მოედანზე შუშხუნებს ვუშვებდით. ორკესტრის ხელმძღვანელმა გვიყვირა, — ძალიან ხმაურობთ და სხვაგან წადითო. 10 საათი იქნებოდა, ნანგრევებისკენ გავწიეთ. უცნაური ქვითინის ხმა შემოგვესმა. კენჭები წამოვკრიფეთ, რათა ჩვენი შემშინებლისთვის დაგვეშინა. ნასროლი კენჭები უკანვე დაგვიბრუნდა, თითქოს უხილავმა კედელმა აისხლიტაო. ტირილის ხმა ისევ განმეორდა. თავქუდმოგლეჯილები გავიქეცით მოედნისკენ. გონება მოვიკრიბეთ, დავმშვიდდით. ორი ჩვენგანი კვლავ იმ ადგილისკენ გაემართა. ჩვენც უკან გავყევით. სწორედ მაშინ დავინახეთ მიწიდან ერთი მეტრით მაღლა, ჭიშკრის წინ, სხივი, რომელიც დაახლოებით 150 სმ სიმაღლის ქალად იქცა. ხელში ჩვილი ეჭირა, რომელიც დედის კრიალოსნით თამაშობდა. ქალს თეთრი კაბა ეცვა და ცისფერ მოსასხამში იყო გახვეული. სულ თორმეტნი ვიყავით, მაგრამ მხოლოდ ექვსმა დავინახეთ. მის სახეს ვერ ვარჩევდი. თუმცა სხვები კარგად ხედავდნენ. ზოგიც მხოლოდ თეთრ მანათობელ ფორმას ამჩნევდა. შემეშინდა, თან ცნობისმოყვარეობა მკლავდა. მივხვდით, ეს მადონა იყო. ერთმა გაიგონა მისი ხმა: „მშვიდობა თქვენდა, ბავშვებო“. უკან გავიქეცით. ალბათ ზმანება გვქონდა-თქო, — ვთქვით. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დავბრუნდით, ისიც იქ დაგვხვდა. ამ დროს ჩემს ძმას, დინოს გული წაუვიდა...

ბავშვები კაფეში გაიქცნენ, თან მშველელს უხმობდნენ და ყვიროდნენ, — ღვთისმშობელი ვიხილეთო. ბარში სიცილი ატყდა. „წმინდა მადონა! რატომ პაპი არ იხილეთ?“

მაგრამ რაკი ბავშვები არ იშლიდნენ, მაშინ რამდენიმე ცნობისმოყვარე იმ ადგილისკენ გაემართა. ბავშვები თითით აჩვენებდნენ, — აგერ, მანდ დგასო, მაგრამ ვერავინ დაინახა. ზოგმა ჭიშკარში შესვლა მოინდომა, მაგრამ უხილავმა ძალამ ხელი შეუშალა.

მეორე დღეს მთელი მოსახლეობა ჭიშკართან შეგროვდა, ბავშვების გარდა, რომელთაც მშობლებმა იქ მისვლა აუკრძალეს.

50 წლის ტარკიზიო დი პიაზიმ ვერ დაინახა, მაგრამ გაიგონა მისი ხმა, — ილოცე, ილოცე, ილოცე!..

მას შემდეგ ათობით ადამიანი ხედავს, გრძნობს ან ესმის მისი ხმა.

მნახველების რიცხვი იზრდება, ყალიბდება საზოგადოება, რომელიც ქველმოქმედებას ეწევა. რაც მთავარია, სურთ გამოააშკარავონ ისინი, ვინც იბრალებს, რომ დაინახა დედა ღვთისა.

— პირველად ძალზე მეშინოდა, — ამბობს კარმინი, — ხალხი ჩემთან მოდიოდა. ხელს მისვამდა, ჩემს მშობლებს ფულს სთავაზობდა. ამ ბრბოს შიშით ჭიშკართან აღარ მივსულვარ.

ანა დე ბელი ეკლესიაში არ დადიოდა. მკრთალი ნათების დანახვისთანავე დონ პეპინოსთან გაიქცა აღსარების სათქმელად.

უკვე ცნეს სასწაულებრივი განკურნების ფაქტები, რომელთა ახსნაც ექიმებს არ შეუძლიათ. ამ ფაქტებს იძიებს კომისია თეოლოგებისა და ფსიქიატრების შემადგენლობით. გამოავლინეს 31 მნახველი, ფალსიფიკატორები არ შეხვედრიათ. ბავშვებსაც სიმართლის ტესტი ჩაუტარეს. სიყალბე ვერ დაადგინეს. საქმეში ჩაერია ამერიკელი პროფესორი, „ხილვების სპეციალისტი“ მამა ფერეი. ეპისკოპოსმა მოუწოდა ხალხს, მოთმინებით აღჭურვილიყვნენ. სოფელი ემორჩილება ღვთისმშობლის ნებას: „მშვიდობა, ლოცვა, მორჩილება, რწმენა“. მრევლი სამჯერ გაიზარდა. ყველა ერთმანეთზე ზრუნავს და ფიქრობს.

ეკლესია ამ მოვლენას „მარიოფანიას“ უწოდებს. ღვთისმშობლის გამოცხადების ასობით ფაქტია ცნობილი, სასწაული გრძელდება. თუმცა, ეკლესია ძალზე თავშეკავებით ეკიდება მსგავს მოვლენებს, რადგან ხშირად სიცრუესაც წააწყდომია ხოლმე. ამ შემთხვევაში კი იძულებულია, სასწაულად აღიაროს ზოგიერთი მართლაც აუხსნელი და სასწაულებრივი განკურნების შემთხვევა.

ფიგარო მაგაზინი

სიზმარი — მისტიკა თუ წინასწარმეტყველება

სიზმრის პრობლემის კვლევას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაინტერესდნენ ამ საკითხით მეცნიერები თუ თეოლოგები. ბევრი მას მისტიკურ, წინასწარმეტყველურ ხასიათს მიაწერდა, ზოგი დიაგნოსტიკურ მნიშვნელობას აძლევდა. ჩვენს საუკუნეში სიზმარს თითქოს უფრო რეალური ახსნა მოუძებნეს: „იგი არის შედეგი დიდი ტვინის გარკვეული კერების მოქმედებისა, რომელსაც იწვევენ შინაგანი და გარეგანი გამღიზიანებლები“.

მაგრამ ხშირად ჩვენვე გავუოცებივართ ჩვენსავე ნანახ სიზმარს თუ მის წინასწარმეტყველებას. ასპარეზი ამ მოვლენის კვლევისა კომპეტენტური პირებისათვის დამითმია, მე კი მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ:

ნათელა მანოშვილი: 3 წლის წინ ავტოკატასტროფაში დამეღუპა 25 წლის ქალიშვილი, ნინო. მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა. ჩემი თავისთვის სიცოცხლე მშურდა. ტირილით დაქანცული ღმერთს ვევედრებოდი, სიზმარში მაინც მაჩვენე ჩემი შვილი-მეთქი.

ამ უბედურების ზუსტად 9 თვის თავზე (ეს შემდეგ დავადგინეთ) ჩემი რძლის ნათესავს ბავშვი შეეძინა. მაშინ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, ჩვენი დარდი გვქონდა. ნინო და ჩემი რძალი თანაკლასელები და ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ და ჩემზე ნაკლებად როდი დაეწვა გული.

იმ ღამეს მესიზმრა: ნინო საავადმყოფოს ფანჯრიდან მეძახდა — მომენატრე, დედა, ხომ გაიგე, რომ მოვედი. მოდი და მნახეო. მეორე დღეს საფლავზე წავედით, სანთლები ავანთე და ტირილით გული ვიჯერე. სამი დღის შემდეგ ისევ დამესიზმრა. ისევ საავადმყოფოს ფანჯარასთან იდგა. მსაყვედურობდა, — რატომ არ მოდიხარო. ისევ წავედი საფლავზე, ვტიროდი და ჩავძახოდი, — რა გავაკეთო, შვილო, გამაგებინე, ვერ ვხვდები, რა გინდა-მეთქი. ამის შემდეგ კარგა ხანს აღარ დამსიზმრებია. მერე ვნახე, ვითომ იმ ნათესავის ოჯახში ვიყავით, ბავშვი რომ შეეძინა. ნინომ აკვანზე მიმითითა და მითხრა, — აი, ხომ ხედავ, რომ მოვედი, ახლა მაინც მნახეო. მე და ჩემი რძალი მეორე დღესვე წავედით იმ ბავშვის სანახავად. რომ შევხედე, კინაღამ გადავირიე. ოთხი თვის იყო უკვე. ისე ჰგავდა ჩემს ნინოს, თვალს ვეღარ ვაცილებდი. მარცხენა ლოყა, სიცილისას, ნინოსავით ეჩუტებოდა. ნია დაერქმიათ. ახლა უკვე ორი წლისაა. ღმერთმა გაუზარდოს და გაუმრავლოს მის მშობლებს მისი თავი. ჩემი ნუგეშიც ის არის. უკვე ტიკტიკებს, ნათელა ბებოს მეძახის, ძალიან ვუყვარვარ და ჩემთვისაც ყველაფერია... ვარსკვლავებივით აენთება ხოლმე თვალები, რომ დამინახავს. გამოექანება და ჩამეხვევა. სითბოს და სიყვარულს გრძნობს და ალბათ ამიტომ... რაც იზრდება, უფრო მეტად ემსგავსება ჩემს ნინოს. მას რომ ვუყურებ, თავიც ახალგაზრდა მგონია და ჩემი უბედურებაც მავიწყდება.

დეა მანოშვილი (რძალი). მე და ნინო საბავშვო ბაღიდან ერთად ვიზრდებოდით და უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი. დღემდე ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ ის აღარ არის... ჩემმა დედამთილმა პირველად რომ ნახა სიზმარი და მთხოვა, საფლავზე წავიდეთო, ისე დარწმუნებული მივდიოდი, თითქოს ნინო იქ უნდა დაგვხვედროდა. რომ არ დაგვხვდა, უმწეობისაგან ავტირდი.

მერე ბავშვის სანახავად წავედით. იქნებ იფიქროთ, რომ ჩვენმა დიდმა სურვილმა გამოიწვია, ბავშვს რომ ნინოს ვამსგავსებთ, მაგრამ ეს ასე არ არის. კიდევ კარგი, ბავშვის ოჯახში შეგნებულად უყურებენ ამ ყველაფერს...

მინდა მჯეროდეს, რომ რომელიღაც კეთილმა ანგელოზმა შეიბრალა სასოწარკვეთილი დედა და შვება მოუვლინა...

ამით ვაპირებდი წერილის დასრულებას, მაგრამ კიდევ ერთი შემთხვევა მოხდა. ამჯერად უფრო უსიამოვნო თუ უფრო საშიში. გარდაიცვალა კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც წინასწარ იცოდა, როდის უნდა მომკვდარიყო, არა მარტო თვე და რიცხვი, არამედ საათიც. აი, რა მიამბო მისმა ნათესავმა:

— შარშან, დეკემბერში ბელას ესიზმრა დიდი ხნის გარდაცვლილი მეზობელი ქალი. მოხუცს მისთვის უთქვამს, — დაიმახსოვრე 24 მარტი, დილის 10 საათი, ამ დროს ჩვენთან უნდა წამოხვიდეო. ბელას შეშინებია, მაგრამ არავის არაფერი გვითხრა. 19 მარტს, საღამოს, მენჯის არეში რაღაც ტკივილი დაეწყო თურმე. მაშინვე გახსენებია სიზმარი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვიფიქრეთ, ალბათ თირკმელი თუ სტკივაო. მოვიყვანეთ ექიმი, გაუკეთეს ნემსები, დაალევინეს წამლები... მაგრამ არაფერი შველოდა. 23-ში, საღამოს, უმძიმეს მდგომარეობაში იყო. 24-ში, დილით, სიზმარი გვიამბო და გვითხრა, — 10 საათზე დავისვენებო. მართლაც ასე მოხდა. ზუსტად 10 საათზე დალია საწყალმა სული.

...ვფიქრობ, ჭადრაკის ფიგურები ვართ დიდი მოჭადრაკის ხელში. დრომდე ყველა ჩვენს როლს ვთამაშობთ დაფაზე, მერე კი... „მეფეს და პაიკს ერთ ყუთში გვყრიან“.

ლალი შარიმანაშვილი

რომელ დღეს რა ჩავიცვათ?

ორშაბათი — მთვარის დღეა და სასურველია თეთრი სამოსის ჩაცმა.
სამშაბათი — მარსის დღეა, მაშასადამე, წითელი უნდა მოვიხდინოთ.
ოთხშაბათი — მერკურისაა, ჩავიცვათ ჭრელი ან ნაცრისფერი.
ხუთშაბათი — ნეპტუნის დღეა. რასაკვირველია, ცისფერი ტანსაცმელი სჯობს.
პარასკევი — ვენერას დღეა, ვარდისფერი ან მწვანე დაგვამშვენებს.
შაბათი — სატურნისაა, შავ-თეთრ ტანსაცმელში უნდა გამოვეწყოთ.
კვირა — მზის დღეა და, ცხადია, წითელი ფერი მოგვიხდება.



შუმერების კოსმოსური ოდისეა

შუმერების ცივილიზაციის ისტორია დიდი ხანია ისტორიკოსებისა და არქეოლოგების კვლევის საგანია. უკანასკნელ აღმოჩენასთან დაკავშირებით ამერიკელი არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ შუმერების ბევრი საიდუმლო ამოიხსნება.

საქმე ის არის, რომ ნაპოვნია თიხის ფირფიტა, რომელიც დაწვრილებით აღწერს „კოსმოსური ცენტრის“ ნიპურის ადგილმდებარეობასა და მოწყობილობებს. ფირფიტის ტექსტი გვამცნობს: „მათ, ვინც ციდან ცეცხლოვანი ორთვალებით ჩამოვიდნენ“, დაიწყეს თავიანთი პირველი ბაზის მშენებლობა. „თავდაპირველად, უჩვეულოდ მაღალი კოლონა დადგეს, რომლის წვერი ცას სწვდებოდა, იქიდან სიტყვა უნდა ეთქვათ“. იქნებ ეს რადიოტრანსლაციური კოშკი იყო? ფირფიტაში მოხსენიებულია „დედამიწის მეთვალყურე თვალი“ და „სხივი, რომელიც დედამიწის შუაგულში აღწევს“. „მართვის ცენტრს“ საშინელი იარაღი იცავდა. დაწვრილებითაა აღწერილი მადნეულისა და სამშენებლო მასალის გადასაზიდი მფრინავი პლატფორმები, მოწყობილობები, ელვისუსწრაფესად რომ გადასცემდნენ ინფორმაციას, პლატფორმის მოძრაობის მარშრუტები. ტექსტში ლაპარაკია „ენერგეტიკულ ველსა“ და „მართვისა და კავშირის ცენტრზე“.

ჩამოსულები არა მარტო შეისწავლიდნენ პლანეტას და მის მკვიდრთ, არამედ ცოდნასაც გადასცემდნენ — განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები „დიდ სახლში“ მიჰყავდათ და „ღვთიურ ცოდნას“ აძლევდნენ. როგორც უცნობი ავტორი გვამცნობს, ღმერთებმა ადამიანებს გადასცეს „სიბრძნის ფირფიტები“, „ღვთიური ფორმულები“, „მზის მოძრაობის კანონები“.

ცნობილი შეიქნა ერთ-ერთი ღმერთის სახელიც, რომელიც ბაზას მისი არსებობის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მას „არწივების მეთაური“ ერქვა. ნაპოვნია ასტრონომიული შინაარსის ფირფიტებიც, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი პლანეტები — ურანი და ნეპტუნი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თავად აღმწერი იყო ნამყოფი ურანზე ან თვითმხილველთა ნაამბობი ჩაიწერა. ფირფიტა დეტალურად აღწერს კოსმოსურ აპარატს, რომელიც ძალზე ჰგავს 1987 წელს ურანის შესასწავლად გაგზავნილ „ვოიაჯერს“.

ძველი შუმერები ასევე დაწვრილებით აღწერენ ღმერთების პლანეტას, მისი მოქცევის პერიოდი 3600 წელს შეადგენს. ეს ციფრი ემთხვევა დედამიწის ძველი ცივილიზაციების აყვავებისა და დაკნინების პერიოდებს. არწივების მეთაური აფრთხილებს ძველ შუმერებს, რომ „შორს, ზეცაში, უკანასკნელი ზღვრის მიღმა, არის კიდევ ერთი სამყარო..“ მეცნიერები დიდხანს იმტვრევდნენ თავს ამ სიტყვებზე, სანამ ბრიტანელმა და ამერიკელმა ასტრონომებმა არ წამოაყენეს მოსაზრება მზის კიდევ ერთი, საკმაოდ დიდი პლანეტის, არსებობის შესახებ, რომელსაც ძალზე წაგრძელებული ორბიტა და მოქცევის დიდი პერიოდები აქვს.

ტაინაია ვლასტ №31

ნეთუ ისევ დაგვჭირდება ნოე და მისი ჯიდობანი?



გრენლანდიის ყინულოვანი საფრის დნობამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მსოფლიო ოკეანე 50 მილიარდი ტონა წყლით შეავსო და მისი დონე 23 სმ-ით ასწია. კლიმატის გლობალური დათბობის პროცესმა მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაზარდა სანაპირო ზოლის დატბორვის რისკი.

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ გრენლანდიის მთელი ყინულოვანი ჯავშანი თუ გადნება, მაშინ მსოფლიო ოკეანის დონე 5,4 მეტრით აიწევს, მაგრამ ამავე დროს მეცნიერები გვამშვიდებენ: ეს გარდაუვალი კატასტროფა უახლოეს ათას წელზე ადრე არ მოხდება. თუმცა მაინც არსებობს შეშფოთების მიზეზი. დათბობის თანდათანობითი პროცესი აიძულებს მილიონობით ადამიანს მიატოვოს დასახლებული სანაპიროები.

ამის პირველი მსხვერპლი იქნებიან ევროპის შემდეგი სახელმწიფოები: ჰოლანდია, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, რომლებიც მდებარეობენ კონტინენტის დაბლობ რაიონებში. სამუდამოდ გაქრებიან: ბანგლადეში, პაკისტანისა და ინდოეთის ნაწილი, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფოები. ყოველივე ეს კი გამოიწვევს პლანეტაზე ადამიანების კატასტროფულ შემჭიდროებას. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკარგვა პროდუქციის შემცირების მიზეზი გახდება. მოკლედ, წარღვნა არა მარტო ეკოლოგიურ პრობლემებს მოუტანს კაცობრიობას, არამედ სოციალურ-ეკონომიკურსაც.

ეხო პლანეტი №31

„საბალღო-სალაღო“

I კროსვორდი
ზვეულად: 1. ნეკი; 2. ბოკვერი; 3. ძალა; 4. სახელისა; 5. ტილი; 7. ნარდი; 8. იავნანა; 10. აბრაგი; 12. თმა; 14. ანა.
თარაზულად: 6. კლოუნი; 9. ადამი; 10. აბი; 11. ვარსკვლავები; 13. მარტი; 15. გზა; 16. ანანასი.

II რებუსი „თოჯინა“.

III „გოზინაყი“.

IV „ინი“.

გეერდის პასუხები

V ავარჯიშეთ გონება
1. ზარი; 2. ისარი; 3. ტომი; 4. რებუსი; 5. გიგო. 6. ენა; 7. ფრთა.

VI სახალისო გამოცანები
ა) მელია; ბ) თხა.

VII მაკრატლის უზუსტობა: პირი აქვს გახსნილი, ხოლო ბოლოები შეერთებული.

VIII 1) ალპები; 2) სიცილია; 3) იტალია.

მოლაპარაკე მამალი

მეცნიერები თავს იმტვრევენ, გამოიცნონ, როგორ ისწავლა ლაპარაკი მამალმა. არკანზასში, ერთ-ერთი ფერმის პატრონმა მამალი ჰენრი მეზობლისაგან იყიდა და პირველი დღიდანვე მიაქცია ყურადღება მის უჩვეულო საქციელს: მამალს სულ ადამიანებთან უნდოდა ყოფნა და გამუდმებით რაღაცას ჩიფჩიფებდა, მერე დაიწყო წარმოთქმა ცალკეული სიტყვების, მოკლე ფრაზებისა: „როგორაა საქმე?“, ანდა „დღეს ცხელა“. ახლა ჰენრიმ 237 სიტყვა იცის, უადვილდება ფრაზების შედგენა და სიამოვნებით ესაუბრება მსურველს.

უნიკალური არსებით დაინტერესდა ცნობილი ორნიტოლოგი მაიკლ რენსერდი, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად დაიწყო ამ ფენომენის შესწავლა.

მეცნიერების მცდელობით, დეზებიან ფრთოსანს საკვირველი შედეგები აქვს. იგი ყოველდღიურად იმდიდრებს „სიტყვის მარაგს“.

მეგაპოლის-ექსპრესი №30

უჩვეულო ქორწილი

ეს იყო ერთი ყნოსვით შეყვარება — მიხვდნენ, რომ ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი. „მშობლებმა“, უკაცრავად, პატრონებმა, წინააღმდეგობა არ გაუწიეს, ისეთი ძაღლური ედემი შეუქმნეს, ადამიანსაც შეშურდება. ორი შეყვარებული წმ. ვალენტინის დღეს „შეუღლდა“... გადაუხადეს ქორწილი, ნაპერწკლებს ისროდა შამპანური, არც აღტაცებული მაყრების შეძახილები დაჰკლებიათ — ერთმანეთს აკოცეთო.

საქორწილო ტორტის გაჭრის შემდეგ „ახალშეუღლებულნი“ სამხრეთ ამერიკაში, ძაღლების ფერმაში გაემგზავრნენ თაფლობის თვის გასატარებლად.

ვოკრუგ სვეტა №22

ზოგი რამ პრიმატთა ცხოვრებიდან

სამეცნიერო საზოგადოება განცვიფრებულია მორიგი სენსაციით. ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის ექსპერიმენტი, წარმოებული პრიმატთა მიერ ადამიანური მეტყველების დაუფლების მიზნით, წარმატებით დასრულდა. ადამიანს და შიმპანზეს ათასწლეულები აშორებს, მაგრამ უახლესმა კომპიუტერულმა ტექნიკამ საოცრება მოახდინა.

ამერიკის ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის ენათა შესწავლის ცენტრში შიმპანზესა და სხვა პრიმატებს ადამიანურ ენას ასწავლიან ენობრივ სინთეზატორთა მეოხებით. რამდენიმე მაიმუნი უკვე საკმარის ლექსიკას ფლობს, რათა თავაზიანი საუბარი შეძლოს. ექსპერიმენტში გამოყენებული კომპიუტერის ასეულობით კლავიშზე სურათია დამაგრებული. სურათი მაიმუნისათვის ნაცნობი სიტყვაა. როცა პრიმატი სურათს თითს დააჭერს, სინთეზატორი სიტყვას წარმოთქვამს.

„ახლავე მოგართმევთ ყავას!“ — ამბობს პატარა შიმპანზე კანზი, ყველაზე აქტიური „ორატორი“. მან 3.000 სიტყვა იცის.

ინგლისელი გლეხის ლექსიკონში გასულ საუკუნეში 600 სიტყვა იყო. ახლა სკოლაში უცხო ენაში კარგი ნიშნის მისაღებად აუცილებელია 1.000 სიტყვის ცოდნა. პროექტის ხელმძღვანელთა აზრით, მაიმუნებს მარტივი წინადადების შედგენა კლავიშის გარეშეც შეუძლიათ.

ამ ექსპერიმენტმა შესაძლოა ჩვენი დამოკიდებულება ზოოპარკისადმი სრულიად შეცვალოს. ერთია უყურებდე გალიაში გამომწყვდეულ ლამაზ მხეცუნას, ხოლო სულ სხვაა, როცა ის გეკითხება — „კი, მაგრამ, რატომ უნდა ვიჯდე მე ამ გალიაში?“

შვედი მეცნიერები შეაშფოთა საცდელი შიმპანზეების ჰომოსექსუალურობამ და მამაკაცის ჰორმონის — ტესტოსტერონის დიდი დოზით ინიექციების კეთება დაუწყეს. შედეგად — შიმპანზეები ისე გამოყოჩაღდნენ, რომ ზესექსუალურ მონსტრებად იქცნენ. თანამომძმე მანდილოსნების გარდა, თავს დაესხნენ „მკურნალ“ ზოოლოგებს. რამდენიმე საკმაოდ არასასურველი შემთხვევის შემდეგ მეცნიერებმა ცდები შეწყვიტეს.

სენეგალელმა ბიოლოგებმა აღმოაჩინეს ბაბუინებისა და შიმპანზეების ჯოგები, რომლებიც დალევის წინ წყალს ფილტრავდნენ.

სპეციალისტებმა შეამჩნიეს, რომ ჩვენი „წინაპრები“ წყალს არასოდეს არ სვამენ დამშრალი მდინარეების ჭუჭყიანი გუბეებიდან. წყურვილის მოსაკლავად ქვიშაში ორმოებს თხრიან და ელოდებიან მათ ავსებას. ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ გუბეები სავსე იყო სხვადასხვა მავნე ბაქტერიით, მაშინ, როცა მაიმუნების მიერ ქვიშით გაფილტრული წყალი კრისტალურად სუფთა აღმოჩნდა.

მეცნიერთა აზრით, მაიმუნები „ცხოვრებისეული გამოცდილებით“ დარწმუნდნენ, რომ განმენდილი წყალი არ აავადებს მათ.

თაიმსი №4

საიდუმლოებით მოცული კუ რიდლეი

კუს ევოლუციამაც ვერაფერი დააკლო. უკანასკნელი 200 მლნ წლის მანძილზე ის, პრაქტიკულად, არ შეცვლილა. ეს ქვეწარმავალი უჩვეულოდ სიცოცხლისუნარიანია, 150 წელზე მეტხანს ცოცხლობს. ზოგიერთი სახეობა საოცრად ღონიერია. ზღვის მწვანე კუს იმდენი ადამიანის წაყვანა შეუძლია, რამდენიც მის ბაკანზე დაეტევა. მათ სიცივისა ისევე არ ეშინიათ, როგორც სიცხისა. ყინულზე მარჯვედ ცოცავენ.

კენიასა და ტანზანიაში ბინადრობს ელასტიკური კუ. იგი იმდენად რბილი და მოქნილია, რომ სუნთქვისას ბაკანი ერხევა.

ბევრი ჩვენგანის ცნობიერებაში კუ მოუქნელობასა და აუჩქარებლობასთანაა დაკავშირებული. ლონდონის ქუჩებში პლაკატებიც კი ჰკიდია კუსა და კურდღლის გამოსახულებით. წარწერა გამვლელთ აფრთხილებს: „კურდღელივით ნუ იხტუნებ, კუსავით ნუ იზოზინებ.“ ფიჯის კუნძულებზე კი კუ სისწრაფისა და უმაღლესი ნავიგაციის სიმბოლოდაა მიჩნეული. იგი საზღვაო დეპარტამენტის ბლანკზეც კი არის აღბეჭდილი. მაგრამ აქ საუბარია არა ხმელეთის, არამედ ზღვის კუზე, რომლის ერთი სახეობათაგანია რიდლეი. მისი სიგრძე 80 სმ-ია, იკვებება როგორც მცენარეებით, ასევე ცხოველებით. წყლიდან ამოყვანისას ერჩის დამჭერთ, საკბენად იწევს, ადამიანებს თავს ესხმის.

აქამდეც ცნობილი იყო, სად მრავლდებოდა წყნარი ოკეანის კუ, მაგრამ მეცნიერებმა არაფერი იცოდნენ რიდლეის შესახებ.

ახლახან მექსიკის სანაპიროზე აღმოაჩინეს მათი კვერცხსადები ადგილი. ერთხელ, კენედის კონცხზე მორიგი კოსმოსური გაფრენისთვის ემზადებოდნენ. ჟურნალისტებმა, მრავალრიცხოვანმა მომსახურე პერსონალმა პროჟექტორების შუქზე დაინახეს ქვიშიან სანაპიროზე გამოსული 12 ზღვის კუ. მათ ადამიანებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. თითოეულმა მდედრმა უკანა თათებით ნახევარმეტრიანი ორმო ამოთხარა და შიგ 100-200 კვერცხი ჩადო. მერე ორმოს ქვიშა მიაყარეს და ისევ წყალს მიაშურეს, სადაც მამრები ელოდნენ. მათ იქით გაცურეს, საიდანაც მოვიდნენ. ზოგი მათგანი 1.000 კმ სიშორიდან მოდის მექსიკის სანაპირო ქვიშრობებში კვერცხის დასადებად. ისინი ჯოგებად მოისწრაფიან აქეთკენ. კოლუმბის დროს მათი უთვალავი ჯოგისთვის გვერდის ავლა გემებს უჭირდათ. ცეილონელ ზოოლოგს დარანიაგალოს შეხვდა უზარმაზარი ჯოგი, რომელიც ზღვაში 108 კმ-ზე იყო გაჭიმული.

კალეიდოსკოპი №34

პუმა _ მყვლელობის ოხტატი

არსებობს ზუსტი სტატისტიკა: უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ჩრდილო ამერიკაში პუმა ადამიანებს 58-ჯერ დაესხა თავს და 22 ადამიანის სიცოცხლე სიკვდილით დამთავრდა. ზოგჯერ ეს კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ცხოველი დასახლებულ პუნქტებსაც უახლოვდება. დაფიქსირებულია შემთხვევა, როცა პუმას თავდასხმის შემდეგ ერთ ფერმერს დაახლოებით 600 ნაკერი დაადეს 50 ღია ჭრილობის „ამოსაკემსად“.

დიახ, ეს ლამაზი ცხოველი ზოგჯერ თავს ესხმის ადამიანს. სიგრძით პუმა 2 მ-ს აღწევს, კუდი 82 სმ-ია და საშუალო წონა — 105 კგ. ბეწვი ხშირი და მოკლე აქვს, ზემოდან მუქი ყვითელი, ქვემოთ — თეთრი. პუმა ერთადერთი ერთფერი (ლაქების გარეშე) კატაა ამერიკული სახეობებიდან. მხოლოდ ახალდაბადებულ კნუტებს აქვთ გამოხატული ლაქები.

არც ერთ ამერიკულ კატას არ აქვს ისეთი გავრცელების არეალი, როგორიც პუმას — მოიცავს ტერიტორიას დაწყებული ჩრდილო ამერიკითა და კანადით და დამთავრებული მთელი სამხრეთ ამერიკა — პატაგონიით. ძირითადად, მთის ტყეებში ბინადრობს, ამიტომაც მთის ლომსაც უწოდებენ. ამ ძლიერი კატის ნახვა შეიძლება გაუვალ ჯუნგლებშიც, ვაკიან ტროპიკულ ტყეებსა და თვით უტყეო პამპასებშიც. მარჯვედ ადის მთის ფერდობებზე, ხეებზე, აუცილებლობისამებრ — შესანიშნავად ცურავს.

ნადირობს სხვადასხვა ცხოველზე, ზოგჯერ თავს ესხმის შინაურ საქონელსა და ფრინველს. მსხვერპლს არაერთხელ მიუბრუნდება, სანამ მთლიანად არ შეჭამს, მაგრამ არსებობს ამის საწინააღმდეგო შეხედულებაც — საკმარისია პუმამ ორ კვირაში ერთხელ ჭამოსო.

პუმა ძალზე სწრაფი ცხოველია — შეუძლია 7მ-ის ნახტომის გაკეთება, ამიტომაც ნადირობა მუდამ შედეგიანი აქვს. ამბობენ, მის მსხვერპლს გადარჩენის შანსი თითქმის არ აქვსო. 10 შემთხვევიდან 8 პუმას სასარგებლოდ მთავრდება.

პუმა მონადირეების ოცნების საგნად მიიჩნეოდა მუდამ — ამიტომაც ასეულობით ათასი მხეცი განადგურდა. ამას დიდად შეუწყო ხელი თეოდორ რუზველტმა, რომელიც უცნაურია, მაგრამ ცხოველთა დაცვის საზოგადოების ფუძემდებელი იყო. აშშ-ის პრეზიდენტმა პუმების განადგურებაზე თანხმობა ნიუიორკის ზოოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტისგანაც მიიღო, ამის შემდეგ პუმების ხოცვა უფრო გახშირდა.

ახლა პუმები მომრავლებულია — 1971 წლიდან მათ სახელმწიფო იცავს. მათ მოსანახად ყველაზე მარჯვე დრო ზამთარია, როცა თოვლზე კვალს ტოვებენ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძუ პუმებს თავიანთი ტერიტორია აქვთ. იყო შემთხვევა, როცა ეს ცხოველი 20 კმ-ის მოშორებით გადაიყვანეს მშობლიური ადგილიდან, მაგრამ პუმა მაინც უკან დაბრუნდა. პუმა კატასავით მონიშნავს თავის ტერიტორიას და მასავით კაწრავს ხეებს.

ხვადი, რომელიც ჩვეულებრივ მარტოობას არჩევს, წლის მანძილზე რვამდე ძუს ანაყოფიერებს მეზობელი ტერიტორიებიდან. ძუს ფეხმძიმობა 90 დღე-ღამე გრძელდება. შობს ორ, სამ, ზოგჯერ ხუთ კნუტსაც. კნუტები სწრაფად იზრდებიან, მაგრამ სქესობრივ სიმწიფეს სიცოცხლის მესამე წელს აღწევენ. საზოგადოდ, პუმა დაახლოებით ოც წელს ცოცხლობს. პუმა ადამიანისთვის საშიში ცხოველია, მისი ბინადრობის ადგილებში სასურველი არ არის უჯოხოდ გამოჩენა. შემჩნეულია, რომ პუმას მაღალი ადამიანებისა ეშინია. თავდასხმის შემთხვევაში ადამიანი არ უნდა გაიქცეს, პირიქით, მშვიდად უნდა შეხვდეს. მოზრდილი პუმები მეტად აგრესიულები არიან.

პრიროდა №21



ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს თავის გადასარჩენად ნაირ-ნაირი ხერხი აქვთ. ამით ისინი მტრის თვალისთვის უჩინარნი ხდებიან და მათ „უჩინმაჩინებიც“ კი ვერ შეედრებიან. ჯერ მარტო კამბალა (კამბალა — სვია თევზი) რად ღირს — სანაპიროს მახლობლად იგი არა მარტო ფერით ემსგავსება იქაურობას, არამედ ფილიგრანული სიზუსტით იმეორებს სანაპიროს „უზორს“. მეორე მსგავსი თევზი (თევზი-ქვა) — მეჭეჭიანი ძალიან გულდასმითაც რომ დაათვალიერო, ქვის ნატეხისაგან ვერ განასხვავებ. ისე, უმჯობესია არც შეეხო, რადგან შეხებისთანავე მომაკვდინებელ შხამს გამოყოფს.

ილუზიონისტურ ჟანრში ზღვის მცხოვრებთ არც ხმელეთის ბინადარნი ჩამორჩებიან, მაგალითად, თეთრი დათვი. გამოჩნდება თუ არა სელაპის წვერიანი თავი, შავ დრუნჩს, რომელმაც შეიძლება იგი გასცეს, თათით იფარავს. თეთრი კურდღელი როგორღაც გრძნობს, რომ შეიძლება თვალებმა გასცეს, იგი თვალებს ხუჭავს. თუ ხტუნვაზე მიდგება საქმე, აბსოლუტურ ჩემპიონად ავსტრალიური კენგურუ უნდა მივიჩნიოთ. აღრიცხულია მისი ყველაზე გრძელი ნახტომი — 13მ 63სმ, არც სიმაღლეში ხტომაში ჰყავს ღირსეული მეტოქე — 3მ 20სმ ადგილზე, ყოველგვარი გამორბენის გარეშე. თავდაცვის ნაირ-ნაირი ხერხი აქვს ბევრ ფრთოსანსაც. შეამჩნევს თუ არა მასზე თავდამსხმელად გამოქანებულ არწივს, გრძელფეხება წერო მაშინვე ზურგზე წვება და თავისი გრძელი ბრჭყალებით იგერიებს მტერს. სირაქლემას ფეხის დარტყმა კი ცხენის ფლოქვის დარტყმის ძალის მქონეა. ამ ბრწყინვალე მორბენალს შეუძლია ცხოველთა მეფის თავის ქალის გადახსნა. ამ მძიმეწონიან ფრთოსანს მეტოქეობის ძალა მხოლოდ ავსტრალიურ კაზუარს შესწევს. კაზუარს ფეხების ერთ-ერთ თითზე აქვს ძალზე გრძელი, შუბისებრი ბრჭყალი და თავდასხმის შემთხვევაში მას შეუძლია მუცელიც კი გაუფატროს მტერს.

ფავორიტი №11

სიცოცხლის შესანარჩუნებლად

ნილები სწრაფ მუტაციას განიცდიან, მთელი მსოფლიოს მეცნიერები აღნიშნავენ დიდთავა და უჩვეულო გრძელფეხებიანი ბაყაყების გამოჩენას. გამოკვლევამ აჩვენა, რომ წყალხმელეთა ცხოველები იღუპებიან ერთუჯრედიანი სოკოთი, რასაც ჰიდრიდს ეძახიან, მაგრამ მეცნიერებმა არ იციან, რატომ დაუსუსტდათ იმუნიტეტი და რატომ ვერ ეწინააღმდეგებიან ადრე მათთვის უწყინარ მიკროორგანიზმებს.

— რაც დღეს მათ სპობს, ხვალ ჩვენ გაგვანადგურებს — განაცხადა ალან სიმპტონმა.

— კაცობრიობა ნამდვილად საფრთხეშია!

მეგაპოლის-ექსპრესი №33

თუ ბაყაყი გადაშენდება...

მეცნიერები შეშფოთებულნი არიან ბაყაყების სწრაფი გადაშენების გამო. ბაყაყების წინაპრები დინოზავრებზე 2000 წლით ადრე მოსულან და გამყინვარების ორი პერიოდისთვის „გაუძლიათ“, ახლა კი ბაყაყის ცნობილი სამი ათასი სახეობა მკვეთრად კლებულობს. ეს პროცესი 10 წლის წინ დაიწყო და სულ უფრო სწრაფად იზრდება. ამერიკელი ექსპერტის ალან სიმპტონის აზრით, ისინი განწირულნი არიან. გლობალური დათბობა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა — გადაშენების სხვა მიზეზებთან ერთად სპეციალისტები ოზონის ხვრელიდან გამომავალ ულტრაიისფერ გამოსხივებასაც ასახელებენ. მიკრომემბრანებისაგან შემდგარი ბაყაყის კანი შეცვლილ ბუნებაში უაღრესად მგრძნობიარე აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ ბაყაყები, გომბეშოები და ხვლიკები ბუნების ბარომეტრები არიან. ლინდი ფეირის აზრით, „რაც ბაყაყებს ემართებათ, ჩვენთვის უკანასკნელი გაფრთხილებაა“. ბაყაყები და გომბეშოები ქრებიან იქაც კი, სადაც ბუნებას ადამიანის მსახვრალი ხელი ჯერ არ შეხებია: პრაქტიკულად, გადაშენდნენ გომბეშოები კოსტა-რიკის ტყეებში და ჩანთოსანი ბაყაყები — ავსტრალიაში. გადარჩენილები სწრაფ მუტაციას განიცდიან, მთელი მსოფლიოს მეცნიერები აღნიშნავენ დიდთავა და უჩვეულო გრძელფეხებიანი ბაყაყების გამოჩენას. გამოკვლევამ აჩვენა, რომ წყალხმელეთა ცხოველები იღუპებიან ერთუჯრედიანი სოკოთი, რასაც ჰიდრიდს ეძახიან, მაგრამ მეცნიერებმა არ იციან, რატომ დაუსუსტდათ იმუნიტეტი და რატომ ვერ ეწინააღმდეგებიან ადრე მათთვის უწყინარ მიკროორგანიზმებს.

— რაც დღეს მათ სპობს, ხვალ ჩვენ გაგვანადგურებს — განაცხადა ალან სიმპტონმა.

— კაცობრიობა ნამდვილად საფრთხეშია!

მეგაპოლის-ექსპრესი №33

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ — ᲤᲘᲜᲘᲙᲘᲔᲚᲔᲑᲘ



როცა ლიბანის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს დაბის მეთევზეები წყლიდან ბადეს ექაჩებიან, ხელის მოძრაობისდაკვალად რიტმულად იმეორებენ: „ე-ლი-სა, ე-ლი-სა!“ რომ ჰკითხოთ, ეს რას ნიშნავსო — უარის ნიშნად მხარს აიჩეჩენ. ერთი რამ კი იციან — ეს სიტყვა ეხმარებოდა მათ მამებს, პაპებს, პაპის პაპებს... ეს ჩვეულება უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და მეთევზეების შეძახილი — „ელისა“ სხვა არაფერია, თუ არა ფინიკიელი პრინცესა ელისა (დიდონა), რომელსაც ძველი რომის პოეზიის კლასიკოსი ვირგილიუსი პოემა „ენეიდაში“ ასახამს ხოტბას.

ლეგენდა გვიამბობს, 3000 წლის წინ ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოს ტირის მეფემ, ელისას ძმამ, უმაღლესი ქურუმი — დის ქმარი მოკლა. პრინცესა მომხრეთა ამალით ქალაქიდან გაიქცა ჯერ კვიპროსზე, შემდეგ კი ჩრდილო აფრიკაში. ლტოლვილები ტუნისის ყურის ნაპირას, ბირსის ბორცვზე დასახლდნენ. ჩვ.წ.აღ-მდე V ს-ში, აქ ჩაეყარა საფუძველი ქალაქ კართაგენს, ფინიკიელთა უმძლავრეს და მიუდგომელ ქალაქ-კოლონიას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

სემიტები, რომელთაც ბერძნები მოგვიანებით ფინიკიელებს უწოდებდნენ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე 5000 წლის წინ დასახლდნენ. სად იყო მათი ძველი საცხოვრისი — ისტორიკოსებისთვის დღემდე გამოუცნობი დარჩა. ახალმოსახლეებმა აქ ააშენეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი — ბიბლი. ქალაქი სწრაფად გაშენდა, დაიწყო გაცხოველებული აღებ-მიცემობა, აგებდნენ ხომალდებს. აქ ხარობდა ცნობილი ლიბანის კედარი, რომელსაც ბრინჯაოს ცულებით ჭრიდნენ და სამშენებლო საქმეში იყენებდნენ. შემონახულია ეგვიპტელი მწერლების ჩანაწერი იმის შესახებ, რომ 2650 წელს ჩვ. წ. აღ-მდე ბიბლიდან მემფისში ხე-ტყით დატვირთული 40 ფინიკიური ხომალდი ჩავიდა. ასეთივე ხომალდებით შეჰქონდათ ოქრო ნუბიიდან და სპილენძის ზოდები კვიპროსიდან, სახმელეთო ქარავნებს კი აღმოსავლეთიდან შეჰქონდათ ხორბალი და ძვირფასი თვლები, მატყლი, ტყავეული, სანელებლები და ნელსაცხებლები.

ქალაქი სიდონი, რომელიც ბიბლიზე გვიან შეიქმნა მის სამხრეთით, ცნობილი იყო ხელოსნობით. როგორც ჰომეროსი ამბობს, „იქ გაკეთებული ვერცხლის სურა მსოფლიოს ერთ-ერთი შედევრი იყო“. ფინიკიელების საგანგებო ამ ქალაქების მიხედვით განისაზღვრება, საიდანაც იყვნენ წარმოშობით: „სიდონელები“, „კართაგენელები“. ფინიკიელები მათ ბერძნებმა უწოდეს ტანსაცმლის მუქი წითელი ფერის გამო.

სიდონისა და ტირის აყვავების ხანას ემთხვევა ფინიკიელების მიერ ალფაბეტის შექმნა. ფინიკიური ალფაბეტი მხოლოდ 22 სიმბოლოს შეიცავდა, რომლებიც მხოლოდ თანხმოვნებს აღნიშნავდა. ეს უძველესი ალფაბეტი ევროპული ენების ალფაბეტის საფუძველია.

ჩანაწერებს ფინიკიელები პაპირუსზე აკეთებდნენ, იშვიათად — თიხის ფირფიტებზე. პაპირუსს ეგვიპტელებისგან ყიდულობდნენ. ძველბერძნების წარმოდგენაში იმდენად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ბიბლი და პაპირუსი, როცა იუდეველი წინასწარმეტყველების ნაამბობის საკუთარ ენაზე თარგმნა გადაწყვიტეს, ამ გიგანტურმა შრომამ ქალაქ ბიბლის სახელის მიხედვით მიიღო სახელწოდება — ბიბლია. სამწუხაროდ, დღეს ფინიკიელთა არც ერთი ლიტერატურული ძეგლი არ შემორჩენილა. ნესტიან, ზღვის მარილით გაჯერებულ ჰაერში პაპირუსი მალე იშლება. ასე დაიღუპა ლიტერატურა ხალხისა, რომელმაც სხვა ხალხებს შეუქმნა დამწერლობა.

ფინიკიელები არაჩვეულებრივი ხალხი იყო. მეზობელთაგან განსხვავებით, დამპყრობლურ ომებს არ აწარმოებდნენ. მისი ქალაქები და კოლონიები ერთმანეთს არ მტრობდნენ. მათი ხელისუფლები კონფლიქტების დიპლომატიური გზით მოგვარებას არჩევდნენ. მაგრამ როცა ფინიკიელებს მაინც მოუწევდათ იარაღის ხელში აღება, ბრძოლის ველზე მათ ტოლი არ ჰყავდათ. მათი რაზმები სპარსეთის მეფე ქსერქსეს ეხმარებოდნენ ბერძნების წინააღმდეგ, კართაგენელმა ჰანიბალმა კი თავისი ჯარით ერთიანად გაანადგურა რომაელების არმია მათსავე ტერიტორიაზე.

ჰეროდოტეს თქმით, ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 600 წელს ფინიკიელებმა მთელ აფრიკას შემოუარეს. არის ვარაუდი, რომ ისინი ამერიკის კონტინენტზეც იყვნენ. რომაელი ისტორიკოსის ფესტოს ავენიუსის ცნობით, ფინიკიელებმა ჩაუარეს იბერიის (პირინეის ნახევარკუნძული) სანაპიროს ჩრდილოეთით და მიაღწიეს კალით მდიდარ ალბიონის ნაპირებს (ინგლისი).

ასე რომ, 3000 წლის წინ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ბატონობდა საოცარი ხალხი, რომელთაც ბერძნები ფინიკიელებს უწოდებდნენ. მათი ზეობა სამხედრო გამარჯვებების კი არა, სარფიანი აღებ-მიცემობის, სამშენებლო საქმიანობისა და შორეული საზღვაო ლაშქრობების შედეგი იყო. ფინიკიელებმა ასწავლეს ებრაელებს სასახლეებისა და ტაძრების აშენება, ბერძნებს — თავიანთი აღფაბეტის მეშვეობით წერა, რომაელებს კი — საზღვაო ბრძოლა. გამოჩენილი ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე ჰენრი როულინსონი ფინიკიელებს „ცივილიზაციის დიად პიონერებს“ უწოდებდა. საინტერესოა, ვინ იცის, საიდან მისულმა და აფრიკის კონტინენტზე დასახლებულმა ამ ხალხმა როგორ მოიფიქრა აღენიშნა ბგერები სიმბოლოებით, რაც აზრის ორი ათეული ასოთი გამოხატვის საშუალებას იძლეოდა. სწორედ ამ ხალხის ხელისუფლება რატომ მიხვდა, რომ აყვავების საფუძველი — ომები კი არა, მშვიდობიანი ვაჭრობა, ახალი მიწების აღმოჩენა იყო? და რომ სარფიანი ვაჭრობა მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის საქონლითა და მისი გადასაზიდი საშუალებებით იყო შესაძლებელი იქ, სადაც ამ საქონლის მოთხოვნილება არსებობდა. ვინ ან რა ეხმარებოდა მათ? ამ კითხვაზე პასუხი მეცნიერებს, ჯერ-ჯერობით, არ აქვთ. მაგრამ ისინი ჯიუტად ცდილობენ მათ პოვნას და თუ ეს მოხდა, მაშინ უძველესი წარსულის ბევრ საიდუმლოებას აეხდება ფარდა..

ნლო №34

„ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ“

ლუდოვიკო XV და გრაფინია პომპიდური

რა თქმა უნდა, ცნობილი გინესის წიგნი ყველა რეკორდს ვერ დაიტევდა. ეს უკმარისობა შეავსო სხვა ავტორიტეტულმა გამოცემებმა, რომლებიც აღნუსხავენ ადამიანების უსაზღვრო შესაძლებლობებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია „სექსუალური რეკორდების წიგნი“, რომელსაც ამერიკაში „ეროტიკული გინესის წიგნსაც“ უწოდებენ. ის მხოლოდ დიდებისთვის არის განკუთვნილი. ამ წიგნიდან შემოგთავაზებთ შედარებით უბრალო, მაგრამ ყველასთვის საინტერესო ამბავს.

„სექსუალური რეკორდების წიგნის“ თანახმად, ჩვენი თანამედროვე **ყველაზე ახალგაზრდა ბებია** გახდა 29 წლის ინგლისელი დეილი რაიტი. 1997 წელს მის 14 წლის ვაჟს, სტივენს შვილი შეეძინა. თვითონ დეილიც ამავე ასაკში გახდა მამა.

თანამედროვეობის **ყველაზე მრავალცოლიანად** აღიარებულია ამერიკელი მქადაგებელი გლინ სკოტ ვულფი. 1997 წელს, როდესაც ის გარდაიცვალა, მისმა 29-ე ცოლმა ლინდამ უსახსრობის გამო მის დამარხვაზე უარი განაცხადა. თავად ლონდასთვის კი ის 23-ე ქმარი იყო.

სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები სირიონოს ტომელები გაოცდნენ, როდესაც ნახეს, როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს თეთრი ადამიანები. ამ ტომისთვის **კოცნა** დღესაც დანაშაულად ითვლება.

39 წლის ეგვიპტელმა ქალბატონმა ბოტაინა აჰმედმა შური იძია ადამიანზე, რომელმაც მას ჭორები დაუყარა — ნება დართო ეკოცნა მისთვის და კოცნისას ენა მოაკვნიტა.

ყველაზე ძვირად ღირებული პარამსანა ჰქონდა არა შაჰს ან სულთანს, არამედ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს. მისი ყველა საყვარელი ვერსალის სასახლეში ცხოვრობდა და საგანგებო გარნიზონი იცავდა. 34 წლის მანძილზე ბევრმა მოიყარა თავი. მათ შესანახად დაიხარჯა 20 მლნ დოლარის ეკვივალენტის თანხა.

ამ ქვეყნიდან ისე წავიდნენ ცნობილი ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი და ფილოსოფოსი იმანუილ კანტი, რომ ქალის ხორციელი სიყვარული არ შეუგრძნიათ.

სიყვარულის უძველეს სახელმძღვანელოდ ითვლება არა ცნობილი „კამასუტრა“, არამედ **„სექსის სახელმძღვანელო“**, რომელიც დაიწერა 4500 წლის წინ, ჩინეთის იმპერატორის ხუან ცის დროს. მსგავსი ლიტერატურა ევროპაში მხოლოდ 2000 წლის შემდეგ შეიქმნა.

ყველაზე მეტი წიგნი სექსზე თავმოყრილია არა მოსკოვის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ან ამერიკის სექსის ინსტიტუტში, არამედ ვატიკანში — სულ 25.000 ტომი!

პირველი პორნოგრაფიული ფილმი გადაიღეს კინოს დაბადების წელსვე — 1895-ში. მაგრამ შიშველი მკერდი ამერიკულ კინოში პირველად მხოლოდ 1965 წელს გამოჩნდა.

ამერიკელმა მერლინ იელომ ქალის სხეულის ამ ნაწილს მიუძღვნა მთელი ტომი. პატარები მასში ხედავენ საკვებს, მამაკაცები — სექსს, მედიკოსები კი ავადმყოფობას. მისი წიგნი, „მკერდის ისტორია“, 1997 წელს ბესტსელერად იქცა.

ჩინეთში, ხანის დინასტიის ეპოქაში, ითვლებოდა, რომ დღეგრძელობისა და უკვდავების გზა სექსით იწყებოდა. იმპერატორს აღუთქვეს, თუ ის 1200 ქალწულს დაეუფლებოდა — უკვდავებას ეზიარებოდა.

პირველი შიშველი ქალი სცენაზე გამოჩნდა პარიზში, 1912 წელს. იმ დღიდან შიშველი მოცეკვავე ქალები გახდა ვარიეტეს ყველა პროგრამის დამაგვირგვინებელი. მაგრამ მათ მხოლოდ 1995 წელს ისწავლეს მაგიდაზე ცეკვა, რომელიც ამერიკიდან გადმოიღეს, სადაც ეს რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა.

1994 წელს ბირმინგემში (ინგლისი) გაიხსნა საპარიკმახერო, სადაც წელსზევით შიშველი პარიკმახერები მუშაობდნენ. ეს პრაქტიკა ამერიკელებმა მანქანების სამრეცხაოშიც გამოიყენეს.

1995 წელს ერთ-ერთ ფრანგულ ოჯახში სკანდალი ატყდა, 97 წლის ლიონელი ქალბატონი 100 წლის მეუღლეს ღალატს აბრალებდა! მისი თქმით, ქმარი ვითომ სეირნობდა, სინამდვილეში კი საყვარელთან დაიარებოდა.

სექსის პრობლემების პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა 1928 წელს, ბერლინში. მან მხოლოდ 5 წელი იარსება, რადგან 1933 წელს ნაცისტებმა გააუქმეს.

პურპურისტებსა და ასკეტიზმის მქადაგებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ამერიკულ საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელიც მოითხოვს, რომ ადამიანების გვერდით მცხოვრებ ცხოველებს ჩააცვან ტრუსი.

პორნოგრაფიის მსოფლიო ისტორიაში **ყველაზე მკაცრი სასიკვდილო განაჩენი** დაიმსახურა ჩინელმა გუ ეუშუმ. ის დასაჯეს 1944 წელს იმისთვის, რომ დაბეჭდა 833.000 ცალი წიგნი შიშველი ნატურებით.

კომსომოლსკაია პრავდა №115

ᲗᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲗᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ

ავი ხმები დადის კუნძულ ბორენოსა და მის გაუვალ ჯუნგლებზე. ტყუილმართალი ერთმანეთში ირევა. კუნძულის გაუვალ უღრანებში, რუკაზე აღუნიშნავი მდინარეების ნაპირებზე დაუპატიჟებელ სტუმრებს უსაფრდებიან ადამიანის თავებზე მონადირენი, შიშველი, ტანმოსვირინგებული დაიაკები.

რად უნდა დაიაკს სხვისი თავი?

ბევრი ევროპელი ვერ ბედავს დაიაკების ქვეყანაში მოგზაურობას. ის კი, ვინც რჩევას ყურს არ უგდებს — ხშირად უკან ვეღარ ბრუნდება. თავებზე მონადირეთა კუნძულს ეკვადორი ორად ყოფს. ჩრდილოეთ ნახევარსფერო ეკუთვნის მალაიზიასა და ბრუნეიას და ეწოდება ბორნეო. სამხრეთი — ინდონეზიას და ჰქვია კალიმანტანი, რაც ნიშნავს „ძვირფასი ქვების მდინარეს“.

მკვიდრი მცხოვრებნი — დაიაკები (ასე ეძახიან დანარჩენები) სახლობენ იქ, სადაც მხოლოდ გარეული ცხოველების და ქვის ხანის ადამიანებს შეუძლიათ ცხოვრება — კუნძულის სიღრმეში, აუმღვრეველი მდინარის სათავეში. ბორნეოზე დაიაკები იგივეა, რაც ამერიკაში, ინდიელები. ორასი ტომი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და სხვადასხვა სახელიც აქვთ: ორანგ-ულუ, ორანგ-სუნგეი. საერთო სახელწოდება „დაიაკებს“ კი არ სცნობენ.

დაიაკებს წარმოდგენა არა აქვთ, ან რომელ საუკუნეში ცხოვრობენ, ან რომელ ქვეყანაში, დადიან თავისუფლად ინდონეზიიდან მალაიზიაში და პირიქით. ამბობენ, დაიაკები ბორნეოზე უკვე ხუთასი ათასი წელია, რაც ბინადრობენო. აბორიგენები მისდევენ ძველ ჩვეულებას — ადამიანს თავს ხმის ამოღებამდე აჭრიან. ახლა ეს ჩვეულება მალაიზიასა და ინდონეზიაში მკაცრად აიკრძალა, მაგრამ დაიაკებს არაფერი გაუგიათ — გაზეთებსა და ჟურნალებს ისინი არ კითხულობენ და სტუმარს ლაპარაკს არ აცლიან...

აბორიგენები თავებზე იმიტომ კი არ ნადირობენ, რომ ბოროტები ან აგრესიულები არიან, არა — ტრადიცია აქვთ ასეთი. ადამიანის თავში არის სიცოცხლის ძალა — სემანგატი. სწორედ ეს ძალა გადაეცემა მთელ ტომს და უზრუნველყოფს მათ სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას. რაც მეტი თავი აქვთ, მით უფრო ბედნიერია აბორიგენთა სოფელი. თავები აუცილებელია დაიაკებისთვის ოჯახური ცხოვრების მოსაგვარებლადაც. საცოლო კაცი მანამ ვერ ეკარება ბელადის ქალიშვილს, სანამ არ მიართმევს რამდენიმე თავს. სახლის აშენებისას კი, ახალი თავის ქალა ხომ აუცილებელი ატრიბუტია! ადგილობრივი არქიტექტურული ტრადიციებით, მტრის თავი თილისმაა — მას მარხავენ შესასვლელში, ზღურბლქვეშ.

აი ჩემი სოფელი, აი ჩემი გრძელი სახლი

დაიაკების სახლის სიგრძე 180მ-ს აღწევს და სოფელს ჰგავს, — ორმოცდაათი ოჯახი ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ. ეს ეხმარებათ აბეზარი მეზობლების მოგერიებაში.

სხვადასხვა ტომს სახლები სხვადასხვანაირად აქვთ მოწყობილი — ზოგი გატიხრულია — ბელადისთვის, ზოგი არა, მაგრამ კარის სალოცავი ყველასთვის აუცილებელია: წმინდა ადგილას წამოჭიმულია ტომის მფარველი ხისა და ქვის კერპები. დაიაკები გამოირჩევიან მხატვრული გემოვნებითაც. კალათები და ნოხები ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებია. ნიჩბებზე ამოკვეთილია ულამაზესი ორნამენტები, აჭრელებულია ბუმბულებით, აკეთებენ უმშვენიერეს ფერად მძივებს, ხოლო პალმის ფოთლებს ტანსაცმლად ხმარობენ. მაგრამ დაიაკების სახლის მთავარი მორთულობა გახლავთ თავის ქალებით შემკული დედაბოძი.

როგორ გადაურჩეს ტურისტი თავის დაკარგვას?

სანაპიროსთან ახლოს მცხოვრები დაიაკები უწყინარ პარასკევებს ჰგვანან — კეთილი და უეშმაკონი ჩანან. გრძელი სახლის სამკაული — თავის ქალები ან მემკვიდრეობით აქვთ მიღებული, ან გარდაცვლილი ნათესავებისაა. როდესაც დაიაკებს თავის ქალის პატრონის სულის მოთავფვლა უნდათ, რელიკვიის გვერდით ნაირ-ნაირ ძღვენს კიდებენ. დაიაკთა ერთ-ერთი ტომი — კენიჯები იჩემებენ — ჩვენ უწყინარი ხალხი ვართო. მაგრამ მათი შემხედვარე ამას ვერ იტყვი: თხემით ტერფამდე შეხუნძლულნი არიან ცხოველთა კბილებით და ნაირ-ნაირი სამშვენისით, არ იშორებენ სამონადირეო მილს, რომლითაც მოწამლულ ისრებს ცხოველებს სულის ჩაბერვით ესვრიან.

გამბედავი ტურისტები ღამეს გრძელ სახლებში ათევენ. საკმარისია უხუცესებს მიართვან საჩუქრები — ნამცხვარი, ჩაი, თუთუნი და მოსულთ საშუალება ეძლევათ, თვალყური ადევნონ მასპინძელთა წეს-ჩვეულებებს.

საინტერესო სანახავია აქაური ქალები. მათ ლითონის ფირფიტებით აქვთ დაფარული მხრები, თეძოები, ხელები და წვივები, სხეულის დანარჩენი ნაწილი — ფერადი მძივის განიერი სარტყლებით. თავზე ბალიშის მსგავსი შლეიფიანი თავმორთულობა ადგათ. ყურებში გარჭობილი აქვთ ლითონის დისკები და საშუალო ზომის გირები, ისე რომ, ყურის ბიბილოები მხრებამდე აქვთ ჩამოზრდილი.

აქ მიაჩნიათ, რომ ეს მომხიბვლელი სანახაობაა. თუ გადაჭარბებული ყურადღება გამოიჩინე ამ ტურფა ასულების ცქერით, შეიძლება ნამცხვარმა არ გაჭრას და თავიც დაკარგო.

7 დღე №35

ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ
ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲐ
ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲘᲐᲤᲐᲓ
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ 7.
ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, VI ᲡᲐᲠᲗ.
ᲝᲗ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲝ-ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ „ᲛᲗᲘᲔᲑᲘ“
ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ:
ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ, ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ, ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ, ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ.
ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲟᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ.
9 ᲙᲚᲐᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲚᲘᲪᲔᲣᲛᲘ
ᲛᲘᲡ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 178, ᲛᲔ-18 ᲡᲙᲝᲚᲐ, III-IV ᲡᲐᲠᲗ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ PET ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
✓ გაზირებული და არაგაზირებული სასმელების ჩამოსასხმელი ხაზები.
✓ მცენარეული და ქიმიური ზეთების ჩამოსასხმელი ხაზები.
✓ PET ბოთლების დასამზადებელი მოწყობილობები.
✓ PET ფორმამდელი ფორმების დასამზადებელი მოწყობილობები.
✓ კონცენტრატები და კონსერვანტები უალკოჰოლო სასმელებისთვის.
ქ. ქუთაისი, ინდ. მეწარმე „გიორგი ზახაროვი“
საკონტაქტო ტელეფონებია: (231)7.28.63; 8(97)57.18.42

გიორგი დემეტრაძის ბენეფისი

გიორგი დემეტრაძეს, როგორც ვიცით, საადაპტაციო პერიოდი ძალზე გაუგრძელდა კიევის „დინამოში“. „ალანიადან“ გადასული ქართველი ფორვარდი უკრაინის დედაქალაქში ისე ვერ ბრწყინავდა, როგორც რუსეთის ჩემპიონატში. თუმცა ჩემპიონთა ლიგაში უმნიშვნელოვანესი გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის მაქსიმუმი, რისთვისაც კიეველთა პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა სოლიდური თანხა გადაუხადა ოსებს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ, ბოლო დროს, თავდამსხმელთა გარკვეული დეფიციტის მიუხედავად, დემეტრაძე კიეველთა სასტარტო განაცხადში უკრაინის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებშიც კი ვერ ხვდებოდა.


„დემე“ უკვე კარგ ხასიათზეა

უკრაინის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩში კიევის „დინამო“ ტერნოპოლში იქაურ „ნივას“ ხვდებოდა. ეს თამაში გიორგი დემეტრაძის ნამდვილ ბენეფისად იქცა და სასიხარულო იქნება, თუ მისი კიევური კარიერის აღმასვლის დასაწყისიც აღმოჩნდება, რის იმედსაც თვითონ „დემეც“ გამოთქვამს თავის ინტერვიუში.

კიეველებმა 7:3 გაიმარჯვეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა — ახლა ისინი მესამე ადგილზე იმყოფებიან, თუმცა დაკარგული ქულების მიხედვით არც ლიდერს ჩამორჩებიან.

თამაშის დაწყებიდან ერთი წუთი ძლივს იქნებოდა გასული, როდესაც დემეტრაძე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და შესანიშნავი გოლი გაიტანა. სწრაფმა გოლმა კიეველ ფეხბურთელებს ხელფეხი გაუხსნა და მეხუთე წუთისთვის უკვე 3:0-ს იგებდნენ — ორივე გოლი კიეველთა მეორე ახალგაზრდა თავდამსხმელმა მოროზმა გაიტანა. მანვე ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი ბურთი შეაგდო. მეორე ტაიმი კი მთლიანად დემეტრაძისა იყო — ცამეტი წუთის ინტერვალში, 66-ე, 74-ე და 79-ე წუთებზე ერთმანეთზე უკეთესი გოლებით საბოლოოდ დააშამათა მოწინააღმდეგე.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთაგანაც მთავარი როლების შემსრულებელნი ქართველი ფეხბურთელები იყვნენ — პირველი გოლი პირველ ტაიმში გაიტანა 38 წლის ვეტერანმა ავთანდილ კაპანაძემ, შემდეგ ახალგაზრდა დგებუაძემ გამოიჩინა თავი, ხოლო მესამე გოლში ავთანდილის ტყუპისცალმა — ტარიელმა დაიდო ლომის წილი, მეკარისა და მცველების მოტყუების შემდეგ მან ფილიპენკო დატოვა ცარიელ კართან, რომელსაც ბურთის გატანა აღარ გასჭირვებია.

მატჩის შემდეგ გიორგი დემეტრაძე, ცხადია, ძალზე გახარებული იყო. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს მატჩი გარდამტეხი მომენტი გახდება მის კიევურ კარიერაში:

— ჩემი საქმე გოლების გატანაა, „ალანიადანაც“ ამისთვის გადმომიყვანეს და ძალზე განვიცდიდი, რომ აქამდე სრულად ვერ გამოვავლინე ჩემი შესაძლებლობები. იმედი მაქვს, რომ კლუბში კარგი თამაშით ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებასაც მივიქცევ და მოახლოებულ შესარჩევ მატჩებშიც გამოვადგები ეროვნულ გუნდს.

კიევის „დინამოს“ წელს ორ ფრონტზე უწევს მძიმე ბრძოლა — ჩემპიონთა ლიგის თამაშებიც კარსაა მომდგარი და როგორც იცით, არცთუ ისე იოლ ქვეჯგუფში მოვხვდით. თვით უკრაინის ჩემპიონატიც ისე ვერ დავიწყეთ, როგორც ადრე იწყებდა კიევის „დინამო“ — პირველივე ტურებიდან სოლიდურ ფორას შეიქმნიდა ხოლმე. ამას დაუმატეთ ნაკრების თამაშები და მიხვდებით, რამხელა დატვირთვები მელის წინ.

მაგრამ, დღევანდელმა თამაშმა იმხელა რწმენა შემმატა, რომ ვფიქრობ, სამივე „ფრონტზე“ ღირსეულად ვიბრძოლებ. ყოველ შემთხვევაში, მე ცდას არ დავაკლებ.

როგორც გიორგიმ აღნიშნა, მისთვის კიევში უკვე მიუციათ ოროთახიანი ბინა და ახლა ვარჯიშისა და თამაშების გარდა საფიქრალი აღარაფერი აქვს.

ამ მატჩის შემდეგ დემეტრაძე სხვა ქართველ ლეგიონერებს შეურთდა ფრაიბურგში, რომლებიც ძოძუაშვილმა და ყიფიანმა გამოიძახეს ყველაზე „ჩვენებურ“ გერმანულ გუნდთან ამხანაგური მატჩის გასამართად.


ყიფიანს ჯერ კიდევ ბევრი აქვს საფიქრალი...

სპარინგპარტნიორად ბუნდესლიგური „ფრაიბურგის“ შერჩევას, ალბათ, რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, თუ წავაგებდით (რასაც საქართველოს ნაკრებისაგან უკვე დიდი ხანია შევეჩვიეთ), გერმანელებთან წაგება, თუნდაც საკლუბო გუნდთან, ისეთი სამარცხვინო არ იქნებოდა, როგორც ესტონეთთან, აზერბაიჯანთან ან ირანის ახალგაზრდულ ნაკრებთან დამარცხებაა; მეორეც — ზემოთ აღნიშნულ და მათ მსგავს ნაკრებებთან თამაში მართლაც არაფრის მომცემია ჩვენი ეროვნული გუნდისათვის, რის შესახებაც არაერთხელ აღუნიშნავთ, როგორც ფეხბურთელებს, ასევე სპეციალისტებს; და მესამე — როგორც ვთქვით, ფეხბურთელები უკვე ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ირანში, ისრაელსა თუ აზერბაიჯანში ჩატარებული არაფრის მომცემი თამაშების გამო და სერიოზული ეჭვი არსებობდა, რომ ბევრი ლეგიონერი უარს განაცხადებდა „შორ ქვეყნებში“ სათამაშოდ ჩასვლაზე. ეს ზაზა ჯანაშიას მაგალითითაც დადასტურდა, რომელიც არც ირანში და არც აზერბაიჯანში სათამაშოდ არ ჩასულა ტრავმის მიზეზით, თუმცა იმ პერიოდში მოსკოვის „ლოკომოტივში“ სტაბილურად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში. ფრაიბურგში კი, ზაზა ჯანაშიაც სხვა ლეგიონერებთან ერთად გამოცხადდა.

შეიძლება, ეროვნული ნაკრებისათვის ბუნდესლიგის ერთი საშუალოზე დაბალი დონის გუნდთან გამარჯვება დიდი ვერაფერი

ჩხირი კედელს

2 და 3 სექტემბერს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ევროპის შესარჩევი ჯგუფების პირველი ტურის თამაშები გაიმართა.

საქართველოს ნაკრები ამ დღეს „ისვენებდა“ და მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, ეს დრო ამხანაგური მატჩის გასამართად მაინც გამოეყენებინათ.

2000 წლის 3 სექტემბერ, ბაკურიანი. ... ...

პირველი ტურის სენსაციები

გასული შაბათ-კვირა ევროპაში „დიდი ფეხბურთისა“ იყო. გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ტურის შეხვედრები. პირველი სენსაციებიც პირველივე დღეს დაფიქსირდა. (გაზეთის ბეჭდვისას ცნობილი არ იყო კვირას



ჰოლანდია — ირლანდია 2:2

გამართული შეხვედრების შედეგები).

ერთი მატჩი გაიმართა პირველ ჯგუფში. რუსებმა ბეზჩასტნიხის ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად მოუგეს შვეიცარიას და პირველი სამი ქულა მოიპოვეს. კინაღამ სასწაული მოახდინა ანდორის ნაკრებმა, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე უგებდა კვიპროსის გუნდს და მხოლოდ ბოლო წუთზე გაშვებული გოლის შედეგად დამარცხდა 2:3 ანალოგიური სცენარით წარიმართა მეორე ჯგუფის კიდევ ერთი შეხვედრა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შინ მოთამაშე ჰოლანდიამ ირლანდიასთან მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლო — 2:2. სტუმართა გამარჯვებით დასრულდა III ჯგუფის ორივე მატჩი. ჩეხებმა პობორუჯსკის გოლის წყალობით სტუმრად 1:0 მოუგეს ბულგარეთს, დანიელებმა კი 2:1 სძლიეს რეიკიავიკში ტრადიციულად ძლიერად მოთამაშე ისლანდიელებს. ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა შვედებთან, თურქებმა ყოფილი საბჭოეთის კიდევ ერთ ქვეყანას მოლდოვას უმასპინძლეს და ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. მივადექით მთავარ სენსაციათა ჯგუფს, V ჯგუფში ბელორუსმა მოუგო უელსს, უკრაინამ შინ 1:3 წააგო პოლონეთთან და მთავარი — ნორვეგიელებმა ოსლოში გოლი ვერ გაუტანეს სომხებს და ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. შოტლანდიამ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით აჯობა ლატვიას, ბელგიამ და ხორვატიამ კი 90 წუთი უგოლოდ ითამაშეს. ესპანელებმა სტუმრად იმარჯვეს ბოსნიაში — 2:1. ფინეთმა ალბანეთს მოუგო ამავე ანგარიშით, რუდი ფიოლერის მიერ აღზევებულმა გერმანიის ნაკრებმა კი დიდი ძალისხმევის გარეშე აჯობა ბერძნებს 2:0.

მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები ოქტომბერში იწყებს შესარჩევ ციკლს, კვირას კი ჩვენი ჯგუფის ორი მატჩი უნდა გამართულიყო — უნგრეთი მასპინძლობდა იტალიას, რუმინეთი კი ლიტვას.

I ჯგუფი
შვეიცარია-რუსეთი 0:1

II ჯგუფი
ანდორა-კვიპროსი 2:3
ჰოლანდია-ირლანდია 2:2

III ჯგუფი
ბულგარეთი-ჩეხეთი 0:1
ისლანდია-დანია 1:2

IV ჯგუფი
აზერბაიჯანი-შვედეთი 0:1
უკრაინა-პოლონეთი 1:3

V ჯგუფი
ბელორუსი-უელსი 2:1
ნორვეგია-სომხეთი 0:0
უკრაინა-პოლონეთი 1:3

VI ჯგუფი
ლატვია-შოტლანდია 0:1
ბელგია-ხორვატია 0:0

VII ჯგუფი
ბოსნია-ესპანეთი 1:2

IX ჯგუფი
ფინეთი-ალბანეთი 2:1
გერმანია-საბერძნეთი 2:0

რონალდო დე ბურმა „ბარსელონა“ დატოვა

კატალონიის „ბარსელონასა“ და ჰოლანდიის ნაკრების 30 წლის მცველმა რონალდო დე ბურმა ესპანეთი დატოვა და შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს“ მიაშურა. ასე რომ, გაიყარა ჰოლანდიელი ძმების — რონალდისა და ფრანკის გზები, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთად იცავდნენ „ბარსელონას“ ღირსებას. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ პირად კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მოგვარებულია, დარჩა მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო საკითხი. „რეინჯერსმა“ დე ბურის სანაცვლოდ 8.000.000$ გადაიხადა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ჰოლანდიელს. დე ბურმა კატალონია საკუთარი სურვილით დატოვა, ვინაიდან ბოლო დროს იშვიათად ხვდებოდა „ბარსას“ ძირითად შემადგენლობაში.

რას აბრალებენ ლუქსემბურგოს?

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვანდერლეი ლუქსემბურგოს სამშობლოში სულ ახალ-ახალ ბრალდებებს უყენებენ. ჯერ იყო და სასტიკად ლანძღავდნენ მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა ჩილეში სამარცხვინოდ წააგეს, ახლა კი გასაკიცხი ახალი მიზეზებიც გამოუძებნეს. ამბობენ, რომ ლუქსემბურგო საკუთარ ჯიბეს ისქელებდა ფეხბურთელთა განხორციელებული ტრანსფერებით, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ კლუბებში მუშაობდაო. ბრაზილიური გაზეთები „ესტადუ“ და „ულმუ“ ამტკიცებენ, რომ ამ საქმიანობისათვის მას არც ნაკრებში დაუნებებია თავი. აღნიშნულ გაზეთებში წერია, რომ ლუქსემბურგომ ბრაზილიური კლუბებიდან ქრთამის სახით 10.000.000$ აიღო, სანაცვლოდ კი ნაკრებში მოიწვია ის ფეხბურთელები, რომლებიც ბრაზილიის ნაკრებს არაფერში სჭირდება. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რომ ნაკრებში გამოძახებით მოთამაშეთა ფასი ერთი-ათად იზრდება. ასე რომ, თუ ეს ფაქტები სიმართლეს შეესაბამება, კლუბებიც გვარიანად იხეირებდნენ და მწვრთნელიც.

თავად ლუქსემბურგო ბრაზილიელ ჟურნალისტთა ნაღვაწს იაფფასიან საგაზეთო ჭორებს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ეს ტყუილები მისი მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეების ფანტაზიის ნაყოფია. გამორიცხული არ არის, რომ საქმე სასამართლომდეც მივიდეს.

ბექჰემი კვლავ ყურადღების ცენტრშია



დევიდ ბექჰემმა და მისმა მეუღლემ, ცნობილმა პოპ-ვარსკვლავმა ვიქტორია ადამსმა სასამართლოში უჩივლეს მწერალ ენდრიუ მორტონს, რომელმაც ვარსკვლავური წყვილის ბიოგრაფია გამოაქვეყნა. წიგნი, რა თქმა უნდა, უმალ ბეტსელერად იქცა და უცებ გაიყიდა. ფეხბურთელმა და მისმა მეუღლემ ბრიტანელ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ე.წ. ბიოგრაფიაში ნახევარზე მეტი ჭორი წერია და მწერალს, რომელსაც ბექჰემის გარდა პრინცესა დაიანას ბიოგრაფიაც „შეუთხზავს,“ კანონის ძალით მოსთხოვეს პასუხი.

ამასობაში ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ გამოაქვეყნა ბრიტანეთის 100 ყველაზე სექსუალური მამაკაცის სია. ასეულში პრემიერლიგის 8 მოთამაშე მოხვდა, მათ შორის პირველ ადგილზე სწორედ დევიდ ბექჰემია, რომელსაც ბრიტანელმა ჟურნალისტებმა მერვე ადგილი არგუნეს. 21-ე ადგილზე ელეგანტური ფრანგი დევიდ ჟინოლა გავიდა. მას ხუთი საფეხურით ჩამორჩა „ლივერპულის“ ვარსკვლავი მაიკლ ოუენი. ბრიტანეთის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად კი მომღერალი რობინ უილიამსი დასახელდა.

ოლიმპიადების ისტორიიდან

საუკუნის უკანასკნელი ოლიმპიადის დაწყებამდე ათიოდე დღე დარჩა. მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა სიდნეისკენაა მიმართული. პლანეტის ყოველი კუთხიდან მიემგზავრებიან „მწვანე კონტინენტზე“ რჩეულთა შორის რჩეული სპორტსმენები. 199 ქვეყნის 10.200 ათლეტი ეწვევა ავსტრალიას და შეეცდება სამუდამოდ დაიმკვიდროს სახელი სპორტის ისტორიაში. ამდენი ქვეყნის ამდენ სპორტსმენს ჯერ არც ერთ ოლიმპიადაზე არ უასპარეზია. არც მედლების ასეთი რაოდენობა გათამაშებულა არასდროს — სიდნეიში მედლების 300 კომპლექტი გათამაშდება. 15.000 აკრედიტებული ჟურნალისტი კი მთელ მსოფლიოს გადასცემს ოლიმპიადაზე მომხდარ მოვლენებს.

გაგაცნობთ აქამდე ჩატარებული ოლიმპიადების მცირე სტატისტიკურ მონაცემებს.

104 წლის მანძილზე გაიმართა 26 ოლიმპიადა (1944 წელს ასპარეზობანი, რომელიც ლონდონში უნდა ჩატარებულიყო არ გაიმართა მეორე მსოფლიო ომის გამო). ყველაზე მეტი მედალი ამერიკელ სპორტსმენებს აქვთ მოპოვებული — 1974. მეორე და მესამე ადგილს ყოფილი სსრკ და გერმანია ინაწილებენ. პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

		სულ	ოქრო	ვერცხ.	ბრინჯ.
1.	ა. შ. შ.	1974	815	623	536
2.	ს. ს. რ. კ.	1193	467	382	344
3.	გერმანია	1113	359	370	384
4.	ბრიტანეთი	616	170	224	222
5.	საფრანგეთი	519	161	172	186
6.	იტალია	430	159	130	141
7.	უნგრეთი	414	140	123	151
8.	შვედეთი	450	134	149	167
9.	ფინეთი	289	98	79	112
10.	იაპონია	280	93	49	98

საქართველო 102-ე ადგილზეა. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს 2 ბრინჯაოს მედალი აქვთ მოგებული.

ეპიზოდები

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი 1896 წლის 6 აპრილს მოევლინა ქვეყანას. ამერიკელი მძლეოსანი ჯეიმს კონოლი ათენში გამართულ ოლიმპიადაზე სამხტომში 13,71 მეტრზე გადახტა. ქალთა შორის პირველი ჩემპიონი ინგლისელი ჩოგბურთელი შარლოტა კუპერია. მან ეს ტიტული ზუსტად ერთი საუკუნის წინ, 1900 წელს მოიპოვა პარიზში, ევროპელთაგან პირველი ოლიმპიური ოქრო დანიელმა ძალოსანმა ვიგო ენსენმა მოიპოვა 1896 წლის 7 აპრილს. იმავე ოლიმპიადაზე ჩემპიონი გახდა პირველი ავსტრალიელი სპორტსმენიც, მძლეოსანი ედვინ ფლეკი. აზიას პირველი ოქრო ონდოელ ბალახის ჰოკეისტთა ნაკრებმა მოუტანა 1926 წელს. „შავი კონტინენტის“ წარმომადგენელთაგან პირველი ჩემპიონი სამხრეთაფრიკელი მძლეოსანი რეჯინალდ უოკერი გახლდათ.

ოლიმპიური ცეცხლი პირველად 1928 წელს აინთო, ეს მოხდა ამსტერდამში 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

პირველი ოლიმპიური სოფელი 1932 წელს აშენდა ლოს-ანჯელესში.

პირველი სპორტსმენი, რომელიც დოპინგის მიღებისათვის დაისაჯა შვედი ხუთჭიდელი ხანსა ლილენგალა გახლდათ. 1968 წელს დოპინგის მიღებისათვის იგი მეხიკოს ოლიმპიადიდან დაითხოვეს.

ქართველ ოლიმპელებზე ორი ნომრის წინ სრულად გესაუბრეთ. გასულ პარასკევს მათ საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა და წარმატება უსურვა. ქართველი, რომელიც სიდნეიდან ოლიმპიურ ოქროს ჩამოიტანს, ჯილდოდ 50.000$-ს მიიღებს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები კი შესაბამისად 30 და 20 ათასს. სიდნეიისკენ მიმავალი გზა ქართველებს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაულოცა.

ტაისონმა და ლუისმა მომდევნო ბრძოლების ვადები დათქვეს

მსოფლიო კრივის ასოციაციის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლა ბრიტანელ ლენოქს ლუისსა და დევიდ ტუას შორის ლას-ვეგასში გაიმართება მიმდინარე წლის 11 ნოემბერს. მსოფლიოს გართობის ცენტრმა, როგორც მას ლას-ვეგასს უწოდებენ, ამ ბრძოლის მასპინძლობისათვის ბრძოლაში კანადის ქალაქ ტორონტოს აჯობა. ამ შეხვედრაში მონაწილეობისათვის ლუისი 11 მილიონ დოლარს მიიღებს, მისი მოწინააღმდეგე კი — 3,5 მილიონს.

რაც შეეხება მაიკ ტაისონს, გაირკვა მისი მომდევნო ბრძოლის თარიღი და მეტოქის ვინაობაც. 20 ოქტომბერს დეტროიტის გარეუბან ობერნ-ჰელსში „რკინის მაიკს“ ცნობილი პოლონელი მოკრივე ანჯეი გოლოტა დაუპირისპირდება. საინტერესოა, რომ კრივის სამყაროში პოლონელს თითქმის ისეთივე რეპუტაცია აქვს, როგორიც მის სახელოვან მეტოქეს. ისიც საკმაოდ „ბინძურ“ მოკრივედ ითვლება და არაფერს თაკილობს. სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლონელს საკმაოდ დიდი შანსი აქვს, სამუდამოდ დაასრულოს ლეგენდარული ტაისონის სპორტული კარიერა.

გასულ კვირას ყურადღების ცენტრში მოექცა ამერიკელთა საყვარელი მოკრივე ოსკარ დელა ჰოიაც. მან მოულოდნელად უჩივლა თავის პრომოუტერს, მსოფლიოში სახელგანთქმულ საკრივო მენეჯერს ბობ არუმს. ოსკარი სასწრაფოდ მოითხოვს მასთან გაფორმებული კონტრაქტის გაუქმებას. დელა ჰოიას, რომელიც ამ ბოლო დროს მეტად წარუმატებლად გამოდის და თავის წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც შეელია, მიზეზად ის მოჰყავს, რომ შეინ მოსლისთან გასამართი უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ იგი სწორედ საკუთარ პრომოუტერს „დაუთარსავს“ და უთქვამს, დროა ოსკარმა ხელთათმანები სამუდამოდ ჩამოკიდოსო.

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ღf5-e4!

34-ე ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნაა: g7-g8ვ!

თეთრები იწყებენ შამათს
და აკეთებენ სვლას.



პატარებმა „მონაწილეობა მიიღეს“ ბრძოლაში წესების გარეშე

მერი ბეტ მარლინი ტყუპს ელოდა სექტემბრის დასაწყისში. მაგრამ ბედის ბორბალი სულ სხვაგვარად დატრიალდა. 30 წლის მარლინს სასწრაფოდ საკეისრო გაუკეთეს, რადგან პატარები დედის მუცელში ერთმანეთს დაერივნენ და თანაც ისე, რომ ტყუპში უფრო პაწია, ფრედერიკი ქვეყანას მოევლინა თვალჩალურჯებული, ხოლო რობერტი — ტუჩგახეთქილი. — მსგავსი არაფერი მინახავს, — ჰყვება სამშობიარო საავადმყოფოს მორიგე ექიმი. — გამთენიისას კარი შემომინგრია ახალგაზრდა ქალმა ყვირილით: „გამოიყვანეთ ორივე, ბოლოს და ბოლოს... აღარ შემიძლია მათი ატანა...“

თავიდან ექიმებს მერი გიჟი ეგონათ, მაგრამ როცა მისი უზარმაზარი მუცელი დაინახეს, რომელიც ლამის ხტოდა, გაოგნდნენ. ექთანი ამტკიცებს, რომ პატარების მუშტებსაც კი ვხედავდი კაბის შიგნიდანო. სასწრაფოდ მოიწვიეს კონსილიუმი და ერთობლივი გადაწყვეტილებით დედა გაათავისუფლეს წამებისგან — გაუკეთეს საკეისრო.

ოპერაციის შემდეგ მისის მარლინმა მოიხედა და მოჰყვა, როგორ გააღვიძა ღამით ძლიერმა ბიძგმა მუცლის არეში. პირველ დარტყმას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, შემდეგ კიდევ და კიდევ... საცოდავი მერი ტკივილებმა კინაღამ კედლებზე გაიყვანეს. რის ვაი-ვაგლახით დაქოქა მანქანა. — თვალებში ძლივს ვიხედებოდი, ყველაფერი დაცურავდა...

...ექიმებმა დედის მუცლიდან ამოიყვანეს ორი მოჩხუბარი — ფრედერიკი და რობერტი. ბიჭები აბსოლუტურად ჯანმრთელები დაიბადნენ, თუ არ ჩავთვლით ტრავმებს, რომლებიც ერთმანეთს მიაყენეს ჩხუბის დროს.

ექიმმა რობერტ გრინმა ყოველკვირეული გაზეთის „უიქლ უორლდ ნიუზის“ კორესპონდენტთან ბრძანა, რომ ტყუპის ჩხუბი ინსტინქტის დონეზე მოხდა. ერთი შემთხვევით შეეხო ფეხით ან ხელით მეორეს და მეორემაც ინსტინქტურად მოიგერია.

პოსლედნიე ნოვოსტი №34

ეითი ვილა ყველა ვახსოვლავს ეკუთვნოდა

ვინმე ბილ დიკინსონი ფეშენებელურ ვილას აქირავებდა კარიბის ზღვის სანაპიროზე. ვილას ჭიშკარზე ხან ერთი წარწერა ჰქონდა, ხან მეორე, ხან მაკარტნის ეკუთვნოდა, ხან მადონას, ხანაც კენედების ოჯახს. ბილი წარწერას რომ შეცვლიდა, მისაღებ ოთახში ვითომდა ყოფილი პატრონის ფოტოსაც დებდა მაგიდაზე. დიდების მოყვარული მილიონერები უზარმაზარ თანხას იხდიდნენ, რომ ერთი ან ორი კვირა ეცხოვრათ ცნობილი ადამიანების აპარტამენტებში. ორკვირიანი „დასვენება“ ვილაში 60.000 დოლარი ჯდებოდა.

აფერა შემთხვევით გაიხსნა, როცა ორი ბიზნესმენი მაღალი საზოგადოების რაუტზე შეხვდა ერთმანეთს ნიუ-იორკში და ორივე ტრაბახს მოჰყვა — ერთ-ერთი მათგანი თურმე მიკ ჯაგერის სტუმარი იყო, ხოლო მეორე დევიდ კოპერფილდის. მაგრამ გაირკვა, რომ ორივე ერთსა და იმავე ვილაზე საუბრობდა. მათ ერთსა და იმავე სახლში „დასვენებაში“ გადაუხდიათ 60.000 დოლარი.

ვოტ ტაკ

პოლიციელის ორეული ეაფრთხილებთ!



ბელგიელი საგზაო პოლიციელები ყველაზე შეუვალ პოლიციელებად ითვლებიან საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთათვის. მათგან სერჟანტი პატრიკ ჯაუმოთი გამორჩეულად მკაცრია. მას ბევრი ბელგიელი ავტომფლობელი სახეზე ცნობს და „ულვაშასაც“ კი ეძახის. ალბათ ამიტომ გადაწყვიტეს საგზაო პოლიციაში მისი ორეულის შექმნა. ორეული, რომელსაც „ჯაუმოთ-2“ უწოდეს, მისი ცოცხალი პროტოტიპის ზუსტი ასლია და ალუმინისგან არის დამზადებული. თავისი „ცოცხალი ძმისგან“ განსხვავებით, რადარებით ალუმინის პოლიციელს მთელი კვირის განმავლობაში ამუშავებენ და სხვადასხვა ადგილზე გადააქვთ. მას იმ საგზაო ნიშანთან აყენებენ, მძღოლებს რომ აფრთხილებს წინ რადარებით კონტროლირებადი გზაა და სიჩქარეს მოუკელითო. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, „ალუმინის ულვაშას“ ისევე უფრთხიან, როგორც ცოცხალს და სიჩქარეს ამცირებენ. ამასთან, ასეთი პოლიციელი უპრობლემოცაა — არც ხელფასს ითხოვს და არც წვიმასა თუ სიცხეს უფრთხის.

ნიუზუიქი



როგორ წარმოიშვა კბილის ჯაგრისი

კბილების წმენდა — არც ისე სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი პროცედურაა. კბილის ჯაგრისს ყველა ხმარობს — ევროპელი, აფრიკელი თუ ამერიკელი, მაგრამ განა ვინმე დაფიქრებულა იმაზე — როგორ შეიქმნა ჯაგრისი? სანამ ამ მეტად საჭირო ნივთს გამოიგონებდნენ, რას ხმარობდნენ?

ადამიანი დასაბამიდან იწმენდდა კბილებს. არქეოლოგიური გათხრებით ცნობილია, რომ ამ საქმიანობისთვის ჩვენი წინაპარი ხმარობდა ხის ბოლობრტყელ ჩხირებს. სხვათა შორის, ზოგიერთი ტომი ავსტრალიასა და აფრიკაში დღესაც ასე ისუფთავებს კბილებს.

ბაბილონელები, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნით ადრე, იყენებდნენ საღეჭ ფირფიტებს. ანტიკური ხანის ავტორები თავიანთ ნაშრომებში გულდასმით განიხილავდნენ კბილის წმენდის საკითხს და თუ მათ დავუჯერებთ, საღეჭმა ფირფიტამ დასაბამი მისცა საღეჭ ჯოხს, რომლის ერთ ბოლოს, ჰიგიენისა და სისუფთავის მოყვარულები ღეჭდნენ, მეორეთი კი — კბილებს იწმენდნენ.

ფუფუნების მოყვარული რომაელები, კბილის მწმენდავებად მონებს იყენებდნენ.

ნამდვილი კბილის ჯაგრისი გამოიგონეს ჩინელებმა XV ს-ში, რომელიც ევროპაში მოგზაურებმა შეიტანეს.

ბამბუკის ან ძვლის ტარზე მიმაგრებული იყო ციმბირული ტახის ჯაგარი. კბილის ჯაგრისისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ ტახის კისრის ბეწვი. ევროპელებმა, რომლებიც კბილებს ჯაგრისით იხეხდნენ ღორის ჯაგარი უხეშად მიიჩნიეს და იგი შეცვალეს ცხენის ძუით, მაგრამ საუკეთესო მაინც ღორის ჯაგარი გამოდგა და მას ნეილონის გამოგონებამდე იყენებდნენ.

1937 წელს ფირმა „დიუპონ დე ნემურის“ ლაბორატორიებში გამოიგონეს ნეილონი. ერთი წლის შემდეგ ნეილონმა შეცვალა ცხოველის ბეწვის ჯაგრისი. ამ ხელოვნურ ნივთიერებას დიდი უპირატესობა ჰქონდა — სწრაფად არ შრებოდა, არ უჩნდებოდა ბაქტერიები, არ სცვიოდა ბეწვი.

ელექტრონული კბილის ჯაგრისი შეიქმნა შვეიცარიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც ძალიან მალე გაჩნდა ამერიკულ ბაზარზე და დიდი აღიარებაც მოიპოვა.

იზვესტია №143

მოლაპარაკება ულინდონის ქალიშვილმა ჩაშალა...

კემპ-დევიდში გამართული ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკების მონაწილენი უკმაყოფილონი დარჩნენ 10 დღიანი შეხვედრით. ისრაელელი დიპლომატები გაოგნდნენ იმ ფაქტის გამო, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად არ იღებდა. ის დემონსტრაციულად უთანხმდებოდა თავის 20 წლის ქალიშვილს — ჩელსის, რომელიც თავხედურად იღებდა მონაწილეობას დისკუსიებში.

— ყველაფერი საკმაოდ არასერიოზულად გამოიყურებოდა. განუწყვეტლივ გვესმოდა: „აბა, ჩელსი... აბა, ჩელსი...“ რა უნდა სცოდნოდა პატარა გოგოს მოლაპარაკების ვითარებაზე, — განაცხადა ერთ-ერთმა მონაწილემ ისრაელის ხელმძღვანელის ეჰუდ ბარაკის ჯგუფიდან.

ნათქვამის დასამტკიცებლად, განაწყენებულმა ისრაელელმა დიპლომატებმა ფოტოები გამოაქვეყნეს, რომელზედაც ჩელსი მოლაპარაკების დროს საკმაოდ ჭკვიანური იერით ზის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაითისა და ნაციონალური უსაფრთხოების მრჩევლის, სენდი ბერგერის გვერდით, მაშინ, როცა დანარჩენი მაღალჩინოსანი დიპლომატები თავმდაბლად დგანან გვერდზე.

თავდაპირველად, თეთრი სახლი უარყოფდა პრეზიდენტის ქალიშვილის მონაწილეობას მოლაპარაკებაში. მაგრამ ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ განაცხადა: „საქმე ის გახლავთ, რომ ჩელსი პოლიტიკით არის დაინტერესებული“. ახლა აშშ-ში კითხულობენ, საერთოდ რაზე ფიქრობდა პრეზიდენტი, როცა ისეთი მნიშვნელოვანი მოლაპარაკება, რომელზეც დამოკიდებულია მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, თავის გამოუცდელ 20 წლის გოგოს მიანდო. უნდა აღინიშნოს, რომ ჩელსი არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით და სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენელი იქნება სიდნეის ოლიმპიადაზე.

პოსლედნიე ნოვოსტი №34

მსოფლიოში ცნობილი ბიჭუნა



ბრიუსელში ჩასული ტურისტი უეჭველად მოინახულებს პაწია ჟულიენის ქანდაკებას, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ, როგორც „ბიჭუნას, რომელიც ფისავს“... იგი სრულიად დედიშობილა დგას კვარცხლბეკზე. ეს 60 სანტიმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება დიდი ხანია იქცა ბელგიის არაოფიციალურ სიმბოლოდ. ამ ფიგურით 1610 წელს ბრიუსელელმა მოქანდაკემ დიოვენუამ ქალაქის ერთ-ერთი შადრევანი დაამშვენა.

1698 წელს სტუმრად ჩამოსულმა ბავარიის მმართველმა მაქსიმილიან ემანუელმა შიშველ ჟულიენს კოსტიუმი აჩუქა და სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ქანდაკების „ჩაცმის“ ტრადიციას. მას შემდეგ ყოველმა საპატიო დელეგაციამ იცის ეს ტრადიცია და ბიჭუნასათვის მისი ზომის ეროვნული და ხან საზეიმო ტანსაცმელი ჩამოაქვს. მაგალითად, საფეხბურთო ჩემპიონატზე „ევრო-2000“, ჟულიენი ფეხბურთელის სამოსში გამოაწყვეს, თანაც წყლის ნაკადის მომატება მოუხდათ, რომ ფეხებთან მიმაგრებულ ფეხბურთის ბურთს ჭავლისთვის არ შეეშალა ხელი. ჟულიენი სამჯერ მოიპარეს. ეს ბოროტმოქმედება პირველად საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ის ჯარისკაცებმა ჩაიდინეს. ლუდოვიკო ძალზე გაანაწყენა ამ ამბავმა და ბიჭუნას ასლს ოქრომკედით მოქარგული სამოსი აჩუქა. ამას წინათ ლუდის დამამზადებელმა ფირმამ ჟულიენი თავისი სპეცტანსაცმლით მორთო და, რაც მთავარია, ბიჭუნა იმ ფირმის ლუდით ფისავდა.

ამან დიდი სიამოვნება მიანიჭა ბელგიელებს. პატარა ჟულიენის ტანისამოსის გამოფენა „სითი-2“ მოეწყობა სამეფო გალერეაში — XX საუკუნის პირველ ევროპულ სავაჭრო პასაჟში, სადაც გამოიფინება 664 კოსტიუმი; ამბობენ, მალე ბიჭუნას ათასამდე სამოსი ექნებაო. ბიჭუნას დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ასანთის სერიის ეტიკეტი, რომელიც 40 წლის წინ გამოუშვეს და ბრიუსელის მსოფლიო გამოფენას მიეძღვნა. სხვათა შორის, 80-იან წლებში ბრიუსელის თეატრის ერთ-ერთ ქუჩაზე ჟულიენს გამოუჩნდა მეგობარი გოგონა — ფლამანდიელი იანეკა, ... ისიც ფისავს... მაგრამ ჯერჯერობით იგი სახელგანთქმული არ არის და არც ისეთი ვინმე გამოჩნდა, რომ ლამაზად ჩაცვას და დაახუროს, რითაც კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყრება საფუძველი.

ეხო პლანეტი №27



თარაზულად: ხეობა, მაკენა; 6. პარტია, სექცია; 10. ნამცხვარი, ქიშმიში; 11. მოთხრობა, რომანი; 12. ქსოვილი, სპორტი; 17. ბრინჯი, ქელეხი; 18. სტუდენტი, საავადმყოფო; 19. გული, ძმა; 20. ებრაელი, კანონი; 21. მატარებელი, ეკიპაჟი; 25. საფრანგეთი, საფერავი; 26. ბაირონი, შექსპირი; 27. მეცნიერი, კოცონი; 31. ამანათი, ლენტი; 33. სტიქია, თოვლი; 34. დოქი, სპილენძი; 35. მსაჯი, შუაკაცი; 36. ამბავი, ნაწყვეტი.

შვეულად: 1. ოპერა, საღამო; 2. რთველი, კალათა; 3. ბავშვი, მოედანი; 4. რომი, სენა; 7. ღომი, ფქვილი; 8. ფილოსოფოსი, კასრი; 9. ადესა, აჯანი; 13. უნაგირი, ფეხი; 14. ჯინი, ლამპარი; 15. ავტობუსი, ფრთები; 16. ჭადრაკი, ცხენი; 22. ქალაქი, ცრემლები; 23. როდენი, ქალი; 24. ღვინო, მეცნიერი; 28. ეტლი, ფანჯარა; 29. აღქმა, შეცდომა; 30. ვენახი, გოლიათი; 32. თოვლი, ბურთი.

წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. სკალპი; 6. ცუნამი; 9. ოლივიე; 10. დიზელი; 13. ბრილიანტი; 15. კლიპი; 16. ქირა; 21. კარიერი; 22. კალიბრი; 23. კასტელი; 24. კარპოვი; 28. ნერგი; 31. ქნარი; 32. პერიმეტრი; 35. პლომბი; 36. ვენახი; 37. ონკანი; 38. ავარია.

შვეულად: 1. სკანდალი; 2. სპილო; 3. ვუალი; 4. ამბროზია; 7. კვერი; 8. აზოტი; 11. ცირკი; 12. სპილბერგი; 14. ფიროსმანი; 17. ცეკვა; 18. კაკაო; 19. კრავი; 20. ფაილი; 25. პალმა; 26. ტელეფონი; 27. პროცესია; 29. ფერმა; 30. ირანი; 33. ბლინი; 34. სხივი.

№35 (204) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 500 რესპონდენტი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 145-მა ქალმა და 346-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი სახელმწიფო სტრუქტურა (უწყება) მუშაობს დღეს ყველაზე ეფექტურად?“**

მკითხველთა 61-ის აზრით, დღეს საქართველოში ყველაზე ეფექტურად კონტროლის პალატა მუშაობს. **7,11** საშუალო ქულით „კონტროლის პალატა“ პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა მხოლოდ 2-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. შემდეგ ადგილზეა საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, საშუალო ქულაა 5,55. როგორც ვხედავთ, კონტროლის პალატა არცთუ ისე მცირე სხვაობით უსწრებს მას. მკითხველთა 14-მა მიაკუთვნა შემოსავლების „ახალბედა“ სამინისტროს მაქსიმალური — 8 ქულა.

უშიშროების მუშაობის ეფექტურობა რესპონდენტთა 9-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით, მინიმალურით კი — 2-მა. „უშიშროება“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,22.

აქ ჩამოთვლილ სახელმწიფო სტრუქტურათა შორის მკითხველებმა შედარებით არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს განათლების სისტემის, ჯანდაცვის, სოცუზრუნველყოფისა და თავდაცვის სამინისტროების მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ „ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა“ უმნიშვნელო სხვაობით უსწრებს წინ „თავდაცვას“. თუმცა, ყველაზე მეტი მინიმალური ქულით (35) „ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა“ შეფასდა.



საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 45 წლის თბილისელი **ამურ ლელუაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 5 სექტემბერს, 17 საათზე.

№36 (205) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

№36 (205) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 6 სექტემბერს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 სექტემბერს 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №36 (205) — ეფექტური რეკლამა

თქვენი აზრით, რომელ კომპანიას აძვს ყველაზე ეფექტური რეკლამა საქართველოში (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№36(205) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	კომპანია	ქულა
1	«GWS» – ქართული ღვინოები	
2	«ჯი»	
3	«ყაზბეგი»	
4	«მაგთი»	
5	«ჯეოსელი»	
6	«კოკა-კოლა»	
7	«GG&MW Co.N.V.» – ბორჯომი	
8	«მაკდონალდსი»	

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, რა არის სასწავლო პროცესის გადავადების რეალური მიზეზი?

კლიმატური პირობები	დესტაბილიზაციის საშიშროება	სელფასების გაუცემლობა	არ ვიცი

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 424-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათ უნდა დაესახელებინათ **ყველაზე საამაყო ფაქტი ქართველი ერის ისტორიაში.**

უმრავი საგმირო საქმე გაიხსენა მკითხველმა — ქართული დამწერლობის შექმნიდან დღემდე... უმრავლესობის გადაწყვეტილებით კი ყველაზე საამაყო ფაქტად „ძლევაი საკვირველი“ დასახელდა.

ქართველთათვის ყველაზე საამაყოა:

1.	დიდგორი	47,4%
2.	დამოუკიდებლობის აღდგენა	16,3%
3.	გაქრისტიანება	6,9%
4.	დავით აღმაშენებლის მეფობა, (გაერთიანებული საქართველო)	6,7%
5.	1981 წლის 13 მაისი, თბილისის „დინამოს“ გამარჯვება	2,9%
6.	„ვეფხისტყაოსნის“ შექმნა	2,2%
7.	დამოუკიდებლობის მოპოვება (1918წ)	1,9%
8-9.	თამარის მეფობა	1,4%
8-9.	1989 წლის 9 აპრილი	1,4%
10.	ქართული დამწერლობის შექმნა	1,2%

© · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ზურაბ ნოღაიდელი

ჟვანიამ ჭყონიას სიგარეტი მოჰპარა და პიჯაკის გარეთა ჯიბეში ჩაიდო.

კარმანშიკი, თბილისი

თ.ჭ. — ძმურად, ორი ლარი მასესხე...

ზ.ჟ. — რაა...

თ.ჭ. — რეკლამაა...

ირაკლი და გოგა, ჩხოროწყუ

ზ.ჟ. — რითი ვარ თოფაძეზე ნაკლები. ჩაუშვი ჩემი სახელი შენს სასმელებში.

თ.ჭ. — კი, ზურაბ, ხვალიდან „კოკა-კოლა“ იქნება „ზურა კოლა“, „სპრაიტი“ კი „ჟვაიტი“.

ზ.ჟ. — „ფანტა?“

თ.ჭ. — „ფანტა“ ხომ გამოიყენეთ, მოქკავშირის დაპირებები არის „ფანტა“-ზია

ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო

თ.ჭ. — მიშიკო მაჭავარიანი მომაშორე და ორი „ლიმონი“ შენია.

ზ.ჟ. — წყურვილის გრძნობასაც დავემორჩილო?

რაჭველო, თბილისი

თ.ჭ. — ტრეტიმ ბუდეშ?

ზ.ჟ. — და.

თ.ჭ. — ტაგდა პაიდიომ ისკატ ვტოროვო.

ოთარი, თბილისი

ზ.ჟ. — ორი თითით ფულის მიცემა არ ვარგა, სიღარიბე იცის...

უავტორო

თემურ ჭყონია, ზურაბ ჟვანია

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 126 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

ზ.ჟ. — თემურ, რატომ ჰქვია ორი სახელი თქვენს წარმოებას?

თ.ჭ. — ორი სახელი: „კოკა-კოლა“ იმიტომ ჰქვია, რომ კოკადან შემოსავალს ჩვენ ვიტოვებთ, კოლასას კი სახელმწიფოს ვაძლევთ.

რეზო სვანიძე, თბილისი

თ.ჭ. — ორ მილიონს მოგცემ, თუ მეტყვი, სადაური ჟვანია ხარ? აქ რამ მოგიყვანა?

ზ.ჟ. — სადაური ჭყონიაც შენა ხარ, იქაური ჟვანია ვარ მეც! იასნია?

„შენ დაუკარ“, სალხინეთი

ზ.ჟ. — ხელის აწევით უნდა მელაპარაკო-მეთქი!

თ.ჭ. — შეიძლება გკითხოთ?...

ზ.ჟ. — ეგრე...

ქ. კორინთელი, თბილისი

თ.ჭ. — თუ არ შეეშვებით ჩემს საქმეებში ქექვას, იმ რუსთაველი მანიაკივით, აი, ესე მოგჭრი ყურს.

ვ. კონტრიძე

თ.ჭ. — რომელი საუკუნეა ახლა, ზურიკო?

ზ.ჟ. — მეორე?!

თ.ჭ. — ეგრეც ვიცოდი, მეოცე, ძმაო, მე-ო-ცე!

ზურა, ქუთაისი

თ.ჭ. — ზურიკო, შენი ციფრია ორი.

ზ.ჟ. — ორი კი არა, მეორე ვიყავი ყოველთვის და ვიქნები კიდეც, სანამ პირველი კარგად მეყოლება.

ელგუჯა, წყნეთი

თ.ჭ. — მოქ. კავშირში ორი მოღალატეა, ორივეს სახელი კ-ზე იწყება.

ზ.ჟ. — კოკა და კოლა?

პარლამენტარი, თბილისი

ჩვენ ორნი ვართ ჯერჯერობით ევროპელები, ჩემო ზურაბ.

ვაჟა ქაშიაშვილი, თბილისი

ფოტო განწყობისათვის

— ჩვენდა, ბიჭო, ჩვენზეცაა ფეხებიანი ფეხებიანი...

მაგნიტური დღეები

6/IX 8⁰⁰–10⁰⁰ სთ-მდე

9/IX 19⁰⁰–21⁰⁰ სთ-მდე

5/IX ◐ პირველი მეოთხედი

წინა სკანვორდის პასუხები



ნამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირეა „სალხინო“

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ძვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ძვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ***ყუთები იცლებ[illegible] თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლ[illegible]ენის [illegible]ველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის [illegible]ან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბ[illegible]ოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პე[illegible]3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით ად[illegible] და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის [illegible]ედის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედან[illegible]ში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან და „თელასთან“; დიდ[illegible] ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე [illegible]ნ; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსადის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნი[illegible] Iკ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - გ.ფშაველას დასაწყისშ[illegible] ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუ[illegible]ის ასხვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

ქალაქებში და [illegible] *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთ[illegible]ალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქ[illegible]თი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სილ[illegible]ელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; ა[illegible] „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.* ბო[illegible]და ახმეტაში *ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირის ოთხშაბათ[illegible]დან.*

ყურადღ[illegible]ირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპ[illegible]ო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია [illegible]ით.©

(36) უ[illegible] განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტ[illegible]

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№36 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 7 სექტემბერს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

ენრიკე დაფრინავს

ყველას თავისი საკუთარი რეცეპტი აქვს, რომლის საშუალებითაც შეუძლია უიღბლო სიყვარულით მიღებული ჭრილობების მოშუშება: ზოგი სმას იწყებს, ზოგი საქმეში ეფლობა. საშუალებას, რომელიც გამოიყენა 24 წლის მომღერალმა ენრიკე ეგლესიასმა, არ მოჰყვება ფართო გამოხმაურება. უფრო სწორად,

ბევრი ვერ შეძლებს ამგვარ ხერხს მიმართოს სატრფოს დასავიწყებლად. მას შემდეგ, რაც ის ორმა საყვარელმა ქალმა მიატოვა, ენრიკემ 3.000.000 დოლარად რეაქტიული თვითმფრინავი შეიძინა. ის ამტკიცებს, რომ სულიერი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად საჰაერო მოგზაურობაზე უკეთესი არაფერია.

უსათაურად

— ეგ რა უცნაური სვირინგი გაქვს უკანალზე — 979...

— სვირინგი კი არა, ცოლმა გაზს მიაჭირა, როცა გარაჟს ვაღებდი.

***

— კოწია, ღვინო დააყენე?

— დავაყენე, მარა, ვინ დაგიყენა?!

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ავტორეკ. სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.
სარედაქციო კოლეგია.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ **რედაქცია:** 33-39-54
რეკლამა: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.